ISSN 1512-0597

ძიებანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი



№ 12 2003

ძ ი ე ბ ა ნ ი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი

№ 12

D Z I E B A N I

**The Journal
of the Centre for Archaeological Studies
Georgian Academy of Sciences**

Tbilisi **2003** **თბილისი**

63.4 (2Г)
902/904 (479.22)
ძ531

მთავარი რედაქტორი: **ვ. ჯაფარიძე**
Editor-in-Chief: **V. Japaridze**

სარედაქციო საბჭო: **ბ. მაისურაძე, დ. კაჭარავა, გ. კვირკველია, მ. ნიორაძე, რ. რამიშვილი**

Editorial council: **B. Maisuradze, D. Kacharava, G. Kvirkvelia, M. Nioradze, R. Ramishvili**

სარედაქციო კოლეგია: **ვ. ჯაფარიძე (თავმჯდომარე), გ. კვირკველია (მოადგილე), დ. კაჭარავა (პასუხისმგებელი მდივანი), დ. ბაქრაძე, ნ. მიწიშვილი, მ. კვაჭაძე, ა. ჭანტურია**

Editors of the volume: **V. Japaridze (editor-in-chief), G. Kvirkvelia, D. Kacharava, D. Bakradze N. Mitsishvili, M. Kvachadze, A. Chanturia**

© არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 2003

შინაარსი

Contents

ს ტ ა ტ ი ე ბ ი

A r t i c l e s

მ. გაბუნია, ლ. წერეთელი†. კავკასიის მეზოლითური კულტურები 5

M. Gabunia, L. Tsereteli†. The Mesolithic in the Caucasus (Summary) 13

ლ. წითლანაძე. მასალები ქართველ ტომთა უძველესი სულიერი კულტურის ისტორიისათვის (მჭადიჯვრის გორის ახალი განათხარი მასალის მიხედვით) 31

L. Tsitlanadze. Toward the History of the Most Ancient Non-material Culture of Georgian Tribes (Summary) 36

ა. რამიშვილი. გრავირებული კოლხურ ცულებიანი სამარხი სოფ. ნაცარგორიდან 41

Al. Ramishvili. Burial containing engraved Axes from the Village of Natsargora (Summary) .. 45

ჯ. აფაქიძე. კოლხური კულტურის საგარეო კავშირები ნამოსახლარების კერამიკული მასალის მიხედვით და მათი მნიშვნელობა აბსოლუტური ქრონოლოგიის კვლევისათვის 49

J. Apakidze. External Contacts of Colchian Culture as seen from Pottery Obtained at Archaeological Sites and their Implications for the Study of Absolute Chronology (Summary) 54

რ. პაპუაშვილი. კოლხური ბრინჯაოს ექსპორტი 63

R. Papuashvili. Export of Colchian Bronze (Summary) 68

ნ. სულავა. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს უძველესი კონტაქტები (ფიბულების მიხედვით) 70

N. Sulava. On the most ancient Contacts of the Black Sea Littoral (as seen in Fibulae) (Summary) 72

ქ. ჯავახიშვილი. ქართლის სამეფოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან რომაულ ხანაში (გლიპტიკური მასალების მიხედვით) 75

K. Javakhishvili. On the History of the Relations of the Iberian Kingdom and Egypt in the Roman Period (According To Glyptics) (Summary) 85

ზ. ბრაგვაძე. გვიანანტიკური ხანის სამარხები ძევრიდან 89

Z. Bragvadze. The Tombs of the Late Classical Period from Dzevri 92

ვ. ჩიხლაძე. საინტერესო სამარხეული კომპლექსი ჟინვალის სამაროვნიდან 98
V. Chikhladze. An Interesting Complex from the Zhinvali Burial Ground (Summary) 101
მ. ლორთქიფანიძე. ძვლის საბეჭდავი ჟინვალიდან 103
M. Lordkipanidze. Bone Signet Ring from Zhinvali (Summary) 107
თ. ჩიქოვანი. ზოგიერთი სამშენებლო ტერმინის შინაარსობრივი გაგებისათვის 108
T. Chikovani. On the Semantics of Some Constructional Terms (Summary) 111

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ი ს ი ს ტ ო რ ი ა

History of Archaeology

მ. ხუციშვილი. ზოგიერთი საკითხი ე. შანტრის საქართველოში მოღვაწეობის შესახე, ... 112
M. Khutsishvili. E. Chantre's Activities in Georgia 112

მ ი ლ ო ც ვ ა

C o n g r a t u l a t i o n s

რუსუდან ფუთურიძე 118
Rusudan Puturidze 118

ქ რ ო ნ ი კ ა

C h r o n i c l e

საველე სამუშაოები 2002 წელს 119
Field Work in 2002 120

შემოკლებათა განმარტება 123
Abbreviations 123

მანანა გაბუნია, ლუიზა წერეთელი†

კავკასიის მეზოლითური კულტურები

მეზოლითური ეპოქა ძველიქვის ხანის ყველაზე ხანმოკლე საფეხურია, სულ 2-3 ათას წელს გრძელდებოდა. მიუხედავად ამისა, ის საერთო ისტორიული პროცესის განუყოფელი ნაწილია და თავისი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება როგორც მატერიალური კულტურის განვითარებაში, ისე ყოფასა და სოციალურ ურთიერთობებში.

ცნობილია, რომ მეზოლითის დასაწყისი პლეისტოცენ-ჰოლოცენის გეოლოგიური ეპოქების საზღვარსა და ჰოლოცენის დასაწყისს ემთხვევა, რომელსაც დიდი ცვლილებები მოჰყვა ბუნებასა და გარემოში (ჰავის საყოველთაო დათბობა და შესაბამისად, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს შეცვლა), რამაც ასახვა ჰპოვა ძველი ადამიანის ყოფაში: იცვლება მისი მეურნეობის ხასიათის სტრუქტურა, ნადირობის ხერხები, იზრდება მეთევზეობისა და შემგროვებლობის როლი. ცხოვრების მთავარ წესად მომთაბარე მონადირეობა იქცა. მეურნეობის ხასიათის შეცვლა თავის ანარეკლს შრომის იარაღების ტიპოლოგიასა და დამუშავების ტექნიკაში პოულობს, ფართოდ ვრცელდება მშვილდ-ისარი და სხვა სატყორცნი იარაღები. ამგვარად, მთელი ქვის ხანის მანძილზე გაბატონებული მითვისებითი მეურნეობის სახეები – ნადირობა, შემგროვებლობა და მეთევზეობა – განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ადის და მის წიაღში უკვე თავს იჩენს მწარმოებლური მეურნეობის წანამძღვრები.

მეზოლითში აღნიშნული გარდაქმნები მხოლოდ ბუნებაში მომხდარმა ცვლილებებმა არ განაპირობა. არანაკლე, მნიშვნელოვანი იყო ძველი ადამიანის ცხოვრების მანძილზე თანდათან დაგროვილი ცოდნა, განსაზღვრული გამოცდილება, ტრადიციები, რომელთაც მემკვიდრეობითი ხასიათი ჰქონდათ და რომელთა შემდგომმა განვითარებამ კაცობრიობა მიწათმოქმედებასა და ცხოველთა მოშინაურებამდე მიიყვანა [3, გვ. 19].

ჰოლოცენურ ეპოქაში მომხდარმა ჰავის საყოველთაო დათბობამ ხელი შეუწყო ძველი ადამიანის უფრო ფართო განსახლებას და მის მიერ უკვე მაღალმთიანი რეგიონების ხელმეორედ ათვისებას.

მეზოლითურ ეპოქაში განსაკუთრებით ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით აღინიშნება კავკასიის ტერიტორია. მისი ბუნების თავისებურება – მის ფლორასა და ფაუნაში ალოქტონური და ავტოქტონური სახეობების შეთავსება მცენარეთა სამყაროსა და ფაუნის დიდ მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს ქმნის [21, გვ 312], რაც რამდენიმე ძირითადი ფაქტორით განისაზღვრება: რთული გეოლოგიურ-ტექტონიკური აგებულება, ხელსაყრელი კლიმატური პირობები, ლანდშაფტების განვითარების თავისებურება, კავკასიის ყელის გეოგრაფიული მდებარეობა, კერძოდ ორი – ზომიერი და სუბტროპიკული – სარტყლების საზღვარზე და ორ ვრცელ შიდამატერიკულ წყალსატევს – შავი და კასპიის ზღვებს შორის განლაგება [21, გვ. 307; 6, გვ. 440]. ამას ისიც ემატება, რომ კავკასიის ტერიტორიაზე ჭარბად მოიპოვება ქვის იარაღთა დასამზადებლად მრავალფეროვანი ნედლეული: კაჟი, ობსიდიანი, ანდეზიტი, კირქვიერი კაჟი და სხვ. ჩანს, ყოველივე ამან განაპირობა აქ მეზოლითური ძეგლების ფართოდ გავრცელება.

ეკოლოგიურმა თავისებურებებმა, ძველი ადამიანის განსხვავებულმა ადაპტაციურმა უნარმა და ტრადიციებმა გამოიწვია საერთოდ მეზოლითურ ეპოქაში კულტურათა უჩვეულო დანაწევრება და მრავალსახეობა. საკმარისია ჩამოვთვალოთ ზოგიერთი ცნობილი მეზოლითური კულტურა, ისეთი, როგორიცაა კუნდა და სვიდერი აღმოსავლეთ ევროპაში; მაგლემოზე, ერტებიოლე, ლინგბი, ფოსნა, კომსა, არენსბურგი ჩრდილოეთ ევროპაში [26, გვ. 186], ხამრანისა და კუალხანის კულტურები იორდანიაში [34, გვ. 100], ზარზიული კულტურა ერაყში [33, გვ. 13 და სხვ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებული ძეგლები დიდ კულტურულ მსგავსებას ამჟღავნებენ ერთმანეთთან, რაც შესაძლოა ეკოლოგიური ნიშნებითა და ქვის ხანის განვითარების გზების სიახლოვით აიხსნას.

თუმცა არის შემთხვევები, როდესაც გვერდიგვერდ ერთ უბანში განლაგებულ სინქრონულ ძეგლებს შორის განსხვავება იმდენად დიდია, რომ მათი ერთ კულტურაში გაერთიანება შეუძლებელი ხდება. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სირიის ერთი უბნის მეზოლითში ა. რუსტის მიერ გამოყოფილი ხუთი კულტურა: სკიფტური, ნებეკური, სავარაუდო გვიანი კაპსიური, ფალიტიური და ქვედა ნატუფიური [33, გვ. 26]; ან კიდევ სოჟისა და ოკის შუამდინარეთში მსგავს ბუნებრივ პირობებში გავრცელებული სამი კულტურის ძეგლები – სვიდერის, დესნისა და ვოლგა-ოკის, რომლებიც საკმაოდ მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან [29, გვ. 21].

მსგავს შემთხვევას აქვს ადგილი თრიალეთ-ჯავახეთის მეზოლითურ კულტურებთან მიმართებაშიც. ორივე კულტურა ერთნაირ ეკოლოგიურ გარემოში ვითარდებოდა, მაგრამ კარდინალურად განსხვავდება ერთიმეორისაგან, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

საკუთრივ კავკასიაში მეზოლითურ ეპოქაში ხუთი ლოკალური კულტურა გამოიყოფა: თრიალეთის, ჯავახეთის, შავიზღვისპირეთის, რიონ-ყვირილის აუზისა და ჩოხის. აქედან პირველი ოთხი საქართველოს ტერიტორიაზეა, ხოლო ერთი – ჩრდილოეთ კავკასიაში.

თრიალეთის მეზოლითური კულტურა (ტაბ. I-II) გავრცელებულია საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე. წარმოდგენილია ორი ძეგლით – ზურტაკეტის ღია სადგომით და ეძანის ეხით. ორივე ძეგლი ერთფენიანია, განეკუთვნება მეზოლითური ეპოქის შუა (ზურტაკეტი) და განვითარებულ (ეძანი) საფეხურებს [1, გვ. 82-83]. ესაა მონადირე-შემგროვებელთა დროებითი სადგომ-სახელოსნოები. ქვის ნაწარმი დამზადებულია ობსიდიანზე, იშვიათად კაჟზე. ერთეულების სახით გვხვდება ბაზალტი (ზურტაკეტი) და რქეულას ჯიშის ქვა (ეძანი).

ორივე სადგომის პირველადი დამუშავების ტექნიკა მცირე ზომის და მიკროლითური პრიზმული, კონუსური და ბრტყელი ნუკლეუსებითაა წარმოდგენილი, რომელთაც ძირითადად დაქანებული დარტყმის მოედნები აქვს და ირგვლივაა დამუშავებული. მხოლოდ ეძანში ასევე მოიპოვება მცირე ზომის დისკოსებური, სოლისებური და ფსევდოფანქრისებური ნუკლეუსები.

ლამელების დიდი სერიიდან ყველაზე მეტი სიხშირით გვხვდება გვერდდაბლაგვული, გვერდდაბლაგვული და დაკბილული (უფრო ზურტაკეტში), თავირიბრეტუშიანი და მიკროგრავეტისებური ლამელები (უფრო ეძანში); მცირე რაოდენობით დიდი ზომის დანისებური ლამელებიც მოიპოვება. კომპლექსებში წამყვანია მიკროლამელები, რომელთა შორის ცოტა ფუძემომრგვალებული ეგზემპლარებიც გვხვდება.

ორივეგან საფხეკები ჭარბობს საჭრისებს. საფხეკები უპირატესად კიდურაა, დამზადებულია გვერდრეტუშიან ლამელებზე. გავრცელებულია მიკრონატკეცებზე დამზადებული საფხეკებიც (უფრო ეძანში). საჭრისთა ძირითადი ფორმებია ლამელებსა და მიკროლამელებზე გაკეთებული კუთხის, ირიბი, სწორი, შუალა, მრავალფაცეტიანი ეგზემპლარები; არის ნუკლეუს-საჭრისებიც. გვხვდება სახვრეტები, ხოწები, ბურღები და ისრისწვერები (იარაღთა ორი უკანასკნელი ტიპი მხოლოდ ეძანშია).

გეომეტრიული მიკროლითებიდან ზურტაკეტში მხოლოდ ერთი ტრაპეციაა. ეძანში კი მოპოვებულია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ასიმეტრიული სამკუთხა მიკროჩასართები, რომელთა შორის ჭარბობს დაბალი სამკუთხედები; ბევრად ნაკლებია სეგმენტები და ტრაპეციები. წარმოების ნაშთებში დიდი რაოდენობითაა ანატკეცები, ანამტვრევები, ნუკლეუსთა თავ-გვერდის გადანამტვრევები და ქერცლისებური ანატკეც-ანამტვრევები. არის ასევე რიყის ქვის გრდემლები და ხელჩაქუჩები [1, გვ. 1-99].

თრიალეთის მეზოლითური კულტურის მატარებელი ტომების მეურნეობა მითვისებითი ხასიათისა იყო და ძირითადად ეყრდნობოდა ნადირობასა და მეთევზეობას. მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა შემგროვებლობასაც.

თრიალეთის მეზოლითური კულტურის ლოკალური თავისებურებანი უფრო ეძანის სადგომის მიხედვით განისაზღვრება, რადგანაც ზურტაკეტის კომპლექსი არაა სრულყოფილი, მცირერიცხოვან მასალას შეიცავს, თუმცა ეძანთან სიახლოვეს აშკარად ავლენს.

ეს თავისებურებები, უპირველესად ყოვლისა, ეძანის კომპლექსის უჩვეულო ტიპოლოგიურ მრავალფეროვნებაში მჟღავნდება, იარაღთა შორის ასიმეტრიული სამკუთხედების განსაკუთრებულ გავრცელებაში და მათ მრავალფეროვნებაში. აქ გამოიყოფა დაბალი და განიერი, მოგრძო და ვიწრო, მიკროლითური ძალიან წვრილი (0,3-0,4 სმ სიგანის) სამკუთხედები; ბევრ მათგანს სამუშაო პირი დაკბილული აქვს, ან დამუშავებული შემღწევადი და ფაქიზი რეტუშით. ეძანის დამახასიათებელ კომპლექსებად ასევე ითვლება საფხეკები, ძირითადად კიდურა ეგზემპლარებით წარმოდგენილი, შემდეგ მოდის ზურგდაბლაგვებული და განსაკუთრებით დისტალურ ნაწილში ირიბად თავწაკვეთილი ლამელები. დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს სახვრეტებს, ბურღებს, ისრისწვერებს, ხოწებს, ზურგიან მიკროდანებს, კომბინირებულ იარაღებს და მიკროგრავეტისნაირ ჩასართებს, არაა დამახასიათებელი ტიპიური გრავეტები და ძვლის იარაღები (1 ცალია მხოლოდ ზურტაკეტში).

მთლიანობაში ტექნიკა მიკროლითურია. რეტუშის წამყვანი სახეებია: შედარებით წმინდა დამაბლაგვებელი, ოდნავ დამრეცი, უფრო ხშირად ცალმხრივი, ასევე შემღწევადი და ფაქიზი რეტუში [1, გვ. 1-90].

ეძანისა და ზურტაკეტის ფაუნათა მიმოხილვიდან ჩანს, რომ პლეისტოცენის ბოლოსა და ჰოლოცენის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში ძირითადად გაშლილი ველების მობინადრენი არიან წარმოდგენილი – კაბალოიდური ცხენი, კანჯარი, ჯეირანი; მარტო ზურტაკეტში პრჟევალსკის ცხენი, კულანი, მექვიშია, რაც ამ ფაუნაში სტეპურ და ნახევრადსტეპურ ელემენტთა წამყვან როლს უნდა მოწმობდეს. ახლოა ამ ეკოლოგიურ დაჯგუფებასთან დომბაც, რომელიც ტყე-სტეპების ტიპიური მობინადრეა. ისეთი ბინადარნი, როგორიცაა კეთილშობილი ირემი და გარეული ღორი შედარებით ტენიანი ბიოტოპის მეტ-ნაკლე, გავრცელებაზე მეტყველებენ. ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენელი სპეციფიკურ გარემოს უნდა ყოფილიყო შეგუებული. ასეთია სალი კლდეების მკვიდრი ჯიხვი (ზურტაკეტი), ჯეირანი (ეძანი) და გორაკებიანი ზეგნების მობინადრე მუფლონი [1, გვ. 25-26]. ე. ი. აქედან ჩანს, რომ ამ დროს აქ ძირითადად ნახევრად-სტეპური

პირობები იყო გაბატონებული. ამასთან ერთად, საკმაო გავრცელებით სარგებლობდა მთისა და ჭალის ტყეები. შედარებით შორეულ ბიოტოპს წარმოადგენდა მაღალმთიანი კლდოვანი ლანდშაფტი, ჰავა უნდა ყოფილიყო ზომიერად თბილი და შედარებით მშრალი [1, გვ. 27].

ჯავახეთის მეზოლითური კულტურა (ტაბ. III-VI) მოიცავს ჯავახეთის ზეგნის ცენტრალურ ნაწილს (ახალქალაქის პლატო). წარმოდგენილია ქ. ახალქალაქის ჩრდილოეთით, მისგან 3 კმ დაშორებით, მდ. ახალქალაქისწყლის მარჯვენა სანაპიროზე განლაგებული ოთხი ძეგლით: ბავრის მღვიმე, ბავრის ეხი I, ბავრის ეხი II და განდეგილის მღვიმე. ძეგლები ორფენიანია – ზედა პალეოლითი (გარდა განდეგილისა) და მეზოლითი. ბავრის მღვიმე-ეხებში ზემოდან I კულტურული ფენა მეზოლითის ფინალურ საფეხურს განეკუთვნება, ხოლო განდეგილის მღვიმეში I კულტურული ფენა შუა საუკუნეებისაა, მას მოსდევს ძლიერ დაზიანებული, ფრაგმენტებად შემორჩენილი მეზოლითური ფენა. აბსოლუტური თარიღი (C_{14}) მიღებულია მხოლოდ ბავრის მღვიმის მეზოლითური ფენისათვის – 9700±140 წ. წინ [2, გვ. 136-165]. ესაა მონადირე-შემგროვებელთა დროებითი სადგომ-სახელოსნოები. ქვის იარაღთა დასამზადებლად გამოყენებულია შავი ფერის ობსიდიანი, ზოგჯერ კაჟიც გვხვდება.

ქვის გაპობის პირველადი ტექნიკა წარმოდგენილია მცირე ზომის პრიზმული, კონუსური, ბრტყელი და დახვეწილი ფორმის ძირითადად ერთფუძიანი ფანქრისებური ნუკლეუსების გავრცელებით. მათი უმეტესობა ირგვლივაა დამუშავებული – დაუყვებათ სწორი, ვიწრო, არაღრმა ნეგატივები. დარტყმის მოედნები ძირითადად ჰორიზონტალური აქვთ.

იარაღებიდან შედარებით ფართოდ საფხეკებია წარმოდგენილი. მათგან ყველაზე გავრცელებული ფორმაა ლამელებზე დამზადებული კიდურა ეგზემპლარები. იშვიათია მრგვალი, მაღალი, ოვალური, ორმაგი და გვერდის ეგზემპლარები, საკმაო რაოდენობითაა მიკროლითური საფხეკები.

საჭრისებიდან ყველაზე მეტია მარტივი კუთხის ტიპები. გვხვდება ასევე მარტივი სწორი და ირიბი. თითქმის აღარ არის (თითო-ოროლა) მრავალფაცეტიანი და შუალა საჭრისები. სამივე ძეგლში საჭრისთა უმეტესობა ლამელებსა და მიკროლამელებზეა დამზადებული, ნაკლებად ლამელისებურ ანატკეცებზე. შემთხვევით ხასიათს ატარებს ნუკლეუს-საჭრისები.

ლამელა-ანატკეცების უმეტესი წილი, რომლებზეც საფხეკები და საჭრისებია დამზადებული, გვერდდამუშავებულია, ხშირ შემთხვევაში ქვედა სიბრტყიდან დამრეცი-დამაბლაგვებელი, ვერტიკალური, ნაკლებად შემღწევი და ფაქიზი რეტუშით. ხშირია დაკბილულგვერდებიანი ლამელები. ყველა სადგომში საფხეკები ჭარბობს საჭრისებს.

გეომეტრიული მიკროლითები მცირე რაოდენობით მოიპოვება. ესაა დაბალი წაგრძელებული ფორმის ან უხეში მოზრდილი სეგმენტ-ტრაპეციები, რომელთაც რკალი და ზედა ფუძე განიერი აქვთ და მეტ შემთხვევაში შემხვედრი ვერტიკალური რეტუშით დამუშავებული; რამდენიმე ეგზემპლარს „ჰელუანის“ რეტუში დაუყვება. ასიმეტრიულ სამკუთხედებს აქ დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს. იარაღთა დანარჩენი სახეები – მიკროგრავეტისა და გრავეტისნაირი ფორმები, სახვრეტები და ბურღები, მიკროდანები – აქ ერთეულების სახით გვხვდება.

ყველაზე დიდი სერიით წარმოდგენილია მიკროლითური და მცირე ზომის ლამელები, რომელთა შორის წამყვანია დაკბილულ-ამოღარული ფორმები, გვერდ- და გვერდებდაბლაგვული და თავრეტუშიანი, ძირითადად ირიბად თავწაკვეთილი ლამელები. ბევრია ურეტუშო მიკროლამელები. მარტო ბავრის I ეხში რამდენიმე დიდი ზომის დანისებური ლამელაცაა მოპოვებული, ხოლო მღვიმესა და II ეხში თითო ძვლის იარაღიცაა წარმოდგენილი [2, გვ. 136-165].

სამივე სადგომში წარმოების ნაშთების სიმრავლე – ანატკეც-ანამტვრევები და ქერცლისებრი ანატკეცები – მოწმობს, რომ იარაღების დამზადება ადგილზე ხდებოდა.

ჯავახეთის მეზოლითური კულტურის ლოკალური თავისებურება, უპირველესად ყოვლისა, კომპლექსების უჩვეულო ერთფეროვნებაში გამოიხატება. ტიპოლოგიური შემადგენლობა ძირითადად განისაზღვრება მხოლოდ საფხეკებითა და საჭრისებით, დამუშავებულ ლამელებსა და მიკროლამელებში დაკბილულ და ამოღარულ ფორმათა განსაკუთრებული სიჭარბით, თავირიბრეტუშიანი და გვერდაბლაგვული ლამელების არსებობით. არაა დამახასიათებელი გეომეტრიული ფორმები. თითო პროცენტსაც არ შეადგენს სახვრეტების, წვეტანებისა და გრავეტისებური იარაღების რაოდენობა. მიუხედავად ქვის დამუშავების მაღალი პირველადი და მეორადი ტექნიკისა, დიდია იარაღთა მეორადი გამოყენების პროცენტი; რეტუშის წამყვან სახეებთან ერთად – ციცაბო-დამაბლაგვებელი და ვერტიკალური – გვხვდება „ჰელუანის“ რეტუშიც. თითქმის არაა ძვლის იარაღები.

მღვიმე-ეხების იარაღთა ძირითადი ტიპი დაკავშირებულია შინამეურნეობასთან. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინვენტარი, რომელიც ნადირობას უკავშირდება. საერთო ჯამში ამ ჯგუფის პოპულაციები თავის არსებობას ძირითადად ნადირობაზე, შემგროვებლობაზე და მეთევზეობაზე ამყარებდენენ [17, გვ. 7-9].

ბავრის მღვიმე-ეხების ფაუნაში ერთი და იგივე ჩლიქოსნები, მტაცებლები და წყლის მოყვარული ფრინველებია წარმოდგენილი; იქტიო-

ფაუნიდან მხოლოდ ქარიყლაპიას ნაშთები განისაზღვრა.

მასალის ძირითადი ნაწილი გარეულ ცხენსა და ბიზონზე მოდის. შედარებით მცირე მასალითაა წარმოდგენილი მტაცებლები (მელა, მაჩვი, მგელი) და მღრღნელები (მემინდვრია, თრია, ომანა და სხვ.)

პალეოეკოლოგიური თვალსაზრისით, აღნიშნული ფაუნა და არსებული პალეობოტანიკური მონაცემების ანალიზი მიუთითებს ჯავახეთის ზეგნის ტერიტორიაზე ჰოლოცენის დასაწყისში მშრალი ჰავისა და სტეპური ან ნახევრადსტეპური ლანდშაფტის გავრცელებაზე. ამავე დროს კეთილშობილი ირმის, მაჩვის, მგლის და სხვათა არსებობა უჩვენებს, რომ ამ მიდამოებისათვის არც ტყით დაფარული უბნები იყო უცხო, რომლებიც ძირითადად წყალგამყოფებზე და წყლის აუზების ნაპირებთან იყო წარმოდგენილი. ტბურ აუზებთან კი დაკავშირებული იყო აქ დადგენილი მრავალრიცხოვანი წყლის მოყვარული ფრინველები – გარეული იხვი, ევრაზიული იხვინჯა, რუხი ღერღეტი, ველის კირკიტა და სხვ. [2, გვ. 136-165; 16, გვ. 12-14].

შავიზღვისპირეთის მეზოლითური კულტურა (ტაბ. VII-X) გავრცელებულია მდ. ფსოუდან მდ. ენგურამდე და შეიცავს მეზოლითური ეპოქის სხვადასხვა საფეხურის ძეგლებს. ადრეული ეტაპის ძეგლებია: ქვაჭარის მღვიმე, რომელიც ს. წებელდის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისგან 4 კმ დაშორებით ს. ყადაში, მდ. ქვაჭარის დამშრალ ხეობაში მდებარეობს; იაშთხვის მღვიმე მდებარეობს მთა იაშთხვის დასავლეთ ფერდზე, მდ. გუმისთის მარცხენა ნაპირზე, სოხუმიდან 7-10 კმ დაშორებით; ენწერის ღია სადგომი, სოფ. ენწერის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ლაიდან 1 კმ დაშორებით მდებარეობს.

მეზოლითის შუა საფეხურს განეკუთვნება ჯამპალის ეხი, რომელიც მდ. კოდორის შენაკადის მდ. ჯამპალის მარცხენა სანაპიროზეა განლაგებული [4, გვ. 199-220].

გვიანი საფეხურის ძეგლებია: აფიანჩის მღვიმის მე-2 ფენა. მღვიმე მდებარეობს მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე, გულრიფშის რაიონის სოფ. წებელდის სამხრეთით, მისგან 5 კმ დაშორებით, აფიანჩის მთის ძირში; ცივი მღვიმის B ფენა. მღვიმე განლაგებულია მდ. კოდორისა და ჯამპალას შესართავთან გულრიფშის რაიონში, ბაგადის მთის ძირში; და აცინის მღვიმის მე-3 და მე-4 ფენები. მღვიმე მდებარეობს მდ. აცინის მარჯვენა სანაპიროზე, სოჭიდან 25 კმ-ის დაშორებით [4, გვ. 199-228; 28, გვ. 191-195]. ჩანს, ფინალურ მეზოლითს განეკუთვნება აჭარაში მდ. კინკიშასა და ჩოლოქის ხეობების ტერასებზე აღმოჩენილი ღია ნამოსახლარები – კვირიკე, ჩოლოქი და ჯიხანჯური [5, გვ. 45-55].

ჩამოთვლილ ძეგლთა ქვის ინვენტარი ძირითადად კაჟზეა დამზადებული, იშვიათად ობსიდიანზე და ტუფოგენური ჯიშის ქვებზე. წარმოების ნაშთების სიმრავლე გვიჩვენებს, რომ ყველა ძეგლი მონადირე-შემგროვებელთა სადგომ-სახელოსნოს წარმოადგენდა.

ადრეული მეზოლითის ძეგლებისათვის (ენწერი, იაშთხვა, ქვაჭარა) პირველადი ატკეცვის ტექნიკაში წამყვანია კონუსური ნუკლეუსები. არის პრიზმული და ბრტყელი ცალმხრივი და ირგვლივდამუშავებული ირიბმოედნიანი, ნაკლებად ჰორიზონტალური დარტყმის მოედნიანი ეგზემპლარებიც.

მეორადი დამუშავების ტექნიკაში ფართოდაა გავრცელებული დამაბლაგვებელი რეტუში, შემდეგ ფაქიზი და შემღწევი.

იარაღებიდან საფხეკები რაოდენობრივად საგრძნობლად ჭარბობს საჭრისებს. ისინი ძირითადად ლამელებზე და ლამელისებურ ანატკეცებზეა დამზადებული. არის მიკროსაფხეკებიც.

საჭრისების უმეტესობაც სწორ და ვიწრო ლამელებზეა დამზადებული და კუთხის ეგზემპლარებითაა წარმოდგენილი. იშვიათად გვხვდება მრავალფაცეტიანი საჭრისებიც.

ფორმათა მრავალსახეობით გამოირჩევა სახვრეტები. ისინი ზომით პატარებია, ზოგიერთი მათგანი დამზადებულია გვერდრეტუშიან სეგმენტისმაგვარ ლამელებზე. საკმაო რაოდენობითაა ასევე მცირე ზომის გრავეტისნაირი დანები.

გვერდრეტუშიანი ლამელები და მიკროლამელები ძირითადად წმინდა დამაბლაგვებელი რეტუშითაა დამუშავებული. გვხვდება გვარჯილას-კლდის ტიპის წვეტანები და ისრისპირები.

გეომეტრიული მიკროლითები მცირე რაოდენობითაა. ესაა უმეტესად მიკროლითური სამკუთხა და სეგმენტისნაირი ჩასართები. წარმოების ნაშთებიდან დიდი რაოდენობით მოიპოვება სხვადასხვა სახის ანატკეცები და ანამტვრევები [10, გვ. 52-67; 14, გვ. 95].

ამ ეტაპის ძეგლებს (ძირითადად ქვაჭარას, რადგანაც დანარჩენი ძეგლები ფრაგმენტულ მცირერიცხოვან კომპლექსებს შეიცავს) ძალიან ახასიათებს ძვლის იარაღების ფართო გავრცელება. ესენია: სადგისები, ხელშუბისპირები, მათ შორის ღარიანიც, საპრიალებლები, ჯეირანის რქისგან დამზადებული „ნიჩბისნაირი“ იარაღი და სხვ. [10, გვ. 73-75].

ადრე მეზოლითიდან გვიან მეზოლითზე გარდამავალი საფეხური წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ძეგლით – ჯამპალის ეხით [10, გვ. 84-93].

აქ პირველადი ატკეცვის ტექნიკაში გავრცელებულია მიკროლითური კონუსური ჰორიზონტალურ დარტყმის მოედნიანი და პრიზმული ორფუძიანი, დაქანებული დარტყმის მოედნიანი ნუკლეუსები.

მეორადი დამუშავების ტექნიკაში წამყვანია წმინდა დამაბლაგვებელი და ფაქიზი რეტუშის სახეები.

იარაღებიდან ყველაზე მეტი საფხეკებია. გამოიყოფა ოვალურსამუშაოპირიანი, ირიბთავიანი, სწორი და თავამოღარული საფხეკები, დამზადებული ლამელებსა და ლამელისებურ ანატკეცებზე. მათგან ბევრია მიკროლითური ეგზემპლარები. ფართოდ ვრცელდება მრგვალი მიკროსაფხეკები.

საჭრისები მცირე რაოდენობითაა მოპოვებული. მათ შორის არის ხიწვიანი, კუთხის და შუალა ეგზემპლარებიც, დამზადებული მიკროლამელებზე. ერთი შუალა საჭრისი ანატკეცზეა გამოყვანილი [10, გვ. 90].

ჯამპალას კომპლექსში არის ასევე სახვრეტები, გეომეტრიული ფორმებიდან – ტრაპეციები და ერთი სეგმენტი. რეტუშიან ლამელებში გამოიყოფა გვერდდაბლაგვული და თავირიბრეტუშიანი ცალები. ბევრია სხვადასხვა სახის ურეტუშო ლამელები, ანატკეცები და ანამტვრევები. აღმოჩენილია 2 ცალი ძვლის იარაღი [10, გვ. 91].

შავიზღვისპირეთის მეზოლითური ძეგლები აფიანჩა, ცივი მღვიმის B-2 ფენა და აცინი III-IV მის გვიან საფეხურს შეესაბამება [14, გვ. 96]. იარაღები გაკეთებულია კაჟზე. არის რიყის ქვისაგან დამზადებული ლამელებიც. ესაა მონადირე-შემგროვებელთა ხანგრძლივი სადგომსახელოსნოები.

ამ საფეხურის ძეგლების პირველადი ატკეცვის ტექნიკა ხასიათდება პრიზმული და კონუსური ჰორიზონტალური დარტყმის მოედნებიანი მიკროლითური ნუკლეუსებით. მეორადი დამუშავების ტექნიკაში წამყვანია დამაბლაგვებელი რეტუში.

იარაღებიდან დიდი რაოდენობითაა მოპოვებული მიკროლითური საფხეკები, კუთხის საჭრისები, სახვრეტები, გრავეტისნაირი წვეტანები. გეომეტრიული ფორმებიდან ვრცელდება სეგმენტები და ტრაპეციები; სეგმენტებში უკვე მაღალი ეგზემპლარებიც ჩნდება. კლებულობს გვერდრეტუშიან ლამელათა რიცხვი; ბევრია ძვლის იარაღები. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა ჭვილთები (ცივი მღვიმე), რომელთა შორის ორნამენტიანი ნიმუშებიც გვხვდება [10, გვ. 135; 14, გვ. 96-97; 24, გვ. 191-195; 30, გვ. 171].

შავიზღვისპირეთის მეზოლითური კულტურის ლოკალური თავისებურება გამოიხატება პრიზმულ-კონუსური ერთ- და ორფუძიანი, ირიბი და ჰორიზონტალური დარტყმის მოედნიანი ნუკლეუსების უპირატესობაში სხვა ტიპის ნუკლეუსებთან შედარებით. მეორადი დამუშავების ტექნიკაში ყველაზე უფრო წმინდა დამაბლაგვებელი და ფაქიზი რეტუშის სახეებია გავრცელებული.

იარაღებში განსაკუთრებული სიჭარბით გამოირჩევა სახვრეტები და გრავეტისნაირი ფორმები; გვხვდება გვარჯილას-კლდის ტიპის წვეტანები, ვრცელდება ისრისპირები და ხელშუბისპირები. გეომეტრიული ფორმებიდან განსაკუთრებული სიმცირით (ყველა საფეხურზე) აღინიშნება ასიმეტრიული სამკუთხა ჩასართები. არაა დამახასიათებელი თავირიბრეტუშიანი, თავამოღარული და დაკბილული ლამელები. ახასიათებს ძვლის იარაღების მრავალფეროვნება და სიჭარბე [10, გვ. 104]. ბევრია მცირე ზომის კიდურა და მომრგვალო საფხეკები.

შავიზღვისპირეთში, პლეისტოცენის ბოლოსა და ჰოლოცენის დასაწყისის ზოგიერთ ძეგლებში შემორჩენილი ფაუნის ნაშთების მიხედვით, სადაც ძირითადად გავრცელებული იყო წაბლისფერი და გამოქვაბულის დათვები, კეთილშობილი ირემი, კავკასიის ჯიხვი, მუფლონი, შველი, გარეული თხა, მელა, მგელი [15, გვ. 158], ნიჟარები Helix (ცივი მღვიმე) და საკმაო რაოდენობით თევზის (ორაგული, კალმახი) ძვლები (ცივი მღვიმე, ქვაჭარა), გავრცელებული იყო თანამედროვე ტიპის შერეული ფართოფოთლოვანი ტყეები და წიწვოვანი მცენარეები, შესაბამისად ჰავა იყო ჰუმიდური [14, გვ. 94-95, 104; 31, გვ. 198-301].

შავიზღვისპირეთის ლოკალური მეზოლითური კულტურის მატარებელი ტომების მეურნეობაში გარდა ნადირობისა, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა შემგროვებლობას, რაზეც მიუთითებს ქვაჭარაში მიწის საჩიჩქნი რქის იარაღის არსებობა, ცივ მღვიმეში და აცინის მღვიმეში მოლუსკების ნიჟარების სიმრავლე. ზოგან წამყვანი ჩანს მეთევზეობა (იქთიოფაუნისა და ძვლის ჭვილთების დიდი რაოდენობა ცივ მღვიმეში, ქვაჭარაში) [14, გვ. 94-95].

შავიზღვისპირეთში, აჭარაში, მდ. კინკიშასა და მდ. ჩოლოქის ტერასებზე აღმოჩენილი ღია ნამოსახლარები: კვირიკე, ჩოლოქი და ჯიხანჯური მიკროლითური ტექნიკით ხასიათდება (ტაბ. X). იარაღები ძირითადად ლამელებზეა დამზადებული; გვხვდება აქ მცირე ზომის ფანქრისებური და კონუსური ნუკლეუსები. არის ლამელებზე დამზადებული კუთხის საჭრისები და კიდურა საფხეკები. ლამელებში აღინიშნება თავგამოყვანილი, ამოღარული და გვერდრეტუშიანი ეგზემპლარები; ასევე გვხვდება ბაზალტის ქვის საჩეხისებური იარაღები, არაა გეომეტრიული ფორმები. თავისი ტიპოლოგიური შემადგენლობით ეს ძეგლებიც დახასიათებულ მღვიმურ ნაბინარებთან დიდ მსგავსებას იჩენენ [5, გვ. 45-55; 9, გვ. 15].

რიონ-ყვირილის ხეობის ლოკალური მეზოლითური კულტურა (ტაბ. XI-XII) მოიცავს მდ. რიონის ზედა და შუა წელის აუზებს, უმთავრესად იმერეთის (საგვარჯილე, ჭახათი, დარკვეთი), შიდა ქართლის (წონა, კუდარო I, სელო, ჯერმუხი) და რაჭის (ქვედი) ტერიტორიებს.

ყველა ჩამოთვლილი ძეგლი მღვიმური ნამოსახლარია და მონადირე-შემგროვებელთა დრო-

ებით ბანაკებსა და სადგომ-სახელოსნოებს წარმოადგენს.

მათი ქვის ინდუსტრია მაღალხარისხოვან კაჟზეა დამზადებული, იშვიათად ობსიდიანზე.

ეს ძეგლები მეზოლითის სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურს განეკუთვნება. ადრეული საფეხურის ძეგლებისათვის (ჭახათი, საგვარჯილე, წონა, ქვედი) პირველადი ატკეცვის ტექნიკაში დამახასიათებელია ძირითადად დაქანებულ დარტყმის მოედნიანი, პრიზმული, კონუსური და ბრტყელი ნუკლეუსების არსებობა; მეორადი დამუშავების ტექნიკაში წამყვანია მძივისებური ფაქიზი და წმინდა დამაბლაგვებელი რეტუშის სახეები. ტიპოლოგიაში, საფხეკების ზოგადად ფართოდ გავრცელებულ ლამელებსა და ანატკეცებზე დამზადებულ კიდურა ფორმებთან ერთად მცირე რაოდენობით მრგვალი მიკროსაფხეკებიც გვხვდება. საჭრისებში წამყვანი ფორმებია: კუთხის, სწორი; ხშირია შუალა და მრავალფაცეტიანი საჭრისებიც. განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩანს გრავეტისნაირი ფორმების ფართო გავრცელება (ჭახათი, საგვარჯილე, წონა, ქვედი). ასევე ხშირია გვერდდაბლაგვებული ლამელები და მიკროლამელები. საკმაო რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა ტიპის სახვრეტები და მიკროსახვრეტები (ქვედი, საგვარჯილე). ფართოდაა გავრცელებული დაკბილული ლამელები. დიდი ადგილი უჭირავს ბასრგვერდებიან მიკროლამელებს.

გეომეტრიული მიკროლითებიდან წარმოდგენილია ასიმეტრიული სამკუთხა მიკროჩასართები (ჭახათი, საგვარჯილე, წონა) და დაბალი მოგრძო სეგმენტები (ჭახათი, საგვარჯილე). ტრაპეციები არ ჩანს. მცირე რაოდენობითაა მაღალი საფხეკები, შალაშინები, ნუკლეუს-იარაღები, შატელპერონის ტიპის დანები. ძალიან დამახასიათებელია ძვლის იარაღები: ღარიანი შუბისპირები, სადგისები, საპრიალებლები. ასევე მოიპოვება რიყის ქვის გრდემლები და ხელჩაქუჩები [4, გვ. 218].

მეზოლითის გვიანი საფეხურის ძეგლებს (დარკვეთი, სელო, ჯერმუხი) ახასიათებს ისეთი საერთო ქრონოლოგიური ნიშნები, როგორიცაა მრგვალი საფხეკების რაოდენობრივი ზრდა, ბრტყელი, პრიზმული, კონუსური სწორწახნაგა მეტწილად სწორ დარტყმის მოედნიანი ნუკლეუსების გავრცელება [8, გვ. 40-59]; კლებულობს შუალა და მრავალფაცეტიანი საჭრისების რიცხვი, უფრო ფართოდ ვრცელდება მიკროლითური ტექნიკა; ტიპიური გრავეტების არსებობა შემთხვევით ხასიათს ატარებს, ხშირია ლამელათა განივკვეთები, ვრცელდება სწორწახნაგა დანისებური მიკროლითური და დიდი ზომის ლამელები, ჭარბადაა დაკბილულ და ამოღარულ ლამელათა ფორმები; გეომეტრიული ფორმებიდან მცირე რაოდენობით დაბალი ასიმეტრიული სამკუთხედები გვხვდება; სეგმენტები და ტრაპეციები პროცენტულად მატულობს. არის ტოლფერდა დაბალი მიკროსამკუთხედები (სელო, ჯერმუხი), გავრცელებულია ძვლისა და რქის მრავალფეროვანი იარაღები, განსაკუთრებით სადგისები [4, გვ. 219; 8, გვ. 40-59]. წარმოების ნაშთებში ბევრია სხვადასხვა სახის ანატკეცები და ანამტვრევები.

რიონ-ყვირილის აუზის მეზოლითური კულტურის ლოკალური თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ აქ რამდენადმე შეთავსებულია ერთმანეთთან საქართველოს შავიზღვისპირეთისა და თრიალეთის მეზოლითურ კულტურათა ნიშნები.

აღნიშნულ ლოკალურ კულტურაში ძირითადად ცხოველთა შემდეგი სახეებია გავრცელებული: წაბლისფერი და მღვიმის დათვები, ჯიქი, მელა, ვეფხვი, კეთილშობილი ირემი, კავკასიის ჯიხვი, ჯეირანი, ნიამორი, მუფლონი, ტახი, მგელი, კურდღელი. ეს კომპლექსი მიუთითებს იმაზე, რომ აქ პლეისტოცენის ბოლოსა და ჰოლოცენის დასაწყისში უმთავრესად ტყის ლანდშაფტი იყო გავრცელებული, ხოლო ჰავა იყო ნოტიო [4, გვ. 224]. ამ კულტურის მატარებელი ტომებიც მითვისებით მეურნეობას ეწეოდნენ, ძირითადად ნადირობას, შემგროვებლობას და, ალბათ, მეთევზეობას.

ჩოხის მეზოლითური კულტურა (ტაბ. XIV-XV) წარმოდგენილია ჩოხისა და კოზმა-ნოხოს სადგომებით. ჩოხი მდებარეობს ჩრდ. კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში გუნიბის რაიონის სოფ. ჩოხთან (მთიანი დაღესტანი). მისგან დაახლოებით 40 კმ-ით დასავლეთისაკენ მდებარეობს ერთფენიანი ძეგლი კოზმა-ნოხო [12, გვ. 183].

ჩოხი მრავალფენიანი ძეგლია. მე-3, მე-4, მე-6, ფენები გვიანმეზოლითს – ჩვ. წ.-მდე VIII-VI ათასწლეულებს განეკუთვნება [12, გვ. 16-17]. ნედლეულად გამოყენებულია კაჟი.

ქვის გაპობის პირველადი ტექნიკა ანატკეცთა მისაღებად არქაული სახის ნუკლეუსებისა და ლამელათა მისაღებად ნუკლეუსების თანაარსებობით ხასიათდება. პრიზმული ირიბმოედნიანი ნუკლეუსები ყველა ფენაშია, სწორმოედნიანი კონუსური ნუკლუსები მე-3 და მე-4 ფენებში, ფანქრისებური – მხოლოდ მე-3 ფენაში. ანატკეცთა მისაღებად განკუთვნილი ნუკლეუსები ყველა ფენაშია წარმოდგენილი [12, გვ. 74-94].

მეორადი დამუშავების ტექნიკაში ფართოდ გამოიყენებოდა დამაბლაგვებელი რეტუში, ასევე ბრტყელი რეტუში მუცლის ან ზურგის მხრიდან [12, გვ. 74-94].

იარაღებიდან ყველაზე მეტი საფხეკებია, ძირითადად კიდურა, ლამელებზე დამზადებული, რომელთაც გვერდები ხშირად დამუშავებული აქვთ; მრგვალი საფხეკები მხოლოდ ზედა ფენას ახასიათებს. ფენიდან ფენაში მატულობს გარდიგარდმო რეტუშიანი ლამელები. საჭრისები იშვიათია. მათ შორის შედარებით მეტი სიხშირით გვხვდება დანისებურ ლამელებსა და ანამტვრევებზე დამზადებული კუთხისა და შუალა ფორმები; არის თავირიბრეტუშიანი და გვერდდაბლაგვული ლამელები. ბევრია სხვადასხვა

სახის წვეტანები, მათ შორის მომრგვალებულ ფუძიანებიც. დიდი სერიაა ე.წ. ჩოხის ტიპის ისრისწვერებისა. ყველა ფენას ახასიათებს მრავალფეროვანი სეგმენტები, მაღალი ტრაპეციები, ასიმეტრიული სამკუთხედები და მაღალი მართკუთხედები. გეომეტრიული ფორმების დამუშავებული მხარეები ხშირად ჩაღარულია.

ჩოხისათვის დამახასიათებელი იარაღები გვხვდება კოზმა-ნოხოს კაჟის კომპლექსებშიც. მათ შორის არის დაბალი ასიმეტრიული სამკუთხედები და ჩოხის ტიპის ისრისწვერებიც.

წარმოების ნაშთებიდან ამ ძეგლებში გვხვდება: ანატკეცები, ანამტვრევები, ნუკლეუსთა ნამზადები, ნუკლეუსების თავ-გვერდის გადანამტვრევები და ქერცლისებური ანატკეცები.

ჩოხის ფაუნა წარმოდგენილია ცხოველთა სახეებით, რომლებიც ვრცელდება ალპურ და სტეპურ სივრცეებში. ესენია: მუფლონი, კეთილშობილი ირემი, კავკასიის ჯიხვი, ფოცხვერი, ცხენი, გარეული ტახი, კურდღელი, დაღესტნის ზაზუნა [14, გვ. 95].

ჩოხის კულტურის მატარებელი ტომები ეწეოდნენ ნადირობასა და ინტენსიურ შემგროვებლობას.

არ შეიძლება კიდევ არ აღვნიშნოთ მთელი რიგი მეზოლითური ძეგლებისა, რომლებიც გაფანტულია კავკასიის ტერიტორიაზე. აი, ზოგიერთი მათგანი: გუდალეთი, პიჩიჯინი, ნაგუთნი I, II, წიფლეთი, ძაგინა, ლაშე-ბალთა, ზურა-ახო, ჯიჯოეთი, ძარი, ცრუ, უჩელეთი შიდა ქართლში [23, გვ. 45-48; 24, გვ. 163]; იავორა, შავი მღვიმე, კომაროვო ჩრდილოეთ ოსეთში [18, გვ. 10-16]; სოსრუკო, ალებასტრის მღვიმე ყაბარდო-ბალყარეთში [14, გვ. 100-101]; მეკეგი დაღესტანში [30, გვ. 13-17]; დამჯილი, დაშსალახლი ჩრდ. აზერბაიჯანში [20, გვ. 1075-1076] და სხვ.

ჩამოთვლილი კავკასიის ძეგლები არაა გათხრილი და შესწავლილი სათანადო დონეზე, ზოგიერთ მათგანზე კი მხოლოდ მოკლე ინფორმაციული, ზოგადი ცნობები მოგვეპოვება. ამდენად მათი მოთავსება გამოყოფილ მეზოლითურ კულტურებში ან ცალკე კულტურებად გამოყოფა დღესდღეობით არ ხერხდება. მიუხედავად ამისა, საჭიროდ ვთვლით მოკლედ შევეხოთ სოსრუკოს მეზოლითურ სადგომს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ყაბარდო-ბალყარეთში მდ. ბაქსანის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, მდინარის დონიდან 60-64 მ სიმაღლეზე [14, გვ. 93-105]. ძეგლი მრავალფენიანია (მძლავრი ზედაპალეოლითური და მეზოლითური ფენები). იარაღები ობსიდიანისაგანაა დამზადებული, იშვიათად – ცარცული კირქვისაგან.

სოსრუკოში ორი მეზოლითური კომპლექსი გამოიყოფა. ზედას ახასიათებს მცირე ზომის ურეტუშო დანისებური ლამელები და შედგენილ იარაღთა ძვლის ღარიანი ტარები. ქვედა ფენა უფრო მეტად შეიცავს დანისებურ გვერდამოღარულ ლამელებსა და მაღალ სეგმენტებს. კომპლექსები, ნ. ბადერისა და ლ. წერეთლის აზრით, მეზოლითის დასასრულს განეკუთვნება და ჯერჯერობით ანალოგები არ მოეპოვება, თუმცა სოსრუკოს M1 და M2 ზედა ფენებთან თითქოს ახლოს დგას მის მეზობლად მდებარე ალებასტრის მღვიმის კომპლექსი [14, გვ. 101].

ზედა მეზოლითურ ფენებში ნიჟარა Helix-ების დიდი რაოდენობა განვითარებულ შემგროვებლობაზე მეტყველებს. ნ. ბადერი აღნიშნავს, რომ ამავე ფენებში არსებული ძვლის შედგენილი იარაღი შეიძლება სამკელ დანად გამოიყენებოდა, რაც მარცვლეულის ინტენსიურ შეგროვებაზე და შესაძლოა მიწათმოქმედების დასაწყისზეც მიუთითებდეს და ამ კომპლექსში უკვე ნეოლითური ნაიშნების გაჩენას მოასწავებს [14, გვ. 101].

რაც შეეხება დანარჩენ ზემოთჩამოთვლილ ძეგლებს, ვ. ლუბინი მათ წინასწარი მონაცემებით ორ ნაწილად აჯგუფებს [23, გვ. 163]. პირველია პიჩიჯინის ტიპის ძეგლები, რომელთაც ვიწრო დანისებური ლამელების, მიკროლითური ლამელებისა და ურეტუშო განივკვეთების დიდი რაოდენობა და ნუკლეუსებიდან – ბრტყელი და კონუსური ფორმების გავრცელება ახასიათებს, ცოტაა დასრულებული იარაღები – საფხეკები, წვეტანები, ამოღარული ფორმები; იშვიათია სამკუთხა და სეგმენტისებური მიკროჩანართები. ამ ჯგუფის ძეგლებს ის სოსრუკოს მღვიმის M1 და M3 ფენებს უახლოვებს [24, გვ. 163].

მეორე ჯგუფის ძეგლებს ვ. ლიუბინი ნაგუთინის ტიპს მიაკუთვნებს. მათ არ ახასიათებთ სწორი დანისებური ლამელები, მაგრამ ბევრია ამოღარული ფორმები, საფხეკები და ე. წ. ლეკალოს ტიპის იარაღები. ამ ძეგლებს აქვთ სრულყოფილი მეორადი დამუშავება – მეტწილად პარალელური რეტუში [24, გვ. 163].

როგორც დავინახეთ, პლეისტოცენის ბოლოსა და ჰოლოცენის დასაწყისში კავკასიის სხვადასხვა რეგიონში მეტ-ნაკლებად განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები ყალიბდებოდა.

დასავლეთ საქართველოში, უმთავრესად, ტყის ლანდშაფტები და ნოტიო ჰავა იყო გაბატონებული და ფაუნისტური კომპლექსები შეიცავენ წაბლისფერ დათვს, გამოქვაბულის დათვს, ჯიქს, მელას, ვეფხვს, კავკასიის ჯიხვს, კეთილშობილ ირემს, გარეულ ტახს, ჯეირანს, მგელს, კურდღელს, მუფლონს, ნიამორს, ომანას და სხვ.

სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში სხვა სურათი წარმოგვიდგება. აქ სულ არაა მოპოვებული გამოქვაბულის დათვის ნაშთები. ფაუნისტური კომპლექსებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩანს ბიზონის, კეთილშობილი ირმის, გარეული ღორის, კაბალოიდური და პრჟევალსკის ცხენების, კულანის, მუფლონის, კავკასიის ჯიხვის, კურდღლის, მე-

მინდვრიას, მექვიშიას არსებობა, რაც შედარებით მშრალი ჰავის პირობებსა და გაშლილ სივრცეებზე მიგვანიშნებს.

ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის მეზოლითური კულტურა ბევრად უფრო მკაცრ ბუნებრივ პირობებში ვითარდებოდა. აქაური ცხოველთა სახეები (მუფლონი, კეთილშობილი ირემი, კავკასიის ჯიხვი, ფოცხვერი, ცხენი, ტახი, კურდღელი, დაღესტნის ზაზუნა) სუბალპურ და სტეპურ სივრცეებში ბინადრობდნენ.

ისიც დავინახეთ, რომ მეზოლითურ ეპოქაში ნადირობის ხასიათი იცვლება: ნადირობის ძველ ხერხებთან ერთად ჩნდება ახალი ხერხები, ნადირობის უფრო პროგრესული ფორმები, რაც გამოიხატება სანადირო იარაღების სრულყოფითა და მრავალფეროვნებით, სათევზაო და სატყორცნი იარაღების ფართო გავრცელებით. ამის კარგი მაგალითია შავიზღვისპირეთში აფიანჩისა და ცივი მღვიმეები (ჭვილთების სიმრავლე), თრიალეთში ეძანის ეხი (სამკუთხა მიკროჩასართების განსაკუთრებული სიჭარბე და მრავალფეროვნება, რომელთა ნაწილი, ალბათ, სათევზაო იარაღების აღსაკაზმავად გამოიყენებოდა).

კავკასიის ხუთი მეზოლიური კულტურიდან თავისი ლოკალური ნიშნებით ყველაზე განკერძოებით ჯავახეთისა და ჩოხის კულტურები დგას, ხოლო თრიალეთის, შავიზღვისპირეთისა და რიონ-ყვირილის აუზის ძეგლები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ე. წ. ჰიბრიდულ კულტურებს წარმოადგენენ. მაგალითად, რიონ-ყვირილის აუზის ლოკალურ კულტურაში შეთავსებული ჩანს შავიზღვიპირეთის კულტურისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორიცაა სახვრეტებისა და გრავეტისებური წვეტანების სიჭარბე, ძვლის იარაღების გავრცელება (ტაბ. XIII) და თრიალეთის კულტურის ისეთი სპეციფიკური ნიშნები, როგორიცაა ზურგდაბლაგვული ლამელების და ასიმეტრიულ სამკუთხა მიკროჩასართთა მეტი გავრცელება, ვიდრე ეს შავიზღვისპირეთისთვისაა დამახასიათებელი. ხოლო თვით შავიზღვისპირეთის ლოკალური კულტურა თრიალეთისაგან განსხვავდება სახვრეტებისა და გრავეტისებური წვეტანების უპირატესობით სხვა იარაღებთან შედარებით, ხოლო თრიალეთისათვის ძალიან დამახასიათებელი მიკროლითების მრავალფეროვნება მასში ნაკლებად შეიმჩნევა [1, გვ. 21]. ამავე დროს, თრიალეთის კულტურას დანარჩენებისაგან განსხვავებით არ ახასიათებს ძვლის იარაღები.

რაც შეეხება მეზოლითური კულტურის ჯავახეთის ლოკალურ ვარიანტს, რომლის მატარებული ტომები ქვის დამუშავების ძალიან მაღალ ტექნიკას ფლობენ, მისი კომპლექსები ტიპოლოგიურად ძალიან ერთფეროვნად გამოიყურება. ბევრია აქ ფუნქციაშეცვლილი იარაღები, ე.ი. მაღალია იარაღების მეორადი გამოყენების პროცენტი [17, გვ. 8-9]. გასაკვირია, რადგანაც ბავრელების ძირითად სანადირო ობიექტს, გარდა ბიზონისა და კაბალოიდური ცხენისა, წარმოადგენდნენ წყლის მოყვარული ფრინველები, რომლებზე ნადირობაც, ალბათ, დიდ ტექნიკურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და დიდ მოხერხებულობას მოითხოვდა. და მაინც, ჩანს ჯავახეთის მეზოლითელი ადამიანი შრომის იარაღების დასამზადებლად შრომის მინიმალური დანახარჯებით თავისი ინიდივიდუალური თუ გარკვეული ჯგუფის მოთხოვნილებებისათვის წარმატებით ახერხებდა თავის გართმევას.

ჯავახეთის მეზოლითის ამ თავისებურებაზე კიდევ იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ ის წითელ ხაზად გასდევს ამ მხარის მთელ ქვის ხანას (აშელ-მუსტიეს ეპოქის ძეგლებს: ახალქალაქი I-IV, დილისკა, კუმურდო), რაც ადგილობრივი ტრადიციების სიმტკიცესა და მის დიდხანს შემორჩენას უნდა მოასწავებდეს. ამავე დროს ძნელი წარმოსადგენია, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ჯავახეთის ტერიტორიის ცენტრალური ნაწილი, სადაც ჩამოთვლილი ძეგლებია თავმოყრილი, სამყაროს სხვა ნაწილებს მოწყვეტილი ყოფილიყო და რომ ის არ განიცდიდა სხვა კულტურების გავლენას; ვფიქრობთ, გარკვეული ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა იყო მომიჯნავე ტერიტორიებთან, რაც ზოგი ნიშნების მსგავსებით აისახა [2, გვ. 161].

ჩოხის მეტად თავისებური კულტურა, რომლის ისეთი დამახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა არქაული ტიპის ნუკლეუსების შეთავსება წმინდა მეზოლითური ეპოქის დახვეწილ ნუკლეუსებთან, ირიბთავიანი დანების, თავისებური გეომეტრიული ფორმებისა და ჩოხის ტიპის ისრისწვერების ფართო გავრცელება მას სრულიად განუმეორებელ სახეს აძლევს და მკვეთრად განასხვავებს სხვა ლოკალური კულტურებისაგან.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ყოველი არქეოლოგიური კულტურის უკან დამოუკიდებელი ეთნიკური კოლექტივი დგას და ქვის იარაღების განსხვავებული იერი, პირველ რიგში, მრავალი თაობის ადგილობრივი გამოცდილებითა და ადგილობრივი ტრადიციებით განისაზღვრება [27, გვ. 20].

ვ. ლუბინსაც შესაძლებლად მიაჩნია, რომ კავკასიის მეზოლითში განსხვავებული კულტურების არსებობა ეთნიკური მრავალფეროვნებითაა გამოწვეული და რომ ხდება მოსული კულტურების ადგილობრივ კულტურებთან ასიმილაცია [25, გვ. 8]. იმავე აზრს ავითარებს ხ. ამირხანოვიც [11, გვ. 107]. საინტერესო შეხედულება აქვს ა. ფორმოზოვს (ოკისა და სოჟის შუამდინარეთის მაგალითზე). ის აღნიშნავს, რომ ერთნაირ ბუნებრივ პირობებში რამდენიმე (სამი) განსხვავებული კულტურის შექმნა „ეთნიკურ ხასიათს ატარებს და რომ ამ კულტურების ჩამოყალიბებაში აირეკლა მომიჯნავე რაიონების მონათესავე თემების განსახლება. ხოლო ეს უკანასკნელნი უნდა წარმოშობილი-

ყვნენ უფრო ადრეული ეპოქების მსხვილი თემების დაშლის შედეგად“ [28, გვ. 21].

არაა გამორიცხული, ეს მოსაზრებანი ჭეშმარიტებასთან ახლოს იყოს, ისინი სავსებით შეიძლება მივუსადაგოთ თრიალეთისა და ჯავახეთის ლოკალურ კულტურებსაც, რომლებიც ერთმანეთისაგან 40-ოდე კმ-ითაა დაშორებული, ერთნაირ ეკოლოგიურ გარემოში ვითარდებოდნენ და იმავდროულად კარდინალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ან კიდევ შავიზღვისპირეთისა და იმერეთის კულტურები, რომელთა ბუნებრივი გარემო მსგავსია და სანადირო ობიექტებიც საერთო ჰქონდათ და ა.შ.

ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ მეზოლითის ამ განსხვავებულ ლოკალურ კულტურათა შორის ურთიერთობის გარკვევის საშუალება ამ კულტურათა ისტორიულ ასპექტში განხილვამ უნდა მოგვცეს, კერძოდ, უნდა ვეძიოთ ცალკეულ კულტურათა ფესვები, მაგრამ, იმის გამო, რომ წინამორბედი საფეხურები ყველგან არაა დამაკმაყოფილებლად წარმოდგენილი და შესაბამისად შესწავლილიც, დღეს ამ საკითხის გადაწყვეტა ვერ ხერხდება და ის ჯერ ისევ ვარაუდების დონეზე რჩება.

M. Gabunia, L. Tsereteli

THE MESOLITHIC IN THE CAUCASUS
(Summary)

Caucasian territory was distinguished for its extremely favourable climatic conditions in the Mesolithic. Its special characteristics – correlation of allochthonous and autochthonous species of flora and fauna – had created an abundance and variety of plants and animals [21: 312]. Besides, quantities of raw materials used for manufacturing stone tools were available in the Caucasus. These complex elements apparently presupposed the wide spread of Mesolithic sites on this territory. Their majority is scattered over Georgian territory: Gudaleti; Pichijini, Nagutini I, II; Tsipleti, Dzagina, Lashebalta, Zura-Akho, Jijoeti, Dzari, Ucheleti, etc. – in Shida Kartli [32: 45-48; 24: 163]; Iavora, Black Cave, Komarovo – in Northern Ossetia [18: 10-16]; Sosruko, Alabaster cave – in Kabarda [14: 100-101]; Mikegi – in Daghestan [30: 13-17]; Damjili, Dashsalakhli in Northern Azerbaijan [20: 1075-1076], etc.

The above Caucasian sites have not been comprehensively studied to the present; only general, brief information is at the authors, disposal about many of them. Consequently, their incorporation within certain Mesolithic cultures is so far not feasible.

More or less comprehensively studied Mesolithic stations give ground to distinguish five Mesolithic cultures on the territory of the Caucasus. Ecological specificities, different adaptation abilities and traditions of ancient man must have contributed to their establishment. These cultures are those of : Trialeti, Javakheti, Black Sea littoral, Rioni-Qvirila basin, and Chokha. Four of them are located on the territory of Georgia, while one was discovered in the Northern Caucasus [1: 1-99; 2: 136-165; 4: 112-140; 12: 3-137; 10: 3-222].

The Trialeti Mesolithic is represented by Edzani (High Mesolithic) and Zurtaketi (perhaps Late Mesolithic) stations. Sites dating from the final stage of the Mesolithic constitute the Javakheti Mesolithic culture: Bavra cave, Bavra canopy I-II and Gandegili cave. Sites of different Mesolithic periods are found in the Black Sea littoral culture: Kvatchara and Iashtkhva caves and Entseri open station belong to the early stage; Jampala canopy represents the middle stage of the Mesolithic, while layer 2 of Apiancha cave, layer B of cave Tsivi and layers 3-4 of Atsini cave can be dated to the Late Mesolithic.The open stations of Achara - Kvirike, Choloki and Jikhanjuri – can be attributed to the late Mesolithic as well.

The local culture of the Rioni-Qvirila basin covers the upper and middle reaches of the Rioni, mostly the regions of Imereti (Sagvarjile, Chakhati, Darkveti), Shida Kartli (Tsona, Kudaro I, Jerekhi, Selo) and Racha. Chakhati, Sagvarjile, Tsona belong to the starting period of the Early Mesolithic, while Darkveti, Selo, Jermukhi can be attributed to its final phase.

All these cultures had developed in different climatic conditions. Western Georgia with its humid climate landscapes, was dominated by forests, while in the south-eastern regions of Georgia steppe and semi-steppe landscapes prevailed. In North Caucasus the Mesolithic cultures had to adapt to much more severe conditions.

The tribes that had created the Javakheti variant of Mesolithic culture, apparently reached a high level of stone tools industry. As to the typological characteristics of the sites, they are surprisingly uniform. Quantities of tools of secondary processing were attested, which means that the terraces were used many times [2: 136-165]. This specific trait of the Javakheti Mesolithic (uniformity of sites) highlights the Stone Age of this region. This probably means that traditions persisted for long. At the same time, it seems doubtful that the central part of Javakheti had been isolated from other regions during the whole period of Stone Age and had not been affected by the influence of other cultures. Certain historical-cultural relations with the adjacent territories must have been reflected in the similarity of their common features [2: 161].

The very peculiar culture of Chokha is characterized by simultaneous usage of archaic nuclei and pure Mesolithic delicately shaped nuclei, knives with oblique blades, specific geometric forms and wide spread of the so-called Chokha arrowheads. These characteristics make for the unique profile of the

Chokha culture and differentiate it from other ones [12: 3-112].

According to some scholars, every single culture was created by independent ethnic groups. The authors suggest searching for the historical roots of all these cultures, but since the preceding periods of the sites are not studied well, the problem is still debatable.

ლიტერატურა

1. **გაბუნია მ.** თრიალეთის მეზოლითური კულტურა. თბ., 1976.

2. **გაბუნია მ.** ჯავახეთის მეზოლითური კულტურა (სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის რეგიონი). – ჯავახეთი, I (ისტორია და თანამედროვეობა). ახალციხე, 2002, გვ. 136-165.

3. **გაბუნია მ.** ბუნებრივი გარემო და სოციალური ადაპტაცია ზედაპალეოლით-მეზოლითში. – ჯავახეთი, II. ახალციხე, 2003, გვ. 176-186.

4. **გაბუნია მ., წერეთელი ლ.** მეზოლითი. – საქართველოს არქეოლოგია, ტ. I (ქვის ხანა). თბ., 1991, გვ. 196-226.

5. **გოგიტიძე ა.** ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარი კინკიშას ხეობაში. – სდსძ, III, 1973, გვ. 45-55.

6. **დავიდოვა მ., კამენსკი ა., ნეკლიუკოვა ნ., ტუშინსკი გ.** სსრ კავშირის ფიზიკური გეოგრაფია. თბ., 1988.

7. **კალანდაძე ალ., წერეთელი ლ.** საქართველოს შუამთიანეთის ზოგიერთი მეზოლითური ძეგლი. – საიუბილეო კრებული, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი. თბ., 1976, გვ. 62-78.

8. **ნებიერიძე ლ.** დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბ., 1978.

9. **ნებიერიძე ლ.** დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბ., 1986.

10. **წერეთელი ლ.** მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში. თბ., 1973.

11. **Амирханов Х. А.** Верхний палеолит Прикубанья. М., 1986.

12. **Амирханов Х. А.** Чохское поселение. М., 1987.

13. **Бадер Н. О.** Варианты культуры Кавказа конца верхнего палеолита и мезолита. – СА, 4, 1965, с. 3-7.

14. **Бадер Н. О., Церетели Л. Д.** Мезолит Кавказа. – Мезолит СССР, М., 1989, с. 93-105.

15. **Бурчак-Абрамович Н. И., Бендукидзе О. Г.** Фауна эпипалеолитической стоянки Зуртакети. – САНГ, 55, № 3, 1969, с. 11-16.

16. **Векуа А., Квавадзе Э., Габуния М.,** Позднепалеолитический человек и окружающая его среда в Южной Грузии. – Всесоюзное совещание по проблеме "Человек и природа в древнекаменном веке" (Краткие содержания), Тб., 1990, с. 12-14.

17. **Габуния М. К., Эсакиа К. М.** Природная среда и хозяйственная деятельность древнего человека на Джавахетском плоскогорье. – Всесоюзное совещание по проблеме "человек и природа в древнекаменном веке" (краткие содержания). Тб., 1990, с. 7-9.

18. **Гиджрати И. И.** Новые данные о каменном веке Северной Осетии. – Новые материалы по археологии Центрального Кавказа. Орджоникидзе, 1986. с. 10-16.

19. **Гогитидзе С. Н.** Неолитическая культура юго-восточного Причерноморья. Автореферат дисс. на соиск. степени канд. ист. наук, Тб., 1975.

20. **Гусейнов М. М.** Пещера каменного века на Авейдаге. – Доклады АН Азерб. ССР, XV, 11, Баку, 1959, с. 1075-1076.

21. **Кавказ** (И. П. Герасимов, Г. Д. Рихтер, В. С. Преображенский и др.). Москва, 1968.

22. **Крайнов Д .А.** Отчет Сочинского отряда Сев. Кавказской экпедиции о раскопках Ацинской пещерной стоянки. – Архив АНСССР, Р-I, № 1830. 1958.

23. **Любин В. П.** Мезолитичекая стоянка Явора. – КСИА, 84, 1961, с. 45-48.

24. **Любин В. П.** Первые сведения о мезолите горного Кавказа (Осетия). – У истоков древних культур (эпоха мезолита), № 126. М.-Л., 1966, с. 155-163.

25. **Любин В. П.** Мустьерские культуры Кавказа. М., 1978.

26. **Монгайт А. А.** Археология Западной Европы. М., 1973.

27. **Рогачев А. Н.** Каменные орудия как исторической источник. – КСИА, 107, 1973. с. 20.

28. **Соловьев Л. Н.** Об итогах археологических раскопок в гроте Хупынипшахва в 1960 г. – ТАИЯЛИ, 32, 1961, с. 191-195.

29. **Формозов А. А.** О времени и исторических условиях сложения племенной организации. – СА, 1, 1957, с. 13-21.

30. **Формозов А. А.** Обзор исследований мезолитических стоянок на Кавказе. – СА, 4, 1960, с. 13-17.

31. **Церетели Л. Д., Клопотовская Н. Б., Куренкова Е.** Многослойный памятник Апианча (Абхазия). – Четвертичная система Грузии, Тб., 1982, с. 198-301.

32. **Челидзе Л. М.** Новые находки каменного века в Шида-Картли. – ПАИ, 1974 (1976), с. 13.

33. **Garrod D. A.** The Paleolithic of Southern Kurdistan excavations in the caves of Zarzi and Hazar Merd. New Haven, 1930

34. **Henry D.** Adaptive evolution within the Epipaleolithic of the Near East. – Advances in Archaeology, 1983, vol. 2, p.p.99-160.

35. Rust A. Die Höhlenfunde von Jabrud (Syrien) 1950.

36. Solecki R. S. The 1956-1957 season at Shanidar (Iraq). – Summer, Vol. 14, № 1-2, 1958.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. – თრიალეთის მეზოლითური კულტურა: 19-22, 32-33, 35-37, 45. ზურტაკეტი; 1-18, 23-31, 34, 38-44, 46-53. ეძანი.

ტაბ. II – თრიალეთის მეზოლითური კულტურა: 8, 19-22, 29, 34, 39-40, 43. ზურტაკეტი; 1-7, 9-18, 23-28, 30-33, 35-38, 41-42. ეძანი.

ტაბ. III-VI – ჯავახეთის მეზოლითური კულტურა: ბავრის მღვიმე ეხების ქვის კომპლექსები.

ტაბ. VII – შავიზღვისპირეთის მეზოლითური კულტურა: 1-17. ჯამპალი; 18-25. იაშთხვა; 28-50. ქვაჭარა.

ტაბ. VIII – შავიზღვისპირეთის მეზოლითური კულტურა: 1-6. ქვაჭარა; 7-22. აფიანჩა; 23-52. ცივი მღვიმე.

ტაბ. IX – შავიზღვისპირეთის მეზოლითური კულტურა: 1-12. ენწერი; 13-42. კვირიკე.

ტაბ. X – შავიზღვისპირეთის მეზოლითური კულტურა: 1-36. ჯიხანჯური.

ტაბ. XI – რიონ-ყვირილის აუზის მეზოლითური კულტურა: 1-19. დარკვეთი; 20-26. საგვარჯილე; 27-38. წონა; 39-42. ქვედი.

ტაბ. XII – რიონ-ყვირილის აუზის მეზოლითური კულტურა: 1-30. ჭახათი

ტაბ. XIII – შავიზღვისპირეთისა და რიონ-ყვირილას აუზის მეზოლითურ კულტურებში გავრცელებული ძვლის იარაღები: 1. დარკვეთი; 2, 3, 5, 11-12. ცივი მღვიმე; 4, 6-10. აფიანჩა; 15-22. ქვაჭარა.

ტაბ. XIV-XV – ჩოხის მეზოლითური კულტურა.[1]

Description of the Plates

Pl. I – Mesolithic culture of Trialeti: 19-22, 32-33, 35-37, 45. Zurtaketi; 1-18, 23-31, 34, 38-44, 46-53. Ezani.

Pl. II – Mesolithic culture of Trialeti: 8, 19-22, 29, 34, 39-40, 43. Zurtaketi; 1-7, 9-18, 23-28, 30-33, 35-38, 41-42. Ezani.

Pl. III-VI – Mesolithic culture of Javakheti: stone complexes from Bavra.

Pl. VII – Mesolithic culture of the Black Sea region: 1-17. Jampal; 18-25. Iashtkhva; 28-50. Kvatchara.

Pl. VIII – Mesolithic culture of the Black Sea region: 1-6. Kvatchara; 7-22. Apiancha; 23-52. Tsivi Mghvime.

Pl. IX – Mesolithic culture of the Black Sea region: 1-12. Entseri; 13-42. Kvirike.

Pl. X – Mesolithic culture of the Black Sea region: 1-36. Jikhanjuri.

Pl. XI – Mesolithic culture of the Rioni-Qvirila basin: 1-19. Darkveti; 20-26. Sagvarjile; 27-38. Tsona; 39-42. Kvedi.

Pl. XII – Mesolithic culture of the Rioni-Qvirila basin: 1-30. Tchakhati.

Pl. XIII – Bone tools from Mesolithic cultures of the Black Sea region and the Rioni-Qvirila basin: 1. Darkveti; 2-3, 5, 11-12. Tsivi Mghvime; 4, 6-10. Apiancha; 15-22. Kvatchara.

Pl. XIV-XV – Mesolithic culture of Chokha.

---

[1] ტაბულები ამოღებულია ლ. წერეთლის, ლ. ნებიერიძის, მ. გაბუნიას, ს. გოგიტიძის, ნ. ბადერისა და ხ. ამირხანოვის წიგნებიდან.

ტაბ. I


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50
51
52
53
0
5

ტაბ. II


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
0
4

ტაბ. III


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
0
3


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
0
3

ტაბ. V


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
0
3


1
2
3
4
5
0
3

ტაბ. VII


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50
0
3

ტაბ. VIII


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50
51
52
0
3

ტაბ. IX


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
0
3


1
2
3
7
8
4
5
6
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
0
3

ტაბ. XI


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
0
3
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42

ტაბ. XII


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
0
3

ტაბ. XIII




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50
51
0
3

ტაბ. XV



ლეილა წითლანაძე

მასალები ქართველ ტომთა უძველესი სულიერი კულტურის ისტორიისათვის (მჭადიჯვრის გორის ახალი განათხარი მასალის მიხედვით)

ქართველ ტომთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების, სულიერი სამყაროს შესწავლას მუდამ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მიუხედავად წერილობითი წყაროების სიმცირისა, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით შექმნილია მნიშვნელოვანი ნაშრომები აკად. ი. ჯავახიშვილის, ვ. ბარდაველიძის, გ. ჩიტაიას, ს. მაკალათიას, შ. ამირანაშვილის, ალ. ჯავახიშვილის, ტ. ჩუბინიშვილის, ი. კიკვიძის, ი. სურგულაძის, ჯ. რუხაძის და სხვათა მიერ.

უკანასკნელი 50-60 წლების მანძილზე მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალებმა შესაძლებლობა მისცა მკვლევარებს ქრონოლოგიურ ასპექტში განეხილათ რელიგიასთან დაკავშირებული საკითხები და შესაძლებლობისდაგვარად გარკვეულიყვნენ სხვადასხვა ისტორიულ-არქეოლოგიურ ეპოქებში მიმდინარე პროცესებში, საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა სულიერ კულტურაში.

მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ უკვე ზედა პალეოლითში ყალიბდება ადამიანთა სულიერი სამყარო.

ორინიაკის ეპოქაში ჩნდება ანთროპომორფული გამოსახულებები ქალის ქანდაკებების სახით.

ვხვდებით ძილის პოზაში დაკრძალულ ოქრამოყრილ მიცვალებულებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მეზოლითურ და ენეოლითურ ფენებში, გვარჯილას კლდისა [14, გვ. 1] და სამელე კლდის [28, გვ. 14-15] მღვიმეებში, აღმოჩენილია სოლარულ რწმენებთან დაკავშირებული ნივთები.

ენეოლითის ხანაში ჩვენში სოლარული კულტი საკმაოდ განვითარებული ჩანს. ამავე ხანაში იკვეთება ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღვთაების, „დიდი დედის“ კულტი, რომელიც მცირე ზომის ქანდაკებებით არის წარმოდგენილი. ასეთი ქანდაკებები აღმოჩენილია შულავერის და ხრამის დიდი გორის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარებზე. „მზეს უნდა შერწყმოდა „დიდი დედის კულტი და ისინი ერთ ღვთაებად უნდა წარმოდგენილიყო, მზე ქალური ბუნების ღვთაებად იქცა.“ მისი გადმონაშთები დღემდეა შემონახული ჩვენში ბარბარეს კულტის სახით [12, გვ. 161].

ბრინჯაოს ხანაში განსაკუთრებით ძლიერდება კოსმოგონიური რწმენები. მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად მესაქონლეობის, მეტალურგიის წინსვლა ახალ მაღალ საფეხურზე აყენებს საზოგადოების განვითარებასაც. იქმნება ახალი კულტები, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ციურ მნათობთა თაყვანისცემას, მრავლდება მნათობთა სიმბოლიკა. მომდევნო ხანაში მრავლადაა სვასტიკები, ვარდულები, ჯვრები. თავისებურებას ვხვდებით დამარხვის წესში. გაჩნდა ქვის წრეებშემოწყობილი სამარხები, ყორღანები. იქმნება ცალკე სალოცავები, რომელთაც თავისი ქონება და გამგებელი გააჩნიათ, ტარდება კულტმსახურების, ღვთაებათა თაყვანისცემის რთული პროცედურები.

ადამიანის სახით ღვთაებათა, მნათობთა წარმოდგენა უკვე ამ რწმენათა განვითარების გვიანდელ საფეხურზე ხდება – გვიანბრინჯაოადრერკინის ხანის დასაწყისში და თითქმის ქრისტიანობის შემოსვლამდე არსებობს.

ქართველ ტომთა უძველესი სულიერი სამყაროს გასაცნობად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნამოსახლარების შესწავლას. ბრინჯაოს ხანის სამოსახლოები ძირითადად გორებზე – ბორცვებზეა განლაგებული და ბევრ შემთხვევაში მრავალფენიანია. მათ რიცხვს მიეკუთვნება მჭადიჯვრის გორები.

სოფ. მჭადიჯვარი მდებარეობს დუშეთის რაიონში, მდ. ნარეკვავის შუა წელზე, მთისპირა ზოლში, გაშლილ ადგილზე, სადაც ძველთაგანვე განვითარებული უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედება. თრიალეთისა და კავკასიონის ქედებთან სიახლოვე მესაქონლეობისათვის შესანიშნავ პირობებს ქმნიდა. მოსახლეობამ ეს ტერიტორია ადრე აითვისა და ინტენსიურად დასახლდა. თვით სოფ. მჭადიჯვარში ორი გორანამოსახლარია ცნობილი, სამიოდე კილომეტრით დაშორებულ სოფ. შუახევში – მესამე.

მჭადიჯვრის ბორცვები სამეცნიერო მიმოქცევაში შიდა ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ შემოიტანა, რომელსაც აკად. ნ. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა [6, გვ. 153]. მან სახელწოდება „გორა“ გვარს დაუკავშირა და მასში საზოგადოებრივი ერთეული დაინახა. ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია სახელწოდება "მჭადიჯვარს", შეადარა იგი ციხისჯვარს, ვაკის ჯვარს, გორის ჯვარს და მრავალ სხვა ჯვრებს და აღნიშნა, რომ მიუხედავად სახელწოდებისა არცერთ ბორცვზე არ არის აგებული ეკლესია და არც ფეოდალს გამოუყენებია ციხე-სასახლისათვის. ამგვარად, ამ სახელწოდების ქრისტიანობასთან დაკავშირება მიზანშეწონილი არ ჩანდა და უფრო ადრეულ პერიოდს უკავშირდებოდა.

აკად. ს. ჯანაშიას გამოკვლევის მიხედვით ჯვარი წინა ქრისტიანული მოვლენაა [29, გვ. 235].

ეთნოგრაფ ვ. ბარდაველიძის მიხედვით გვაროვნულ ღმერთს ჯვარი ან ხატი ეწოდებოდა. გვაროვნული წყობილების დროინდელი მსოფლმხედველობით უნდა ყოფილიყო გამოხატულება გვარის კოლექტიური სულისა, რომელიც ამავე დროს დანაწილებული იყო და წილადი ღმერთის ანუ სულის სახით ცხოვრობდა გვარის ცალკეულ წევრებში, ვითარცა თითოეული მათგანის მფარველი სული [3, 128].

ამგვარად, როგორც გორების ისე სოფლის სახელწოდება „მჭადიჯვარი" საკულტო მნიშვნელობის მანიშნებელი უნდა იყოს.

არსებობს არქეოლოგ ე. გოგაძის მოსაზრება, რომ ძველად პურს ჭადი ეწოდებოდა. ჯვრით დადამღული პური "ჭადიჯვარს" უნდა ნიშნავდეს.

მჭადიჯვრის გორების არქეოლოგიური შესწავლა 1969 წელს დაიწყო და წლების გამოშვებით 1989 წლამდე გრძელდებოდა.[2]

1977 წ. გორის ჩრდილო, შედარებით კარგად დაცულ კალთაზე გაიჭრა 9 მ სიგრძის თხრილი, რომელმაც ქართველ ტომთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული მასალა წარმოგვიდგინა. გორაზე კორდოვანი და ჰუმუსური ფენების მოხსნის შემდეგ, ადრეფეოდალური ხანის სათავსოთა კედლების ფუნდამენტის ქვეშ 0,70-0,80 მ სიღრმეზე მთელს გასათხრელ ფართობზე გამოჩენა იწყო ბათქაშის ფრაგმენტებმა. მათი განსაკუთრებული თავმოყრა შეინიშნა თხრილის დასავლეთ ნაწილში. ბათქაშები ძირითადად უფორმო იყო, მაგრამ მათ შორის აღმოჩნდა უხეშად, სქემატურად დამზადებული ანთროპომორფული გამოსახულება (ქანდაკების სიმაღლე 10 სმ-ია). იგი, როგორც ჩანს, ზურგით იყო მიძერწილი ვერტიკალურ საყრდენზე, რომელიც შესაძლოა კედელს ან საკურთხევლის ნაწილს წარმოადგენდა. 1975 წ. ამ აღმოჩენის ადგილიდან დასავლეთით, რამდენიმე მეტრის დაშორებით, უწესრიგოდ დაყრილ ბათქაშის ნატეხებს შორის გასუფთავდა შედარებით უფრო რეალისტურად შესრულებული მამაკაცის თიხის ქანდაკება. ქანდაკებას პოსტამენტი უნდა ჰქონოდა. ამ ფართობზე შეიკრიბა სხვადასხვა თიხის ფრაგმენტები: ბურთის ფორმის, აგურის ფორმის, ოვალური. ძლიერი ცეცხლისაგან წიდად ქცეული სხვადასხვა მცირე ზომის საგნები, მდიდრულად ორნამენტირებული გადამწვარი კერამიკა. ამავე ფერდობზე ოდნავ ქვემოთ გამოვლინდა დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის ნატეხები, ტიგელის ფორმის ნივთი ძირზე ლითონის ნაღვენთებითურთ, თიხის კოვზი, რამაც რაღაც სახელოსნოზე მიგვითითა.

თხრილის სამხრეთ–აღმოსავლეთ ნაწილში 0,75 მ სიღრმეზე გაიწმინდა სამი ორმო. № 1 ორმოს არასწორი ცილინდრის მოყვანილობა ჰქონდა და 1,40-1,20 სმ ზომის იყო, ფეოდალური ხანის ორმოთი ჩაჭრილი და დაზიანებული. მეორე ორმო ღრმა არ იყო, დაახლოებით 0,30 მ სიღრმის. მასში აღმოჩნდა ზოომორფული ნაკლული ქანდაკება, ოთხკუთხა ფორმის სამარილე, კვირისტავი და შავადგამომწვარი გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკა (ტაბ. $II_{10,13}$).

მესამე ორმოს ზარის ფორმა ჰქონდა. იგი თხრილის ცენტრში მდებარეობდა (სიღრმე – 90 სმ). ორმოს გვერდები საგანგებოდ იყო დამუშავებული და ნაცრით ამოვსებული, გარკვეულ დონეზე დაფიქსირდა სარის ორმოები. ორმოს შევსებაში საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები. ორმოს სამხრეთ კიდეზე გაიწმინდა პატარა ზომის, მრგვალი კერა-საკურთხეველი, ასეთივე საკურთხეველი იყო № 1 ორმოს პირზე.

ორმოებს შორის არსებულ მოტკეპნილ ფართობზე აიკრიფა: ძვლის იარაღი, თიხის საბეჭდავი, ობსიდიანის ქუსლამოღარული ისრისპირი, შავადგამომწვარი კერამიკა. ამავე ფართობზე დაფიქსირდა ხის მორების ანაბეჭდები, რომლებიც ჰორიზონტალურად უნდა ყოფილიყო განლაგებული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

როგორც ჩანს, ორმოები, დამწვარ ბათქაშებიანი ნაგებობები, ქანდაკებები ერთმანეთს უკავშირდებოდა და ერთიან საკულტო კომპლექსს წარმოადგენდა. არ არის გამორიცხული, რომ ეს იყო ზედა სართული შემდგომ გათხრილი ქვედა ნაგებობისა.

ორმოებს ვხვდებით ყველა ნამოსახლარ ბორცვზე, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში და მის მომიჯნავე მეზობელ ქვეყნებში. მრავლადაა ორმოების შემცველი ნამოსახლარები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ანატოლიაში.

ნაცრიანი ორმოები ცეცხლთან და განწმენდის რიტუალთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ცეცხლი ავი სულებისაგან განმწმენდ ძალად იყო მიჩნეული [3, გვ. 83], თუმცა, ორმოების სანოვაგის შესანახად გამოყენება უკანასკნელ დრომდე ხდებოდა.

ფეოდალური ხანის ფენის ქვეშ, თხრილის ჩრდილო ნაწილში, ბათქაშის მეორე დიდი თავმოყრის ადგილზე, თავი იჩინა ოთხკუთხა სათავსომ, რომლის ჩრდილო ნაწილი დროთა განმავლობაში ჩამორეცხილიყო. დანარჩენი სამი კედლის აღდგენა ხის მორების ანაბეჭდების

[2] სამუშაოებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და შემდეგ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომლები, ხელმძღვანელი ლ. წითლანაძე.

მეშვეობით მოხერხდა. სათავსო ხის მსხვილი მორებით იყო შეკრული ქვის ფუნდამენტზე. კედლები შიგნიდან და გარედან ბათქაშის სქელი ფენით იყო შელესილი. მიწის იატაკი უსწორმასწორო იყო, ზოგ ადგილას შელესილობის კვალით. იატაკი კუთხეების გარეშე უერთდებოდა კედელს. შენობის შემორჩენილი ფართობი 4,25-3,75 მ უდრიდა. გადახურვის კვალი არ ჩანდა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ბრტყელი უნდა ყოფილიყო, ასევე ბათქაშით გადალესილი.

სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, გამართული იყო სწორკუთხა, გვერდებშელესილი, მაღალბორტიანი, რიყის ქვებით ამოგებული, მცირე შენობა, შესაძლოა ღუმელის ნაშთი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ საკურთხეველი ყოფილიყო. მისი გვერდი მჭიდროდ იყო მიდგმული ან ძალზე ახლო იყო შენობის კედლებთან. იქვე იდო ხელსაფქვავის ქვა, სანაყი. მაგრამ ნაცარი არ ჩანდა. ნაცროვანი ფენა აღმოჩნდა ფერდობზე რამდენიმე მეტრის დაშორებით. თუ ღუმელი იყო, მაშინ იგი საწესო პურის გამოსაცხობად გამოიყენებოდა ალბათ. მსგავსი პურის საცხობი ღუმელები ფართოდ იყო გამოყენებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. მაგ. სამთავროში, თრელიგორების ნამოსახლარებზე, მაგრამ იქვე გვხვდება ოთხკუთხა ფორმის საკურთხევლები.

უფრო სამხრეთით კედლის გაყოლებით შეინიშნა ობსიდიანის ნატეხების დიდი გროვა. იქვე იატაკზე იდო თიხის დიდი გუნდა, გუმბათის ფორმის, ზემოდან ჯოხით თუ თითით დატანილი ჯვრის გამოსახულებით. გუნდის შიგნით აღმოჩნდა პატარა თიხის ჯამი, გარედან თიხის სქელი ფენით უხეშად შელესილი.

გ. ჩაილდის მიხედვით შუმერული სახლებისათვის დამახასიათებელი ყოფილა გუმბათის ფორმის პურის საცხობი ღუმელი. ხომ არ წარმოადგენდა გუმბათისებური თიხის გუნდა პურის საცხობი ღუმლის მინიატურულ გამეორებას. იქვე, მახლობლად, თიხის ჭურჭლის ნატეხზე იდო თიხის კვერ-გუნდა. როგორც ჩანს, ორივეს საწესო დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

ჯვრის გამოსახულება დადასტურებულია წინაქრისტიანული ხანის არაერთ ძეგლზე. ჯვრის გამოსახულებას ვხვდებით თრიალეთში [33, გვ. 383], ცხინვალის ნაცარგორაზე, ხოვლეგორაზე [17, გვ. 14] და სხვ. იგი ადრე იჩენს თავს მიწათმოქმედი ხალხის ნივთიერ კულტურაში. ვხვდებით ჯვრის მრავალ სახესხვაობას. ეთნოგრაფ ი. სურგულაძის აზრით, ტოლმხრებიანი ჯვარი აღმოცენდა როგორც მზის პოზიციებზე ორიენტირებული საკოორდინაციო ნიშანი, რომელიც ქვეყნის ოთხ მხარესთან იყო შეპირობებული. ჯვრის სიმბოლიკა შემდეგ მრავალი კერძო მოტივით შეივსო, მაგრამ როგორც საკოორდინაციო ნიშანი უცვლელი დარჩა [20, გვ. 38]. ჯვარს ამავე დროს დამცველის, აპოტროპეული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რაც ასტრალური სიმბოლიკიდან უნდა განვითარებულიყო. ასტრალური ნიშნები ავი თვალისაგან დამცველთა როლში გამოდიოდა. ამ შემთხვევაში სწორედ ამ ფაქტთან უნდა გვქონდეს საქმე. ჯვრის ფორმის გამოსახულებით დადამღვა, ალბათ, ამ რწმენას ემსახურებოდა.

სათავსოს იატაკი მთლიანად მოფენილი იყო თიხის ჭურჭლის ნატეხებით. ყველგან ჩანდა ძლიერი ხანძრის მოქმედების შედეგები: დამწვარი შენობა, გამომწვარი ბათქაში, დამწვარი კერამიკა, ზოგჯერ წითლად ქცეული, დამსკდარი რიყისქვები, თეთრ ქაფისებურ მასად ქცეული ობსიდიანის ანატკეცები. დამტვრეული კერამიკა უმთავრესად სანოვაგის შესანახი დიდი ზომის დერგებით, ქოთნებით, სადღვებლის ნატეხებით არის წარმოდგენილი. მათი კეცი ძირითადად მოწითალო-მოყვითალო ფერისაა. ფრაგმენტებიდან აღდგენილი იყო სადღვებელი – ყვითლად გამომწვარი, გადმოკეცილ მრგვალპირიანი, დაბალი ყელით, მხრებზე ჭდეული ხაზებით; დერგი – მრგვალპირიანი, პირგადმოკეცილი, მხრებდაქანებული, მხრების გარშემო კონცენტრული ჭდეული ზოლებით, მუცელზე ორი ბრტყელი ყურით [1].

უკეთესად შენახული აღმოჩნდა რამდენიმე სასმისი, ქილა და იატაკში ღრმად ჩაფლული ორი კოჭობი. არ არის გამორიცხული, რომ ჭურჭლის ნაწილი თაროებზე ეწყო.

აღსანიშნავია ორი მცირე ზომის სასმისი ოდნავ პირგადაშლილი, დაბალყელიანი, მუცელწიბოიანი ბრტყელი ძირით. ასეთი სასმისები განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა გავრცელებული კახეთში შუაბრინჯაოს ხანიდან გვიანზე გარდამავალი პერიოდის ბოლო საფეხურზე, გვიანბრინჯაოს პირველ საფეხურზე და შემდეგ აგრძელებს არსებობას, ოდნავ სახეშეცვლილი, თითქმის ძვ. წ. VIII–VII საუკუნემდე [21, გვ. 131]. ასეთი სასმისები აღმოჩენილია კახეთში ადგილ ნასადგომარში, პირდაპირ მიწებში, ფევრებში, შილდის საკულტო ძეგლზე. მაგრამ ყველაზე დიდი რაოდენობით მათმა აღმოჩენამ მელიღელეს სამლოცველოებში მას "მელიღელური" ჭურჭლის სახელწოდება დაუმკვიდრა. მელიღელური ჭურჭელი აღმოჩენილია ქართლშიც – ყათნალიხევის სამლოცველოში, თითოოროლა აღმოჩენილია სამთავროს 139-ე, 153-ე სამარხებში, წეროვნის ველზე, ცენტრალურ ამიერკავკასიური კულტურის გავრცელების რაიონებში. სავარაუდოა, რომ რაიმე რიტუალთან იყოს დაკავშირებული (ტაბ. $I_{2,6}$).

საინტერესო ფორმისაა სასმისი არათანაბრად გამომწვარი, სქელკედლიანი ხელით ნა-

ძერწი, თითქმის სწორპირიანი, გამოუკვეთავძირიანი, პირის გარშემო კლაკნილი რელიეფური ორნამენტით, ცალყურიანი. მისი ფორმა და ორნამენტი საკმაოდ არქაულია და იშვიათია. კლაკნილ ხაზს წყალს უკავშირებენ მკვლევარები (ტაბ. I_5).

სათავსოს იატაკზე აღმოჩენილი სასმისი (ტაბ. I_3) წითლად იყო გამომწვარი (ან დამწვარი), კასრის მოყვანილობის, პირის გარშემო სამი ჩაღარული ზოლით (სიმაღლე – 11 სმ, დიამეტრი – 45 სმ), დეფორმირებული და ოდნავ ნაკლული. მსგავსი სასმისები გვხვდება ხოვლეგორის IV ფენაში [14, სურ. 1966, 1967], რომელიც ძვ.წ. IX–VIII საუკუნით თარიღდება; სამთავროს წინაანტიკური ხანის სამარხებში, რომლებსაც ალ. კალანდაძე გვიანბრინჯაოს ხანის III პერიოდით ძვ.წ. XI–VI საუკუნით ათარიღებდა [1, გვ. 7].

ამგვარად, კასრის ფორმის, ჩაღარული ზოლებით შემკული სახელურიანი სასმისი შიდა ქართლში ძალზე გავრცელებული ყოფილა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში.

სათავსოში აღმოჩნდა აგრეთვე ქილა, ყვითლად გამომწვარი, პირგადმოკეცილი, დაბალყელიანი, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული, მცირე ქუსლიანი ძირით. ჭურჭლის მხარის ერთ ნახევარზე, მსხვილი წკირით სველ თიხაზე, უხეშად დატანილია მეანდრისებური ორნამენტი, რომლის ბოლოებს შორის მოთავსებულია ტეხილი ხაზებით შესრულებული გაურკვეველი კომპოზიცია (სიმაღლე – 14 სმ, ძირის დმ – 7 სმ, პირის დმ – 11,5 სმ). აღნიშნული ქოთანი თავისი კეცით, ორნამენტით, მოყვანილობით განსხვავდება მჭადიჯვრის გორაზე აღმოჩენილი სხვა კერამიკისაგან, წააგავს შუაბრინჯაოს ხანის ჭურჭელს. განსაკუთრებით ემსგავსება ტაბაწყურის № 42 და საბიდახჩის № 28 გორასამარხებში აღმოჩენილ ქოთნებს. გამთხრელი არქეოლოგი ბ. კუფტინი მათ შუაბრინჯაოს ხანის სამარხებთან ერთად განიხილავდა [33, გვ. 65]. ე. გოგაძის მიერ თრიალეთის არქეოლოგიური მასალის გადათარიღების შემდეგ ეს გორასამარხები შუაბრინჯაოდან გვიანდელზე გარდამავალ ხანას მიეკუთვნა [22, ტაბ. $XII_{1,3}$]. ამავე აზრისა იყო ნ. თუშიშვილი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა აღნიშნულ გორასამარხებში შემავალი ჭურჭელი. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ კ. ფიცხელაური, რ. აბრამიშვილი. ქილაზე წარმოდგენილ მეანდრისებურ ორნამენტს მრავლად ვხვდებით სომხეთში, შირაქში, არიჩის № 85 სამარხში აღმოჩენილ ჭურჭელზე, კახეთში, ზემო ბოდბეს გორასამარხებში [22, ტაბ. IV_2]. ზემო ბოდბეს № 2 გორასამარხის ჭურჭელზე მოცემული გამოსახულება ისეთივე ტეხილი ხაზებითაა შემკული, როგორც მჭადიჯვრული ჭურჭელი. ასეთივე სახეებს, ოღონდ პრიალა ხაზებით, ვხვდებით ნამგალა მიწების კერამიკაზე (№ 2 სამარხში).

ამგვარად, ქოთანი თავისი კეცით, ფორმით, შემკულობით შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ კერამიკას მიეკუთვნება.

ცალკე კვლევის საგანია გვიანდელ სათავსოში მისი მოხვედრის გზების გარკვევა. შესაძლოა იგი ქვედა ფენებიდან შემორჩა, შესაძლოა ბარიდან იქნა შემოტანილი ადრე.

ქილა აშკარად კულტმსახურებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და მას საპატიო როლი ენიჭებოდა.

თიხის ჭურჭლის ნატეხებს შორის აღმოჩნდა თიხის ყუნწიანი საბეჭდავი, ოთხკუთხა ფორმის, რომლის პირზე ვარდული და სვასტიკის ბოლოებია მოცემული, ხოლო მეორე ბოლოზე – ერთმანეთზე გადახლართული ტეხილი ხაზები.

ქართლში გათხრილ ყველა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებზე ვხვდებით თიხის და ზოგჯერ ქვის საბეჭდავებს: ხოვლეში, უფლისციხეში, განსაკუთრებით მრავლად – ნარეკვავსა და სამთავროში [19, გვ. 61, ტაბ. XIV, XXXV_{9-11}]. მჭადიჯვრის გორაზე ვხვდებით, როგორც მრგვალპირიან, ისე ოთხკუთხაპირიან საბეჭდავებს, უმეტესად ორმხრივი სამუშაო პირით. ვხვდებით პირზე როგორც სპირალის გამოსახულებას, ისე შევსებულ ჯვარსაც. აქ მნათობთა სიმბოლოებია მოცემული. გლიპტიკოსი მ. ლორთქიფანიძე მათ ძვ.წ. XIV–VIII საუკუნეებით ათარიღებდა [15, გვ. 25]. იგი მათ მცირეაზიურ, ხეთურ და ადრეკრეტულ საბეჭდავებს ადარებდა.

მათ გამოყენებასთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრია გამოთქმული, მაგრამ ცხადია, რომ იგი იცავდა ხელყოფისაგან როგორც პროდუქტებს, ისე სახლებს, ლუქის მოვალეობას ასრულებდა. მისი წარმოშობა უკავშირდება ქონების დაგროვების პროცესს.

არსებობს ვ. ბარდაველიძის მიერ მოტანილი ცნობა, რომ ახლო წარსულში სვანეთში, ასევე ხევსურეთში პურებს დაღავდნენ საბეჭდავებით. ამ აზრს ემხრობა დ. ხახუტაიშვილიც [27, ტაბ. XXXVI].

ჯვარი, როგორც აღვნიშნეთ, აპოთროპეული ფუნქციის მატარებელი ასტრალური ნიშანია და ავი თვალისაგან იცავს პურის პატრონს.

ლითონის ნაკეთობებიდან, სათავსოს იატაკზე აღმოჩნდა ნახევარსფეროსებრი ღილაკი და ყუნწგადაკეცილი ნემსი (ტაბ. $II_{1,3}$). სათავსოს გარეთ იმავე დონეზე ნაპოვნი იყო ყუნწგახვრეტილი ნემსი. არქეოლოგ ო. ღამბაშიძის მიერ მესხეთ-ჯავახეთში გათხრილი სამაროვნის მასალებზე დაკვირვების შედეგად გამოტანილი იყო დასკვნა, რომ ყუნწგადმოკეცილი ნემსი ძვ. წ. XIV–XIII საუკუნეების სამარხებშია, ხოლო

ყუნწგახვრეტილი მოგვიანებით ჩნდება. მჭადიჯვარში კი ორივე ერთსა და იმავე ფენაშია აღმოჩენილი.

სათავსოს იატაკზე, სამხრეთ კედელთან იდო ირმის რქის წვერისაგან დამზადებული მცირე ზომის ნაკეთობა (სიგრძე – 9,6 სმ, ფუძის დმ – 1,3 სმ) (ტაბ. II_{12}), რქა კარგად იყო დამუშავებული წვერის ირგვლივ ფუძით ბოლოებისაკენ მიმართული წერტილებით გამოყვანილი რომბებით და სამკუთხედებით. შუა ნაწილში ნახვრეტი ჰქონდა და საყბეურის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მსგავსი ნივთი ცნობილია სამთავროს სამაროვნის ადრეული ეტაპის № 27 სამარხიდან. ამ სამარხს ტ. ჩუბინიშვილი ძვ.წ. XV–XIV საუკუნეებით ათარიღებდა. [24, გვ. 40].

სათავსოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა ძვლის და თიხისაგან დამზადებული, შუაში ნახვრეტიანი რამდენიმე მრგვალი ნივთი, რომელთაგანაც ერთი ურმის თვლის მოდელად მივიჩნიეთ. ძვლისაგან დამზადებული ორი მათგანი კი კვირისტავებად. კვირისტავს და ბორბალს ძველი ხალხი მზის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. ბრინჯაოს ხანაში მზე წრესთან და ბორბალთან უნდა ყოფილიყო ასოცირებული. თვალი ბორბლის სინონიმია. მზე – ბორბალი – თვალი თითოეულს გააჩნია დამოუკიდებელი შინაარსი, მაგრამ ერთსა და იმავე საგანს კერძოდ მზეს, დიდ მნათობს აღნიშნავენ. ყველა აღიარებულ ვარიანტში მათი ძირითადი თვისება მოძრაობაა ცენტრის გარშემო [20, გვ. 79].

სათავსოს ტერიტორიაზე შეკრებილი კერამიკული მასალა ზუსტი დათარიღების საშუალებას არ იძლევა. ერთი ნაწილი ჭურჭლისა მაგ. პრიალა ზოლებით შემკული პირმოყრილი კოჭბები, სვასტიკით შემკული ქილა, სწორგვერდიანი სასმისი არქაულად გამოიყურება. ადრეულია ძვლის მინიატურული საყბეურიც, რომელიც, შესაძლოა, სარიტუალო ნივთთა ჯგუფს მივაკუთვნოთ.

კერამიკის მეორე ნაწილი – სასმისები, სადღვებელი, დერგები – უფრო გვიანდელი უნდა იყოს და ხოვლეს, ნარეკვავის, სამთავროს მასალების მიხედვით ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის დამდეგით უნდა დათარიღდეს.

რაც შეეხება სათავსოს, საძირკვლის მიხედვით, სათავსო თუმცა ფერდობზე იდგა, იგი ნახევრად მიწურს არ წარმოადგენდა. იგი ზემოთ იყო ამოზიდული და ძელებით იყო შეკრული. ამით იგი განსხვავდებოდა შიდა ქართლში გათხრილი მიწურ ნაგებობებისაგან. მაგ. თრელიგორების [41], სამთავროს [1, გვ. 109], ნარეკვავის [2]. იქ ქვით ამოყვანილი კედლები ალიზით ან თიხით ბოლოვდება. სხვა სახის იყო ცხინვალის ნაცარგორის III ფენის ნაგებობა [8, გვ. 253-254] და ყათნალიხევის II ფენის სათავსო [27, გვ. 18]. ცხინვალის ნაცარგორაზე შენობის საძირკველი ორპირი რიყის ქვით არის ნაშენი, ხოლო კედლები და გადახურვა ხის მსხვილი მორებისაა.

ნაცარგორის III ფენა აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ცულის ყალიბის, ბრტყელი უქედო სატევრის ყალიბის საფუძველზე ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება [8, გვ. 269]

ყათნალიხევის II ფენის სათავსოებს თიხის ჭურჭლის ფორმების, დეკორის მიხედვით ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დამდეგს [27, გვ. 49] – ძვ. წ. XII–VIII საუკუნეებს მიაკუთვნებენ.

ხოვლეგორის V ფენაში ვხვდებით ასეთივე ხასიათის ნაგებობას, რომელიც ასევე ძვ.წ. XII–X საუკუნეებით თარიღდება [17, გვ 23.]. ამ პერიოდში სამლოცველოები საცხოვრებელ ნაგებობებში კი არ შედის, არამედ მისთვის ცალკე ნაგებობა შენდება. როგორც ჩანს, ხით ნაშენი შენობა ან განსაკუთრებული პატივის ნიშანი იყო, ან სხვაგან არსებულ სათავსოთა მაგალითზე შენდება.

ი. კიკვიძის აზრით, ყათნალიხევის, ნაცარგორის, ხოვლეგორის საწესო კომპლექსები ისე გვანან ერთმანეთს, რომ, ვფიქრობთ, ისინი ერთი სამეურნეო დონის და ხასიათის თემებს და ტომებს უნდა ეკუთვნოდეს და ამ სამლოცველოებში ალბათ ბუნებითა და ხასიათით მსგავს ღვთაებებს სცემდნენ თაყვანს [20, გვ. 204]. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ მჭადიჯვრის სათავსოც.

რა რიტუალი სრულდებოდა ამ სათავსოში? ვ. ბარდაველიძე ქართველ ტომთა უძველეს ღვთაების ბარბარ-ბაბარის შესახე, აღნიშნავდა, რომ ეს ღვთაება ახდენდა გავლენას მიწის ნაყოფიერებასა და მოსავლიანობაზე, მსხვილფეხა საქონლის გამრავლებაზე, ადამიანის ყოფაცხოვრებაზე. იგი თვალის, სინათლის მფარველი იყო [3, გვ. 59]

ნ. მარის მიხედვით, მზე და მზერა, ხედვა, სინათლეს, მზეს უკავშირდებოდა, ხოლო მთვარე – თვალს. ბარბარ ასტრალური ღვთაება იყო, მზის ღვთაება. მის ატრიბუტს მრგვალი კვირისტავი, ბორბლის ფორმის საგნები წარმოადგენდნენ, მას ბოლო დრომდე სწირავდნენ საგანგებოდ გამომცხვარ კვერებს, თვალს. ამ კვერებისათვის მარცვლეული ზაფხლში მზადდებოდა, გადაარჩევდნენ და საგანგებოდ ინახავდნენ განსაკუთრებულ სათავსოში. კვერებს გარკვეულ დღეებში აცხობდნენ და სწირავდნენ ღვთაებებს. შესაძლოა სწორედ ამ კვერების გამოსაცხობი გუნდების თიხის მოდელები ეწყო მჭადიჯვრის სათავსოს იატაკზე. გორის გვი-

ანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ყველა ჰორიზონტში ვხვდებით მრგვალ ბირთვისებურ ნივთებს, დამზადებულს კერამიკული ფრაგმენტებიდან, რომელნიც მზეს და ბარბარეს კულტს უნდა უკავშირდებოდეს [3, გვ. 63].

ვ. ბარდაველიძის მიხედვით, ბარბარეს ლოცვა-ვედრება ზოგ თემში შუაცეცხლთან სრულდებოდა, ზოგან სალოცავში, უმთავრესად კი საცხოვრებელში, ამომავალი მზის მხარეს, ან აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან [3, გვ. 44]. მჭადიჯვარში ჩვენს მიერ გათხრილ სათავსოში, საკულტო ხასიათის ნივთები (ობსიდიანის ანატკეცები, თიხის ჯამის თიხისავე გარსაკრავი ჯვრით შემკული, მრგვალი თიხის კვერი) აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა მხარეს არის აღმოჩენილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვ. ბარდაველიძის ცნობით, სვანეთში უკანასკნელ ხანებამდე ცხვებოდა ნავისებური ფორმის პური, რომელიც "ჯუარად" იწოდებოდა. პურის ჯვარით დადამღვა ხევსურეთში მიღებული ყოფილა.

ნაცარგორის მთავარ სამლოცველო სენაკში (№ 5-ში) აღმოჩენილი იყო თიხის გუნდები, ხელსაფქვავის ქვები, კაჟის ნამგლის ჩასართები, კვირისტავები, მარცვლის შესანახი დიდი ზომის დერგები [8, გვ. 257]. ანალოგიური ნივთები გვხვდება ყათნალიხევის სათავსოებში.

სომხეთში, მეწამორის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამლოცველოში [37, გვ. 7] ვხვდებით პურის გუნდების მოდელებს, პურის საცხო, ტაფებს, ღუმელს, განლაგებულს სათავსოს აღმოსავლეთ კუთხეში.

სავარაუდოა, რომ მჭადიჯვრის სათავსოში სრულდებოდა წყლით განწმენდის რიტუალი, რაზეც მიგვითითებს რელიეფური, კლაკნილი ხაზებით შემკული ჭურჭელი. ხოლო მთელს გორაზე ჩანს სოლარული კულტის თაყვანისცემის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ გორის გვიანდელ ფენაში აღმოჩენილი იყო თვალის გამოსახულებიანი ოქროს მედალი.

ამგვარად, მჭადიჯვრის ქვემო გორაზე გათხრილი და შესწავლილი იყო გვანბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის კიდევ ერთი საყურადღებო ძეგლი.

L. Tsitlanadze

TOWARD THE HISTORY OF THE MOST ANCIENT NON-MATERIAL CULTURE OF GEORGIAN TRIBES

(Summary)

Archaeological material from ancient sites are of considerable help in the study of issues connected with the non-material culture of the Georgian tribes.

Remains of a plastered log-structure were discovered during the excavations of a multi-layered settlement site in the river Narekvavi valley, near the village of Mchadijvari (Dusheti district). The unearthed structure had been burnt and destroyed: its floor was covered with fragments of clayware. A rectangular-shaped kiln or altar was found by the eastern wall. Fragments of obsidian, a lump of clay placed on a fragment of pottery, bowl with a dome-shaped lid bearing the representation of a cross, a jar decorated with a meandering ornament, Melaani type drinking cups, a few objects resembling whorls, a clay signet ring bearing solar symbols found in the same facility, must have been cult objects.

Three pits, along with a pan-shaped altar, damaged zoomorphic figurine and fragments of pottery were excavated in the area situated above the log-structure. Diggings, carried out in previous years, resulted in finds of clay anthropomorphic figurines and pieces of burnt plaster, testifying to the fact of existence of cult facilities at the site.

The Mchadijvari log-structure bears analogies with the premises excavated at Qatlaniskhevi, Natsargora, Khovlegora and Samtavro and Narekvavi settlements of a later period. Their comparative study, along with an analysis of the obtained pottery, make it possible to date this log-structure to the end of the 2nd millennium B.C.

It seems rational to hypothesize that the local tribes worshipped celestial objects – the sun, moon and stars. The name of both – hill and village – Mchadijvari must be connected with remote religious beliefs, since "jvari" in ancient etymology meant a shrine, place for prayer.

ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. და სხვ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წ. მუშაობის ანგარიში. – მცხეთა II, თბ., 1978, გვ. 81-156.

2. აფაქიძე ა., ყიფიანი გ., ნიკოლაიშვილი ვ. და სხვ. მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის ნარეკვავის რაზმის არქეოლოგიური კამპანია 2000 წელს (ნარეკვავის ნამოსახლარი). – მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი. V სამეცნიერო სესია. 2002 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 2001, გვ. 5-23.

3. ბარდაველიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარბაბარ). თბ., 1941.

4. ბარდაველიძე ვ. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან. – მიმომხილველი, I, 1949, გვ. 123-155.

5. ბარამიძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 1998.

6. ბერძენიშვილი ნ. ერთი ფურცელი ისტორიული გეოგრაფიის დღიურიდან. – სიგკ, I, 1960, გვ. 141-184.

7. ბერძენიშვილი ნ., ფხაკაძე გ. გამოქვაბული საგვარჯილე. თბ. 1976.

8. გობეჯიშვილი გ. სტალინირის ნაცარგორა. – მიმომხილველი, II, 1951, გვ. 239-276.

9. დავლიანიძე რ., სადრაძე ვ., მურვანიძე ბ., ხუბულური ნ. რკინის ფართო ათვისების ხანის სამლოცველო კალანდაძის გორიდან. – სმამ, 134, № 3, 1989, გვ. 201-203.

10. დავლიანიძე რ. პურის საცხობი ღუმელები ნარეკვავის ნასახლარიდან. – არქეოლოგიური ძიებანი, ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1982, გვ. 21-25.

11. კალანდაძე ა. სამთავროს წინაანტიკური ძეგლები. – მცხეთა, IV, თბ., 1982, გვ. 38-173.

12. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტები ძველ საქართველოში. თბ., 1976.

13. კიკვიძე ი. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. თბ., 1972.

14. კილაძე ნ. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი საგვარჯილე. – სმამ, XIV, № 9, 1953, გვ. 563-566.

15. ლორთქიფანიძე მ. ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, ტ. I. თბ., 1969.

16. მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ. შილდის სამლოცველო. თბ., 1984.

17. მუსხელიშვილი დ. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბ., 1978.

18. სადრაძე ვ. წეროვან II ბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვანი. კატალოგი. – მცხეთა, IX, თბ., 1989, გვ. 77-154.

19. სადრაძე ვ. ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი. თბ., 1993.

20. სურგულაძე ი. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბ., 1986.

21. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველის ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები. ძვ წ. XV–VIII სს. თბ., 1973.

22. ფიცხელაური კ., მენაბდე ც. გადრეკილის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1982.

23. ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. I. თბ., 1955.

24. ჩუბინიშვილი ტ. მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1957.

25. წითლანაძე ლ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება დუშეთის რაიონში, 1969 წ. – არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წ., თბ., 1971, გვ. 166-168.

26. წითლანაძე ლ. არქეოლოგიური ძეგლები სოფ. მჭადიჯვარიდან. – ძმ, № 3, 1975, გვ. 41-46.

27. ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე, I. თბ., 1964.

28. ჯავახიშვილი გ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჭიათურის რაიონში, სოფ. ზოდში, გამოქვაბულ სამელე კლდეში 1966 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. – სსმაე, I, 1969, გვ. 12-18.

29. ჯანაშია ს. ჯვარი როგორც რელიგიისა და იდეოლოგიის სიმბოლო. ქართული ქრისტიანული კულტურისა და იდეოლოგიის გავრცელება კავკასიის მთიანეთში. – შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 235-253.

30. ჯავახიშვილი ა., ღლონტი ლ. ურბნისი, I. თბ., 1962.

31. ჯავახიშვილი ა. და სხვ. ბერიკლდეები. თბ., 1980.

32. Абрамишвили Р. М., Николаишвили В. В., Окропиридзе Н. И., Рамишвили А. Итоги археологической экспедиции Большого Тбилиси. – ПАИ, 1973 (1974), с. 21-23.

33. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

34. Мелитаури и др. Жилье рубежа II-I тысячелетия до н. э. Самтавро. – СМАМ, 95, № 2, 1979, гв. 505-508.

35. Сургуладзе И. К. Астральная символика в грузинском народном орнаменте. Тб., 1967.

36. Токарев С. А. Религия и история народов мира. М., 1964.

37. Ханзадян Е. В. Культовые памятники Мецамора. Ереван, 1978.

38. Ханзадян Е .В. Остатки материального производства. Стратиграфические наблюдения и вопросы датировки поселения. Ереван, 1973.

39. Хачатарян П. С. Древняя культура Ширака. Ереван, 1975.

40. Цитланадзе Л. Г. и другие. Археологические исследования в долине Нареквави. – ПАИ,1974 (1976), с. 49-50.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1–9. თიხის ჭურჭელი სათავსოდან; 10. თიხის კოჭობი სათავსოს გვერდით მდებარე ფენიდან.

ტაბ. II – 1, 3. ბრინჯაოს ნემსი და ღილაკი; 2, 7–9. კვირისტავები, ურმის თვლის მინიატურული მოდელი ძვლის და თიხის; 4–6. შრომის იარაღები ძვლისა, სათავსოდან და მის მიმდებარე ტერიტორიიდან; 10. ცხოველის ტორსი, თიხის №2 ორმოდან; 11. თიხის ჭურჭლის პროფილირებული ნატეხი "ქურის" ტერიტორიიდან; 12. ირმის რქის წვერის ნატეხი (მინიატურული საყბეური) წვრილი ორნამენტით დაფარული; 13. სამარილე.

Description of the plates

Pl. I – 1-9. pottery from the facility; 10. clay pot from the layer beside the facility.

Pl. II – 1, 3. bronze needle and button; 2, 7-9. whorls, tiny models of ox-cart wheel made of clay and bone; 4-6. bone implements from the facility and adjacent area; 10 clay torso of an animal from pit 2; 11. profiled fragment of a clay vessel found near the "kiln"; 12. fragment of the pointed end of deer antler, miniature cheek-piece, adorned with fine ornament; 13. salt-cellar.

ტაბ. I



ტაბ. II



ალექსანდრე რამიშვილი

გრავირებული კოლხურ ცულებიანი სამარხი სოფ. ნაცარგორიდან (წაკითხულია თ. მიქელაძის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილ სესიაზე)

დღეისათვის შიდა ქართლში კოლხური კულტურის განმსაზღვრელი ყველა ძირითადი კომპონენტია აღმოჩენილი გარდა ბრინჯაოს წალდისა. კერძოდ, ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით შიდა ქართლში აღმოჩენილია 73 კოლხური ცული, 38 თოხი და 29 სეგმენტური იარაღი [11]. ყოველივე ამას ემატება 160 კოლხური ცული თლიას სამაროვნიდან მდ. დიდი ლიახვის შუა წელზე. იმის გასარკვევად, თუ რომელი კულტურის სფეროში შედიოდა შიდა ქართლი გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში, არანაკლები მნიშვნელობა აქვს კერამიკული მასალის შესწავლასაც, მაგრამ ნამოსახლარებზე მოპოვებული დიდძალი მასალა, ხოვლეგორაზე გამოვლენილის გარდა, დღესაც ელის თავის სრულ პუბლიკაციას და ამდენად მსჯელობა მის შესახე, გართულებულია.

ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა ქართლში კოლხური კულტურის ელემენტის ყოველ ახალ აღმოჩენას, მით უმეტეს თუ ის კომპლექსურია. ამ მხრივ საინტერესო მასალას შეიცავს ხაშურის რ-ნის სოფ. ნაცარგორის სამაროვანზე გამოვლენილი სამარხეული კომპლექსები. აღმოჩენილია 5 კოლხური ცული (მათგან 4 გრავირებული), 3 თოხი, გრავირებული შუბისპირი, გრავირებული აბზინდები და სარტყლები, ბრინჯაოსა და რკინის მშვილდსაკინძები, გრავირებული მასიური ბრინჯაოს საწვივე რგოლები და სხვ. ცხადია, ერთი სტატიის ფარგლებში გაჭირდება ნაცარგორის სამაროვანზე დღეისათვის გამოვლენილი კოლხური და მისი თანმხლები მასალის სათანადო განხილვა. ამიტომ ქვემოთ წარმოვადგენ ნაცარგორის სამაროვანზე გათხრილ მხოლოდ ერთი № 319 სამარხის ინვენტარს.

№ 319 სამარხის დასაკრძალავ ორმოს გეგმაში აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებული მართკუთხედის ფორმა აქვს. მისი სიგრძე 1,8 მ, ხოლო სიგანე - 1,2 მ-ია. მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით დასავლეთისაკენ (სურ. 1). სამარხში აღმოჩნდა: თიხის 3 ჭურჭელი (ლანგარი, ქოთანი, დოქი); ბრინჯაოს 2 კოლხური გრავირებული ცული; 2 „ქუდი," ნაღვენთები; რკინის გრძელი მახვილი ბრინჯაოს ტარითა და ქარქაშით; რკინისავე შუბისპირი, დანა და სარდიონისა და პასტის მძივები (ტაბ. I-II). სარდიონის მძივებიდან 3 დისკოსებურია (970), 3 - სფერული, დიდი (971), 2 - რომბისებური (972), 1 - მსხლისებური (973), 1 - შინდისკურკისებური (974), 18 - თითქმის ცილინდრული (975), 8 - მანდარინისებური (976), 97 - მრგვალი (977); თეთრი პასტის მძივებიდან კი 2 რომბისებურია, ზედაპირზე ამოღარული ბადით (980), 1 - შემკრები, პატარა (981), 1 - ცილინდრული, ამოღარული სარტყლებით (982), 13 - წახნაგოვანი (983), 3 - ცილინდრული (984) და 3 - მრგვალი (985). სულ 196 მძივი.



სურ. 1

ეს სამარხეული კომპლექსი უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს გრავირებული კოლხური ცულებისა და ბრინჯაოს ტარიანი რკინის გრძელი მახვილის თანაარსებობით. თარიღის განსაზღვრისათვის ძირითად საყრდენს წარმოადგენს ბრინჯაოს ტარიანი გრძელი მახვილი. რკინის ფართო ათვისების ხანის II საფეხურის რკინის იარაღი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უკვე აღარ იმეორებს ადგილობრივი ბრინჯაოს შესაბამისი იარაღის ფორმებს. რკინის მახვილები და სატევრები ფორმის მხრივ აღარ იმყოფებიან გენეტიკურ კავშირში შესაბამის ბრინ-

ჯაოს იარაღთან. ამან კი საფუძველი მისცა ბ. პიოტროვსკის, განსახილველი ტიპის მახვილების გავრცელება დაეკავშირებინა ვანის სამეფოსთან და ეს მახვილები ურარტული წარმოშობისად ჩაეთვალა [27, გვ.39; 28, გვ. 41-42; 26, გვ. 86]. ამასთან დაკავშირებით, სავსებით მართებულად შენიშნა რ. აბრამიშვილმა, თავის ცნობილ გამოკვლევაში საქართველოში რკინის ათვისების შესახებ, რომ ამ მახვილების ურარტულ წარმოშობას საეჭვოდ ხდის ვანის სამეფოს ცენტრალურ რაიონებში ამ ტიპის მახვილების აღმოჩენის იშვიათობა, მაშინ როდესაც ეს მახვილები გავრცელებული არიან და წამყვან იარაღადაც კი შეიძლება ჩაითვალოს ამიერკავკასიის VIII-VII საუკუნეების ძეგლებში [2, გვ. 370]. შემდეგში იგივე გაიმეორეს დ. ხალილოვმა [33], ო. დანელიანმა [19] და მ. პოგრებოვამ [29, გვ. 51], თუმც ეს უკანასკნელი ამ მახვილებს მაინც ურარტულად მოიხსენიებს. როგორც ჯერ კიდევ რ. აბრამიშვილი აღნიშნავდა ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, მარტო სამთავროს სამაროვანზე ოცზე მეტი ამგვარი მახვილი არის აღმოჩენილი. გარდა ამისა, იმავე ნაშრომში მითითებულია კავკასიაში მსგავსი მახვილების აღმოჩენის სხვა შემთხვევებიც. კერძოდ, სათოვლეში [4, ტაბ. I_1], ნარეკვავში [10, გვ. 214, ტაბ. X_2], პატარძეულში, ვაშლიჯვარაში, წოფში, თაქქილისაში [24, გვ. 63], ყაზახბეილიში, მუსიიერში [35, გვ. 90, ნახ. 23, 84, ტაბ. III_1], ვორნაკში [28, გვ. 42], კარმირ-ბლურზე [28, გვ. 42, ნახ. 32], მინგეჩაურში [23, გვ. 26, ნახ. I]. შემდეგში ასეთივე მახვილები აღმოჩნდა კახეთში, რკინის კალოს სამაროვანზე, № 27 სამარხში [6, გვ. 9, 55, ტაბ. XLVI_{461}], ნარეკვავში სამარხები № 13, 29 [8, სურ. 94; 9, ნახ. 164]. რამდენიმე ასეთი მახვილი აღმოჩნდა ხაშურის რაიონის სოფ. ნაცარგორის სამაროვანზეც (სამარხები № 152, 171, 208, 319 და 339).

რ. აბრამიშვილმა ბრინჯაოს ტარიანი გრძელი მახვილების შემცველი სამარხები ძვ.წ. VIII ს-ითა და VII ს-ის პირველი ნახევრით დაათარიღა [1, გვ. 132-134; 3, ტაბ. $I_{78, 94}$]. რამდენადმე განსხვავებული შეხედულება გამოთქვა ამ მახვილების თარიღის შესახე, მოსკოველმა არქეოლოგმა მ. პოგრებოვამ. მისი აზრით, სამთავროს სამაროვანზე განსახილველი რკინის მახვილები არსებობენ ძვ.წ. VIII ს-დან VI ს-ის ჩათვლით, ფართოდ იყო გავრცელებული ძვ.წ. VII-VI სს-ში და განსაკუთრებით ძვ.წ. VII ს-ში [29, გვ. 57].

ამ შეხედულების დასასაბუთებლად მას მოაქვს რამდენიმე არგუმენტი. პირველ რიგში იგი მიუთითებს, რომ სამთავროს ორ სამარხში, მისი გამოთქმით „ურარტულ“ მახვილებთან ერთად, აღმოჩნდა ბრინჯაოს ადრეული იერის მქონე სკვითური ისრისპირი.

მ. პოგრებოვას აზრით, სამთავროში ბრინჯაოს ტარიანი რკინის გრძელი მახვილების ადრეულობაში დაეჭვების საფუძველს იძლევა ისიც, რომ ამ სამარხებში არ გვხვდება ბრინჯაოს სატევრები და რიგი სხვა (? - ა.რ.) ნივთები [29, გვ. 56, 57].

გადაჭრით უნდა ვთქვა, რომ არცერთი მათგანი არ არის დამაჯერებელი. სამთავროს სამაროვანზე სკვითური ისრისპირის შემცველი 9 სამარხია გათხრილი. მათგან ორი (№№ 71, 293) მართლაც შეიცავს ბრინჯაოს ტარისა და ქარქაშის მქონე რკინის მახვილებს, მაგრამ მ. პოგრებოვას უყურადღებოდ რჩება ის, რომ ისინი ფართოპირიანებია. ამ ტიპის მახვილები კი, ვიწროპირიანებთან შედარებით, გვიანდელებია და თარიღდებიან ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ით [1, გვ. 125-132; 2, გვ. 372-374].

ასევე არ ითვალისწინებს პოგრებოვა იმასაც, რომ სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ 100-მდე რკინის ნივთთან ერთად, ისრისპირების გარდა, მხოლოდ 6 იარაღია ბრინჯაოსი ნაპოვნი - 4 შუბისპირი №№ 55, 96[ბ], 255 და 376 სამარხში და 2 კოლხური ცული №№ 121 და 260 სამარხში [2, გვ. 369].

ასე რომ, მ. პოგრებოვას მიერ მოტანილი არც ერთი ფაქტი არ გამოდგება სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული ბრინჯაოს ტარისა და ქარქაშის მქონე რკინის გრძელი და ვიწრო მახვილების თარიღის დასადგენად.

№ 319 სამარხში, როგორც აღვნიშნეთ, აღმოჩნდა ბრინჯაოს 2 გრავირებული ცული. ბოლო გამოკვლევების მიხედვით [15, გვ. 89], კავკასიის გრაფიკული სტილი ზოგადად ძვ.წ. IX ს-ის დასასრულიდან VI ს-ის პირველ ნახევრამდეა დათარიღებული. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კოლხურ გრაფიკულ ხელოვნებაში ერთ-ერთი წამყვანი ნივთია კოლხური ცული. მართებულია ამ ცულების ერთ-ერთი მკვლევარის შენიშვნა, რომ არასოდეს მეორდება დეტალებში ამ იარაღებზე მოთავსებული გამოსახულებანი [31, გვ. 4]. მართლაც, თუ ავიღებთ განსახილველ ცულებს, აღმოჩნდება, რომ დღემდე ცნობილ არც ერთ ცულზე გამოსახული ცხოველის ტანზე არ არის ვარდულები, ისევე როგორც არ არიან ისინი არც სატარე ხვრელის როგორც წინა, ისე უკანა პირს ქვემოთ წახნაგებზეც. ასევე არც ერთი ცულის წელის ქვედა ნაწილში არ არის გამოსახული თევზი შუბლის მხარეს. განსხვავებულია ნაცარგორის ცულის თევზის შემკულობაც. მხოლოდ ნაცარგორის თევზის ტანია დაფარული წიწვისებური ნაჭდევებით. მხოლოდ ამ ცულის წელს აქვს ბადისებურ ზოლებს შორის მოქცეული დაწინწკლულ ზედაპირიანი რომბების ორი მწკრივი.

რაც შეეხება განსახილველ სამარხში მოპოვებულ მეორე, ორგზის მოხრილ ტანიან ცულს (962), იგი ყველა სხვა გრავირებული ცულისაგან განსხვავდება, ლოყებზე გამოსახული მეანდრების საერთო მონახაზით, მეანდრებზე შემოვლებული ჩარჩოთი. ასევე არც ერთ სხვა

ცულს არა აქვს ყელზე ამოღარულ ხაზებს შორის მოქცეული დაწინწკლული ხაზების სარტყელიც. ასე, რომ მხოლოდ ცულებზე მოთავსებული გრავირებული სახეების მიხედვით ცულების თარიღის განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მე მაინც შევეცადე მომეძებნა რამდენადმე მსგავსი შემკულობის მქონე ცულები. ნაცარგორის № 963 ცულს ზოგად ხაზებში წააგავს თლიას სამაროვნის № 140 და 223 სამარხებში და სამთავროს № 121 სამარხში აღმოჩენილი ცულები. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ცულები დათარიღებულია ძვ.წ. VIII ს-ითა და VII ს-ის პირველი ნახევრით [1, გვ. 132-133; 2, გვ. 368, ტაბ. XIV; 15, გვ. 68-69]. ამავე დროით არის აგრეთვე დათარიღებული ნინო სულავას უახლეს გამოკვლევაში ფიბულების შესახებ, რკინის დაბალრკალიანი მშვილდსაკინძები, რომლის მსგავსი აღმოჩენილია ნაცარგორის განსახილველი სამარხის შემადგენლობაში.[3]

ის, რომ რკინის ბრინჯაოსტარიანი და ქარქაშიანი მახვილი, კოლხური გრავირებული ცულები და რკინის დაბალქედიანი მშვილდსაკინძი ნაცარგორის № 319 სამარხისა თავის უახლოეს ანალოგებს ძვ.წ. VIII საუკუნისა და VII ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ ძეგლებში ნახულობენ, უფლებას გვაძლევს ეს სამარხიც იმავე დროით დავათარიღოთ.

როგორც ვხედავთ, № 319 სამარხის ინვენტარი, მიუხედავად იმისა რომ იგი შეიცავს ბრინჯაოს გრავირებულ კოლხურ ცულებს, ძირითადად შედგება შიდა ქართლური არტეფაქტებისაგან. სრულიად აშკარაა, რომ კოლხური ელემენტი № 319 სამარხში, ისევე როგორც საერთოდ სამაროვანზე, არ წარმოადგენს ადგილობრივს და აშკარად არა შიდა ქართლურ ნიადაგზეა წარმოქმნილი. ასე რომ, № 319 სამარხის ინვენტარის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა სავსებით შეესაბამება ამავე საკითხის შესახე, ჩემს მიერ ადრე გაკეთებულ დასკვნებსა და შეხედულებებს [11, გვ. 26-33; 12, გვ. 135-136].

№ 319 სამარხთან დაკავშირებით ძალიან მოკლედ შევეხები საერთოდ კოლხურ-ყობანურ კულტურათა ურთიერთობის ზოგიერთ მხარეს, რამდენადაც ამ სამარხის შემადგენლობაშია გრავირებული და მათ შორის ორგზის მოხრილტარიანი ცული, რომელიც მკვლევართა ერთი ჯგუფის აზრით ყობანურ წარმონაქმნად არის მიჩნეული. ამ საკითხზე თუნდაც მოკლე საუბარი მით უფრო გამართლებულია თეიმურაზ მიქელაძისადმი მიძღვნილ ნაშრომში, რამდენადაც ბატონ თეიმურაზს საკმაოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული კოლხურ-ყობანური კულტურების ურთიერთობის შესახებ. ქვემოთ შევეცდები მხოლოდ მცირე კომენტარებით მოვიტანო ბატონ თეიმურაზის ზოგიერთი შეხედულებანი კოლხურ-ყობანურ კულტურების ურთიერთობის შესახებ.

როგორც ცნობილია, ამ 130 წლის წინ ოსეთის სოფელ ყობანში ხაბიშ კანუკოვის ნაკვეთზე აღმოჩნდა ბრინჯაოს გრავირებული ნივთები, რომლებმაც მაშინვე მიიპყრო საყოველთაო ყურადღება. ეს ნივთები გახდნენ საწყისი ახალი არქეოლოგიური კულტურისა, რომელსაც სახელად მისი აღმოჩენის ადგილის მიხედვით, ეწოდა ყობანური კულტურა. სამწუხაროდ, ყობანის სამაროვანზე კარგა ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა განძის მაძიებელთა თარეში, რის შედეგადაც ეს დიდებული ძეგლი მთლიანად განადგურდა. დღეს ყობანის კულტურის ნივთებს საპატიო ადგილი უკავია მსოფლიოსა და რუსეთის არაერთ მუზეუმში, ხოლო ოსეთის რესპუბლიკური მუზეუმი კი მხოლოდ ორიოდე ყობანური ნივთის ამარაა. შემდგომში, ე.წ. ყობანური ცულებისა და ბრინჯაოს სხვა ნივთების დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სულ უფრო და უფრო მზარდი აღმოჩენების კვალდაკვალ, დაისვა საკითხი „ყობანური“ ცულებისათვის კოლხური ცულების დარქმევის შესახე, [34; 20, გვ. 56-59; 21; 22; 24; 14]. სხვა მკვლევარების მსგავსად, ამ მოსაზრების ძირითად არგუმენტს თ. მიქელაძე ხედავს იმ ფაქტში, რომ სწორედ კოლხეთშია ფართოდ გავრცელებული კოლხური ცულის ყველა ტიპოლოგიური სახესხვაობა, აქვეა აღმოჩენილი მათი ყალიბები, აქვე ჩანს კოლხური ცულის თანდათანობითი განვითარების მთელი პროცესი პროტოტიპებისა და საშუალედო ფორმების ჩათვლით, რასაც ისტორიული კოლხეთის გარეთ ვერსად ვერ ვხედავთ [25, გვ. 40]. თეიმურაზ მიქელაძის მართებული შეხედულებით, სწორედ კოლხური ცულების ფორმების სრულყოფილება და უნივერსალურობა გახდა მიზეზი მათი ფართო გავრცელებისა მთელ კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთაც, ხოლო მეზობელ ყობანურ კულტურაში იგი განმსაზღვრელ საგნადაც იქცა [25, გვ. 40].

უდავოდ აღსანიშნავია ისიც, რომ თ. მიქელაძის გარდა არავის გაუმახვილებია ყურადღება ამბროლაურის რაიონის სოფ. სინათლის განძში აღმოჩენილ ერთ-ერთ გრავირებულ ცულზე, რომელიც დღესაც, ალბათ, ერთადერთია ორგზის მოხრილტანიან ცულებს შორის მახვილი ყუის მქონე [5, გვ. 564-570; 14, გვ. 36-37, სურ. 29_2]. ჩემი აზრით, თ. მიქელაძემ სავსებით სწორად მიუთითა, რომ ეს ცული მიგვანიშნებს კოლხური ცულის ორგზის მოხრილი ფორმის საწყისების ძიების პერსპექტიულობაზე ცენტრალურ კოლხეთში [25, გვ. 48].

თეიმურაზ მიქელაძის აზრით, ის რომ ყობანური ბრინჯაოს ნაკეთობათა მთელი წყება, მათ

[3] მადლობას მოვახსენებ ქალბატონ ნინო სულავას საქართველოს ფიბულებზე მის მიერ შესრულებული შესანიშნავი გამოკვლევის ხელნაწერის სახით გაცნობისათვის. ამჟამად ერთი ნაწილი ამ ნაშრომისა გამოქვეყნებულია [13; 13ª].

შორის, რაც მთავარია, წამყვანი ფორმები (ცული, აბზინდა, ფიბულა, საკისრე რგოლი) აბსოლუტურად ანალოგიურია კოლხურთან, არ არის შემთხვევითი და მისი წარმოება არ შეიძლება მიეწეროს მხოლოდ ტომთა შორის ურთიერთობას. იგი თვლის, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ცენტრალურ კავკასიაში კოლხეთიდან ცალკეული ეთნიკური ნაკადების ინფილტრაციის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ კოლხები და ოსები ერთმანეთს უშუალოდ არასდროს ეხებოდნენ, აშკარა კვალი კოლხური სამყაროს ცენტრალურ კავკასიაში შეღწევისა, კარგად ჩანს, ერთი მხრივ, კოლხური ბრინჯაოს გავრცელებაში კავკასიონის ჩრდილო კალთებზე და მეორე მხრივ, ოსურ ენაში სუბსტრატული პლასტის სახით კოლხური ლექსიკის არსებობაში, რაც დადგენილი აქვს ცნობილ ოს ლინგვისტს პროფ. ვ. აბაევს [18; 17, გვ. 20-22; 16, გვ. 47-48]. თეიმურაზ მიქელაძეს ბუნებრივად მიაჩნია ამ ორი მოვლენის როგორც ურთიერთ დაკავშირება, ისე მათი სინქრონიზაცია. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ კოლხეთის ის რაიონები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებოდნენ ცენტრალურ კავკასიას, საიდანაც უნდა შეეღწია ზანურენოვან ეთნიკურ ნაკადებს, სულ ცოტა ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან განიცდიდნენ ინტენსიურ ქართიზაციას და ამდენად ზანურენოვანი ელემენტების შეღწევა ჩრდილო კავკასიაში უფრო ადრეული მოვლენაა.

თ. მიქელაძე მიიჩნევს, რომ მიუხედავად გვიანი ბრინჯაოს ხანის მეორე ეტაპზე კოლხური და ცენტრალური კავკასიის კულტურებს შორის ბევრი საერთო ელემენტის არსებობისა, ისინი მაინც უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან, რამდენადაც გარდა ამ კულტურების საწყის ეტაპებს შორის საგრძნობი ქრონოლოგიური სხვაობისა, ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დასახლებისა და საცხოვრებლის ტიპებით, დაკრძალვის წესით, კერამიკით, ორნამენტაციის წესით და ლითონის იარაღის კომპლექტით. კოლხური კულტურის იარაღის ძირითადი ელემენტები - წალდი, თოხი და სეგმენტური იარაღი სრულიად უცნობია ყობანური კულტურისათვის. ამიტომ მას მართებულად მიაჩნია ა. იესენის და ე. კრუპნოვის აზრი კოლხური და ყობანური კულტურების სხვაობის შესახებ, [22, გვ. 80].

საინტერესოა თ. მიქელაძის შეხედულებანი კოლხური ეთნოკულტურული ნაკადის ცენტრალურ კავკასიაში შეღწევის გზების შესახებ. მისი აზრით, ისინი შეიძლება რიონის ხეობით გადადიოდნენ თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, იქიდან გადასასვლელებით თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთში და შეიძლება იქიდან უკვე ქვევით, დიდი ლიახვის ხეობით, ქართლში. მისი აზრით, თლიას კომპლექსებში აღმოსავლურ-ქართული ბრინჯაოს, კერძოდ, ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულების არ არსებობა, ალბათ, იმაზე მიგვითითებს, რომ კოლხური ბრინჯაო ქართლში ვრცელდებოდა ჩრდილოეთიდანაც, დიდი ლიახვის ხეობით [25, გვ. 75-76].

ჩემი აზრით, თ. მიქელაძე სავსებით მართებულად მსჯელობს კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის შესახებ. ერთადერთი რაც მე პირადად ჯერ კიდევ დასადასტურებლად და გასარკვევად მიმაჩნია, არის ლიახვის ხეობაში თლიას სამაროვანზე გამოვლენილი კულტურის მატარებელთა შეღწევის გზების საკითხი. ვფიქრობ, ის რომ თლიას სამაროვანზე არ არის აღმოჩენილი ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცული, შეიძლება არ იყოს საკმარისი იმისათვის რომ ვამტკიცოთ თლიას სამაროვანზე დაკრძალულების ჩრდილოეთიდან მოსვლა, რადგანაც თლიას სამაროვნის ზოგად თარიღად, როგორც ჩანს, უნდა მივიღოთ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი [15, გვ. 90], ეს კი ის დროა, როდესაც ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულები გამოდიან ხმარებიდან და ამდენად, შესაძლებელია მათ ამიტომ ვერ შეაღწიეს დიდი ლიახვის ხეობაში. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ძეგლის გამთხრელმა ბ. ტეხოვმა გამოთქვა მოსაზრება ლითონის ნაწარმის პირიქით თლიდან ყობანში გავრცელების შესახე, [30, გვ. 214]. ასევე საყურადღებოა მოსაზრება ცენტრალური კავკასიონის კულტურის შესახებ. მართალია, ზოგი (ა. იესენი, ლ. სახაროვა) ამ ტერმინში კოლხური კულტურის ვარიანტს, ზოგი (ბ. ტეხოვი) კი ყობანური კულტურის სინონიმს გულისხმობს, მაგრამ დღეს არსებული მონაცემებით თვალსაჩინოა „ცენტრალური კავკასიონის კულტურის“ მჭიდრო კავშირი კოლხურ კულტურასთან და პერსპექტიული – მისი ფესვების ძიება კოლხურივე კულტურის წიაღში.

დასასრულ, არ შემიძლია ორიოდე სიტყვით მაინც არ გამოვეხმაურო ბ. ტეხოვის მიერ ამ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულ სტატიას ყობანური, ანუ როგორც მას ბ. ტეხოვი უწოდებს, ყობანი-თლიას კულტურის აღმოჩენის 130 წლისთავთან დაკავშირებით [32, გვ. 6-13]. ჯერ ერთი, ავტორს შემოაქვს საყოველთაოდ ცნობილი კულტურის შეცვლილი სახელწოდება, რომელმაც საეჭვოა მოიპოვოს მოქალაქეობრივი უფლება. ჯერ ერთი, იგი უხერხულია გამოსათქმელად და მეორეც, ხომ არ შეიძლება ყოველი ახალი, რაგინდ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი, ძეგლის მიხედვით შეიცვალოს ერთხელ მიღებული და აღიარებული სახელწოდება.

ზემოთაც აღვნიშნე და კვლავ გავიმეორებ, მას შემდეგ რაც დასავლეთ საქართველოში მომრავლდა ე.წ. ყობანური ცულების აღმოჩენის შემთხვევები, სრულიად მიუკერძოებელმა მკვლევარებმა (მ. ივაშჩენკო, ი. მეშჩანინოვი, ა. იესენი, ბ. კუფტინი) დააყენეს საკითხი არა თუ ყობანური ცულის, არამედ საერთოდ ყობანური კულტურისათვის კოლხურის დარქმევის შესა-

ხებ. ყობანურ ძეგლებზე მომუშავე სპეციალისტებმა ეს წინადადება არ მიიღეს. აგერ უკვე 70 წელზე მეტია მიმდინარეობს დავა ამ საკითხის ირგვლივ, თუმცა არც ერთ მკვლევარს დღემდე არ გაუხდია სპეციალური ძიების საგნად ეს მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხი, მაგრამ არ ვიცი დღემდე არც ერთი ისეთი ნაშრომი, თუნდაც ყობანური კულტურის შესახებ, რომელშიც ამა თუ იმ ფორმით არ არის ნახსენები კოლხური კულტურა და კოლხური ცული. ბ. ტეხოვმა კი ზემოთ მითითებულ ნაშრომში მოახერხა ეს გაეკეთებინა და ყობანური კულტურის 130 წლისთავისადმი მიძღვნილ ნაშრომში ერთი სიტყვითაც კი არ ახსენა არც კოლხური კულტურა და არც კოლხური ცული.

რასაკვირველია, ამჯერად სიტყვას არ გავაგრძელე, „ყობანი-თლიას კულტურის“ მატარებელი ხალხის ისტორიის ძვ.წ. XIV სს-ით დათარიღების შესახე, და წინამორბედ ეპოქებში ამ კულტურის სათავეების ადგილობრივ არსებობის თაობაზე. ასევე გაუგებარია და დაუსაბუთებელი ამ კულტურის არეალის საკმაოდ ვრცელი ტერიტორიით შემოფარგვლა (ასე მაგალითად, ამიერკავკასიაში მისი აღმოსავლეთი საზღვარი მდ. იორამდეა მიტანილი და სხვ.). ერთი სიტყვით, სავსებით აშკარაა, რომ ბ. ტეხოვის უკანასკნელი ოპუსის სახით სამეცნიერო ლიტერატურა „გამდიდრდა“ უაღრსად ტენდენციური ნაშრომით. იგი კიდევ ერთხელ მიუთითებს კოლხურ-ყობანური ურთიერთობის საფუძვლიანი გამოკვლევის აუცილებლობას. ვფიქრობ, პირველ რიგში რაც უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით არის ის, რომ შედგეს დაწვრილებითი ატლასი ამ საკითხთან დაკავშირებული როგორც ძეგლებისა, ისე არტეფაქტებისა კავკასიის ორივე კალთისათვის, მოხდეს შეკრებილი მონაცემების კარტოგრაფირება და შემდეგ ალბათ ისე ძნელი აღარ იქნება ამ საპაექრო საკითხის გარკვევაც.

Al. Ramishvili

BURIAL CONTAINING ENGRAVED AXES FROM THE VILLAGE OF NATSARGORA

(Summary)

Shida Kartli represents a region of overlapping of the Colchian and the so-called Eastern Georgian cultures. Naturally enough, every find of Colchian evidence, especially complex ones, acquires primary importance. Archaeological material obtained at the necropolis of Natsargora is noteworthy just from this specific point. 5 Colchian axes (4 of them engraved), 3 mattocks, engraved buckles, metallic girdles, spearheads, sheath rings, fibulae, etc. were found in various burials.

The paper deals with burial № 319 of the above necropolis (Pl. I), which contained, along with three clay vessels, the following items: 2 engraved bronze axes, an iron sword with a bronze hilt and sheath, open-shafted iron spearhead, knife, low-arched fibula, two bronze “pin-heads” and cornelian (133) and paste (64) beads.

The burial dates from the 8th and the first half of the 7th cent. B.C., since engraved axes, iron sword with a bronze hilt and low-arched iron fibula are attributed to this period in the specialist literature (R. Abramishvili, L. Pantskhava, N. Sulava).

The paper ends with a minor remark apropos the last article by B. Tekhov, dedicated to the 130th anniversary of the so-called Kobano-Tlia culture. Firstly, it is difficult to justify substituting the hard to pronounce “Koban-Tlia culture”for the generally accepted term “Koban culture”.

As is generally known, since the so-called Koban axes and other metallic items, also evidenced in Koban, were found in quantities on the territory of Western Georgia, unbiased researchers suggested that not only the denomination of the axe, but the name of the entire “Koban” culture should be amended to “Colchian” (M. Ivashchenko, J. Meshchaninov, A. Iessen, B. Kuftin). Despite the fact that many scholars, Georgian among them, are nevertheless inclined to distinguish the Koban and Colchian cultures, while students of Koban culture unanimously reject any Colchian affinities of the double-bent bronze axes, it is impossible to recall any work on solely Koban culture without any reference to Colchian culture or Colchian axes for the last 70 years. B. Tekhov is the first researcher to have entirely neglected and not mentioned either Colchian culture or even Colchian axes in his paper dedicated to the 130th anniversary of Koban culture.

Chronological attribution of Koban culture – 14th-4th cent. B.C. – suggested in Tekhov’s paper as well as its local roots to be sought in previous periods, are in no way convincing. Overall extension of this cultural area into Transcaucasia up to the Iori river is also a conjecture that is neither persuasive nor well grounded. Nevertheless, one thing seems absolutely clear: B. Tekhov's paper has “enriched” the specialist literature with a sort of biased “work”, at the same time demonstrating the urgency of multiperspective study of interrelations between the Colchian and Koban cultures.

ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 115-140.

2. აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმმ XXII-B, 1961, გვ. 291-382.

3. აბრამიშვილი რ. ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები. – თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, № 1, 1997, გვ. 1-22.

4. ბადრიაშვილი მ. არქეოლოგიური ძეგლები სოფ. სათოვლედან. – სსმმ XVII-B, 1953, გვ. 235-241.

5. გძელიშვილი ი. კოლხური ცულების განძი ამბროლაურის რაიონიდან. – სმამ, 1951, ტ. XII, № 9, გვ. 964-970.

6. კობაიძე ლ. რკინის კალოს სამაროვანი. თბ., 1976.

7. მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ., 1974.

8. მცხეთა VII. თბ., 1985.

9. მცხეთა X. თბ., 1989.

10. ოქროპირიძე ნ. ნარეკვავის სამაროვანი. – იიშ, VII, 1963, გვ. 193-220.

11. რამიშვილი ალ. შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიის პრობლემები. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1998.

12. რამიშვილი ალ. კოლხური კულტურის ინფილტრაცია შიდა ქართლში. – ქუთაისური საუბრები, VI სიმპოზიუმის მასალები, 1999, გვ. 135-136.

13. სულავა ნ. სამთავროს სამაროვნის ფიბულებიანი სამარხების დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 5, 2000, გვ. 65-71.

13ª. სულავა ნ. თლიას სამაროვნის ფიბულებიანი კომპლექსების დათარიღებისათვის. - ძიებანი, № 6, 2000, გვ. 39-45.

14. ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965.

15. ფანცხავა ლ. კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბ., 1988.

16. Абаев В.И. Армено-Осетика. – ВЯ, № 6, 1978, с. 47.

17. Абаев В.И. Типология армянского и осетинского языка и кавказский субстрат. - Sprache und Gesellschaft, Jena, 1970, с. 22.

18. Абаев В.И. Мегрелизмы в осетинском. Осетинский язык и фольклор, М., 1949, с. 47, 48.

19. Данелян О.А. Железные мечи с бронзовыми рукоятками из грунтовых погребений Мингечаура. - Археологические исследования в Азербайджане, Баку, 1965, с. 99-113.

20. Иващенко М.М. Материалы к изучению культуры колхов. – МЗК, II, 1941, с. 1-66.

21. Иессен А.А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. – ИГАИМК, вып. 120, 1935, с. 7-237.

22. Иессен А.А. Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века. – МИА, 23, 1951, с. 75-124.

23. Казиев С.М. Археологические памятники в Мингечауре. – Материальная культура Азербайджана, I, Баку, 1949, с. 71-86.

24. Куфтин Б.А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.

25. Микеладзе Т.К. К археологии Колхиды. Тб., 1990.

26. Пиотровский Б.Б. История и культура Урарту. Ер., 1944.

27. Пиотровский Б.Б. Кармир-блур, I. Ер., 1950.

28. Пиотровский Б.Б. Кармир-блур, III. Ер., 1955.

29. Погребова М.Н. Закавказье и его связи с Передней Азией в скифское время. М., 1984.

30. Техов Б.В. Центральный Кавказ XVI-X вв. до н.э. М., 1977.

31. Техов Б.В. Бронзовые топоры тлийского могильника. Тб., 1988.

32. Техов Б.В. Кобано-тлийская археологическая культура. – Донская археология, 1999, № 3-4, с. 6-13.

33. Халилов Д. А. Могильник у села Казахбеили Казахского района. – Известия АН Аз. ССР. Серия общественных наук, 1958, № 2.

34. Iwaschtschenko M. Ein bronzezeitliche Grabfeld in Ešeri. – ESA, VII, 1931.

35. Morgan J. de. Mission scientifique au Caucase. Paris, 1889.

სურათისა და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1 – № 319 სამარხი, ფოტო.

ტაბ. I – № 319 სამარხის ინვენტარი, ფოტო.

ტაბ. II – № 319 სამარხის ინვენტარი, ჩანახატი.

Description of the figure and plates

Fig. 1 – grave 319, photo.

Pl. I – Burial goods from grave 319, photos.

Pl. II – Burial goods from grave 319, drawing.

ტაბ. I


964
971
975-977
978-979
980-985
968
972-974
963
967
962
965
969
966
960
961
959

ტაბ. II


970
971
972
973
974
975
976
977
978
979
980
981
982
983
984
985
969
963
962
966
0 3
964
967
960
961
0 6
959

ჯონი აფაქიძე

კოლხური კულტურის საგარეო კავშირები ნამოსახლარების კერამიკული მასალის მიხედვით და მათი მნიშვნელობა აბსოლუტური ქრონოლოგიის კვლევისათვის

რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, ძველი კოლხური კულტურის პირველი ეტაპის კერამიკას[4] (ძვ. წ. XVIII-XII სს.) საკუთრივ კავკასიაში პარალელები არ ეძებნება.[5] სამაგიეროდ იგი საკმაოდ ახლოს დგას ეგეოსის, დუნაის აუზისა და განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ იტალიის ტერამარების კულტურის თიხის ნაწარმთან. ხსენებულ რეგიონებთან პარალელები კარგად შეიმჩნევა ბრინჯაოს ნაკეთობებშიც. ეს განსაკუთრებით ეხება ბრინჯაოს ხატისუღლებს, საკინძებს, ზარაკებს, სატევრებს, შუბისპირებსა და მასრიან ისრისპირებს, განსაკუთრებით კი – ბრინჯაოს ფიბულებს.

ბ. კუფტინი ნაოხვამუს კერამიკის (შესაბამისად კოლხური კერამიკის – ჯ. ა.) პარალელებს დუნაისა და პოს მხარეში ეძებდა [16, გვ. 223-227, 237, 240, ნახ. 63]. კოლხური და იტალიის ტერამარების კერამიკული მასალის მსგავსების შესახე, მოსაზრების დასაბუთებას მოკლედ ეხება თ. მიქელაძეც [17, გვ. 21, ტაბ. VI]. ლ. ჯიბლაძე და მ. ბარამიძე იმეორებენ მოსაზრებას ამ რეგიონების კერამიკული ნაწარმის მსგავსების შესახე, [4, გვ. 85; 11, გვ. 115-116]. საერთოდ კი კავკასიურ და სამხრეთ ევროპის კერამიკის გარკვეულ ტიპებს შორის მსგავსება პირველად ე. შანტრმა შეამჩნია. ყობანის მონაპოვრებს მან შეუდარა იტალიის ტერამარების ჯამები რქისებრშვერილიანი ყურებით და ჯამი კოპისებრი გამონაზარდებითა და სახელურზე ცხოველის ფიგურის წყვილადი გამოსახულებებით ლიუბლიანის მუზეუმიდან [24, გვ. 91, 94-97]. ნაოხვამუსა და კოლხეთის სხვა ნამოსახლარების გათხრების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ასეთი პარალელები ნამდვილად უნდა არსებულიყო. კოლხური კულტურის დასავლეთ საქართველოს ნამოსახლარების კერამიკაში ანალოგიები უფრო თვალსაჩინოდ და გამოკვეთილადაა ასახული, ვიდრე ყობანის ცენტრალური და სხვა ვარიანტების კერამიკასთან შედარებით. ამ პრობლემის საბოლოოდ გასარკვევად, მასალების ორიგინალში შესწავლის მიზნით, ჩვენ გავემგზავრეთ იტალიაში. ტერამარების მონაპოვრებს გავეცანით ლუიჯი პიგორინის სახელობის რომის პრეისტორიისა და ეთნოგრაფიის, მოდენას არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ, რეჯიო ემილიასა და პარმას არქეოლოგიურ მუზეუმებსა და ვერონას ძველი ისტორიისა და ბუნების მუზეუმში.

პოს დაბლობი თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და გეოკლიმატური პირობებით კოლხეთის დაბლობს მოგვაგონებს. თუკი ამ რეგიონის რელიეფის რუკას შევხედავთ, შევამჩნევთ, რომ პოს დაბლობი, ისევე როგორც კოლხეთის დაბლობი, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მაღალი მთებითაა შემოსაზღვრული, აღმოსავლეთიდან ადრიატიკის ზღვა აკრავს, სამხრეთის მხრიდან მთებს გაღმა კი ლიგურიის ზღვა მდებარეობს. პოს დაბლობი რიონის დაბლობივით გეოგრაფიული თვალსაზრისით „ჩაკეტილი“ (მაგრამ არა იზოლირებული) ზონის შთაბეჭდილებას ტოვებს. ტერამარები (ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვები) გავრცელებულია მდ. პოს ხეობაში, ძირითადად მოდენას, რეჯიო ემილიას, პარმასა და პიაჩენცას პროვინციებში. აღმოსავლეთით საზღვარი ბოლონიას პროვინციაზე გადის. ბოლონიას მუზეუმში დაცულ მასალებს, ჩვენი დაკვირვებით, თითქმის არაფერი საერთო

[4] შემოკლებით: ძკ I ეტაპის კერამიკა.

[5] ზოგიერთი მსგავსი ფორმა მხოლოდ შიდა ქართლისა და მესხეთის ძეგლებზე იჩენს თავს. თუმცა ამ ზონებში გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში კოლხური კულტურის გავლენა თუ გავრცელება უდავოა. ჩვენი აზრითბ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ვიდრე ძვ. წ. VI საუკუნემდე მესხეთში კოლხური კულტურა იყო გავრცელებული [1, გვ. 56; 2ბ გვ. 283-284]. ეს მოსაზრება ჩვენზე ადრე ო. ჯაფარიძემ გამოთქვა და შეეცადა იგი კონკრეტული მონაცემებით დაესაბუთებინა [10, გვ. 47]. ი. ღამბაშიძის თანახმადბ მესხეთში შუადან გვანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდი მკვეთრი ცვლილებებით ხასიათდება. სწორედ ამ დროს იწყება „ბორჯომის ხეობის ათვისება და მოსახლეობის ინტენსიური განსახლება. იცვლება წამყვანი მეურნეობის პროფილიბ რაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ახალი ეთნიკური ელემენტების გამოჩენასთანბ რომელთაც პირველად შემოაქვთ ხმარებაში კოლხური ცული... შუაბრინჯაოს ფინალურ ეტაპზე სამცხეში შემოდის და სამუდამოდ მკვიდრდება ახალი, კოლხური კულტურის ელემენტები – კერამიკა და კოლხური ცული...“ [9, გვ. 22]. შიდა ქართლში კი განსხვავებული სურათია. შიდა ქართლის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში ერთმნიშვნელოვნად კოლხური კულტურაა გავრცელებულიბ ხოლო დანარჩენშიბ ჩვენი აზრითბ საქმე უნდა გვქონდეს ე. წ. შერეულ კულტურებთან. როგორც ჩანს გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში აქ სამთავრული და კოლხური კულტურები ერთად თანაარსებობდნენ [1, გვ. 52; 2, გვ. 269]. როგორც ფიქრობენბ შიდა ქართლში დომინანტი აღმოსავლურ ქართულიბ სამთავრული კულტურა უნდა ყოფილიყო. ახალი მონაცემების შუქზე ამ მოსაზრების დასაბუთების უახლესი ცდა მოცემულია ალ. რამიშვილის ნაშრომებში [7, გვ. 26-29; 8, გვ. 156-170]. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ შიდა ქართლის სხვადასხვა ძეგლებზე კოლხური თუ კოლხური იერის კერამიკა არცთუ ისე იშვიათად იჩენს თავს.

არა აქვთ ტერამარების კულტურასთან. აქ სულ სხვა კერამიკაა წარმოდგენილი. ლითონის ინვენტარში კი საერთოს პოვნა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ჩრდილოეთით საზღვარი ვერონას პროვინციაზე გადის. ვერონას მუზეუმში დაცულ კერმიკულ მასალაზე ერთი თვალის გადავლებაც კი ცხადსა ხდის, რომ საქმე გვაქვს სრულიად განსხვავებულ კერამიკასთან, ვიდრე ეს ტერამარებშია. თუ ბრინჯაოს ნაწარმი ერთნაირია, კერამიკა და არქიტექტურა, დასახლების ტიპი განსხვავებულია. თუ აქ საქმე გვაქვს კერამიკის დამზადების პრიმიტიულ ტექნოლოგიასთან, ტერამარებსა და კოლხეთში იგი საკმაოდ მაღალი დონისაა. აქ გავრცელებული პალაფიტების კულტურის ჭურჭელი საერთოდ გაუპრიალებელია და ძალზე უხეშადაა დამზადებული. მაგრამ რადგანაც ვერონას შემოგარენი საკონტაქტო ზონას ანუ ორი კულტურის თანაარსებობის ზონას წარმოადგენდა, აქ გვხვდება ჯამები რქისებრშვერილიანი ყურებით, თუმცა ისინიც გაუპრიალებელნი არიან. საყურადღებოა ისიც, რომ აქ თავს იჩენს ტერამარულ-კოლხური ორნამენტაციის ცალკეული ელემენტებიც. ე.ი. ვერონას შემოგარენში აღმოჩენილ კერამიკის ერთ ნაწილს არაფერი აქვს საერთო ტერამარების კერამიკასთან, ხოლო მეორე ნაწილს კი გარკვეული პარალელები ეძებნება.

1999 წლის ივნისის თვეში გათხრების პროცესში ჩვენ ადგილზე დავათვალიერეთ მდ. პოს ხეობაში მოდენას პროვინციაში დაბა მონტალეში მდებარე ტერამარა (ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვი).[6] ამ ტერამარის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მიწის სამუშაოების დროს მოუხსნიათ. შემორჩენილია ძეგლის მხოლოდ ერთი მეოთხედი. დიამეტრი: 90×110 მ. მას გარშემო უვლიდა დაახლ. 40 მ სიგანისა და 6 მ სიგანის თხრილი. წყლის დონიდან ბორცვის სიმაღლე დაახლ. 3 მ უნდა ყოფილიყო. ხის ბოძების ფოსოები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. ძეგლი მრავალფენიანია. ყრილი, ისევე როგორც კოლხეთში, მიწისაა. ამჟამად ბორცვის ერთ მხარეს ეკლესია და სახლია დაშენებული და მისი გათხრა შეუძლებელია (ტაბ. I_1; II_1). ტოპოგრაფიის, დაგეგმარებისა და სახლთმშენებლობის მიხედვით ეს ძეგლი აბსოლუტურად იდენტურია ამგვარი კოლხური ძეგლებისა (ტაბ. I_{1-2}; II_{1-2}). განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მას გაცილებით დიდი ფართობი უკავია, ვიდრე კოლხური ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვების უდიდეს ნაწილს.

[6] მონტალეს ტერამარის ადგილზე გაცნობასა და დათვალიერებაში ხელი შეგვიწყო და მეგზურობას გვიწევდა მოდენას მუზეუმის დირექტორი დოქტ. ანდრეა კარდარელი, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ძვ. წ. XVIII-XII სს.-ში ჩრდილოეთ იტალიაში, მდ. პოს დაბლობში ტერამარების კულტურა იყო გავრცელებული [18; 23; 34; 37]. როგორც კოლხეთში, ისე პოს ხეობაში დაახლ. ძვ. წ. XII საუკუნის დასასრულს რკალურ-წრიული ორნამენტით შემკული მომრგვალო, „ნახევარსფერული“ ფორმის თიხის ჭურჭელი არსებობას ამთავრებს. პოს ხეობაში ამ დროს გავრცელებას იწყებს ახალი, ე. წ. პროტოვილანოვას კულტურა და ეს ცვლილებები ამით ადვილი ასახსნელია. კოლხეთში კი, როგორც ჩანს, კერამიკის სერიულ წარმოებაზე გადასვლამ და, შესაბამისად, სამეთუნეო მორგვის ფართოდ დანერგვამ გამოიწვია ადრე არსებული რთული და მრავალფეროვანი ორნამენტაციული მოტივების გაქრობა. თუ იტალიაში ტერამარების კულტურა აბსოლუტურად ახალი კულტურით იცვლება, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კვლავ კოლხური კულტურა განაგრძობს არსებობას. ფაქტიურად ამ დროიდან იწყება ამ კულტურის უმაღლესი აყვავება, რაც ბრინჯაოს მეტალურგიის არნახულ დაწინაურებაში, რკინის მეტალურგიის თანდათანობით შემოსვლაში, გრაფიკული დეკორის გაჩენაში, დემოგრაფიულ აფეთქებასა და სხვადასხვა ტიპის ნამოსახლარების მომრავლებასა და მრავალ სხვა ფაქტორში გამოიხატა.

შუაბრინჯაოს ხანის დასასრულისა და გვიანბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. XVIII-XII სს.) ტერამარებისა და კოლხეთის კერამიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გასაოცარ მსგავსებას იჩენს ერთმანეთთან. განსაკუთრებით ემსგავსებიან ერთმანეთს ჯამები, ხელადები და ქოთნები (ტაბ. $3_{1-2,6}$; ტაბ. 4_{1-4}), რომელთაგან ბევრს რქისებრშვერილიანი თუ კოჭისებრბოლოებიანი ყურები აქვთ (ტაბ. $3_{1,6}$; ტაბ. 4_3). რქისებრშვერილიანი და ზოომორფული ყურები ტერამარების კულტურაში, ისევე როგორც კოლხეთში, ფორმების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა (ტაბ. 5_{1-16}). ზოგიერთი ამგვარი ყური კოლხურის აბსოლუტურად იდენტურია. თუმცა მსგავსება სხვა ტიპის ყურებშიც ჩანს. ასე, მაგალითად, თიხის ჭურჭლის ერთი ყური კასტელო დი ბერტაქიდან (Castello di Bertacchi), რომელიც ძვ. წ. XIV-XIII სს-ითაა. დათარიღებული (ტაბ. 5_{12}), ძალზე ახლოს დგას კოლხური კულტურის ამგვარ სახელურებთან. ამას გარდა, კოლხეთისა და პოს ხეობების ჭურჭლის ორნამენტაცია ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურ იდენტურობაში გადადის. მხედველობაში გვაქვს ღარულ-წრიული სახეები (ტაბ. $3_{2,4,6,7-9}$; ტაბ. $4_{1-2,5-7,12}$), სავარცხლისებური შტამპი (ტაბ. 4_{12}) და ადრეული „პარკეტული“ ორნამენტი (ტაბ. 3_2).

ტერამარების კერამიკის უმრავლესობის ზედაპირი შავი-ნაცრისფერი ან მოშავო-მონაცრისფროა. შიდა პირიც ასეთი არის, მაგრამ ზოგჯერ ღია ნაცრისფერი ან ღია ყავისფერია. შემ-

დეგ სიმრავლით მოდის ღია ნაცრისფერი ან ღია ყავისფერი ჭურჭელი. ზედაპირი უპირატესად ნაპრიალებია და შიდა პირიც. თიხა უპირატესად მინარევების გარეშე ან ძირითადად კვარცის მინარევებითაა წარმოდგენილი. ჭურჭელი ძირითადად ხელითაა ნაძერწი. კოლხეთშიც ამგვარი სურათია.

გარდა იტალიის ტერამარებისა კოლხური კერამიკა გარკვეულ პარალელებს პოულობს ასევე ალპების აღმოსავლეთით მდებარე ზოგიერთი რაიონისა და დუნაის აუზის კერამიკასთან. ამასთან ჩვენთვის საინტერესო ფორმები სრულებით არ არის ფართოდ გავრცელებული, არამედ ხასიათდება გავრცელების არეალისა და ფორმების შეზღუდულობით [16, გვ. 237]. პარალელური მასალების მოძიება შეიძლება დუნაის აუზისა და მის მახლობლად მდებარე რეგიონებში. აქ შეგვიძლია მაგალითები მოვიტანოთ ბოსნია-ჰერცეგოვინიდან და რუმინეთიდან. ჰორნესის რედაქტორობით გამოსულ სქელტანიან წიგნში გამოქვეყნებულია დონია დოლინაში აღმოჩენილი პალაფიტების კულტურის ნამოსახლარის კერამიკული მასალის ერთი ნაწილი. აქაური ფორმები კოლხეთისა და პოს დაბლობების მომრგვალო, მუცელგამობერილ და რქისებრშვერილიან კერამიკასთან ასევე პოულობს გარკვეულ პარალელებს [38, ტაბ. XXV-XXVI]. უფრო აღმოსავლეთით რუმინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ბიზდინას (Bâzdâna) ნამოსახლარის გათხრების დროს 1994 წელს სხვა მასალებთან ერთად აღმოჩენილი იქნა რქისებრშვერილიანი ყურები. ასევე ბუქარესტის ტბის მახლობლად ნამოსახლარზე (ბუქარესტის ჩრდილოეთი ნაწილი) აღმოჩენილია რქისებრშვერილიანი ჯამი, რომელიც არასტრატიფიცირებული ფენიდან მომდინარეობს.[7] როგორც ვხედავთ, პოს დაბლობიდან დუნაის აუზის გაყოლებით შეზღუდულ ტერიტორიაზე შეიძლება თვალი გავადევნოთ რქისებრშვერილიანი ჯამებისა, მომრგვალო-სფერული ფორმის სხვა ჭურჭლისა და ზოგიერთი იმ ორნამენტული მოტივების არსებობას, რაც საერთოა კოლხური და ტერამარების კულტურებისათვის. ასეთ ვითარებაში დამაჯერებლად გვეჩვენება სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის შესაძლო კავშირები კოლხეთთან შავი ზღვის გავლით. ასეთი შორეული კავშირები იმ ეპოქაში, როდესაც ბრინჯაოს ლითონით ვაჭრობა ფართოდ იყო გავრცელებული, სავსებით დამაჯერებლად მიგვაჩნია. ამას გარდა, ეს ის დროა, როდესაც ხდება მსხვილი ეთნიკური და ენობრივი ოჯახების გაფორმება როგორც ძველ აღმოსავლეთში, ისე ხმელთაშუა ზღვის აუზში. ამ პროცესებს კი ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულსა და ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგს წინ უძღოდა ხალხთა დიდი გადასახლებები და მოძრაობები [16, გვ. 237]. მეორე მხრივ, ძვ. წ. XII საუკუნიდან ჩვენ გარკვეულ პარალელებს ვხედავთ აგრეთვე ბულგარეთისა და ტროას რეგიონთანაც. თუ თვალს გადავავლებთ შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანის ტროას კერამიკულ მასალას, ცხადი გახდება, რომ აქაურ ფორმებს არც ტერამარების, არც კოლხეთისა და არც ბალკანეთის ფორმებთან და ორნამენტაციასთან არაფერი საერთო არა აქვს. ერთადერთი პარალელია რქისებრშვერილიანი ყურები, რომლებიც ტროა VI დროინდელ ფენებში ძალზე შეზღუდული რაოდენობით გვხვდება. ტროა VIIa-ს დაცემის შემდეგ (დაახლ. ძვ. წ. 1180 წწ.) მაღალგანვითარებული კულტურა ტროაში არსებობას ასრულებს და აქ ბალკანეთიდან (ბულგარეთიჰთრაკია) გავრცელებას იწყებს უფრო დაბალი დონის კულტურა, სადაც, მაგალითად, კერამიკულ მორგვს ჯერ კიდევ არ იცნობდნენ [31, გვ. 41; 32, გვ. 352]. შესაბამისად, აქ ვრცელდება ხელით ნაძერწი ჭურჭელი, რომელიც წარმოდგენილია ე.წ. „ბარბაროსული“ (barbarian ware) და კოპებინი (Buckelkeramik) კერამიკით. ქვემო დუნაის აუზში გვიანბრინჯაოს გარკვეულ ეტაპიდან, კერძოდ, ძვ. წ. 1200 წლის შემდეგ ანუ HA 1 (ჰალშტატი 1) დროიდან ფართოდაა გავრცელებული ე. წ. კოპებიანი კერამიკა. ამ ტიპის კერამიკა ძირითადად წარმოდგენილია საშუალო და პატარა ზომის ჯამებით, თასებითა და ქვაბქოთნებით. მათი ტანის ზედა ნაწილზე ხშირად დატანილია სხვადასხვა სიდიდის კოპები (Buckel), რომლებიც უპირატესად ღარულ-წრიულ ორნამენტში ზის და ამით დიდად ემსგავსება კოლხეთისა და პოს დაბლობის კერამიკის ორნამენტაციას. თუმცა ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჭურჭლის ფორმები კოლხეთის ფორმებისაგან განსხვავებულია. აქაური საშუალო ზომის სამნაწილიანი ქვაბები გარკვეულად მხოლოდ ტერამარების ამგვარ ქვაბებს ემსგავსებიან, მაგრამ არა კოლხეთისას. კოპებიანი კერამიკის კორპუსი ხშირად შემკულია ვერტიკალური კანელურებით, ნაკაწრი და დაშტამპული ორნამენტით. წამყვანი სახეებია სამკუთხედები და კონცენტრული წრეები, რომლებიც ხშირად ერთმანეთთან არიან გადაბმული. ამგვარი ან სპირალისებრი წრეები კოლხეთში პირველად თავს ნაოხვამუს ზედა ფენის დროინდელ ძეგლებში იჩენს თავს [16, ნახ. 48_{40-81}, ტაბ. 57_3], პუბლიკაციების მიხედვით ასეთი კერამიკის თვალსაჩინო მაგალითებია ბაბადაღისა და კოსლოჯენის მონაპოვრები რუმინეთიდან, პშენიჩევოსა და ჩერკოვნას მონაპოვრები

[7] ეს მონაცემები და გამოუქვეყნებელი მასალების ჩანახატები მომაწოდა კოლეგა ნ. ბოროვკამ (გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტი/ბერლინი), რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვახსენებთ.

ბულგარეთიდან, ტროა $VIIb_2$ მონაპოვრები და სხვ. [19, ტაბ. 280-283; 27, ტაბ. 12-29; 28, ნახ. 14-17].

ბ. ჰენზელის თანახმად, ტროას ბალკანიზირება ხდება ტროა VIIa-ს დაცემის შემდეგ [26, გვ. 236]. ხელით ნაძერწი კოპებიანი და უხეში კერამიკა აქ, როგორც ჩანს, ამ პროცესების შედეგად იჩენს თავს. ამავე პერიოდით ათარიღებს ტროას ბალკანიზაციის პროცესს ი. ბოუზეკიც, თუმცა მას ეს პროცესი ორ ფაზად აქვს დაყოფილი. პირველი ტალღა შედარებით სუსტი უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე – უფრო მძლავრი [22, გვ. 195]. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ჰენზელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ არა მხოლოდ ბაბადაღისა (დუნაის შესართავთან) და დობრუჯას ჯგუფების შემოჭრის შედეგად ხდება ტროას ბალკანიზირება, არამედ დუნაის ქვედა წელის აუზის სხვა ჯგუფების გავლენაც არ უნდა გამოირიცხოს. განსხვავება ამ რეგიონისა და ტროას კერამიკულ ჯგუფებში უნდა ვეძებოთ კულტურის ლოკალურ თავისებურებებში, რადგანაც ცალკეულ ჯგუფებს შორის ეს განსხვავება თვით დუნაის ქვედა წელის აუზში თვალსაჩინოა [26, გვ. 236].

კოპებიანი კერამიკის დათარიღებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ტროა VIIb კულტურულ ფენას, რადგანაც ის სადღეისოდ საიმედოდაა დათარიღებული მასში მოპოვებული როგორც ადგილობრივი, ისე გვიანელადური IIIC, სუბმიკენური და პროტოგეომეტრიული კერამიკული ნაწარმის მიხედვით. გვიანელადური IIIC მოიცავს დაახლოებით ძვ. წ. 1200-1050 წლებს, სუბმიკენური – ძვ. წ. 1050-1000, ხოლო პროტოგეომეტრიული – ძვ. წ. 1000-950 წლებს ხ25, ქრონოლოგიური ტაბულა (Zeittafel)ჯ. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ გვიანელადური IIIC პერიოდი, ტრადიციული ქრონოლოგიის თანახმად, დათარიღებულია ძვ. წ. 1185ჯ80-1100ჯ1090 წლებით, სუბმიკენური – ძვ. წ. 1070ჯ1065-1015, პროტოგეომეტრიული – ძვ. წ. 1015 წლიდან ხ33, ტაბ. Iჯ. ტროა VII დათარიღების საკითხს მრავალი ავტორი შეეხო: კ. ბლეგენი [20, გვ. 156], ნ. სანდარსი [36, გვ. 17-18], ე. ბლოდო [21, გვ. 30, 35], ქ. პოცუვაიტი [35, გვ. 81-82], ბ. ჰენზელი [26, გვ. 229-236; 28, გვ. 16], დ. კოპენჰოფერი [30, გვ. 346-347] და სხვ. ჰენზელისა და კოპენჰოფერის დათარიღება დაახლოებით ემთხვევა ერთმანეთს. რაკი დ. კოპენჰოფერს გათვალისწინებული აქვს უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები ტროაში, ჩვენც მის დათარიღებას ვიზიარებთ. ავტორის მიერ ტროა VIIa დათარიღებულია ძვ. წ. 1250-1180 წლებით, ტროა $VIIb_1$ – 1180-1120, ხოლო ტროა $VIIb_2$ – ძვ. წ. 1120 – 950 წწ [30, გვ. 346].

კოპებიანი კერამიკა ტროაში ჩნდება ტროა $VIIb_2$ პერიოდიდან. ქრონოლოგიის კვლევის თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ სწორედ ამ ტიპის კერამიკაზე ჩნდება პირველად კანელურები. ამ ტიპის კანელურებიანი კერამიკა დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი არა მარტო ტროაში, არამედ დასავლეთ შავიზღვისპირეთშიც. შესაბამისად, ამ რეგიონებში კანელურებიანი კერამიკის გაჩენა ძვ. წ. XII საუკუნეს უკავშირდება. ამასთან დაკავშირებით ძალზე საყურადღებოა ე. გოგაძის მიერ ნოსირის IV ფენის ძვ. წ. XI-X საუკუნეებით დათარიღება [5, გვ. 94; 13, ნახ. II], ისევე როგორც ჩვენს მიერ ნაოხვამუს III ზედა ფენის ძვ. წ. XI-X სს დათარიღება [1, გვ. 12-14; 2, გვ. 46-49] და სხვ. კანელურებიანი კერამიკა კოლხეთში ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულის სხვა ნამოსახლარებზეცაა აღმოჩენილი. კერძოდ, ფიჩორის ცენტრალური დიხაგუძუბას II ფენა, ნამჭედურის IV და III ფენა, ჯიეთის III ფენა და სხვ. საგულისხმოა, რომ ბოლო დროს შესრულებულ ნაშრომში მ. ბარამიძე კოლხეთში კანელურებიანი კერამიკის გაჩენის დროდ სწორედ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ეტაპს მიიჩნევს [3, გვ. 26], რაც დაახლოებით ემთხვევა კანელურებიანი კერამიკის ჩვენეულ დათარიღებას. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჭურჭლის კანელურებით შემკობა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დაახლოებით ერთ დროს იწყება. თავის მხრივ კი ეს ერთ-ერთი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ კოლხეთი სრულებითაც არ „ჩამორჩებოდა“ დასავლეთ შავიზღვისპირეთს, დუნაის აუზსა და ეგეოსს. იქ არსებული კერამიკის ზოგიერთი ფორმები და ორნამენტაციის მოტივები თანადროულად არსებობნენ ამ რეგიონებში, რომ არაფერი ვთქვათ უფრო ადრეულ პარალელებზე კოლხეთისა და ტერამარების კერამიკულ მასალებს შორის. აღმოსავლეთევროპული ნაკადის გავლენა კოლხურ კერამიკაზე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარშიც გრძელდებოდა [4, გვ. 85; 17, გვ. 21ჯ. თ. მიქელაძის აზრით, ბულგარეთის ადრეთრაკიული კერამიკა ფაქტურითა და ორნამენტაციით ძალზე ემსგავსება კოლხურ კერამიკას. მსგავსება ზოგჯერ აბსოლუტურ იდენტურობაში გადადის. მხედველობაში გვაქვს ჭურჭლის გარკვეული ფორმები, რომლებიც კანელურებით, ტალღისებრი და სპირალური ორნამენტით არის შემკული [17, გვ. 21]. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ვ. კოზენკოვას დაკვირვებები კოლხური კულტურის ყობანის ცენტრალური ვარიანტის კერამიკის ერთი ჯგუფში ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპული ელემენტების არსებობის დადასტურების შესახებ. ასეთია, უპირველეს ყოვ-

ლისა, დიდი ზომის დერგები, რომლებიც თავისი ფორმით პროტოვილანოვოს კულტურის დერგებს ემსგავსებიან (გაფართოებული ტანი, ვიწრო ყელი, გადაშლილი პირი, და პატარა არამდგრადი ძირი). ეს ჭურჭელი გარედან ხშირად შემკულია საწოვრისებრი კოპებისა და ნაკაწრი გეომეტრიული ორნამენტის კომბინაციით. ვ. კოზენკოვა გარდა პროტოვილანოვას კულტურისა ამგვარ ჭურჭელს სამარხი ურნებისა და განსაკუთრებით თრაკიის ჰალშტატის ჭურჭლებს ადარებს, რომელთა კოპისებრი დანაძერწები კონცენტრულ წრეებშია ჩასმული [14, გვ. 45, 92]. პიკსიდების გამოჩენას ავტორი ეგეოსის გავლენას, ხოლო ზეაწეულ და ზოომორფულყურიანი ტოლჩების გაჩენას კი დასავლეთ საქართველოსა და სამთავროს უკავშირებს [14, გვ. 45-46]. ბ. ჰენზელის მიერ ქვედა დუნაის აუზის ადრეული ჰალშტატის დროინდელი კულტურების კერამიკულ მასალებთან შედარებაც ადვილად გვარწმუნებს დიდი დერგებისა და სხვადასხვა ვარიაციების ზეაწეულყურიანი ტოლჩებისა და განსაკუთრებით ყობანის ცენტრალური და დასავლური ვარიანტის ამ ჯგუფის კერამიკის ნიმუშების დიდ მსგავსებაში [15, ტაბ. XXXII, XXXIV; 18, გვ. 45-46; 27, ტაბ. 7_{10}, 9-12, 16, 18, 21 და სხვ]. თუმცა დასავლეთ საქართველოსა და ყობანის ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის კერამიკის სხვა ტიპებიც პოულობენ ერთმანეთთან დიდ მსგავსებას. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია კვერცხისებრი ფორმის მუცელგამობერილი ქილები, რომლებიც დიდი ვარიაციულობით გამოირჩევიან. მაგალითად, ყობანის დასავლეთ ვარიანტში აღმოჩენილი ამგვარი ჭურჭლის [15, ტაბ. $XXXII_{1-5,\ 9-11}$] ზუსტი ანალოგიები გამოჩნდა ტამიშისა [12, ტაბ. XXVI-XXVII] და კისტრიკის [12, ტაბ. XV-XVIII] ნამოსახლარებზე. საგულისხმოა, რომ დუნაის ქვედა წელიდან, კერძოდ, Tămăoani-ის ჯგუფის ორი ქილა, რომელიც ბ. ჰენზელის მიერაა გამოქვეყნებული, აბსოლუტურად იდენტურია ამგვარი კოლხური ჭურჭლისა [27, ტაბ. 55_{21-22}]. დიდი დერგები და ჭურჭლის სხვადასხვა ტიპის თავსახურები (შესაძლოა ზოგიერთი მათში პიკსიდის თავსახურიც იყოს) საკმაოდაა აღმოჩენილი ხსენებული კისტრიკის [12, ტაბ. XX], ტამიშისა [12, ტაბ. XXX, XXXII] და დასავლეთ საქართველოს ამ დროის ზოგიერთი სხვა ნამოსახლარიდანაც. ჰალშტატის დროინდელი ცენტრალურევროპული ელემენტების გავრცელება კოლხურ კულტურაში დასაშვებია როგორც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ჩრდილოეთი კავკასიის [14, გვ. 45], ისე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მხრიდან.

ზემოთ მოტანილი პარალელები ჩვენ არ მიგვაჩნია იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ ჩრდილოეთ იტალიის პოს დაბლობში საქმე გვაქვს რომელიმე კოლხური ეთნიკური ელემენტის არსებობასთან. მართალია, ლ. პიგორინის თეორიის თანახმად, ტერამარების კულტურის შემქმნელი ხალხი კავკასიიდან უნდა მოსულიყო, მაგრამ ეს თეორია დღეს უარყოფილია და, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანად. თუ ტერამარების შემქმნელი რაღაც ეთნიკური ჯგუფი ხალხთა დიდი გადასახლებების დროს კავკასიიდან მართლაც მოხვდა მდ. პოს ხეობაში, მაშინ ეს უნდა მომხდარიყო ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი მეოთხედის შემდეგ, რადგანაც ტერამარების პირველი გამოჩენა მდ. პოს ხეობაში ძვ. წ. XVIII საუკუნეს უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში შეიძლება იმის ახსნაც, თუ რატომ არ გვხვდება აქ კოლხური კულტურის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ბრინჯაოს იარაღი – კოლხური ცული. კოლხური კულტურის ბრინჯაოს იარაღების ფორმების პროტოტიპები შუაბრინჯაოს მიწურულს ჩნდებიან და მხოლოდ ძვ. წ. XIV საუკუნის დასაწყისისათვის არიან საბოლოოდ ჩამოყალიბებული. მაგრამ ნოსირის ბორცვის I ფენის, ანაკლიის დიხა-გუძუბა I მეორე (II) ფენისა და სხვა ძეგლების მიხედვით უკვე ძვ. წ. XVIII-XVII საუკუნისათვის (და უფრო ადრეც) სახეზეა ის, რასაც კოლხური კერამიკა ეწოდება და რომელიც ძირითადად წარმოდგენილია მომრგვალო, მუცელგამობერილი ჭურჭლით, რომლებიც ღარულ-წრიული ორნამენტაციითა და ლაყუჩისებური ყურებით არის შემკული. ასეთ ვითარებაში თითქოს გასაგები ხდება ტერამარებში ამ ტიპის კერამიკის გავრცელება. თუმცა აქ საქმე არც ისე მარტივადაა და აქ, ალბათ, სულ სხვა, უფრო ღრმა და უფრო მრავალმხრივი მიზეზები და პროცესები უნდა ვეძებოთ, ვიდრე ეს მხოლოდ ხალხთა გადასახლებაა. ამიტომ ბ. კუფტინის კვალდაკვალ არ მიგვაჩნია მართლებულად იაფეტური სუბსტრატის იბერიულ-ლიგურიული ანდა პელაზგურ-ეტრუსკული ეთნიკური ერთობის შესახე, არსებული თეორიების გათვალისწინებით ამ მსგავსებების ახსნა [16, გვ. 225].

შუაბრინჯაოს დასასრულსა და გვიანბრინჯაოს ხანაში კოლხეთის დაბლობში, მდ. პოს დაბლობსა და დუნაის აუზის გაყოლებით რქისებრშვერილიანი ყურების გაჩენა უნდა ასახავდეს ამ რეგიონებს შორის არსებულ კავშირურთიერთობებს, რომელსაც ძირითადად სავაჭრო ხასიათი უნდა ჰქონოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გამოვრიცხავთ გარკვეული ეთნიკური ჯგუფების მოძრაობასაც და ურთიერთობების უფრო ინტენსიურ ხასიათსაც. კავშირები კოლხეთთან გვიანბრინჯაოს ხანაში ძირითადად შავი ზღვის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. სხვა-

ნაირად ძნელია იმის ახსნა, თუ როგორ ხვდებოდნენ კოლხეთში ბრინჯაოს რკალისებური ფიბულები იტალიიდან და საბერძნეთიდან მაშინ, როდესაც ისინი მეზობელი თურქეთის ტერიტორიაზე დღემდე პრაქტიკულად უცნობია. განა დასავლეთთან ინტენსიურ კავშირებზე არ მიუთითებს ისიც, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში ბრინჯაოს განძები დიდი რაოდენობით გვხვდება დასავლეთ ევროპაში (მათ შორის ჩრდილოეთ იტალიასა) და კოლხეთში [29, რუკა]. თურქეთის ტერიტორიაზე კი, გარდა კოლხური კულტურის არეალისა, კვლავ უცნობია ამგვარი ძეგლები.

მაგრამ ეს ცალკე კვლევის თემაა და სტატიის მოცულობის შეზღუდულობა, სამწუხაროდ, არ გვაძლევს შესაძლებლობას ამ საკითხებზე აქ მსჯელობა უფრო ფართოდ გავშალოთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ჯერ შანტრის, ხოლო შემდეგ კუფტინისა და მიქელაძის დაკვირვებები სწორი აღმოჩნდა და მასალების ორიგინალში შესწავლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა კოლხური სამყაროს ეგეოსის, დუნაის აუზისა და პოს მხარის კულტურებთან მჭიდრო კონტაქტების არსებობა. თანაც ჩვენ საკონტაქტო გზებს ვეძებთ არა მხოლოდ შავი ზღვის გავლით, არამედ ჩრდილოეთი და სამხრეთი შავიზღვისპირეთის სახმელეთო გზების გავლითაც. ჩვენი აზრით, ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ამ კავშირების შუქზე ჩვენ შეგვიძლია კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლებისა და თვით ამ კულტურის ქრონოლოგიის დაზუსტება, რადგანაც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ანატოლიის ძეგლებსა და კულტურებს სადღეისოდ შედარებით უკეთ შემუშავებული თარიღები და ქრონოლოგიური კრიტერიუმები გააჩნიათ. ასეთ ვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად მიგვაჩნია პოს აუზსა და კოლხეთში ძვ. წ. XVIII-XII საუკუნეებში ერთი ტიპის ძეგლებზე მსგავსი ფორმების, ფაქტურისა და ორნამენტაცის კერამიკული ჭურჭლის არსებობა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ორივე რეგიონში ჭურჭლის ღარულ-წრიული ორნამენტული სახეებისა და მომრგვალო-სფერული ფორმის ჭურჭლის ხმარებიდან გამოსვლა დაახლოებით ერთდროულად, ძვ. წ. XII საუკუნის მეორე ნახევარში ან დასასრულს ხდება. მეორე მხრივ, ქრონოლოგიური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია კანელურებიანი და სპირალურორნამენტიანი კერამიკის ერთდროული გაჩენა კოლხეთში, დუნაის ქვემო წელის აუზსა და ტროაში. კანელურებიანი კერამიკის არსებობის ათვლა იწყება ძვ. წ. XII საუკუნის შუახანებში და ამ საუკუნის ბოლოსათვის უკვე საყოველთაო ხასიათს ატარებს. მესამეც, აღმოსავლეთ ევროპის კულტურული ნაკადების არსებობა თვალსაჩინოდ ჩანს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კოლხურ კერამიკაში. ფორმებისა და ორნამენტაციის დამთხვევები განსაკუთრებით თვალსაჩინოა თრაკიულ კერამიკულ ნაწარმთან.

ხსენებული რეგიონებისა და კოლხეთის ბრინჯაოს სხვადასხვა ნაკეთობის მსგავსებები კიდევ უფრო რელიეფურადაა გამოკვეთილი. სხვა ნივთებთან ერთად ბრინჯაოს რკალისებრ ფიბულებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის აბსოლუტური ქრონოლოგიის დაზუსტების საქმეში. გვიანბრინჯაოს ხანაში ევროპასა და კოლხეთში ბრინჯაოს მრავალრიცხოვანი განძების არსებობა ამ რეგიონებს შორის არსებულ კულტურულ და სხვა სახის კავშირებზე უნდა მიგვითითებდეს. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ბ. ჰენზელის მიერ გამოქვეყნებული რუკა, რომელზეც ასახულია გვიანბრინჯაოს ხანაში ბრინჯაოს განძების გავრცელების რეგიონები. საგულისხმოა, რომ კოლხეთი ექცევა ევროპის იმ რეგიონებს შორის, სადაც ხსენებულ დროს განძების არსებობა დასტურდება [25, რუკა: ევროპაში ბრინჯაოს განძების გავრცელების რუკა].[8]

J. Apakidze

EXTERNAL CONTACTS OF COLCHIAN CULTURE AS SEEN FROM POTTERY OBTAINED AT ARCHAEOLOGICAL SITES AND THEIR IMPLICATIONS FOR THE STUDY OF ABSOLUTE CHRONOLOGY

(Summary)

Pottery of the first stage of ancient Colchian culture (18th-12th cent. B.C.) finds no parallels in the region of the Caucasus proper, though its affinity with earthenware of the Aegean, the Danube basin and North Italic culture of terramares seems evident. Parallels are noticeable with bronze items as well, especially bronze pins, fibulae, small bells, daggers, spearheads and socketed arrowheads, particularly bronze fibulae.

The bulk of the Colchian pottery and that of the terramares (artificial settlement mounds) dating from the 18th-12th cent. B.C. found in the Po river valley (in North Italy) reveal striking resemblance. Bowls, jars and pots with horn-shaped and zoomorphic handles are especially alike. Handles of this type are distinguished for a

[8] აღნიშნული რუკა ასევე გამოქვეყნებულია ოთ. ლორთქიფანიძის მიერ 2001 წელს გამოცემულ ნაშრომში, რომელიც სპეციალურად კოლხური კულტურის ბრინჯაოს განძების ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპტაციის საკითხებს ეძღვნება [6, სურ. 2].

great variety of shapes both in the Colchian and Italian terramare cultures. Some Italian handles are even identical with the Colchian ones. However, resemblance of different types of handles is also evident. Besides, the decoration of Colchian vessels and vessels from the Po valley is often identical: grooved-circular types, comb-shaped stamped and early "parquetry" ornament. Colchis and the Po valley round, semi-spheroid clay vessels decorated with arc-circular ornaments cease their existence by the end of the 12th cent. B.C.

It should be noted that the observations of Chantres, later Kuftin and Mikeladze on the existence of close contacts of the Colchian world with the Aegean, Danube basin and Po valley cultures proved to be right and were further corroborated by the study of original artifacts, undertaken by the present author in the museums of Italy. According to the author, contacts must have been established not only through maritime route across the Black Sea, but through the North and South Black Sea littoral land routes as well. But, still, the most important point is that these contacts can be used as a basis for defining the absolute chronology of Colchian culture in general and its sites, since to the present-day, the dates and chronological criteria are comparatively better worked out for south-east European and Anatolian sites. According to the author's view, the crucial element is the existence of clay vessels with similar shape, texture and decoration both in the typologically homogeneous Po valley and Colchian sites in the 18th-12th cent. B.C. It is noteworthy that grooved-circular decorative images and round-spherical shaped vessels ceased to exist in both regions simultaneously – in the second half or by the end of the 12th cent. B.C. On the other hand, simultaneous appearance of pottery decorated with canellures and spiral ornaments in Colchis, in the basin of the lower reaches of Danube and Troy seems quite informative from the chronological viewpoint. Pottery with canellures emerged somewhere in mid 12th cent. B.C. and had became widely spread by the end of the century. The last, but not the least, element is that Colchian pottery of the first half of the 1st millennium B.C. clearly reveals impacts of the east European cultural trends. The most vivid similarities can be attested with Tracian production.

ლიტერატურა

1. აფაქიძე ჯ. გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2002.

2. აფაქიძე ჯ. გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2002.

3. ბარამიძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998.

4. ბარამიძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998.

5. გოგაძე ე. კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბ., 1982.

6. ლორთქიფანიძე ო. „განძები" კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა). – კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. ეძღვნება აკად. ო. ჯაფარიძის დაბადების 80 წლისთავის გამო (ძიებანი, დამატებანი, VI), თბ., 2001, გვ. 178-194.

7. რამიშვილი ალ. შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიური პრობლემები. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998.

8. რამიშვილი ალ. კოლხური და შიდა ქართლური კულტურების ურთიერთობის საკითხები ნაცარგორის სამაროვნის მიხედვით. – კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. ეძღვნება აკად. ო. ჯაფარიძის დაბადების 80 წლისთავის გამო (ძიებანი, დამატებანი, VI), თბ., 2001, გვ. 156-170.

9. ღამბაშიძე ი. სამცხე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში (ბორჯომის ხეობის არ-

ქეოლოგიური ძეგლების მიხედვით). ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999.

10. ჯაფარიძე ო. დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში. – მაცნე, 2, 1982, გვ. 41-62.

11. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. თბ., 1997.

12. Габелия А. Н. Поселения колхидской культуры (на материалах Абхазии), Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук. М., 1984.

13. Гогадзе Е. М. К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской культуры. – ВГМГ, XXXVII -В, 1984, с. 28-54.

14. Козенкова В. И. Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке (Узловые проблемы происхождния и развития кобанской культуры). М., 1996.

15. Козенкова В. И. Материальная основа быта кобанских племен. Западный вариант. – САИ, Вып. 2-5, М., 1998.

16. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, II. Тб., 1950.

17. Микеладзе Т. К. К археологии Колхиды. Тб., 1990.

18. Bernabo Brea M. Il limite sud-occidentale dell'area terramaricola e le facies culturali dell'Appennino emiliano occidentale nell'eta del bronzo media e recente. – Le Terramare. La piu antica civilita padana, a cura di M. Bernabo Brea, A. Cardarelli, M. Gremaschi, Milano, 1997, p. 433-440.

19. Blegen C. W., Cedric G., Boulter J. L., Caskey M. R. Troy IV. Setllements VIIa, VIIb and VIII. Princeton 1958.

20. Blegen C. W. Troy and the Trojans. Ancient Peoples and Places. London, 1963.

21. Bloedow E. F. The Troian War and Late Helladic III C. – Prähistorische Zeitschrift, 63, 1988, S. 23-53.

22. Bouzek J. The Aegean, Anatolia and Europe: Cultural Interrelations in the Second Millenium B. C. Studies in Mediterranean Archaeology. Prag, 1985.

23. Carancini G. L. La produzione metallurgica delle terramare nel quadro dell'Italia protostorica. – Le Terramare. La piu antica civilita padana, a cura di M. Bernabo Brea, A. Cardarelli, M. Gremaschi, Milano, 1997, p. 379-404.

24. Chantre E. Recherches anthropologiques dans le Caucase. 2. Période protohistorique. Texte. Paris, Lyon, 1886.

25. Götter und Helden der Bronzezeit. Europa im Zeitalter des Odysseus. 25. Ausstellund des Europarats. Bonn, Paris, Athen, 1999/2000.

26. Hänsel B. Beiträge zur regionalen chronologischen Gliederung der älteren Hallstattzeiten der unteren Donau. Teil I (Text), Bonn, 1976a.

27. Hänsel B. Beiträge zur regionalen chronologischen Gliederung der älteren Hallstattzeiten der unteren Donau. Teil II (Tafeln, Karten und Beilage mit Erläuterungen). Bonn, 1976b.

28. Hänsel B. Südosteuropa zwischen 1600 und 1000 Jh. V. Chr. – Hänsel (Hersg.), Südosteuropa zwischen 1600 und 1000 Jh. v. Chr., Prähistorische Archäologie in Südosteuropa, 1, Berlin 1982.

29. Hänsel B. Gaben an die Götter – Schätze der Bronzezeit Europas – eine Einführung. – A. und B. Hänsel (Hersg.), Gaben an die Götter. Schatze der Bronzezeit. Ausstellungskatalog, Berlin, 1997, p. 11-22.

30. Koppenhöfer D., Becks R. Troia VII – Versuch einer Zusammenschau einschlisslich der Ergebnisse des Jahres 1995. – Studia Troica, 7, 1997, S. 295-353.

31. **Korfmann M.** Führer durch Troia. Ein Rudgang durch Troia. Istanbul 1997.

32. Korfmann M. Der Prähistorische Siedlungshügel Hisarlik. Die „zehn Städte Troias" – von unten nach oben. – Troia Taum und Wirklichkeit. Stuttgart, 2001, S. 347-354.

33. Mountjoy P. A. Regional Mycenaean Docorated Pottery. Vol. 1. Rahden/Westf., 1999.

34. Mutti A. Caratteristiche e problemi del popolamento terramaricolo in emilia occidentale. Bologna, 1993.

35. Podzuweit C. Die Mykenische Welt und Troia, in Hänsel, Günter (Hersg.). Südosteuropa zwischen 1600-1000 v. Chr. Prähistorische Archäologie in Südosteuropa. Bd. 1, 1982, S. 65-88.

36. Sandars N. K. From Bronze Age to Iron Age: a sequel to sequel. – Boardman J. et al. The

European Community in Later Prehistory. Studies in Honour of C. F. C. Hawkes. London, 1971.

37. Säflund G. Le terramare delle provincie di Modena, Reggio Emilia, Parma, Piacenza. Lund, Leipzig, 1939.

38. Wissenschaftliche Mitteilungen aus Bosnien und der Herzegowina. Herausgegeben von Bosnisch-Herzegowinischen Landesmuseum in Sarajevo. Redigiert von Dr. Moriz Hoernes, Bd. 9. Wien, 1904.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I-II – მონტალეს ტერამარის (Teramarre di Montale) ხედები და გათხრების მიმდინარეობა (1999 წ. ივნისი).

ტაბ. III – 1. თიხის ზოომორფულყურიანი ჯამი მონტალეს ტერამარიდან. მოდენას მუზეუმის ექსპოზიციიდან; 2. ადრეული პარკეტისებრი ორნამენტით შემკული თიხის ჯამი ტერამარე კოლამბარე დი ბერსანოდან (Besansone-Colambare di Bersano; Regione: Emilia Romagna). ინახება რომის ლ. პიგორინის სახელობის მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში (ინვ. 48972); 3-5. ჭურჭლის ფრაგმენტები მოდენას მუზეუმიდან; 6-10. ჭურჭლის ფრაგმენტები რეჯიო ემილიას მუზეუმიდან.

ტაბ. IV – 1. თიხის ტოლჩა გორძანოდან (Terramare di Gorzano). მოდენას მუზეუმის ექსპოზიციიდან; 2. თიხის ჭურჭელი ტერამარე დივერსედან. რეჯიო ემილიას მუზეუმის ექსპოზიციიდან; 3-4. თიხის ტოლჩები მონტალეს ტერამარიდან. ძვ. წ. XVI-XV სს. მოდენას მუზეუმის ექსპოზიციიდან; 5. ჭურჭლის ფრაგმენტი ტერამარე კაზე კოცცონიდან (Terramare di Case Cocconi). რეჯიო ემილიას მუზეუმის ექსპოზიციიდან; 6. ჭურჭლის ფრაგმენტი ტერამარე გორძანოდან. მოდენას მუზეუმის ექსპოზიციიდან; 7-11. ჭურჭლის ფრაგმენტები მონტალეს ტერამარიდან. მოდენას მუზეუმის ექსპოზიციიდან; 12. ჭურჭლის ფრაგმენტი ნეკროპოლე დი კაზინაბლოდან (Nekropole di Casinablo). ძვ. წ. XIV-XII სს. მოდენას მუზეუმის ექსპოზიციიდან.

ტაბ. V – 1-11. თიხის ჭურჭლის (ძირითადად ჯამების) ზოომორფული ყურები რომის ლ. პიგორინის სახელობის მუზეუმის არქეოლოგიის ფონდიდან; 12 თიხის ჭურჭლის ყური კასტელო დი ბერტაქიდან (Castelo di Bertacchi), ძვ. წ. XIV-XIII სს. რეჯიო ემილიას მუზეუმის ექსპოზიციიდან; 13-16. ჭურჭლის ყურები ტერმარე დი მაგრეტადან (Terramare di Magreta). მოდენას მუზეუმის ექსპოზიციიდან.

Description of the Plates

Pl. I-II – views and excavations (June 1999) of the Terramare di Montale.

Pl. III – 1. clay basin with zoomorphic handles from Terramare di Montale, the Modenna Museum exhibition. 2. clay basin decorated with “parquetry” ornament from Besansone-Colamare di Bersano, archaeological *fonds* of L. Pigorini Museum of Rome (# 48972); 3-5. fragments of vessels from the Modenna Museum; 6-10. fragment of vessel from the Reggio Emilia Museum.

Pl. IV – 1. clay jar from Terramare di Gorzano, the Modenna Museum exhibition; 2. clay vessel from Terramare di Verse, the Reggio Emilia Museum; 3-4. clay jars from Terramare di Montale, the 16th-15th cent. B.C., the Modena Museum exhibition; 5. fragment of a vessel from Teramare di Case Cocconi, the Reggio Emilia Museum, 6. fragment of a vessel from Terramare di Gorzano, the Modena Museum exhibition; 7-11. fragments of a vessel from Terramare di Montale, the Modena Museum exhibition; 12. fragments of a vessel from Nekropole di Casinablo, the Modena Museum exhibition.

Pl. V – 1-11. zoomorphic handles of clay vessels (mostly basins) from the archaeological *fonds* of L. Pigorrini Museum of Rome; 12. handle of a clay vessel from Castelo di Bertacchi, 14th-13th cent. B.C., the Reggio Emilia Museum; 13-16. handles of vessels from Terramare di Magreta, the Modena Museum exhibition.

ტაბ. I

1

2

ტაბ. II

1

2

ტაბ. III



1



2



3



4



5



6



7



8



9



10

0 3


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
0
3

ტაბ. V



რევაზ პაპუაშვილი

კოლხური ბრინჯაოს ექსპორტი

1976 წელს ურეკის სამაროვანზე ერთ-ერთი დანგრეული სამარხის ნაყარში აღმოჩნდა დაფანჯრული, ზარაკისებური ტარისთავი სევანის-პირული სატევრისა. ასევე, ნაყარ ფენაში იქნა აღმოჩენილი გრძელნისკარტა ფრინველის სტილიზირებული გამოსახულება, რომელსაც ფრთები განივი ჭრილებით აქვს გადმოცემული. სატევარიცა და ფრინველის გამოსახულებაც ახლო ანალოგიებს პოულობს სომხეთისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ნივთიერი კულტურის მოცემული კატეგორიის ძეგლებთან.

ადრე მიღებული თვალსაზრისით სევანის-პირული სატევრების გავრცელების უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვრად თრიალეთი ითვლებოდა. ურეკის აღმოჩენამ, ცხადია, ეს საზღვარი უფრო შორს, ჩრდილოეთით, გადასწია. ამ აღმოჩენებმა მისცეს საფუძველი პროფ. თ. მიქელაძეს გამოეთქვა ვარაუდი არმენია-კოლხეთის უშუალო ურთიერთობის შესახებ ადრერკინის ხანაში [4, გვ. 38-39].

უფრო ადრე, თავის ცნობილ ნაშრომში, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, ა. იესენი წერდა: „საფიქრებელია, რომ სამხრეთ რეგიონებიდან (იგულისხმება სირია, ურარტუ, ფრიგია და სხვ. - რ. პ.) ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილიყო სხვადასხვა სახის ნაწარმი, მათ შორის ლითონისაც. სინამდვილეში კი მნიშვნელოვანი რაოდენობის იმპორტს ჩვენ აქ ვერ ვხვდებით“. ა. იესენი მიუთითებდა შესაძლო უკუპროცესზეც და ამბობდა: „თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით კავკასიის მეტალურგიული პროდუქციის გავრცელება შესაძლოა მომხდარიყო ორი მიმართულებით, ჩრდილოეთით და სამხრეთით“. იქვე დასძენს, იმის გამო, რომ რიგითი მასალა ცუდადაა შესწავლილი მთელ დასავლეთ აზიაში, ამიტომ კონკრეტული ნივთებით ამ პროცესის (მეტალურგიული პროდუქციის კავკასიიდან ექსპორტის - რ. პ.) დადასტურება (თუ კი მას საერთოდ ჰქონდა ადგილი) არ ხერხდება [16, გვ. 167]. და მაინც, ა. იესენი განიხილავდა 1922 წელს აღმოჩენილ ბიბლოსის განძის ნაწილს, რომელიც ა. ჰუმბერტისა და ა. ზახაროვის მიერ კავკასიურ პროდუქციად იყო მიჩნეული. განძის მრავალრიცხოვანი ინვენტარიდან ა. იესენი მხოლოდ ბოლოებდახვეულ ხატისუღლებს გამოყოფს და ტიპოლოგიურად ყობანურ ნაწარმს უკავშირებს, თუმცა გაცილებით ადრეულად მიიჩნევს.

დასკვნის სახით ა. იესენი შენიშნავს: „შემდგომი გამოკვლევები გახსნის ნამდვილ ხასიათს კავკასიის მეტალურგიული ცენტრებისა და სამხრეთ რაიონების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ“ [16, გვ. 171].

„ნამდვილი ხასიათის“ გახსნამდე, ალბათ, კიდევ ბევრი აღმოჩენა და ანალიზია საჭირო, მაგრამ ზემოთ ხსენებულ მკვლევართა მოსაზრებებმა მოგვცეს ბიძგი მიზანშეწონილად მიგვეჩნია თავი მოგვეყარა და ერთიანობაში წარმოგვედგინა სამხრეთ რეგიონებში აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ის ძეგლები, რომელთა კოლხური ან ყობანური (როგორც ადრე იყო მიღებული)[9] წარმომავლობა ეჭვს არ იწვევ-

---

[9] აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში, კოლხეთში აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური მონაპოვარი, კოლხური კულტურის ძეგლების სახელითაა ცნობილი, ხოლო ცენტრალური კავკასიის ჩრდილოეთ კალთებზე აღმოჩენილი შესაბამისი დროისა და ხასიათის ნაწარმი კი (1869 წ. ჩრდილოეთ ოსეთის სოფ. ზემო ყობანში აღმოჩენილი მდიდრული და მეტად თავისებური ბრინჯაოს სამარხეული ინვენტარის მიხედვით) ყობანური კულტურის სახელით.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, კავკასიის სხვადასხვა რეგიონში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც ფორმალურ-ტიპოლოგიურად მსგავსი იყო ყობანში მოპოვებული ანალოგიური ნიმუშებისა, ყობანური კულტურის ძეგლებად იყო მიჩნეული (პ. უვაროვა, რ. ვირხოვი, ე. შანტრი, ს. პრჟევორსკი და სხვ).

გასული საუკუნის 20-30-იანი წლებიდან კოლხეთში თანდათან იმატა ე. წ. ყობანური ტიპის ნივთიერი კულტურის აღმოჩენის ფაქტებმა. აქვე აღმოჩნდა ამგვარი ნივთების პროტოტიპები და მათი დასამზადებელი ყალიბებიც. ამ და სხვა გარემოებებმა საფუძველი მისცა ზოგიერთ მკვლევარს ყობანური კულტურის ჩამოყალიბების ძირითად კერად კოლხეთი მიეჩნიათ, თუმც ერთიანი აზრი არ ჩამოყალიბდა. აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვადასხვა თაობის სპეციალისტთა მოსაზრებებშიცნობილი ქართველი არქეოლოგი ლ. სახაროვა სამ ძირითად მიმართულებას გამოყოფს: პირველი, რომ ყობანური კულტურის ცენტრი კოლხეთშია (მ. ივაშჩენკო, მ. მეშჩანინოვი, ა. იესენი, ა. კალანდაძე), მეორე, რომ კოლხური და ყობანური კულტურები ერთგვაროვანია (ბ. კუფტინი, ი. ვორონოვი) და მესამე, რომ კოლხური და ყობანური კულტურები სხვადასხვა კულტურებია, მაგრამ მჭიდროდ დაკავშირებული ერთმანეთთან (ო. ჯაფარიძე, ე. კრუპნოვი, დ. ქორიძე, ბ. ტეხოვი, თ. მიქელაძე, ვ. კოზენკოვა) [7, გვ. 25].

ამავე პრობლემებს ეძღვნებოდა 2002 წლის აპრილ-მაისში თბილისში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „არქეოლოგია XXI საუკუნეში: მემკვიდრეობა და პერსპექტივები“ ლ. სახაროვას, ლ. ფანცხავას, ნ. სულავასა და რ. პაპუაშვილის მიერ წარმოდგენილი სტენდური მოხსენება. სტენდზე წარმოდგენილი იყო ილუსტრაცია ბრინჯაოს ასამდე ნივთისა, რომლებიც მოპოვებულია

და და არ იწვევს. ამავე დროს შევეცდებით, საკითხის დასმის წესით მაინც, შევეხოთ სამხრეთ რეგიონებში აღმოჩენილ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მატერიალური კულტურის იმ ნაშთებს, რომელთა ფორმალურ-ტიპოლოგიური მხარე იძლევა გარკვეულ საფუძველს აღნიშნული ეპოქის კოლხეთთან სავარაუდო კავშირებისათვის. საკითხისადმი ამგვარმა მიდგომამ იქნებ მომავალში მოგვცეს შესაძლებლობა უფრო რელიეფურად წარმოვიდგინოთ კოლხური ძეგლებისა და საერთოდ, კოლხური კულტურის როლი და ადგილი ძველი სამყაროს კულტურათა ანსამბლში. ამგვარი კვლევა-ძიება ჩრდილო-აღმოსავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთთან მიმართებაში უკვე შესრულებულია მრავალი ცნობილი მკვლევარის მიერ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. კოზენკოვას ღვაწლი ამ მიმართულებითა და საერთოდ კოლხურ-ყობანური კულტურის კვლევაში [17, გვ. 132-141].

უპირველეს ყოვლისა შევეხებით მატერიალური კულტურის იმ ძეგლებს, რომლებიც თანამედროვე პოლიტიკური დარაიონების მიხედვით აღმოჩენილ იქნა სომხეთის, ირანისა და

ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, უპირატესად ყობანის სამაროვანზე და ყობანური კულტურის ტიპიურ, განმსაზღვრელ ნიმუშებადაა მიჩნეული. ამავე სტენდზე პარალელურად წარმოდგენილი იყო ამდენივე სრულიად იდენტური ბრინჯაოს ნივთი კოლხეთის სხვადასხვა რაიონებიდან. სტენდზე წარმოდგენილმა ილუსტრაციებმა თვალნათლივ აჩვენა, რომ ცენტრალური კავკასიის, როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ ფერდობზე და დასავლეთ ამიერკავკასიაში ბრინჯაოს მეტალურგიისა და მისი მხატვრული დამუშავების დონეზე (რაც ძირითადად გამოარჩევს კავკასიის ამ რეგიონს დანარჩენი სამყაროსაგან გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში) მაინც არსებობდა ერთგვაროვანი კულტურა და მისი დანაწილება ცალკე ყობანურად და ცალკე კოლხურ კულტურებად გაუმართლებელი უნდა იყოს.

უკანასკნელ ხანს ანალოგიურ დასკვნამდე მიდის ახალგაზრდა არქეოლოგი ჯ. აფაქიძეც თავის სადოქტორო დისერტაციაში და გვთავაზობს, რომ ტერმინი „ყობანური კულტურა“ ან „კოლხურ-ყობანური კულტურა“ უნდა შეიცვალოს ტერმინით კოლხური კულტურა [1, გვ. 60].

ცხადია, ამგვარი განცხადების საფუძველი არსებობს, მაგრამ მაინც მიგვაჩნია, რომ ტერმინები „კოლხური კულტურა“ და „ყობანური კულტურა“ მრავალი წლის განმავლობაში დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში და დღეს, რომელიმე მათგანის ცალკე მოხსენიება ორივე კულტურის აღმნიშვნელად გამოიწვევს ერთგვარ გაუგებრობას, გამოაცლის მათ გეოგრაფიული ხასიათის შინაარსს და მოაქცევს ვიწრო ტერიტორიულ ჩარჩოში ვერ განსაზღვრავს მის ტერიტორიულ გავრცელებას. უფრო მისაღებად გვეჩვენება ტერმინი „კოლხურ-ყობანური კულტურა“ ან ტერმინი „კოლხურ-ყობანური ბრინჯაო“, როგორც ბ. კუფტინი აღნიშნავდა ხსენებული ეპოქისა და რეგიონის ამ მართლაც თვითმყოფადი და ერთგვაროვანი ბრინჯაოს ნაწარმის განსაზღვრისათვის [18, გვ. 314].

თურქეთის ტერიტორიებზე და რომელთა თანმხლები კულტურული გარემო საფუძველს აძლევდა მკვლევართ ისინი ადგილობრივ კულტურებთან მიმართებაში უცხო ელემენტად, იმპორტულ ნაწარმად მიეჩნიათ. ვ. კოზენკოვას თქმით: ყობანური კულტურის მატერიალური ნაწარმის (უკვე აღვნიშნეთ „კოლხური“ და „ყობანური“ კულტურების იგივეობის შესახებ) თავისებურებანი იძლევიან საშუალებას თითქმის შეუცდომლად ამოვიცნოთ ისინი ნებისმიერი რაიონის სხვა კულტურულ კომპლექსებში, თუნდაც ტრანსფორმირებულნი და სახეცვლილნი ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად [17, გვ. 136].

სომხეთის ტერიტორიაზე უდავოდ კოლხურ-ყობანური წარმომავლობის ძეგლებადაა მიჩნეული: ბრინჯაოს I (ო. ჯაფარიძის მიხედვით) ტიპის კოლხური ცული ლენინაკანის კოლექციიდან. კოლექციას ა. მარტიროსიანი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გათხრილ ვორნაკის № 16 სამარხის, რკინის პირველი გამოჩენის (ძვ. წ. XII ს. დასასრული ძვ. წ. IX საუკუნეები) პროდუქტად მიიჩნევს. ამავე ხანის ძეგლად მიიჩნევს იგივე ავტორი კარმირ-ბლურის მახლობლად სოფ. პარაკარში 1952 წელს აღმოჩენილ ბრინჯაოს II ტიპის კოლხურ ცულებსაც. მესამე ცული სრულიად მსგავსი პარაკარისა აღმოჩენილია 1945 წელს სოფ. გოლოვინოს მახლობლად. მეოთხე, რომელიც აღწერის მიხედვით, დახვეწილი ფორმის მინიატურული მახვილყუიანი ცულია, ე.ი. I ტიპისა, აღმოჩენილი ყოფილა ირანში და ინახება სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის მუზეუმში [20, გვ. 124-125].

აშკარად კოლხურ-ყობანური წარმომავლობისაა და იმპორტულ ნაწარმადაა მიჩნეული „პეპლისებური“ აბზინდები ძვ. წ. VII-VI საუკუნეებით დათარიღებულ ხრტანოცისა და ახტალის სამაროვნებიდან (20, გვ. 275-276, ნახ. 108_6, 109_4), ერთწილადი რკალისებრი, სადა ფიბულები ლალვარიდან, ბჟანიდან [20, გვ. 276, ნახ. 109_4] და გრეხილღეროიანი ფიბულა არარატის ველზე მდებარე ოშაკანის № 62 ურარტული ხანის სამარხიდან [15, გვ. 80-81, ტაბ. LXV_1]. ასევე ეჭვს არ იწვევს კარმირ-ბლურის № 25 შენობაში აღმოჩენილი სიტულის ყურის კოლხურ-ყობანური წარმომავლობაც [21, გვ. 243].

სომხეთის ტერიტორიაზე რკინის ფართო ათვისების, ძვ. წ. VII-VI საუკუნეების ძეგლებზე აღმოჩენილ კარგად ნაპრიალებ სარდიონის მძივებს ფორმალურ-ტექნიკური მსგავსების საფუძველზე ანალოგიური ხასიათის ასირიულ ნაწარმს უკავშირებენ, თუმც მათი ადგილობრივი წარმომავლობის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავენ და მიიჩნევენ, რომ შესაძლოა ისინი სამხრეთიდან ამიერკავკასიის გზით ჩრდილო კავკასიაშიც მოხვედრილიყო [20, გვ. 274]. ამგვარი მოსაზრება შესაძლოა გადასინჯვას

მოითხოვდეს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კოლხეთში სოფ. მუხურჩაში და სოფ. ოჩხამურში [13, გვ. 226-223; 11, გვ. 44-48] სწორედ სარდიონის მძივების საწარმოები იქნა აღმოჩენილი. მითუმეტეს, რომ ლორიბერდის რკინის ფართო ათვისების ძვ. წ. VII-VI სს დათარიღებულ სამარხში აღმოჩენილ იქნა დახვეწილი, ბიკონუსური ფორმის სარდიონის მძივები. ამ ძეგლის პუბლიკატორი ს. დევერჭიანი აქვე აღნიშნავს, რომ ამგვარი მძივები უცხოა სომხეთისათვის. თუმც, დასძენს, რომ მსგავსი, ოღონდ უფრო უხეში ნაწარმი აღმოჩნდა ოშაკანის ძვ. წ. I ათასწლეულის სამარხებშიცო [14, გვ. 70]. სომხეთისათვის უცხო ჩანს სარდიონის მრავალწახნაგა და ცრემლისებური ფორმის მძივებიც [14, გვ. 70, ტაბ. XXVI_3]. აღნიშნულ ფორმათა სარდიონის მძივების მრავალი ვარიანტი ასობითაა აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ სამაროვნებზე, განსაკუთრებით კი რკინის ათვისების I-II საფეხურის დიდ კოლექტიურ სამარხ-ორმოებში [5, გვ. 45-55]. ამგვარად, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ვარაუდი სარდიონის მძივების კოლხეთიდან ექსპორტირების დაშვების შესახებ [11, გვ. 54].

უფრო საინტერესოდ გვესახება ლორიბერდის № 2 სამარხში აღმოჩენილი 24 ბურთულისაგან შედგენილი ოქროს მძივი [14, გვ. 35, ტაბ. IX 6], სრულიად მსგავსი ერგეტის I სამაროვნის № 5 კოლექტიურ სამარხ-ორმოში აღმოჩენილისა. ანალოგიური ოქროს მძივები ლჭაშენის № 1 და № 2 სამარხებიდანაა ცნობილი. მსგავსი ვერცხლის მძივები ცნობილია კიროვოკანიდან და ერგეტის ხსენებული სამარხი ორმოდან, ბრინჯაოსი კი – არტიკის № 9 სამარხიდან, რომელიც უფროსი ჯგუფის სამარხებს განეკუთვნება და ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებით თარიღდება [23, გვ. 83-84].

ასევე საყურადღებოა ლორიბერდის № 3 და № 4 სამარხებში მოპოვებული ოქროს სამკუთხა საყურეები [14, გვ. 65-67 ნახ. 26], განსაკუთრებული სიახლოვის გამო სიმაგრის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ოქროს საკიდთან [3, გვ. 61-62, სურ. 3-4]. ასეთი საკიდებიც სიახლეა სომხეთის ნივთიერ კულტურაში, თუმც ჯერჯერობით დამახასიათებელი არა ჩანს არც კოლხეთისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კალის ანალოგიური, ოღონდ გაცილებით მცირე ზომის 11 ცალი საკიდი აღმოჩნდა 1998 წლის ერგეტის II სამაროვნის № 4 კოლექტიურ სამარხ ორმოში [26, გვ. 68-71]. ძნელი სათქმელია და შემდგომი კვლევა-ძიების საგანია თუ საიდან იღებს სათავეს ხსენებული ნაწარმის ფორმალურ-ტექნოლოგიური მხარე – კოლხეთში თუ პირიქით, მაგრამ მათი საერთო ძირიდან წარმომავლობა, ვფიქრობთ, აშკარაა.

ასევე ძნელი სათქმელია სად იღებს სათავეს და რა გზებით ვრცელდება კოლხეთში, სომხეთში და ცენტრალურ ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელებული ტალკისაგან დამზადებული დომინოსებური მძივები.

ჩვენი აზრით, დაზუსტებასა და შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს ამიერკავკასიაში და მის ფარგლებს გარეთ გავრცელებული გრავირებული სარტყლების წარმომავლობისა და კულტურული კუთვნილების საკითხიც. იმის გარდა, რომ მათი უმრავლესობა აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს, ჩრდილოეთ სომხეთისა და დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მათ ცენტრალურ ამიერკავკასიური ძვ. წ. IX-VII საუკუნეების მხატვრული მელითონეობის ნაწარმად მიიჩნევენ [10, გვ. 143-135, 22, გვ. 7]. აღნიშნულია და აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს ის გარემოება, რომ „ცენტრალურ ამიერკავკასიურ“ სარტყლებზე, კოლხურ-ყობანური კულტურის წამყვან ელემენტებზე – ბრინჯაოს ცულებზე, სატევრებზე, შუბისპირებზე, აბზინდებზე, მშვილდსაკინძებზე, პინცეტებზე და სხვ. მიღებულ გამოსახულებებს ერთი გრაფიკული სტილი ახასიათებს, რომ ეს ძეგლები ეკუთვნიან ერთ მხატვრულ ფენომენს და ერთი მხატვრული მიმდინარეობის, ერთიანობისა და მთლიანობის გამომხატველნი არიან [8, გვ. 89, 10, გვ. 48]. მიჩნეულია, რომ კავკასიური ცხოველური სტილი დასავლეთ ამიერკავკასიაში კოლხურ-ყობანური ცულებისა და სხვა ამგვარი ძეგლების დეკორში ვლინდება, ხოლო ცენტრალურ ამიერკავკასიაში – ბრინჯაოს გრავირებული სარტყლების გრაფიკულ ორნამენტში [10, გვ. 48]. მიუხედავად იმისა, რომ გრაფიკული დეკორით შემკული სარტყლების შესწავლას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, მაინც აუხსნელია, რატომ რჩება სარტყელი ცენტრალურ ამიერკავკასიაში ერთადერთ ნივთად, რომლებზედაც გრაფიკული სტილის ზემოაღნიშნული თავისებურებანია ასახული, მაშინ, როდესაც, ის კოლხურ-ყობანურ სამყაროში ბრინჯაოს თითქმის ყველა ნივთზეა ასახული. აუხსნელია ისიც, თუ რატომ ემთხვევა სარტყლების არეალი კოლხური ცულების და საერთოდ კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს არეალს.

უკანასკნელ ხანებამდე აღნიშნული დეკორით შემკული სარტყლები კოლხეთში აღმოჩენილი არ იყო. ისინი აღმოჩნდა 1982 წელს, ერგეტის I სამაროვნის № 5 და 1998 წელს, ერგეტის II სამაროვნის № 4 კოლექტიურ სამარხ ორმოებში. მართალია, ისინი ძლიერ დაზიანებულნი და ფრაგმენტების სახით არიან წარმოდგენილნი [25, გვ. 6, ტაბ. 4_{42}, 26, გვ. 8, ტაბ. IV $_{57}$], მაგრამ ამ სახითაც მათ აღმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ხსენებული აღმოჩენა, აღიარებული ერთიანი გრაფიკული სტილი, ფაქტი, რომ ამ სტილში შესრულებული გამოსახულებები სარტყლების გარდა მხოლოდ და მხოლოდ კოლხურ-ყობა-

ნური ბრინჯაოს ნაწარმზეა აღბეჭდილი, აგრეთვე ის გარემოება, რომ გრავირებული სარტყლების არეალში ჭარბად შეინიშნება კოლხურ-ყობანური კულტურის ელემენტები, ვფიქრობთ, იძლევა ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას, აღნიშნული სარტყლებიც კოლხურ-ყობანური მხატვრული სკოლის პროდუქტად მივიჩნიოთ. თუმც საკითხის საბოლოო გადაჭრამდე სპეციალური კვლევაა საჭირო. გასარკვევია, უშუალოდ ნივთია ექსპორტირებული, ხელოსანია მიწვეული, თუ დამუშავების ტექნიკა, მხატვრული სტილია ნასესხები.



თუ კი წამოჭრილი საკითხი დადებითად გადაიჭრება, რომელიც ალბათ დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს, კოლხურ-ყობანური კულტურის როლი და ადგილი შესაბამისი ეპოქის ცივილიზებულ სამყაროში სულ სხვა სიბრტყითა და მასშტაბით წარმოჩინდება. მითუმეტეს, რომ ამგვარი სარტყლები არა მარტო სომხეთსა და აზერბაიჯანში, არამედ ირანსა და თურქეთშიცაა მოპოვებული [22, გვ. 58-71; 28, გვ. 118-125]. აქვე შევნიშნავთ, რომ არა თუ გამოსარიცხი, პირიქით, მოსალოდნელიცაა, რომ მათი უმრავლესობა ადგილზე იყოს დამზადებული მიწვეული ან ადგილობრივი ხელოსნის მიერ, ყველა შემთხვევაში კოლხურ-ყობანური სამხატვრო სკოლის ძლიერი გავლენით.

ირანის ტერიტორიასთან ხუთი ამგვარი სარტყელია დაკავშირებული. მათგან ერთი არდებილშია მოპოვებული. დანარჩენის აღმოჩენის ადგილი კი დაუზუსტებელია. აღნიშნულია, რომ მიუხედავად რიგი თავისებურებებისა არ შეიძლება არ იქნას აღიარებული ამიერკავკასიური ხელოვნების გავლენა ამ სარტყელთა შემქმნელ ხელოსნებზე [22, გვ. 64-67].

გარდა სარტყლებისა, რომელზედაც გვქონდა გამახვილებული ყურადღება, ირანიდან, კერძოდ კი ურმიისპირეთიდანაა ცნობილი ორი კოლხური ცული. ერთი I ტიპისაა (ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციით), ის გამოირჩევა ფანტასტიკური ცხოველების გრაფიკული გამოსახულებით. მეორე ცული კი II ტიპისაა და მეანდრისებრი ორნამენტითაა დაფარული. აღნიშნული ცულები გამოქვეყნებულია სტ. პრჟევორსკის მიერ და

თუ კი წამოჭრილი საკითხი დადებითად გადაიჭრება, რომელიც ალბათ დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს, კოლხურ-ყობანური კულტურის როლი და ადგილი შესაბამისი ეპოქის ცივილიზებულ სამყაროში სულ სხვა სიბრტყითა და მასშტაბით წარმოჩინდება. მითუმეტეს, რომ ამგვარი სარტყლები არა მარტო სომხეთსა და აზერბაიჯანში, არამედ ირანსა და თურქეთშიცაა მოპოვებული [22, გვ. 58-71; 28, გვ. 118-125]. აქვე შევნიშნავთ, რომ არა თუ გამოსარიცხი, პირიქით, მოსალოდნელიცაა, რომ მათი უმრავლესობა ადგილზე იყოს დამზადებული მიწვეული ან ადგილობრივი ხელოსნის მიერ, ყველა შემთხვევაში კოლხურ-ყობანური სამხატვრო სკოლის ძლიერი გავლენით.

ირანის ტერიტორიასთან ხუთი ამგვარი სარტყელია დაკავშირებული. მათგან ერთი არდებილშია მოპოვებული. დანარჩენის აღმოჩენის ადგილი კი დაუზუსტებელია. აღნიშნულია, რომ მიუხედავად რიგი თავისებურებებისა არ შეიძლება არ იქნას აღიარებული ამიერკავკასიური ხელოვნების გავლენა ამ სარტყელთა შემქმნელ ხელოსნებზე [22, გვ. 64-67].

გარდა სარტყლებისა, რომელზედაც გვქონდა გამახვილებული ყურადღება, ირანიდან, კერძოდ კი ურმიისპირეთიდანაა ცნობილი ორი კოლხური ცული. ერთი I ტიპისაა (ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციით), ის გამოირჩევა ფანტასტიკური ცხოველების გრაფიკული გამოსახულებით. მეორე ცული კი II ტიპისაა და მეანდრისებრი ორნამენტითაა დაფარული. აღნიშნული ცულები გამოქვეყნებულია სტ. პრჟევორსკის მიერ და მას ისინი ყობანიდან იმპორტირებულად მიიჩნევდა [27, გვ. 124]. ამავე ცულებზე და ლურისტანში აღმოჩენილ ბრინჯაოს რკინით ინკრუსტირებულ აბზინდაზე ამახვილებს ყურადღებას რ. გირშმანიც [17, გვ. 135].

თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებიდან მომდინარე ნივთებიდან აღსანიშნავია ვანის ტბის მიდამოებში ირან-თურქეთის საზღვართან, ურარტულ სამარხში აღმოჩენილი და ადანას მუზეუმში დაცული გრავირებული სარტყელი, რომელიც კავკასიიდან იმპორტირებულადაა მიჩნეული, ხოლო მასზე გამოსახულ ირემს უდარებენ სიალკის B ნეკროპოლზე აღმოჩენილი მოხატული ჭურჭლის ერთ-ერთ გამოსახულებას და მიაჩნიათ, რომ სიალკის ჭურჭლის მოხატულობა სარტყელზე გადმოცემული გამოსახულებების გავლენითაა შექმნილი [28, გვ. 119-123]. კიდევ ერთი ასეთი სარტყელი, რომელიც შემთხვევითაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ თურქეთის ტერიტორიაზე, ადრე ურარტულ ნაწარმად იყო მიჩნეული. დღეს მისი ამიერკავკა-

სიური წარმომავლობა დასაბუთებულია [22, გვ. 63].

არქეოლოგიურ ლიტერატურაში საკმაოდ კარგადაა ცნობილი მალაკლოში ურარტულ კოლუმბარიუმში აღმოჩენილი ბრინჯაოს სიტულის ყური, რომელიც, ასევე უდავოდ კოლხურ-სამყაროსთანაა იდენტიფიცირებული [18, გვ. 26-36].

თურქეთის ჩრდილოეთ რეგიონებში, ორდუში, ართვინში და მეხჩისციხეში აღმოჩენილი განძები იმთავითვე კოლხურ სამყაროსთან იქნა დაკავშირებული [27, გვ. 257-266]. თუმც, მეხჩისციხის განძის შერეული ხასიათიც, მასში შემავალი აღმოსავლური წარმომავლობის ნივთების გამო ხაზგასმულია [19 გვ; 327-330; 9, გვ. 37-38, ნახ. 30].[10] სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია თურქეთის ამ რეგიონის ზოგადი არქეოლოგიური ფონი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ეპოქაში. ამიტომ აქ აღმოჩენილი კოლხური ნივთების დღევანდელი კოლხეთიდან ექსპორტირების, ან ამ რეგიონის კოლხურ-ყობანური კულტურის სფეროში მოქცევის შესახებ კონკრეტული მოსაზრების გამოხატვა წმინდა არქეოლოგიური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს ნაწარმისა დაკავშირებულია კუნძულ სამოსთან. აქ, ჰერაიონში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების გარკვეული ჯგუფი ზოგადად კავკასიური წარმომავლობის ნაწარმადაა მიჩნეული. კავკასიური ნაწარმიდან კი ყობანის საწარმოო ცენტრებს უკავშირებს ამ ძეგლების პუბლიკატორი ულფ იანტცენი ბრინჯაოს შვიდ ცალ ზარაკს (ტიპოლოგიურად განსხვავებულს სხვა ზარაკებისაგან). აღნიშნულნი კი სრულიად იდენტურნი არიან როგორც ყობანში, ასევე ცენტრალურ კოლხეთში აღმოჩენილი ზარაკებისა. ყობანურ ნაწარმადაა მიჩნეული ბრინჯაოს აბზინდაც. ზოგად კავკასიური წარმომავლობის ნივთადაა მიჩნეული შეკაზმულ ცხენზე გვერდულად მჯდომარე დედა ჩვილით [24, გვ. 80-84, ტაბ. 79]. აღნიშნულ ქანდაკებას თ. მიქელაძე კოლხურ ნაწარმად მიიჩნევდა [4, გვ. 63], ხოლო მ. ვოიატცისი კი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა აღნიშნული ტიპის ქანდაკებებს, მიიჩნევს, რომ ის ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრის ნაწარმია და დამზადებულია სახელოსნოში, სადაც ბერძნული ორიენტალიზირებული და კავკასიური ელემენტი ყველა ერთად არსებობდა [29, გვ. 259-279]. უკანასკნელ ხანს სამოსის ამ ქანდაკებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე.

როგორც ვხედავთ, კავკასიის სამხრეთით კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს ცალკეული ელემენტების არეალი (ტაბ. I) საკმაოდ დიდია. ზემოთ ხსენებული თითოეული ნივთი მრავალჯერ მოხვედრილია სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში, მაგრამ მაინც შევეცადეთ თავი მოგვეყარა მათთვის და წარმოგვედგინა როგორც დოკუმენტირებული დადასტურება კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს ექსპორტირებისა. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით მოხვდნენ ისინი იქ, იყო ეს ნაძარცვი, შეწირულობა, გაცვლითი ურთიერთობის შედეგი, თუ სხვა, მომავალი კვლევის საგანია.

[10] უკანასკნელ ხანს ამ განძის შახებ ჟურნალ Российская археология-ში გამოქვეყნდა ს. ვალჩაკისა და ა. სკაკოვის სტატია [12, გვ. 132-141]. თუ კი სტატიის ავტორებს აქვთ გარკვეული საფუძველი განძის თარიღის დაზუსტებისათვის და მათი მოსაზრებანი ამ საკითხზე გასაზიარებელია, სრულიად უსაფუძვლოდ გვეჩვენება მეხჩისციხის, ჩაქვის, ხუცუბნის, ხევის, ჯვარის, ცხინვალის განძებისა და ცალკეული აღმოჩენების ურეკიდან და ფუშრუკაულიდან ინტერპრეტირება, როგორც მანიშნებელი მატერიალური კულტურის ელემენტების ინფილტრაციისა ჩრდილო და ცენტრალური კავკასიიდან სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში. ნაკლებ სარწმუნო ჩანს მათი დაკავშირება კიმერიელების ლაშქრობასთან და ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებთან. საქმე ისაა, რომ ხსენებული ძეგლებიდან მომდინარე თითქმის ყველა ნივთს მრავალი ათეული ანალოგი (თანაც სხვადასხვა ვარიაციები) აქვს ეპოქის მატერიალურ კულტურებში. რაც შეეხება მეხჩისციხეში აღმოჩენილ ლაგმის საყბეურს, როგორც თვით ავტორები აღნიშნავენ, მისი უახლოესი ანალოგი კარმირ-ბლურზე მოპოვებული სარდური II ცხენის აღკაზმულობის შესაბამისი ნაწილია. მცირე მარყუჟების გარეპირზე გამოსახული რელიეფური სწორკუთხედები [12, გვ. 135, ნახ. 2_2], რითაც ის განსხვავდება მისგან და ჰგავს აღმოსავლეთ ევროპაში აღმოჩენილ საყბეურებს, მხოლოდ დეტალია და ამ დეტალით შორს მიმავალი დასკვნების გამოტანა ნაჩქარევი და გაუმართლებელი უნდა იყოს.

R. Papuashvili

EXPORT OF COLCHIAN BRONZE
(Summary)

The paper deals with monuments of Colchian material culture, dating from the Late Bronze-Early Iron Age and discovered on the territory of present-day Armenia, Iran and Turkey. The cultural context of those finds prompted scholars to consider them as alien elements and imported products. An attempt is made to identify those remains of material culture of the above regions which, judging by their formal-typological characteristics, point to the existence of contacts with Colchis.

The following artifacts discovered on the territory of Armenia are considered to be of Colchian origin: Colchian axe of type I from the Leninakan collection, Colchian axes of type II: one

of them was discovered in 1952 in the village of Parakar near Karmir Blur and the second was unearthed in 1942 in the village of Golovino; tiny axe belonging to type I preserved in the Museum of the Academy of Sciences of Armenia and found on the territory of Iran. The butterfly-shaped buckles from the Khrtanets and Akhtala necropoleis, arched fibulae from Lalvar and burial 62 of Oshakan are also definitely of Colchian provenance and probably had been imported from Colchis. The handle of a bronze situla found in structure 25 at Karmir-Blur leaves no doubt about its Colchian affinity.

Little sardonix biconical and tear-shaped beads unearthed at the Loriberd necropolis (Armenia) are unknown to the material culture of Armenia. According to Kh. Deverjyan, publisher of the above archaeological material, such beads are characteristic of Colchian burials dating from the Early Iron Age. Workshops for manufacturing such type of beads and dating from the same period are excavated on the territory of Kolkheti (the villages of Mukhurcha and Ochkhamuri). It was suggested that these beads had been manufactured for export (J. Apakidze). This complex data backs the conjecture regarding the beads found on the territory of Armenia as Colchian export.

The similarity between the necklace consisting of 24 golden beads and gold triangle-shaped earrings from Loriberd, on the one hand, and the beads discovered in burial 1 of Ergeta necropolis and golden triangle-shaped earrings, on the other, is especially noteworthy. It is difficult to ascertain the origin of formal-technological characteristics of these gold goods, but they definitely seem to stem from a sole source.

Belts decorated with zoomorphic engravings, coming from sites located in Western Georgia, west Azerbaijan and north Armenia are considered to represent manufacture of Central Caucasian metalwork (M. Khidasheli). It is unanimously accepted that representations on the central Caucasian belts and specific elements of Colchian culture: bronze axes, daggers, spearheads, buckles, pins, pincers, etc. reveal a single graphical style (L. Pantskhava, M. Pogrebova, D. Raevski).

According to the present author, the following speculations, along with archaeological data, give ground to attribute the above belts to the Colchian-Koban artistic phenomenon: fragments of such belts were found in Kolkheti, at necropoleis I and II of Ergeta; unity of graphic style; the fact that representations performed in this style are present only on Colchian-Koban bronze artifacts and that in the area of the spread of such belts Colchian cultural elements dominate.

The discovery of five such belts is connected with Iran. One was obtained in Ardebil, the sites where the remaining four were found are unknown. Apart from belts, two Colchian axes (types I and II) were unearthed by Lake Urmia. St. Przeworski believes them to have been imported from Koban.

The following artifacts, obtained in the north-eastern regions of Turkey are supposed to be linked with the Colchian world: handle of a bronze situla, excavated in a complex of Urartian columbarium in Malaklo, a belt found in the vicinity of lake Van and a belt elaborated in the same style, reportedly coming from eastern Turkey.

Hoards unearthed in the northern regions of Turkey – Ordu, Artvin, Mekhchistsikhe - were immediately linked with the Colchian world. Unfortunately, the archaeological context of these regions in the Late Bronze-Early Iron Ages is not available to the author. Hence, it does not seem rational, in the present state of knowledge, either to consider Colchian artifacts from these regions as Colchian imported production or to include these regions into the area of diffusion of the Colchian culture.

One more important find of Colchian items comes from the island of Samos. A group of bronze articles discovered at Heraion was assumed to be of Caucasian provenance. U. Jantzen identified 7 bronze bells and a buckle with the production of Koban workshops, while the figurine of a female riding a harnessed horse and holding a child was attributed by the scholar generally to the Caucasian world. The same figurine was analysed by T. Mikeladze who considered it to be a specimen of Colchian minor art.

The purpose of the present paper was to record the fact of existence of Colchian goods in the above geographic places. Clarification of the ways of transportation of these artifacts – trade, as part of booty, tribute or gift must await further study.

ლიტერატურა

1. **აფაქიძე ჯ.** გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002.
2. **ბიტელი კ.** ართვინში აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან გაკეთებული არქეოლოგიური ნაშთები. – ენიმკის მოამბე, 1938, გვ. 257-266.
3. **მიქელაძე თ.** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბ., 1978.
4. **მიქელაძე თ.** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1985.
5. **პაპუაშვილი რ.** გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის. – ძიებანი № 1, თბ., 1998, გვ. 43-57.

6. პაპუაშვილი რ. ერგეტის II სამაროვანი (სამარხი ორმო № 4). – ძმ, № 3 (106), 1999, გვ. 3-9.

7. სახაროვა ლ. კიდევ ერთხელ კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხისათვის. – ძიებანი, № 10, 2002, გვ. 25-30.

8. ფანცხავა ლ. კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბ., 1988.

9. ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965

10. ხიდაშელი მ. ცენტრალურ ამიერკავკასიური გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში. თბ., 1982.

11. **Апакидзе Дж. Б.** Центральная Колхида в эпоху поздней бронзы-раннего железа. Тб., 1991.

12. Вальчак С. Б., Скаков А. Ю. Клад из Мехчисцихе в контексте хронологии памятников Юго-Западного Закавказья. – РА, 2, 2002, с. 132-141.

13. Гогадзе Э. М., Давлианидзе П. О., Панцхава Л. Н. Поселения-производства, памятники нового типа колхидской культуры. – Причерноморье в VII-V вв. до н.э. Материалы V международного симпозиума по древней истории Причерноморья, Вани-1987, Тб., 1990, с. 226-233.

14. Деверджян С. Г. Лори-Берд, I. Ереван, 1981.

15. Есаян С. Г., Калантарян А. А. Ошакан, I. Ереван, 1988.

16. Иессен А.А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. – ИГАИМК, 120, 1935, с. 7-237.

17. Козенкова В. И. Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке. Москва, 1996.

18. Куфтин Б. А. Урартский "колумбарий" у подошвы Арарата и "Куро-Аракский" энеолит. – ВГМГ, XII-B, 1944, с. 5-290.

19. Куфтин Б. А. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. – ВГМГ, XII-B, 1944, с. 291-440.

20. Мартиросян А. А. Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван, 1964.

21. Пиотровский Б. Б. Ванское царство. Москва, 1959.

22. Погребова М. Н., Раевский Д. С. Закавказские бронзовые пояса с гравированными изображениями. Москва, 1997.

23. Хачатрян Т. С. Материальная культура древнего Артика. Ереван, 1963.

24. Jantzen U. Ägyptische und orientalische Bronzen aus dem Heraion von Samos. – Samos, VIII, Bonn, 1972.

25. Mikeladze T. Grosse kollektive Grabgruben der frühen Eisenzeiten in Kolchis. – AA, 1995, S. 1-22.

26. Papuaschvili R. Metallfunde aus den spätbronze-früheisenzeitlichen Graberfeldern der Kolchis. Georgien Bochum, 2000, S. 68-71.

27. Przeworski St. Die Metallindustrie Anatoliens von 1500 bis 700 vor Chr. Hohstoffe, Technik, Produktion. Opera selecta, Warszawa, 1967, S. 69-351.

28. Tasyüzek O. Ein kaukasischer Gürtel in Adana. – Mitteilungen des Deutschen Ärchäologischen Instituts, Neue Folge, Band 10, Berlin, 1977, S. 118-125

29 Voyatzis M. Votive rider seated side-saddle at early Greek sanctuaries. – BSA, 87, 1992, pp 259-279.

ნინო სულავა

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს უძველესი კონტაქტები (ფიბულების მიხედვით)

1. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე აღმოჩენილი ფიბულები თავსდება იგივე ტიპოლოგიურ სქემაში, რომელშიც თავსდება მთელი კავკასიის უძველესი ერთწილადი რკალისებრი ფიბულები.[11] ამ სქემის მიხედვით, რომელიც, ბუნებრივია, ემყარება ფიბულათა ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ კვლევას, უძველესია დაბალრკალიანი და ოდნავსიმეტრიულრკალიანი ფიბულები, რომლებიც ძვ. წ. IX-VIII სს-ის მიჯნაზე ან ძვ. წ. VIII ს-ში ჩნდებიან [5]. ამ რეგიონშიც, ისევე როგორც კავკასიის სხვა რეგიონებში, შესაძლებელია გამოვყოთ ლოკალური ტიპოლოგიური თავისებურებების მატარებელი ჯგუფები. ეს მოვლენა განსაკუთრებით თავს იჩენს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე და აქ დამოუკიდებელი სახელოსნოს არსებობას გვავარაუდებინებს [7, გვ. 58, 59].

ამჯერად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ჩვენთვის საინტერესოა აქ აღმოჩენილი იმპორტული ფიბულების გამო.

2. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე აღმოჩენილი, ჩვენთვის საინტერესო, იმპორტული ფიბულები რამდენიმე ტიპითაა წარმოდგენილი.

2.1. უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ გვინდა ყურადღება მივაპყროთ ახალ ათონსა (ტაბ. I_1) და ფსირცხაში (ტაბ. I_2) აღმოჩენილ ე.წ. a navicella ორ ფიბულას, რომელთა კავშირი ეგეოსურ სამყაროსთან არანაირ ეჭვს არ იწვევს. სახეზეა არა მარტო ტიპოლოგიური ნიშნების მსგავსება, არამედ სრული ანალოგიებიც [4; 6]. ანალოგიებზე დაყრდნობით (თესალიის, ბეოტიის, ვროკასტროს, სამხრეთ მაკედონიის მასალა) ისინი ძვ. წ. VIII ს-ის ბოლოთი და VII ს-ის დასაწყისით დავათარიღეთ. ერთადერთი, ფსირცხას ფიბულის რკალზე ასტრაგალების ნაცვლად (ახალი ათონის ფიბულისაგან განსხვავებით) ღრმა ღარების არსებობა, რაც ასტრაგალების იმიტაცია უნდა იყოს, გვიბიძგებს ცდუნებისაკენ, რომ სამხრეთ მაკედონიის მსგავსად, სადაც ამგვარი ფიბულებია აღმოჩენილი, აფხაზეთის სანაპიროზეც ადგილობრივი სახელოსნო ვივარაუდოთ, სადაც იმპორტული ნიმუშების მიხედვით მზადდებოდა ფიბულები [დაწვრ. იხ.: 4; 6].

2.2. წითელი შუქურას (აფხაზეთი) სამაროვნის №№ 6, 12, 21 ორმოსამარხებიდან ცნობილია სამი ერთნაირი ფიბულა (ტაბ. I_3), რომლებიც მხოლოდ ზომით განსხვავდებიან. ამ ფიბულებს ღრმა ნაჭდევებით (ასტრაგალების იმიტაცია) შემოსაზღვრული რომბული ფორმის მსხვილი, „ბალიშისებური“ ზურგი და მაღალი, სამკუთხა ბუდე (ფეხი) აქვთ [11, გვ. 87, 93, 98-101, ტაბ. XXV_9].

ეს სამარხები მ. ტრაპშის მიერ დათარიღებულია ძვ. წ. VIII-VI სს-ით [11, გვ. 82]; მ. ბარამიძე № 21 სამარხს ძვ. წ. VI ს-ით ათარიღებს [1, გვ. 49-50]; გ. კვირკველია და, შემდეგ, ნ. დოლიძეც ამ სამარხებს ძვ. წ. VI-V სს-ით ათარიღებენ [10, გვ. 5, 2, გვ. 42].

ფიბულებს, რომელებიც ამ სამარხებშია აღმოჩენილი, პარალელები კავკასიის მასალებში არ ეძებნება. სამაგიეროდ, ამგვარი ტიპოლოგიური ნიშნების მატარებელი ფიბულები ცნობილია ეგეოსური სამყაროდან. თესალიაში (ფერაი) მსგავსი ფიბულა გვიანგეომეტრიული ხანის ტრადიციებს აგრძელებს [19, ტაბ. 30_{805}]. მსგავსი ფიბულები ცნობილია დელფოდან, ელატეიადან, ქაირონეადან, მალიიდან, მირაბელოდან, და ისინი გეომეტრიულ ხანასთან არიან დაკავშირებული [14, გვ. 72, ტიპი II, 14, 19, გვ. 75, 76, ტიპი E II]. ბერძენი მკვლევარის ე. საპოუნა-საკელარაკისის მიხედვით, ამ ტიპის ფიბულები კრეტაზე (ვროკასტრო) სუბმინოსურ-პროტოგეომეტრიულ კამერიან სამარხებში გვხვდება [20, ტაბ. 19, 604. 14, გვ. 69, ფიგ. 47, II 12 c]. ატიკაში ეს ტიპი ცნობილია სუბმიკენურ და პროტოგეომეტრიულ ხანაში. ისინი ძვ. წ. IX ს-ის მერეც არსებობენ [20, გვ. 69, 72-73]. ამავე ტიპის, ოღონდ, ასიმეტრიული ფიბულები სუბმიკენური ხანისა კვიპროსიდანაც არის ცნობილი [17, გვ. 382, სურ. $25_{2a,b}$].

ბალიშისებური ზურგით წითელი შუქურას ფიბულები გარკვეულ კავშირს ამჟღავნებენ როდოსის იმ ფიბულებთან [20, ტაბ. 45, 1509-1512], რომლებიც გავრცელებულია მატერიკიდან კუნძულებზე [20, ტიპი IXc]. ამ ტიპის ფიბულები ძვ. წ. 850 წლით თარიღდება კერამეიკოსის სამარხებიდან, სადაც ისინი ნახევარმთვარისებურ ფიბულებთან არიან აღმოჩენილი [20, გვ. 108].

წითელი შუქურას ფიბულებთან გარკვეული მსგავსების გამო ჩვენთვის საინტერესოა სამხრეთ მაკედონიაში აღმოჩენილი ფიბულების ერთი ტიპი, რომელსაც მკვლევარი რ. ვასიჩი ცალკე გამოჰყოფს და რადიანიეს (ნეკროპოლი, სადაც პირველად აღმოჩნდა ამგვარი ფიბულები)

[1] ნაშრომი მოხსენების სახათ წაკითხულია - სმა-ის აკც-ის ყოველწლიურ სამეცნიერო სესიაზე – „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (2001 წ. 12-15 ივნისი); ხოლო სასტენდო მოხსენების სახით წარდგენილი იყო ანკარაში გამართული საერთაშორისო სიმპოზიუმზე – „Second International Congress on Black Antiquities" (2001 წ. სექტემბერი).

ტიპს უწოდებს. ეს ჯგუფი მიეკუთვნება „უფროსი“ რკინის ხანის ადრეულ ფაზას და ძვ. წ. VIII-VI სს-ით თარიღდება [24, გვ. 72-73, ტაბ. 38, 536-538].

2.3. ყულანურხვაში, შემთხვევით, აღმოჩენილია ზურგდაღარული და ღრუმუცლიანი, ან შეიძლება ასეც ვთქვათ – ნავისებურმუცლიანი ფიბულა განიერი ბუდით (ტაბ. I_4) (აფხაზეთის მუზეუმი, ა. ლუკინის კოლ. № 86).[12]

აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ მთავარ ნიშანზე – ღრუ მუცელი, რაც სავსებით არადამახასიათებელია, უცნობია კავკასიის ფიბულებისათვის.

ღრუმუცლიანი ფიბულები, ნაჭდევი ორნამენტით მდიდრულად ზურგშემკული, უამრავი ვარიანტებით დიდი რაოდენობითაა ცნობილი იტალიის მასალებიდან [18, ტაბ. $53_{744,745,748,748A}$; ტაბ. 73_{964}; ტაბ. 70_{943}; ტაბ. 81_{1030}]. იტალიის ღრუმუცლიანი, ნავისებური ფიბულები ძვ. წ. VIII-VI სს-ით თარიღდება [18, გვ. 85-143].

საბერძნეთში გავრცელებული ეგზემპლარები აპენინის ნახევარკუნძულთან არიან დაკავშირებული და ძვ. წ. VIII ს-ის ბოლოთი და VII ს-ით თარიღდებიან [19, გვ. 80-85, ტაბ. $31_{839-844}$; ტაბ. $32_{845-869}$]. ვაჭრობისა თუ სხვა გზებით ისინი საბერძნეთის კუნძულებზეც არიან მოხვედრილი და ძვ. წ. VIII-VII სს-ით თარიღდებიან [20, გვ. 118-120; ტაბ. $49_{1544-1594}$]. ბუდის ფორმით საბერძნეთის ნავისებური ღრუმუცლიანი ფიბულები ყულანურხვას ფიბულასთან უფრო ახლოსაა.

ცენტრალური ბალკანეთის ტერიტორიაზე (ვოევოდინა, სერბია, კოსოვო, მაკედონია) აღმოჩენილი ნავისებურღრმულმუცლიანი ფიბულები აგრეთვე იტალიის გავლენით წარმოშობილად ითვლება. თარიღდებიან ძვ. წ. VII-VI სს-ით [24, გვ. 87-89, ტაბ. $43_{657-659}$, ტაბ. $44_{660-663}$].

ნაჭდევი ორნამენტით შემკული ნავისებურღრუმუცლიანი ფიბულები დასავლეთ შავიზღვისპირეთიდან, რუმინეთიდანაც არის ცნობილი. ისინი ძვ. წ. 650-550 წწ-ით თარიღდებიან [12, გვ. 109-110, ტაბ. $36_{346-347}$].

ამგვარად, ნავისებურ-ღრუმუცლიანი, ნაჭდევი ორნამენტით შემკული ფიბულები ჩრდილო იტალიიან დაწყებული შავი ზღვის სანაპირომდეა გადაჭიმული [12, გვ. 110]. ამჯერად უკვე, აღმოსავლეთ სანაპიროც შეგვიძლია დავუმატოთ.

ამგვარი ფიბულა უკრაინაშიც არის აღმოჩენილი, სოფელ გრებენიში (ინახება ლვოვის მუზეუმში). მკვლევარმა ტ. სულიმირსკიმ იგი წინასკვითურ ხანას მიაკუთვნა [21, გვ. 46, ტაბ. XII_2], ხოლო ა. შლანკოვნამ ადრეიტალიურ იმპორტად მიიჩნია და ძვ. წ. 850-700 წწ-ით დაათარიღა [23, გვ. 299-300].

2.4. კისტრიკის (აფხაზეთი) ნამოსახლარის ტერიტორიაზე გაითხარა ერთადერთი დაცული ორმოსამარხი, სადაც ჩვენთვის საინტერესო ფიბულა აღმოჩნდა (ტაბ. I_5). სამარხი ძვ. წ. VII-VI სს-ით არის დათარიღებული [9, გვ. 12-13]. ნ. დოლიძის აზრით, სამარხი ძვ. წ. VI-V სს-ს უნდა განეკუთვნებოდეს [2, გვ. 36, 67]. სამარხში აღმოჩენილი სამი ფიბულიდან ერთ-ერთი ნახევარმთვარისებრი ფორმისაა, ოდნავ შესქელებული მუცლითა და ზურგზე ბიბილოსებური ქედით [9, ტაბ. 11, 3].

ამ ტიპის ფიბულები ცნობილია იტალიის მასალებიდან. ისინი ძვ. წ. VIII-VII ს-ის პირველი ნახევრით თარიღდებიან [18, გვ. 70-72, ტაბ. 41, 613-620; ტაბ. 42, 622-625]. ი. ზუნდვალი იტალიაში ამ ტიპის ფიბულების გავრცელებას ბერძნულ კოლონიზაციას უკავშირებდა და ძვ. წ. 725-675 წწ-ით ათარიღებდა [22, გვ. 41].

ე. საპოუნა-საკელარაკისის აზრით, რომელიც ლეფკანდის (ევბეა) ნახევარმთვარისებურ ფიბულას ძვ. წ. 800 წლით ათარიღებს, ცხადი უნდა იყოს ორივე რეგიონში მათი დამოუკიდებელი წარმოშობა ლოკალური ფორმებიდან [20, გვ. 109].

ჩემი აზრითაც, ნახევარმთვარისებური ბერძნული ეგზემპლარები იმდენად განსხვავდება იტალიურისაგან მთელი რიგი ნიშნების მიხედვით, რომ ალბათ მაინც მათი დამოუკიდებელი წარმოშობა უნდა გავიზიაროთ.

კისტრიკის ფიბულასთან განსაკუთრებით ახლოა ფიბულა რაჟანადან (დასავლეთ სერბია), რომელიც ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება [24, გვ. 85-86, ტაბ. 43_{653}]. მას კისტრიკის ფიბულისა და იტალიური ფიბულების ანალოგიური ზურგი აქვს, ხოლო ბუდე – მართკუთხა და ჭვინტიანი, რაც ბერძნული გავლენით აიხსნება ბალკანეთის სივრცეში. ე. ი. სერბიის მაგალითზე ორი რეგიონის იდეის შერწყმასთან გვაქვს საქმე.

ჩვენი მასალებიდან ბიბილოსებური ქედი და იტალიის ფიბულებისათვის დამახასიათებელი საკიდები გამოყენებულია ლარილარის სამაროვნის ფიბულაზე. სამაროვანი ძვ. წ. VI-IV სს-ით არის დათარიღებული [8, გვ. 307]. ჩემი აზრით, ლარილარის ფიბულა ნიმუში უნდა იყოს კავკასიური, უკვე ჩამოყალიბებული, ფიბულის ერთ-ერთი ტიპის (მრავალწახნაგა რკალით) და უცხო ელემენტის თუ მოდის – ბიბილოსებური ქედი საკიდებით, შერწყმისა.

2.5. ურეკის სამაროვნის (ოზურგეთის რ-ნი) № 3 სამარხ-ორმოში, რომელიც დათარიღებულია ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და VI ს-ით, აღმოჩენილი ფიბულა [3, გვ. 47, ტაბ. XIII_{49}], შემსხვილებებით შემოსაზღვრული ბრტყელი ნახევარმთვარისებური ფორმის რკა-

[12] ნივთის ჩანახატი გამაცნო ნ. დოლიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

ლით, განიერი ბუდითა და ნემსზე დისკოსებური შემსხვილებით (ტაბ. I_6), სრულიად უცხოდ გამოიყურება კავკასიის ფიბულების ფონზე. მისი იმპორტულობა ჩვენში ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ჯერჯერობით სრული ანალოგიის მონახვა ვერ მოვახერხეთ. ამ ფიბულის დაკავშირება შესაძლებლად მიგვაჩნია მხოლოდ კარიის სახელოსნოდან წარმომდგარ ასიმეტრიულ, რკალზე შემსხვილებებიან და, რაც მთავარი ნიშანია, ნემსზე ნახვევიან ფიბულებთან [14, ტიპი II, 17-19, 15, ტიპი IId, გვ. 29-31, ტაბ. 1, 7, 8A, 8]. მაგრამ ურეკის ფიბულას, მათგან განსხვავებით, რკალი ბრტყელი აქვს, არ ახასიათებს ასიმეტრიულობაც. მაგრამ აქვს ნემსზე შემსხვილება, რაც მხოლოდ კარიის სახელოსნოს ფიბულებისათვისაა დამახასიათებელი. ეს უკანასკნელნი კი კვიპროსული მოდელებიდან უნდა წარმოშობილიყვნენ და ძვ. წ. 1125-950 წწ-ში თავსდებიან [13, გვ. 89, 15, გვ. 31].

გარკვეული სიახლოვის დანახვა შეიძლება ბულგარეთში აღმოჩენილ ფიბულებთან, რომელთაც ურეკის ფიბულის მსგავსად ბრტყელი, წინა მხრიდან ოდნავ ამობურცული რკალი აქვთ, ხოლო განიერი და მაღალი ბუდე რკალისაგან გამოყოფილია ღრმა ნაჭდევებით. ისინი თარიღდება ძვ. წ. VII ს-ით [16, ტაბ. 38, 69).

ამგვარად, როგორც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე აღმოჩენილი იმპორტული ფიბულების შესწავლამ დაგვანახა, მათი წარმომავლობა ძირითადად ორ რეგიონთან არის დაკავშირებული. ეს არის ეგეოსური სამყარო და იტალიიდან მიყოლებული ბალკანეთი და შავი ზღვის დასავლეთი სანაპირო. ფაქტიურად, იხაზება ის ტერიტორია, სადაც, ასე ვთქვათ, ერთწილად რკალისებურ ფიბულათა იდეის მატარებელი ხალხები ცხოვრობდნენ, და რომელთაც, როგორც ჩანს, გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან (რაც სხვა არტეფაქტებითაც დასტურდება).

ქრონოლოგიური თვალსაზრისით ახალი ათონის, ფსირცხისა და ურეკის ფიბულები ყველაზე ადრეულია. შემდეგ კი ყულანურხვა-კისტრიკი-წითელი შუქურას ფიბულები მოდის. მათ შემდგომი განვითარება ადგილობრივ ან ტრანსფორმაცია არ განუცდიათ. ამ მოვლენის ახსნა იმით მიმაჩნია შესაძლებელი, რომ აქ (და საერთოდ კავკასიაში) ამ დროისათვის უკვე არსებობდა ფიბულები, რომელთა გამოჩენასაც ან კიდევ უფრო ადრეულ კონტაქტებს მიაწერენ (ბ. კუფტინი, თ. მიქელაძე) ან დასაშვებად მიაჩნიათ მათი ადგილობრივი, დამოუკიდებელი წარმოშობა (გ. გობეჯიშვილი, ბ. ტეხოვი, ლ. სახაროვა). ამ უკანასკნელი მოსაზრების გაზიარება მიჭირს.

რადგან კოლხეთში უფრო ადრეული ხანის ძეგლები, და თანაც ფიბულებით, ჯერ არ არის გამოვლენილი, ამიტომ ფიბულები გამოჩენას ვერ დავუკავშირებთ სავარაუდებელ ადრეულ კონტაქტებს. სუბმიკენური ტიპის ფიბულები კი ძვ. წ. VIII ს-შიც შეიძლებოდა გავრცელებულიყო კოლხეთში, რადგან სხვადასხვა ტიპოლოგიური ნიუანსებით ისინი საბერძნეთში ადრეარქაული ხანის ჩათვლით არსებობდნენ [20, გვ. 42, 51].

რაც შეეხება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე აღმოჩენილი იმპორტული ფიბულების გავრცელების გზებს, ალბათ, უნდა ვივარაუდოთ ორი გზა – ნავისებური და ბალიშისებურზურგიანი ფიბულებისათვის (ახალი ათონი, ფსირცხა, წითელი შუქურა) საზღვაო გზა, რადგან ამ ტიპის ფიბულები არ არის დაფიქსირებული შავი ზღვის არც ერთ სანაპიროზე [4; 6], ხოლო ნახევარმთვარისებური ბიბილოსებურქედიანი, და აგრეთვე ღრუმუცლიანი ფიბულა (კისტრიკი, ყულანურხვა), შესაძლებელია, ჩრდილოეთიდან, ჩრდ. შავიზღვისპირეთის გავლით მოხვედრილიყო; თუმცა, არც იქ და არც ჩრდ. კავკასიაში ანალოგიური ფიბულები არ დასტურდება. მხოლოდ, როგორც ქვემოთაც აღვნიშნეთ, ლვოვთან, გრებენიში აღმოჩენილია ერთი ცალი ღრუმუცლიანი ფიბულა.

N. Sulava

ON THE MOST ANCIENT CONTACTS OF THE BLACK SEA LITTORAL (AS SEEN IN FIBULAE)

(Summary)

An attempt is made to distinguish imported ones in the group of one-piece arc fibulae attested in the eastern Black Sea littoral.

1. Two navicella fibulae dating from the end of the 8th- beginning of 7th cent. B.C. were found in Akhali Atoni and Psirtskha (Abkhazia) [cf. 4; 6 for details].

2. Three similar fibulae with rhomboid thickened arc decorated with deep engravings (imitations of astragals) and high triangled catch-plate were brought to light in three burials (№ № 6, 12, 21) by Krasny Mayak. These fibulae bear immediate analogies with archaeological material coming from the Aegean world and its adjacent regions, appearing first in the sub-Mycenaean period and surviving even after the 9th cent. B.C. [20, Pl. $19_{604,605,}$; 24, Pl. $38_{536-538}$], while typologically close fibulae discovered at the peripheries, belong to the 6th cent. B.C. [24, pp. 72-73].

3. A fibula with engraved back, hollow arc and broad catch-plate (casual find from Qulanarukhva, Abkhazia) can be also connected with European artefacts dating from the 8th-6th cent. B.C. The author suggests the same chronology for the above fibula [18, pp. 85-114; 20, pp. 118-120; 24, pp. 87-89].

4. A fibula with crescent-shaped slightly thickened arc and cockscomb-shaped facet on the back, extracted from a burial dated to the 7th-6th cent. B.C. excaveted on the territory of the Kistriki (Abkhazia) settlement site also reveals affinities with European archaeological data attributed chronologically to the 8th-6th cent. B.C.

5. A fibula with a broad catch-plate encircled with bulges and a discoid bulge on the needle was found in burial pit № 3 of Ureki necropolis (Ozurgeti district) dating from the second half of the 7th-6th cent. B.C. This artefact, standing apart from materials obtained in the Caucasus, hardly finds any analogies, though, judging by certain characteristics, it can be linked with the fibulae revealing bulged arcs and bearing coils on pins manufactured in Carian workshops [15, pp. 29-31]. Certain similarty with the ones discovered in Bulgaria dated to the 7th cent. B.C. is also evident [16, Pl. 38,68].

Imported fibulae, discovered on the Colchian coast, offer an opportunity to trace immediate contacts with the outer world as well as their chronology and directions.

ლიტერატურა

1. ბარამიძე მ. მერხეულის სამაროვანი, თბ., 1977.

2. დოლიძე ნ. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მხატვრული ნაწარმი (ლითონის სამკაული). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.

3. მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები (კაეშ, II). თბ., 1985.

4. სულავა ნ. საქართველოში აღმოჩენილი ნავისებური ფიბულა. – ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა (ძიებანი, დამატებანი I), თბ., 1999, გვ. 31.

5. სულავა ნ. თლიას სამაროვნის ფიბულებიანი კომპლექსების დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 6, 2000, გვ. 38-45.

6. სულავა ნ. კიდევ ერთი ნავისებური ფიბულა აფხაზეთის სანაპიროდან. – ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატებანი IV), თბ, 2001, გვ. 74-76.

7. სულავა ნ. ურარტული ფიბულები საქართველოში. – ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი ACADEMIA, 1, თბ., 2001, გვ. 56-61.

8. ჩართოლანი შ. ლარილარის სამაროვანი. – სკმაის, თბ., 1968, გვ. 300-319.

9. Бжания Б. Б., Кобахия Б. С., Хибба З. А. Охранные раскопки Кистрика. – Археологические открытия 1980 года в Абхазии, Тб., 1982, с. 12-14.

10. Квирквелия Г. Т. Материальная культура Северо-Западной Колхиды в VIII-V вв. до н.э. Автореферат канд. дисс., Тб., 1981.

11. Трапш М. М. Труды, т. II. Сухуми, 1969.

12. Bader T. Die Fibeln in Rumänien. PBF, XIV, 6, München, 1983.

13. Birmingham J. The Development of the Fibula in Cyprus and the Levant. – PEQ, 95, London, 1963, p. 80-112.

14. Blinkenberg Chr. Fibules Grecques et Orientales. Kobenhavn, 1926.

15. Caner E. Fibeln in Anatolien, I. PBF, XIV, 8, München, 1983.

16. Gergova D. Früh- und ältereisenzeitliche Fibeln in Bulgarien. PBF, XIV, 7, München, 1987.

17. Gjerstad E. The Swedish Cyprus Expedition, IV_2, The Cypro-Geometric, Cypro-Archaic and Cypro-Classical Periods. Stockholm, 1948.

18. Eles Masi P., von Le fibule dell'Italia Settentrionalle. PBF, XIV, 2, München, 1975.

19. Kilian K. Fibeln in Thessalien von der Mykenischen bis zur archaischen Zeit. PBF, XIV, 2, München, 1975.

20. Saponna-Sakellarakis E. Die Fibeln der Griechischen Inseln, PBF, XIV, 4, München, 1978.

21. Sulimirski T. Zagadnienie ekspansji kultury Luzyckieg na Ukraine. – Wiadomosci archeologiczne, Tom XIV, Warszawa, 1936, p. 40-54.

22. Sundwall J. Die älteren italischen Fibeln. Berlin, 1943.

23. Szlankowna A. Kilka importow staroitalskich i zachodnioeuropejskich z poludniowowschodniej Polski i Ukrainy. – Swiatowit, tom XVII, 1936/37, Warszawa, 1938.

24. Vasič R. Die Fibeln im Zentralbalkan. PBF, XIV, 12, Stuttgart, 1999.

ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I – 1. ახალი ათონი; 2. ფსირცხა; 3. წითელი შუქურა; 4. ყულანურხვა; 5. კისტრიკი; 6. ურეკი

Description of the Plate

Pl. I – 1. Akhali Atoni; 2. Psirtskha; 3. Krasny Mayak; 4. Qulanurkhva; 5. Kistrik; 6. Ureki.

ტაბ. I



1



2

0 3



3

0 5



4

0 3



5

0 6



6

0 3

ქეთევან ჯავახიშვილი

ქართლის სამეფოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან რომაულ ხანაში (გლიპტიკური მასალების მიხედვით)

ვუძღვნი ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის ნათელ ხსოვნას

ბოლო ათწლეულებში ისტორიული იბერიის – ქართლის სამეფოს ცენტრალურ პროვინციაში – შიდა ქართლში წარმოებული გათხრების შედეგად (ზღუდრის სამაროვანი, დედოფლის გორა, რიყიანების ველის სამაროვანი, მცხეთა) დაგროვდა შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი გლიპტიკური მასალა ძვ.წ. I ს-ის ბოლოსა და ახ.წ. I ს-ის დასაწყისი ხანის ქართლის სამეფოსა და რომაულ ეგვიპტეს შორის ურთიერთობის კვლევისათვის.

ეგვიპტური ნივთების, მათ შორის გლიპტიკური ძეგლების პირველი გამოჩენა ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრის ქართლში რომაულ სამყაროსთან ურთიერთობას უკავშირდება. მხატვრული და ისტორიული თვალსაზრისით ამ პირველხარისხოვანი და ძალიან საყურადღებო გლიპტიკური ძეგლების შესწავლამ, და ამასთანავე წერილობითი წყაროებით დადასტურებული ზოგიერთი ისტორიული ფაქტის გათვალისწინებამ, შესაძლებელი გახადა ვიმსჯელოთ ქართლში მათი შემოსვლის გარემოებებზე და გზებზე.

ძვ.წ. I ს-ის მიწურულიდან საკმაო რაოდენობის რომაულ გემებთან ერთად რამდენიმე უფრო ადრეული – ელინისტური, კერძოდ, პტოლემაიოსების ეგვიპტის გლიპტიკური ძეგლიც აღმოჩნდა,[13] ყველა, შიდა ქართლში (ქარელის რაიონში): ერთი გემა და ერთი გემის ანაბეჭდები, თიხის ბულაზე დედოფლის გორის სასახლის ნანგრევებში (ძვ.წ. I-ახ.წ. I სს.) [41, გვ. 34-36, 46] და ერთი ზღუდრის სამაროვანზე (ახ.წ. III ს-ის დასაწყისი ხანის სამარხში) [5, გვ. 53; 8, გვ. 129-134, ტაბ. VIII$_{1, 2}$] – ძეგლებზე, რომლებიც ძველი ქართლის დიდებულთა ყოფას უკავშირდება. ეს ნივთები ელინისტური გლიპტიკის საყურადღებო ძეგლებია. გარდა იმისა, რომ ისინი მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშებს ან მათ ანაბეჭდებს წარმოადგენს, ყველა მათგანზე მეტ-ნაკლები ვარაუდით პტოლემაიოსების სამეფო პირთა პორტრეტებია გამოსახული – არსინოა II, არსინოა III (?) და პტოლემაიოს V(?). ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი რანგის გლიპტიკური ძეგლები ვაჭრობის საგანს შეადგენდა. უფრო სავარაუდოა, რომ ისინი ძველ ქართლში დიპლომატიური საჩუქრების სახით შემოსულიყო.

ნიშანდობლივია, რომ მეზობელ სომხეთშიც ელინისტური ხელოვნების ძეგლები, მათ შორის გლიპტიკურიც,[14] ძვ.წ. I-ახ.წ. II სს-ის არქეოლოგიურ კომპლექსებში არის აღმოჩენილი. ჟ. ხაჩატრიანი მათ გაჩენას სომხეთში რომის ტრიუმვირ მარკუს ანტონიუსის მოღვაწეობას უკავშირებს [29, გვ. 120-121].

II ტრიუმვირატის (ძვ.წ. 43 წ.) წევრებს შორის ტერიტორიების გადანაწილებისას მარკუს ანტონიუსს აღმოსავლეთი პროვინციები ერგო. ორი წელი (ძვ.წ. 41-40 წწ.) მან ეგვიპტეში დედოფალ კლეოპატრას კარზე გაატარა და მოგვიანებით (ძვ.წ. 37 წ.) ცოლადაც შეირთო [12, გვ. 363, 367; 9, გვ. 455-458, 760]. როდესაც მარკუს ანტონიუსი პართელების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახდა ამიერკავკასიის სამეფოების მხარდაჭერა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამის მიღწევა მშვიდობიანი გზით შეუძლებელი იყო [13, გვ. 336]. ანტონიუსმა ქართლში (იბერიაში) თავისი სარდალი პუბლიუს კანიდიუს კრასუსი გაგზავნა. ძვ.წ. 36 წლის ზამთარში კრასუსმა დაამარცხა იბერიის მეფე ფარნავაზი (II), დაიყოლია მოკავშირეობაზე, მასთან ერთად შეიჭრა ალბანეთში და ალბანელებიც მოკავშირედ გაიხადა [13, გვ. 336; 10, გვ. 131]. როგორც დიონ კასიუსი აღნიშნავს, ამ კავშირით (იბერებთან და ალბანელებთან) ანტონიუსი ამაყობდა, გამხნევდა (τοῖς τε οὖ ἅπαρθεῖς Ἀντώνιος) [13, გვ. 336]. შემდგომშიც, როდესაც ანტონიუსმა პართელების წინააღმდეგ გაილაშქრა, როგორც გ. მელიქიშვილი ვარაუდობს, იბერები და ალბანელები (სომხებისაგან განსხვავებით) ანტონიუსის ერთგულნი დარჩენილან [13, გვ. 336]. ამდენად ვფიქრობთ, რომ პტოლემაიოსების პორტრეტული გემების გაჩენა ქართლში (იბერიაში) შეიძლება დავუკავშიროთ ამირეკავკასიაში მარკუს ანტონიუსის საქმიანობას, რადგანაც სწორედ მას ჰქონდა მჭიდრო კავშირი პტოლემაიოსების (ლაგიდების) კართან. პტოლემაიოსების კარზე კი მიღებული იყო დაახლოებულ პირთა, პოლიტიკურ და

[13] ნიშანდობლივია, რომ ქართლის ელინისტური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე ელინისტური გლიპტიკის ნიმუშები დღეისათვის საერთოდ არ არის ცნობილი.

[14] მაგ. არტაშატში აღმოჩენილი ელინისტური ხანის მინის გემა, რომელზედაც ა. მანუკიანის აზრით არსინოა II-ის პორტრეტია წარმოდგენილი [11, გვ. 54]. ეს პორტრეტი განსხვავდება დედოფლის გორაზე აღმოჩენილ გემაზე გამოსახულ არსინოა II-ის პორტრეტისაგან, როგორც ცალკეული ატრიბუტებით, ისე პორტრეტული ნიშნებითაც.

სამხედრო მოღვაწეთა, მსახურთა და სხვათა დასაჩუქრება მეფეთა და დედოფალთა პორტრეტებიანი ბეჭდებით [37, გვ. 81, № 286; 19, გვ. 114]. ეს ბეჭდები სხვადასხვა მასალისა იყო. ძვირფასი მასალა მფლობელის ღირსებაზე მეტყველებდა. მეფის ან დედოფლის პორტრეტიანი ბეჭდის მფლობელი პრივილეგიებს იღებდა [37, გვ. 81, № 286; 19, გვ. 114; 28, გვ. 131]. როგორც ჯ. ბორდმანი და მ. ლ. ფოლენვეიდერი აღნიშნავენ, ელინისტურ ეპოქაში მონეტების მოჭრა მეფეთა პრეროგატივა იყო, ისევე როგორც მაღალმხატვრული პორტრეტული გამოსახულებები ძვირფას ქვებზე მეფის ოჯახის პრივილეგიას შეადგენდა [37, გვ. 67]. არის მოსაზრება, რომ პტოლემაიოსების პორტრეტიანი ბეჭდები ლაგიდების პოლიტიკური პროპაგანდის როლს ასრულებდნენ [28, გვ. 131]. საყურადღებოა, რომ რომშიც სამოქალაქო ომის დროს მონეტები და გემები პორტრეტული გამოსახულებებით სხვადასხვა პარტიების მიერ თავისებური პროპაგანდისათვის გამოიყენებოდა [17, გვ. 60; 22, გვ. 145-147]. პროპაგანდის ამ მეთოდს იყენებდა ანტონიუსიც აღმოსავლეთში [22, გვ. 146; 29, გვ. 120]. ცნობილია ისიც, რომ აღმოსავლეთში ყოფნისას პართელების წინააღმდეგ ბრძოლის სამზადისში ანტონიუსი არ იშურებდა ჯილდოებსა და პრივილეგიებს თავისი მომხრეებისათვის [12, გვ. 367]. არ არის გამორიცხული, რომ იბერიასთან მიღწეულ მოკავშირეობას, რითაც ანტონიუსი ასე ამაყობდა, ძალის გამოყენების გარდა, საჩუქრების გაღებაც დასჭირდა. შესაძლოა სწორედ ამ გზით გაჩნდა ქართლში ელინისტური გემები პტოლემაიოსების სამეფო პირთა პორტრეტული გამოსახულებებით.[15]

შესაძლოა ამიერკავკასიაში ანტონიუსის მოღვაწეობასთან იყოს დაკავშირებული ქართლში (იბერიაში) აღმოჩენილი კიდევ რამდენიმე რომაული გემა. მაგალითად, მცხეთაში ქართლის სამეფო სახლის წარმომადგენლის მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი, ოქროს ბეჭედში ჩასმული შესანიშნავი ჰორელიეფური კამეო, ბავშვის თავი – ეროტი [32, გვ. 36, № 27, სურ. 24, № 27; 1, გვ. 22, ტაბ. XXXII$_3$, LI$_2$], ძალიან დამახასიათებელი შუბლიდან კეფისაკენ მიმართული ნაწნავით. მაღალი რელიეფით, პლასტიკურად, ნატიფად შესრულებული ეს ჰორელიეფური კამეო, ვფიქრობთ ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს. საკმაოდ მრავლად გავრცელებულ ამგვარ გამოსახულებებს შორის, მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორი კამეო, ერთი – აღმოჩენილი ქაიროში, ინახება ბრიტანეთის მუზეუმში [50, № 3480] და მეორე – პარიზში Cabinet des Médailles-ში, ჩასმული ოქროს მედალიონში, რომლის ჩარჩოზე იკითხება ორი ასო – M და A. ჯ. ბორდმანისა და მ. ლ. ვოლენვეიდერის აზრით, კამეოს აღმოჩენის ადგილი – ქაირო შესაძლებელია პტოლემაიოსების კარზე მიგვითითებდეს, ხოლო პარიზის კამეოს ჩარჩოზე გამოსახული ასოები (M და A) – მარკუს ანტონიუსის სახელს მიგვანიშნებდეს. ამდენად, შესაძლებლად მიაჩნიათ ამ კამეოების იდენტიფიკაცია მარკუს ანტონიუსისა და კლეოპატრა VII შვილებთან [37, გვ. 104-105, № 358]. ამ აზრს იზიარებს ო. ნევეროვიც [25, გვ. 19, 43].

ყურადღებას იქცევს რიყიანების ველის სამაროვანზე აღმოჩენილი მინის ინტალიო მობარბაცე დიონისეს შესანიშნავი გამოსახულებით [4, გვ. 31, 33, 74, გამ. 107]. როგორც ცნობილია, ძვ.წ. III-II სს. ბერძნული და აღმოსავლური კულტები (დიონისეს, სერაპისისა და ისიდასი, კიბელასი და სხვ.) ისე ფართოდ გავრცელდა და ღრმად შეიჭრა რომის ყოფაში, რომ ძვ.წ. 186 წელს სენატი იძულებული გახდა აეკრძალა დიონისეს კულტი. მისი მიმდევრები სასტიკად დაისაჯნენ, ზოგიერთი სიკვდილითაც კი [12, გვ. 227, 376; 9, გვ. 181, 290-291]. და როგორც ჯ. ბორდმანი აღნიშნავს, მხოლოდ იმის წყალობით, რომ მარკუს ანტონიუსი თავის თავს „ახალ დიონისეს“ უწოდებდა, ადრერომაულ ხელოვნებაში გაგრძელება ჰპოვა დიონისიურმა თემამ [35, გვ. 27, 30, 31, 95, № 31]. ისტორიკოსი ვალერი პეტერკულუსი გადმოგვცემს, რომ მარკუს ანტონიუსი, რომელმაც ბრძანა მისთვის ახალი დიონისე ეწოდებინათ, დადიოდა ალექსანდრიის ქუჩებში სუროს ტოტებით მორთული ეტლით, როგორც ლიბერი (დიონისე) ფეხებზე (შემოსილი) კოტურნებით, თავზე ოქროს გვირგვინით და ხელში ტირსოსით [25, გვ. 20]. როგორც ო. ნევეროვი აღნიშნავს, შემთხვევითი არ არის, რომ ამ დროის ალექსანდრიულ კამეოებზე ბახუსური სიუჟეტები სჭარბობს, რაშიც შეიძლება დავინახოთ რეალური ცერემონიების გამოძახილი [25, გვ. 19-20]. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ქართლში აღმოჩენილი გემა დიონისეს გამოსახულებით ერთგვარად მარკუს ანტონიუსთან იყოს დაკავშირებული.

შესაძლოა რომაულ ეგვიპტეზე მიგვითითებდეს რიყიანების ველის სამაროვანზე აღმოჩენილი მშვენიერი ინტალიო სერაპისისა და ისიდას გამოსახულებით [4, გვ. 38, 75, გამ. 108]. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძვ.წ. III ს. პტოლემაიოს ფილადელფოსმა მიიღო ზომები სერაპისის კულტის დასანერგავად ეგვიპტეში და მის გარეთ, ისიდასთან ერთად, რომელიც იყო სერაპისის წყვილი, როგორც მისი და და მეუღლე [27, გვ. 324, 335]. რომაულ ხანაში სერაპისისა და ისიდას კულტი, რომელსაც თვით რომის

[15] ჟ. ხაჩატრიანს მიაჩნია, რომ დედოფლის გორაზე აღმოჩენილი გრანატის გემა არსინოა II-ის გამოსახულებით ქართლში მარკუს ანტონიუსისა და კლეოპატრას პოლიტიკური პროპაგანდის შედეგად არის მოხვედრილი [29, გვ. 121].

სახელმწიფო უწევდა მფარველობას, გავრცელდა ყველგან, სადაც კი რომაულმა გავლენამ შეაღწია [14, გვ. 106, 220]. მაგრამ ერთი დეტალი რიყიანების ველის ინტალიოზე, კერძოდ კი, ის, რომ სერაპისის ჩვეულებრივი ხვეული წვერი შუაზე გაყოფილია სპირალურად დაგრეხილი, წაგრძელებული, ეგვიპტის ფარაონების მსგავსი სტილიზებული წვერით, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ისიც ეგვიპტური წარმოშობისა იყოს.

• • •

1. № 1352.[16] დედოფლის გორა (ქარელის რნი), სასახლე, № 1 ოთახის ზღურბლზე. ინტალიო გრანატისა ვერცხლის ბეჭედში (სურ. 1, 2) [41, გვ. 30-36, 46, სურ. 17]. ზომები: გემის – 24×18x5 მმ.; ბეჭდის – 25×27 მმ.

სურ. 1

ინტალიო ოვალურია, პირი ამობურცული აქვს, ზურგი – ბრტყელი; გამოსახულია ახალგაზრდა მანდილოსნის ბიუსტი პროფილში. კვეთა ზედაპირულია, მაგრამ მკაფიო, დახვეწილი და ოსტატური. მანდილოსანს თავს უმშვენებს მაღალი ფრონტონისებური დიადემა (Stephane-ი), შემკული ტეხილი ხაზებით. დიადემის ქვევით, შუბლის გარშემო შემოუყვება მწყობრად დალაგებული წყება კულულებისა, რომელთაგან ერთი – მოკლე – განცალკევებულად ყურთან არის ჩამოშვებული. დიადემის ზევით ოდნავ ტალღოვანი თმა უკან აქვს გადავარცხნილი; მძიმე ქსოვილის ვუალი, რომელიც თავის უკანა მხარეს უფარავს, საქოჩრიდან კისრამდე რბილ, მძიმე ნაკეცებად ეშვება; ვუალის ქსოვილის ქვეშ კეფაზე დიდი ზომის შინიონის კონტურები იხაზება; მანდილოსნის კისერზე ქიტონის კიდე შეიმჩნევა.

[16] აქაც და შემდგომშიც მოცემულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების გლიპტიკის ფონდის საინვენტარო ნომრები.

განსაკუთრებული ოსტატობით არის გადმოცემული მანდილოსნის სახე, მშვენიერი პროფილი, შუბლისა და ცხვირის კლასიკური ხაზით, სწორი, ბოლოში ოდნავ წაგრძელებული ცხვირი, პატარა ლამაზი ტუჩები (ქვედა ზედასთან შედარებით ოდნავ შიგნით შეწეული) და მომრგვალებული ბოლოში, ოდნავ წინ წამოწეული ნიკაპი; როგორც ფონი, ისე გამოსახულება გაპრიალებულია.



სურ. 2

მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშია, რამდენადმე განზოგადოებული სახე ენერგიული, ამაყი მანდილოსნისა, რომელიც უდავოდ სამეფო წრეს უნდა ეკუთვნოდეს, რასაც ადასტურებს მისი დიადემა. სტილისტური ნიშნების მიხედვით გემა ელინისტური გლიპტიკის ნიმუში უნდა იყოს. ელინისტური ხანის მონეტებზე გამოსახულ პორტრეტებთან შედარებისას ნათელი ხდება, რომ გემაზე პტოლემაიოსების რომელიღაცა დედოფალი უნდა იყოს წარმოდგენილი.

სურ. 3

სურ. 4

ცნობილია, რომ საერთოდ ელინისტური პორტრეტები რამდენადმე განზოგადოებულია და იდეალიზებული. თუმცა მათ შორის არის ისეთებიც, რომლებიც პორტრეტულობის გარკვეულ ნიშნებს ატარებს, მაგრამ არა ყოველთვის ისე ცხადად, რომ შესაძლებელი იყოს მათი ზუსტი იდენტიფიკაცია. ამიტომ ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თმის ვარცხნილობას, თავსაბურავს და სხვა დეტალებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება დადგენა არა მხოლოდ პორტრეტის ეპოქისა, არამედ პიროვნებისაც. სამეფო წრის პერსონათა პორტრეტების დასადგენად ფასდაუდებელია მონეტათა ავერსებზე წარმოდგენილი გამოსახულებები.

სურ. 5

დედოფლის გორის გემაზე გამოსახული მანდილოსნის მსგავსად თავზე მოხვეული ვუალი მონეტების ავერსებზე გამოსახულ პტოლემაიოსების სამ დედოფალს აქვს: არსინოა II-ს (სურ. 3) [48, ტაბ. 54, № 2; 33, ტაბ. $X_{1, 5}$; 45, ტაბ. $XVIII_{294-296, 299}$, ტაბ. XIX_{304}; 43, ტაბ. $70_{1, 2}$], ბერენიკა II-ს (სურ. 4) [48, ტაბ. 54, № 5; 33, ტაბ. X_4; 45, ტაბ. XIX_{307}, ტაბ. XX_{313}; 43, ტაბ. 82_{1-4}] და არსინოა III-ს (სურ. 5) [43, ტაბ. 88_3][17].

არსინოა III იმთავითვე უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან მას სრულიად განსხვავებული თმის ვარცხნილობა, შუბლსა და ცხვირს შორის ძალიან დამახასიათებელი ჩაღრმავება და კეხიანი ცხვირი აქვს [43, გვ. 103]. ერთი შეხედვით მსგავსი არსინოა II და ბერენიკა II გამოსახულებები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ცალკეული დეტალებით, ისე პორტრეტული ნიშნებითაც. თმისვარცხნილობა ორივე დედოფალს ერთნაირი აქვს – ე.წ. Mellonenfrisure-ი; არსინოა II-ს ამშვენებს მაღალი ფრონტონისებური დიადემა – Stephane-ი, შემკული ტეხილი ხაზებით; ბერენიკა II-ს უფრო დაბალი ან სრულიად სადა დიადემა, რომელიც თმებზე ბაფთასავით აქვს გადაჭერილი; არსინოა II-ს ვუალი თავის უკანა მხარეს აქვს მოხვეული (დიადემის სიმაღლის გამო), ისე რომ დიადემასა და ვუალს შორის თავის ნაწილი მოსჩანს; ბერენიკა II-ის პორტრეტებზე კი ვუალის კიდე უშუალოდ დაბალ დიადემასთან იწყება; განსხვავებაა არსინოა II ხმელ-ხმელ მშვენიერ, მაგრამ მკაცრ სახესა და ბერენიკა II-ის შედარებით ფართო, გაბერილლოყებიან, რამდენადმე რომანტიულ სახეს შორისაც [43, გვ. 95]. რაც შეეხება ყურთან ჩამოშვებულ კულულს, მონეტებზე ეს დეტალი საერთოდ არა გვხვდება. ო. ნეეროვი აღნიშნავს, რომ ის დამახასიათებელია არსინოა II თმის ვარცხნილობისათვის. მაგალითად ასახელებს არსინოა II-ის გამოსახულებას ბრინჯაოს ბეჭედზე ოლბიიდან [19, გვ. 109, № 9a; 20, გვ. 168, ტაბ. II_1]. ამასთანავე აქვე აქვს წარმოდგენილი ტირენის მუზეუმის სკულპტურა, ერთხმად აღიარებული ბერენიკა II-ის პორტრეტულ გამოსახულებად, რომელსაც ასეთივე კულული ამშვენებს [19, გვ. 110, გამ. 16; 20, გვ. 169, გამ. 178 გვერდზე]. ამდენად ეს დეტალი თმისვარცხნილობისა დედოფლის პიროვნების დასადგენად არ გამოდგება. არსინოა II-ის მონეტებზე გამოსახული პორტრეტების ყველა ნიშანი[18] დედოფლის გორის გემაზეც შეინიშნება. თუ მხედველობაში მოვიღებთ იმასაც, რომ დედოფლის გორის პორტრეტის ზოგიერთი ფიზიონომიური თავისე-

[17] ჰ. კირილაისი აღნიშნავს, რომ საერთოდ არსინოა II პორტრეტის სახასიათო ნიშნების ჩამოსაყალიბებლად საჭიროა შევადაროდ ერთმანეთს არსინოა II, ბერენიკა II და არსინოა III პორტრეტები [43, გვ. 78].

[18] გარდა ყურის გარშემო შემოხვეული ცხვირის რქისა, რომელიც არსინოა II მონეტებზე გამოსახულ პორტრეტებზე გვხვდება.

ბურება (ცხვირის ფორმა, ზედასთან შედარებით შიგნით შეწეული ქვედა ტუჩი, ცხვირისა და პირის შემაერთებელი მრუდე ხაზი და სხვ.) პტოლემაიოსების პორტრეტების ცნობილ მკვლევარს ჰ. კირილაისს არსინოა II-ის პორტრეტების დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნია [43, გვ. 79], უნდა ვითქროთ, რომ დედოფლის გორის გრანატის გემაზე ეგვიპტის დედოფალი არსინოა II არის გამოსახული.

არსინოა II, უფროსი შვილი ბერენიკა I და პტოლემაიოს I სოტერისა, დაიბადა ძვ.წ. 316 წლის ახლოს. რიგი თავგადასავლების შემდეგ ძვ.წ. 279-274 წლებს შორის უკვე დაახლოებით 40 წლის ასაკში იქორწინა თავის ძმასთან, პტოლემაიოს II-სთან. არსინოა იყო ამაყი, პატივმოყვარე ქალი, რომელიც აქტიურად ერეოდა ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებში და ფაქტიურად თვითონ მართავდა სამეფოს. მისი ტიტული – φιλαδελφος (ძმისმოყვარული) შემდგომში გადავიდა მის ძმაზეც. პტოლემაიოსმა ის ქ. მედესში ვერძის ტაძრის მთავარ ქურუმად დანიშნა. მის სახელს ატარებდა მრავალი დასახლებული პუნქტი და თვით არსინოას ნომიც. სიკვდილის შემდეგ, ძვ.წ. 270 წელს, მოხდა არსინოა II აპოთეოზი, მის სახელზე დაწესდა ძალიან პომპეზური კულტი და დაიწყო მონეტების მოჭრა მისი გამოსახულებებით. არსინოა II დროიდან მოკიდებული ეგვიპტეში სამეფოს მართვაში დედოფლის მონაწილეობა და სიკვდილის შემდეგ გაღმერთება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ბერენიკა I და არსინოა II იყვნენ პირველი მანდილოსნები, რომლებსაც წილად ხვდათ პატივი მონეტებზე გამოსახვისა [27, გვ. 177-178; 19, გვ. 109, № 1; 37, გვ. 79, № 283; 45, გვ. 102]. რაც შეეხება გლიპტიკურ ძეგლებს ლაგიდების მანდილოსანთა პორტრეტული გამოსახულებებით, მკვლევარები მხოლოდ ვარაუდით მიიჩნევენ მათ არსინოა II-ის პორტრეტებად. ყველა ისინი განსხვავდებიან ამ დედოფლის სამონეტო პორტრეტებისაგან. მოვიყვანთ მკვლევართა უმრავლესობის მიერ არსინოა II-ის პორტრეტად მიჩნეულ სარდიონის ერთ გემას ბრიტანეთის მუზეუმიდან, რომელიც როგორც პორტრეტული ნიშნებით, ისე სტილისტურად ახლოს დგას დედოფლის გორის გემასთან, თუმცა მოკლებულია ისეთ მნიშვნელოვან ატრიბუტს, როგორიც არის მაღალი დიადემა [44, ტაბ. XI, № 367; 50, № 1185; 46, № 633]. მხოლოდ დედოფლის გორის გრანატის გემა არის სავსებით იდენტური მონეტებზე აღბეჭდილი არსინოა II პორტრეტებისა და ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ის არის დღეისათვის ცნობილი არსინოა II-ის ერთადერთი უტყუარი პორტრეტული გამოსახულება ელინისტური ხანის გლიპტიკურ ძეგლებზე. მსგავსება დედოფლის გორის გემასა და მონეტებზე გამოსახულ არსინოა II-ის პორტრეტებს შორის იმდენად დიდია, რომ სავარაუდოა ისინი ერთი მოდელის მიხედვით შეიქმნა, ან უბრალოდ ქვის მჭრელმა ნიმუშად არსინოა II-ის სამონეტო პორტრეტი გამოიყენა. ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დედოფლის გორის გემა, ისე როგორც მონეტები არსინოა II-ის გამოსახულებებით ძვ.წ. 270 წლის შემდეგ უნდა იყოს შექმნილი.

ბეჭედი, რომელშიც გემა იყო ჩასმული, ვერცხლის ფურცლისაგან არის დამზადებული (სურ. 2); განიერი რკალი შიგნიდან ბრტყელია – გარედან ამობურცული, მხარეებისაკენ ფართოვდება და დიდი ზომის მაღალ, ოდნავ პირგადაშლილ ოვალურ თვალბუდეში გადადის. რეკრისტალიზებულია, დეფორმირებული, ცეცხლშია ნამყოფი. ქვა ბუდიდან ამოვარდნილია.

ბეჭდის ფორმა ტიპიურია ძვ.წ. III ს-თვის [44, ტაბ. XI_{367} (არსინოა II-ის პორტრეტული გემით); 37, ტაბ. LI, № 303 (III ს-ის მეორე ნახევარი); 51, ტაბ. 7, № 32 (არსინოა III-ის პორტრეტული გემით); 36, ტაბ. 184 გვერდზე].

2. № 1360. დედოფლის გორა (ქარელის რ-ნი), სასახლე, № 1 ოთახი, მოვარდისფროროუხად გამომწვარი თიხის ბრტყელი ნაჭერი, ზურგის მხრიდან სქელი დაგრეხილი კანაფის კვალით; ხუთი საბეჭდავის ანაბეჭდით; აქედან ორი – დიდი ზომისაა, ერთიდაიგივე საბეჭდავის.

ზომები: ბულის – 130×80×22 მმ.; დიდი ზომის ანაბეჭდების – 29×24 მმ.

გამოსახულია შუახნის მანდილოსნის ბიუსტი პროფილში (სურ. 6). ბიუსტი მხარს ქვევით ქვის ოვალით არის შემოფარგლული. ორივე ანაბეჭდი დაზიანებულია, მაგრამ ისინი ერთგვარად ავსებენ ერთმანეთს, რის გამოც შესაძლებელი ხდება მანდილოსნის გარეგნობის ნაწილობრივი აღდგენა და საერთოდ ინტალიოს შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნაც.

სურ. 6

ინტალიო ოვალური უნდა ყოფილიყო, ამობურცული პირით; გამოსახულება არ არის ღრმად ამოჭრილი, მაგარმ მკაფიოა, შესრულებულია რეალისტურად და პლასტიკურად; მანდილოსანს ლამაზი მოყვანილობის ამაყად აწეული თავი აქვს; თავის გარშემო ჩახვეული, პლასტიკურად გამოსახული, უკან გადავარცხნილი ტალღოვანი თმა, რომელიც კისერზე პა-

ტარა ჩახვეული შინიონით მთავრდება; შებერილი ლოყა, ბოლოში ოდნავ წინ წამოწეული, ბურთულასავით მომრგვალებული ნიკაპი, პატარა ღაბაბი და საკმაოდ სქელი კისერი. ანაბეჭდზე შეიმჩნევა მაღალი შუბლი, ძალიან მკრთალად წარბის ძვალი და ცხვირის ზედა ნაწილი; საკმაოდ მკაფიოდ ჩანს პლასტიკურად გადმოცემული ქიტონით შემოსილი მხარი.

ინტალიო უდავოდ მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. ანაბეჭდის ფორმა და ზომა, გამოსახულების საერთო იერი, სტილი, მანდილოსნის თმის ვარცხნილობა გვაფიქრებინებს, რომ ანაბეჭდის დედანი, ელინისტური გლიპტიკის ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს და მასზე გამოსახული უნდა იყოს გარკვეული პიროვნების პორტრეტი. კერძოდ, მანდილოსნის თმისვარცხნილობა ძალიან ჰგავს ეგვიპტის დედოფალ არსინოა III ვარცხნილობას მონეტებზე და გემებზე წარმოდგენილ მის პორტრეტებზე.

არსინოა III (ძვ.წ. 217?-205/4 წწ.), შვილი პტოლემაიოს ევერგეტისა და ბერენიკა II-სი, იყო და და მეუღლე პტოლემაიოს IV ფილოპატორისა (ძვ.წ. 222/1-205/4 წწ.). მას მოსწონდა სამხედრო ბანაკებში ცხოვრება და სიამოვნებით მიჰყვებოდა თავის ძმას და მეუღლეს ლაშქრობებში [49, გვ. 226]. არსინოა III-ისა და პტოლემაიოს IV-ის შესახებ ლეგენდები დადიოდა, რომ კარისკაცები, რომლებიც ქვეყნის ფაქტიური მმართველები იყვნენ, ერთი თვის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდნენ პტოლემაიოს IV-ის გარდაცვალებას და გამოაცხადეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოახერხეს დედოფლის მოწამლვა. ძვ.წ. 205/4 წელს მათ ხალხს წარუდგინეს მეფე-დედოფლის ფერფლით სავსე ურნები და მეფედ გამოაცხადეს მათი მცირეწლოვანი ვაჟი პტოლემაიოს V ეპიფანე [27, გვ. 216; 45, გვ. 109]. პტოლემაიოს ეპიფანეს დროს ძვ.წ. III ს-ის სულ ბოლოს მოხდა არსინოა III-ის გაღმერთება [38, გვ. 349][19] და ამავე ხანაში ძვ.წ. 204-203 წწ. გაჩნდა მონეტები მისი გამოსახულებებით [45, გვ. 110]. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ოქტოდრაქმები ალექსანდრიიდან, სადაც დედოფალი ვუალის გარეშე არის წარმოდგენილი (სურ. 5) [33, ტაბ. X_2; 45, ტაბ. XXI_{322}; 43, გვ. 102-103, ტაბ. 88_3]. ამ მონეტებზე გამოსახული არსინოა III-ის პორტრეტების ზოგიერთი დეტალი დედოფლის გორის პორტრეტშიც შეინიშნება. ძალიან ტიპიური ვარცხნილობა, მაღალი შუბლი წინ წამოწეული ნიკაპი და პატარა ღაბაბი; სამწუხაროდ, დედოფლის გორის ანაბეჭდებზე არა ჩანს ცხვირის ფორმა – მნიშვნელოვანი დეტალი, რომელსაც შეეძლო გარკვეულობა შეეტანა პორტრეტის პიროვნების დანამდვილებით დადგენაში, რადგანაც ცნობილია, რომ არსინოა III-ის პორტრეტებზე ძალიან დამახასიათებელი კეხიანი ცხვირი აქვს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დედოფლის გორის ანაბეჭდებზე მანდილოსანი დიადემის გარეშე არის გამოსახული. ამიტომ ძნელია დაბეჯითებით მტკიცება, რომ აქ ნამდვილად არსინოა III არის წარმოდგენილი. თუმცა არის გლიპტიკური ძეგლები – ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან, რომლებზეც დიადემის გარეშე წარმოდგენილი მანდილოსნები არსინოა III-ის პორტრეტებად არის მიჩნეული ამ დედოფლისათვის დამახასიათებელი სახის ნაკვთებისა და ძალიან ტიპიური თმისვარცხნილობის გამო [19, გვ. 111, გამ. 17a, 17b, 18a, 18b; 20, გვ. 169, 176, ტაბ. $II_{9, 10}$, ტაბ. III_{1-6}]. ამათგან პანტიკაპეონში აღმოჩენილი ერთ-ერთი ბეჭდის გამოსახულება და განსაკუთრებით მანდილოსნის თმისვარცხნილობა [19, გამ. 17a, 17b; 20, ტაბ. II_9] ძალიან ახლოს არის დედოფლის გორის ანაბეჭდებზე გამოსახულ მანდილოსნის თმისვარცხნილობასთან. თავის მხრივ კი პანტიკაპეონის ამ ბეჭდის გამოსახულება დიდ მსგავსებას იჩენს არსინოა III ბრინჯაოს ქანდაკებასთან ქ. მანტუიდან, სადაც დედოფალი დიადემის გარეშე არის წარმოდგენილი [19, გვ. 111, გამ. 23].

ცნობილია ქვის რამდენიმე ინტალიო, არსინოა III-ის პორტრეტული გამოსახულებით, სადაც დედოფალი დიადემით არის წარმოდგენილი [51, გვ. 111, გამ. 23; 21, № 60]. ამათგან დედოფლის გორის ბულის პორტრეტული გამოსახულებები, როგორც ტიპოლოგიურად, ისე მანდილოსნის ასაკითაც ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ გრანატის ინტალიოს გამოსახულებასთან პოულობს დიდ მსგავსებას [44, № 383; 50, № 1186] (სურ. 7).

სურ. 7

გვინდა აღვნიშნოთ, რომ გარდა გამოსახულების მხატვრული ღირებულებისა, მხედველობაში მისაღებია დედოფლის გორის ანაბეჭდის ზომაც. ეგვიპტის დედოფალთა გამოსახულებიან გემებთან შედარებით ის მხოლოდ ერთს ჩამოუ-

[19] ციტირებულია ო. ნევეროვის [19, გვ. 110] მიხედვით.

ვარდება [46, № 635],[20] დანარჩენები კი მასზე მცირეა, უმეტესობა საგრძნობლადაც. თუ წარმოვიდგენთ, და ეს ადვილად დასაშვებია, რომ დედოფლის გორის ანაბეჭდის დედანი შესრულებული იყო რომელიმე ნახევრადძვირფას, ნახევრადგამჭვირვალე მინერალზე – გრანატზე, ამეთვისტოზე, ტოპაზზე, ბივრილზე ან სხვ., რომლებიც განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა ელინისტურ სამყაროში და კერძოდ, ლაგიდების კარზეც, ინტალიო ალბათ, ძალიან შთამბეჭდავი უნდა ყოფილიყო. ძნელი წარმოსადგენია, რომ მასზე უბრალო მოკვდავი ყოფილიყო გამოსახული და არა სამეფო წრის წარმომადგენელი. თმის ვარცხნილობის მიხედვით კი ეს არსინოა III უნდა იყოს. ამდენად, ვვარაუდობთ, რომ დედოფლის გორის ანაბეჭდზე არსინოა III-ის პორტრეტი უნდა იყოს წარმოდგენილი.

3. № 1192. ზღუდერი (ქარელის რ-ნი), სამაროვანი, ხის სარკოფაგი № 3. ინტალიო ალმანდინისა ოქროს ბეჭედში (სურ. 8, 9) [5, გვ. 51; 8, გვ. 129-134, ტაბ. $VIII_{1, 2}$].

სურ. 8

ზომები: გემის – 17×14 მმ.; ბეჭდის – 29x27 მმ.

ინტალიო ოვალურია, ძლიერ ამობურცული, თითქმის ნახევარსფერული შესანიშნავად გათლილი და გაპრიალებული პირი აქვს. გამოსახულია უწვერული ყმაწვილი კაცის პორტრეტი პროფილში. ბიუსტი მხრებს ქვევით ოდნავ მორკალული ხაზით არის შემოფარგლული; ყმაწვილს ოდნავ გამობერილი შუბლი აქვს, რამდენადმე წინ წამოწეული წარბის ძვალი, ფართოდ გახელილი დიდი ზომის თვალი, სწორი ბოლოში ოდნავ წაგრძელებული ცხვირი, შებერილი, ნახევრადგახსნილი პატარა ბაგეები და წინ წამოწეული ნიკაპი; ხვეული შეჭრილი თმა გადაჭერილი აქვს ვიწრო, სადა დიადემით, რომლის ბოლოები კეფასთან უფრიალებს.

სურ. 9

მაღალმხატვრული გამოსახულებაა. შესანიშნავი სახე – განსახიერება სიჭაბუკისა და სილამაზის, რამდენადმე აღელვებული, პათეტიკური გამომეტყველებით; კვეთა ძალიან ოსტატურია, დახვეწილი, მაგრამ იმდენად ზედაპირული და მსუბუქი, რომ თითქმის არ არღვევს ქვის ზედაპირის სიმრგვალეს. უდაოდ ოსტატი კარგად გრძნობდა ქვის სილამაზეს და შეეცადა კვეთით არ დაერღვია ის ფორმა, რომელიც განსაკუთრებით მომგებიანად წარმოაჩენდა ქვის შესანიშნავ ბუნებრივ თვისებებს – მის ფაქტურას და ფერს. ქვის ყველა შესაძლებელი ეფექტის ასე ოსტატურად წარმოჩენა და გამოყენება ნიშანდობლივი იყო ელინისტური ხანისათვის, როდესაც გემისათვის გამოყენებულ მასალას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა [26, გვ. 55]. თვით გამოსახულების სტილი, ყმაწვილის თმისვარცხნილობა, დიადემა და პორტრეტის საერთო ხასიათიც მიგვითითებს, რომ გემა ელინისტური ხანისა უნდა იყოს და მასზე წარმოდგენილია რომელიღაცა ელინი მეფე. ამ პორტრეტისათვის ამოსავალ წერტილს უდავოდ ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტები შეადგენდა, კერძოდ, კი ის ტიპი პორტრეტისა, რომელიც თრაკიის მეფე ლისიმაქეს (ძვ.წ. 306-281 წწ.) მონეტებზე შემოინახა [33, გვ. 66, 67, ტაბ. III_8]. ალექსანდრეს პიროვნება და სახვით ხელოვნებაში შექმნილი მისი სახე იმდენად პოპულარული იყო, მისმა გამოსახულებებმა ისეთი დიდი გავლენა მოახდინა ალექსანდრეს მემკვიდრეთა იკონოგრაფიაზე, რომ თითქმის შეუძლებელი გახადა მათი პორტრეტების იდენტიფიკაცია. ბოლო დრომდე თითქმის ყველა ელინი მეფის პორტრეტს ალექსანდრეს პორტრეტად

[20] ზომებია 26x31 მმ.

მიიჩნევდა. ღღეისათვის გარკვეულწილად შემუშავდა ელინ მეფეთა იკონოგრაფია [15, № 2, გვ. 235-238; 16, № 1, გვ. 172-175; 18, № 2, გვ. 86-95; 43; 45]. ვფიქრობთ, ზღუდრის გემაზე გამოსახული პორტრეტი შეიძლება შევადაროთ ეგვიპტის მეფე პტოლემაოს V ეპიფანეს (ძვ.წ. 205/4-181/180 წწ.) გამოსახულებებს იმ მონეტებზე, სადაც მეფე სადა დიადემით არის წარმოდგენილი [48, ტაბ. 54_8; 43, ტაბ. $40_{1, 2, 3}$] (სურ. 11) და აგრეთვე მის პორტრეტებს გემებზე [21, № 61; 46, № 624].[21]

სურ. 10

ზევით უკვე გვქონდა საუბარი, რომ არსინოა III-ის და პტოლემაიოს IV ფილოპატორის შემდეგ ძვ.წ. 205/4 წწ. მათი მცირეწლოვანი შვილი კარისკაცებმა მეფედ გამოაცხადეს, შემდეგში ძვ.წ. 197 წელს 12 წლის ასაკში ეგვიპტის ფარაონად აკურთხეს, ხოლო 196 წელს მემფისის ქურუმებმა ახლადდასხმულ (Ἐπιφανής) ღვთაებად შერაცხეს [27, გვ. 216]. მცირეწლოვანი მეფის კარზე გაუთავებელი ქიშპი და რეგენტების ცვლა ხდებოდა [27, გვ. 216; 45, გვ. 109]. გართულდა ეგვიპტის საგარეო ვითარებაც. სამეფომ დაკარგა რიგი ტერიტორიები და თავისი ყოფილი დიდებაც. სრულიად ახალგაზრდა პტოლემაიოს V გარდაიცვალა ძვ.წ. 181/180 წ., როდესაც სალაშქროდ ემზადებოდა [27, გვ. 216-219].

მონეტებზე და გლიპტიკურ ძეგლებზე პტოლემაისო V გამოსახულია როგორც სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი რბილი, რომანტიული გამომეტყველებით, როგორც ჰ. კირიელაისი აღნიშნავს მონეტებზე ის წარმოდგენილი უნდა იყოს სრულიად ბავშვი, დაახლოებით 6 წლის ასაკში [43, გვ. 52, ტაბ. 40_{1-3}]. გემებზე კი უკვე ყმაწვილი კაცია გამოსახული. ვერ ვიტყვით, რომ მონეტებზე გამოსახულ ყმაწვილის ფიზიონომიურ თავისებურებებს (რომლებიც მკაფიოდ ჩამოაყალიბა ჰ. კირიელაისმა [43, გვ. 52], ზღუდრის პორტრეტი სავსებით შეესაბამებოდეს, მაგრამ ვფიქრობთ ერთგვარი მსგავსება მაინც შეიმჩნევა. მეტი მსგავსებაა სახელმწიფო ერმიტაჟში დაცულ პტოლემაიოს V-ის პორტრეტულ გემად მიჩნეულ სარდიონის ინტალიოს გამოსახულებასთან [21, № 61], რომელზედაც წარმოდგენილ ყმაწვილს აქვს ისეთივე თმისვარცხნილობა, შუბლი, ოდნავ ამობურცული წარბის ძვალი, სწორი, ბოლოში ოდნავ წაგრძელებული ცხვირი, პატარა გახსნილი ბაგეებისა და ნიკაპის ფორმა და ისეთივე აღელვებული გამომეტყველება, როგორიც ზღუდრის გემაზე გამოსახულ ახალგაზრდას (სურ. 10). პტოლემაიოს V-თან დაკავშირებით ო. ნევეროვი აღნიშნავს, რომ როგორი უსუსურიც არ უნდა იყოს ეგვიპტის დინასტი, პორტრეტულ გემებზე ის მეორე ალექსანდრედ გამოიყურება, სქელი ხვეული თმით და პათეტიკური, შთაგონებული გამომეტყველებით [24, გვ. 76]. სწორედ ასეთად არის წარმოდგენილი ყმაწვილი ზღუდრის გემაზე. ამდენად ვფიქრობთ, რომ ზღუდრის გემაზე შესაძლოა გამოსახული იყოს ეგვიპტის მეფე პტოლემაიოს V ეპიფანე.

სურ. 11

ბეჭედი ოქროს ფურცლისაგან არის დამზადებული (სურ. 11), ფორმითა და ცალკეული ელემენტებით ის ახ.წ. II-III სს. თარიღდება [8, გვ. 133, ტაბ. VIII_1; შეად. 42, №№ 205, 2061; 44, № 810]. ელინისტური ხანის გემა უფრო გვიანდელ – ახ.წ. II-III სს. რომაულ ბეჭედშია ჩასმული. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც გლიპტიკური ძეგლები, განსაკუთრებით რელიქვიები და მაღალმხატვრული ნიმუშები, დიდი ხნის განმავლობაშია ხმარებაში [7, გვ. 6; 8, გვ. 134, სქოლიო 27; 24, გვ. 107; 1, გვ. 36, 37, ტაბ. XV_{2-5}, LVI_{1-2}], ან ადრინდელი გემები მოგვიანებით ახალი სამკაულების დასამშვენებლად არის გამოყენებული [7, გვ. 22, № 1; 6, გვ. 96, ფერ. ტაბ. II, IV, სურ. 15, ტაბ. 43_5; 51,

[21] ამ პორტრეტს ჟ. რიხტერი განსაზღვრავს როგორც ელინისტური მეფის პორტრეტს. ო. ნევეროვი კი მას პტოლემაიოს V პორტრეტად მიიჩნევს.

გვ. 139, № 429]. ო. ნეველოვი აღნიშნავს, რომ სამარხებში გემები თითქმის ყოველთვის კომპლექსის სხვა ნივთებზე უფრო ძველია [24, გვ. 45].

სურ. 12

4. № 2700 (ძვირფასი ლითონების ფონდი). მცხეთა, სამთავროს ველის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, სამარხი აკლდამა № 905.

კამეო ამეთვისტოსი, ოქროს ბეჭედში (სურ. 12-14) [32, გვ. 36, № 27, სურ. 23, № 27, სურ. 24, № 27; 1, გვ. 22, 23, ტაბ. XXII_3; LI_2].

სურ. 13

ზომები: კამეოსი – 14×17×6 მმ; ბეჭდის შიდა – 15,5×12 მმ.; გარე – 29-32 მმ.

სურ. 14

ჰორელიეფური კამეო, წარმოადგენს ბავშვის – ეროტის თავს en face, ძალიან თავისებური თმისვარცხნილობით: შუაში შუბლიდან კეფისაკენ მიმართული მკვრივი სწორი ნაწნავის ორივე მხარეს დაშვებული წმინდა ხაზებით გადმოცემული ოდნავ ტალღოვანი თმა ყურებს უფარავს; ლამაზი მრგვალი მოყვანილობის თავი და სახის ოვალი, ნატიფად მოდელირებული ლოყები, ცხვირიდან შუბლზე გადასული ოდნავ მორკალული წარბის ხაზი, ძალიან ფაქიზად, პლასტიკურად გადმოცემული ფართოდ გახელილი თვალები – თვით თვალები ოვალური ბურცობებით, ქუთუთოები კი – ნახევარმთვარისებური, ძალიან რელიეფური ამაღლებებით; ოდნავ პაჭუა ცხვირი, შებერილი პატარა ბაგეები და ბურთულასავით მრგვალი ნიკაპი, ზედმიწევნით გაპრიალებული ზედაპირი; ასეთია ეს შესანიშნავი რეალისტური ქმნილება, ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, საკმაოდ მრავალრიცხოვან ბავშვის ამ ტიპის თავებს შორის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო გავრცელებული [40, № 11093; 50, №№ 3663, 3664; 37, № 358 (ძვ.წ. I ს., სავარაუდოა 40-ნი წლები); 25, №№ 18-25 (ძვ.წ. I ს.); 34, №№ 304-309 (ახ.წ. III ს.); 39, №№ 105-107]. საქართველოში, იგივე მცხეთაში ბავშვის ერთ სამარხში აღმოჩენილი სარდიონის ორი ამგვარი კამეო, რომელიც საყურეებს ამკობს, ახ.წ. I ს. არის დათარიღებული [2, გვ. 96-97, სურ. 4, 5].[22] ჩვენთვის საინტერესო ამეთვისტოს კამეო ბავშვის თავის გამოსახულებით ზედმიწევნით მსგავსია ერმიტაჟში დაცული სარდიონის კამეოსი, რომელიც ძვ.წ. I ს. თარიღდება [25, № 25]. ვფიქრობთ, მცხეთის კამეოც ამ ხანისა უნდა იყოს.[23]

---

[22] აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების გლიპტიკის ფონდში ინახება კერძო პირებისაგან შეძენილი სარდიონის ორი ასეთი კამეო. ინვ. №№ 815, 867.

[23] სამარხი № 905, რომელშიც ოქროს ბეჭედში ჩასმული ამეთვისტოს კამეო ბავშვის თავის გამოსახულებით, ახ.წ. II-III სს. არის დათარიღებული, საყურადღებოა, რომ მასში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ნივთებს შორის არის ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის სირიული საბეჭდავი-ცილინდრი და ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრის აქემენიდური პირამიდული საბეჭდავი [32, გვ. 16,

დიდი ზომის ბეჭედი, რომელიც ოქროს ფურცლისაგან არის დამზადებული (სურ. 14), ახ.წ. I ან უფრო საფიქრებელია II ს. იყოს [შეად. 42, №№ 173, 194]. საქართველოს მასალებში ანალოგიურია არმაზისხევში აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი, დათარიღებული ახ.წ. II ს. [3, გვ. 30, № 1, სურ. 7].

5. № 1246. აღაიანი (კასპის რ-ნი), რიყიანების ველის სამაროვანი, ორმოსამარხი № 10.[24] ინტალიო მონაცრისფრო-იასამნისფერი გამჭვირვალე მინისა, ოვალური, ვერცხლის ბეჭედში (სურ. 15, 16) [4, გვ. 31-33, 74, გამ. 107].

ზომები: ინტალიოს – 22x16 მმ.; ბეჭდის – შიდა – 22x18 მმ.; გარე – 30-26 მმ.

სურ. 15

სწორ პირზე გამოსახულია არამტკიცე ნაბიჯებით მიმავალი დიონისე, რომელსაც მარჯვენა ზევით აწეულ ხელში დოქი უჭირავს, მარცხენაში – თირსოსი (?); ღვთაება შეუმოსავია, მხოლოდ მხრებზე მოსხმული აქვს მსუბუქი მანტია, რომელიც მარჯვნივ თავისუფალ, სქელ ნაკეცებად ძირს ეშვება, მარცხნივ კი – მკლავზე აქვს მოხვეული; ღვთაების პროპორციული, ლამაზი დაკუნთული სხეული პლასტიკურად არის გადმოცემული; მაღალმხატვრული ნახელავია. მსგავსი სიუჟეტი ცნობილია რომაულ გლიპტიკაში. იკონოგრაფიულად და სტილისტურად ზედმიწევნით მსგავსი რიყიანების ველის გემისა, შესაძლოა იგივე მოდელის მიხედვით შექმნილი იყოს, ბერლინის მუზეუმში დაცული თეთრი მინის ინტალიო დიონისეს გამოსახულებით, რომელიც ზოგადად ავგუსტუსის ეპოქით [40, № 6238] ან უფრო კონკრეტულად ძვ.წ. I ს-ის ბოლო მესამედით არის დათარიღებული [31, გვ. 445]. მსგავსი გამოსახულებაა იონიდეს კოლექციის სარდიონის ერთ ინტალიოზეც, რომელსაც ჯ. ბორდმანი წარწერის მიხედვით სახელგანთქმული ბერძენი ოსტატის ჰილოსის (Hyllos) ნახელავად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ეს ოსტატი დაახლოებით ძვ.წ. I ს-ის 20-იან წლებში მოღვაწეობდა [35, გვ. 95, № 31]. ვფიქრობთ, რიყიანების ველის ინტალიოც ამ გემების თანადროული უნდა იყოს და ძვ.წ. I ს-ის ბოლო მესამედით უნდა დათარიღდეს.

სურ. 16

ბეჭედი ვერცხლის სქელი ფურცლისაგან არის დამზადებული (სურ. 16). ასეთი ფორმის ბეჭდები ძვ.წ. I-ახ.წ. I სს. თარიღდება [40, გვ. 174, № 4152]. ბეჭედი და გემა თანადროული უნდა იყოს.

მინა ირიზებულია, გამოსახულება ნაწილობრივ დაზიანებულია.

6. № 1246. აღაიანი (კასპის რ-ნი), რიყიანების ველის სამაროვანი, ორმოსამარხი № 14.[25] ინტალიო ნარინჯისფერი სარდიონისა (სურ. 17) [4, გვ. 38, 74, გამ. 108].[26]

ზომები: 20x18x2 მმ.

ინტალიო ოვალურია, ორივე პირი ბრტყელი აქვს, შესანიშნავად გათლილი და გაპრიალებული. გამოსახულია სერაპისისა და ისიდას წყვილადი ბიუსტი პროფილში, სქემით "Capita jugata" (სურ. 17); გამოსახულება ზედაპირულია, მსუბუქი, მაგრამ მკაფიო; წინა პლანზე შედარებით ღრმად ნაკვეთი სერაპისის ბიუსტია, უკან უფრო ზედაპირულად – ისიდასი; სერაპისს სწორი წმინდა ხაზებით გადმოცემული, თავზე

№№ 52, 53, სურ. 33, №№ 52, 53; სურ. 34, №№ 52, 53; 1, გვ. 36-37, ტაბ. $XL_{2, 3, 4, 5}$; ტაბ. $LVI_{1, 2}$]. არქეოლოგიურ კომპლექსებში უფრო ადრეული ხანის გლიპტიკური ძეგლების აღმოჩენის ფაქტებზე ზევით უკვე გვქონდა საუბარი.

[24] სამარხი ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [40, გვ. 30-33].

[25] ორმოსამარხი № 4 ახ.წ. I ს-ის შუა ხანებით არის დათარიღებული [4, გვ. 38, 77].

[26] ეს გემა სხვა ოთხ თვალთან ერთად (რომელთაგან 3 ინტალიოა) სამარხში აღმოჩნდა ყოველგვარი მოჩარჩოების გარეშე.

კომპაქტურად დალაგებული, განიერი სადა დიადემით გადაჭერილი თმა კისერზე გრძელ თავისუფალ ტალღებად ეფინება; ხვეული წვერი, გადმოცემული პატარა მომრგვალებული ბურცობებით, შუაზე გაყოფილია სპირალურად დახვეული, წაგრძელებული, ეგვიპტის ფარაონების მსგავსი სტილიზებული წვერით; თავზე მაღალი კალათოსი ადგას, რომელიც ორ რიგად განლაგებული ბურცობებით არის გადმოცემული; ისიდას სახის გარშემო ოდნავ ჩახვეული, უკან გადავარცხნილი თმა ვიწრო, სადა დიადემით აქვს შეკრული; თავზე ადგას ძროხის გრძელი რქები და მათ შორის ძალიან ზედაპირულად გამოსახული მზის დისკო. ორივე პროფილი კლასიკური ანტიკური ხაზებით გამოირჩევა. წმინდა და ნატიფი ნახელავია. სიუჟეტი ძალიან გავრცელებულია რომაულ გლიპტიკაში [40, № 2628; 50, № 1791; 46, №№ 638-640; 47, № 204; 30, №№ 374-376; 23, გვ. 164-210, №№ 7-9 და სხვ.]. სტილისტურად რიყიანების ველის გემის გამოსახულება ძალიან ახლოს არის სახელმწიფო ერმიტაჟში დაცულ სარდიონის ინტალიოს გამოსახულებასთან (თარიღდება ძვ.წ. I-ახ.წ. I სს.) [23, № 8]. სერაპისის თმის გადმოცემის მანერა და თვით ვარცხნილობა ძალიან გავს გრანატის ერთ გემაზე გამოსახულ სერაპისის ვარცხნილობას.[27] ხოლო ბურცობებით გადმოცემული კალათოსის ფორმა მსგავსია მიუნხენის ისტორიულ მუზეუმში დაცულ სარდიონის გემაზე გამოსახულ სერაპისის კალათოსისა (თარიღდება ძვ.წ. I ს. შუა წლებით [51, № 202]).

სურ. 17

ვფიქრობთ, რიყიანების ველის ინტალიო ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით – ახ.წ. I ს-ის დასაწყისი ხანით უნდა დათარიღდეს.

[27] დათარიღებულია ძვ.წ. III ს. [30, № 378]. ვფიქრობთ, რომ გემის თარიღი რამდენადმე დაძველებულია.

K. Javakhishvili

ON THE HISTORY OF THE RELATIONS OF THE IBERIAN KINGDOM AND EGYPT IN THE ROMAN PERIOD (ACCORDING TO GLYPTICS)

(Summary)

The appearance of glyptic specimens of Egyptian provenance on the territory of Iberia-Kartli (Eastern Georgia) coincides with the beginning of her contacts with the Roman world – the second half of the 1st cent. B.C. These specimens – not numerous but still quite important by their essence – along with some historical evidence, allow the author to conjecture the ways of penetration of the articles into Iberia-Kartli. Some of the gems manufactured in Egypt are Hellenistic ones, while others represent so-called Roman glyptic specimens. All of them are discovered in Kareli district of Shida Kartli (Eastern Georgia). Hellenistic gems come from the later archaeological complexes belonging to the Iberian nobility: one gem and a clay bulla with two impressions of the same seal were found in the ruins of a palace in Dedoplis Gora (1st cent. B.C.-1st cent. A.D.), while an intaglio was extracted from a burial in Zghuderi (2nd-3rd cent. A.D.). Besides the fact that the artefacts represent skilful masterpieces or their impressions, they depict the portraits of members of the royal family of the Ptolemies: Arsinoe II (granate intaglio, Dedoplis Gora) (Fig. 1, 2); Arsinoe III (?) (impressions on bullae, Dedoplis Gora) (Fig, 6) and Ptolemy V (?) (almandine[?] intaglio, Zghuderi) (Fig. 8, 9). It seems unlikely that the articles of such high quality were objects of trade. Perhaps, they were brought to Kartli as diplomatic gifts.

It is worth noting that the appearance of products of Hellenistic Egypt discovered in later archaeological complexes dating from the 1st cent. B.C.-2nd cent. A. D. of neiboughring Armenia are linked by Zh. D. Khachatrian with the Transcaucasian activities of Mark Antony.

During his preparations for war against the Parthians, the position of the Caucasian states acquired major significance. It seemed impossible to achieve an agreement without military intrusion and Mark Antony sent his lieutenant Publius Cannidius Crassus against the king of Kartli Parnavaz (II). The latter was defeated by the Romans in the winter of 36 B.C., swore allegiance and participated in the Roman onsalught on Albania, which also entailed alliance with the

Romans. Dio noted that the Roman general was especially happy with this alliance and lately, during his Eastern campaign against the Parthians, the Iberians and Albanians, unlike the Armenians, kept their loyalty to Romans (G. Melikishvili, N. Lomouri). As is generally known, Mark Antony was very close to the Ptolemaic court, he even married the queen of Egypt – Cleopatra VII in 37 B.C. It was a custom at the court of Egypt to present rings with representations of the kings to attendants, political and military figures, servants, etc. (J. Boardman, M. L. Vollenweider). According to one of the prevalent opinions, rings bearing the portraits of Ptolemies had even a function of political propaganda (M. Treister). Mark Antony acted in the East following the same pattern (O. Neverov, Zh. Khachatrian): granting wealth and privileges to his supporters (I. Mashkin). It just may be possible that to achieve an alliance with Iberia diplomatic gifts were also necessary, apart from military actions, this being the way for gems with representations of Ptolemies to pass into Kartli.

Perhaps a few other gems discovered on the territory of Shida Kartli, are also connected with the relationship of Kartli and ancient Egypt.

A golden ring with a beautiful amethystine cameo representing the head of the child Eros rendered in high relief (1st cent. B.C.) (Fig. 12-14), was found in a richly furnished burial of Mtskheta (East Georgia) dating from the 2nd-3rd cent. A.D. and apparently belonging to a member of the royal family (A. Apakidze, V. Nikolaishvili). A suggestion was made that this type of heads represents the children of Mark Antony and Cleopatra (J. Boardman, M. L. Vollenweider, O. Neverov).

A silver ring bearing gray-violet cast glass with the representation of drunk and staggering Dionysus (second half of the 1st cent. B.C.) (Fig. 15,16) was discovered in a burial dated to the second half of the 1st cent. A.D. at the necropolis of Riqianebis Veli. As is generally known, since 186 B.C. the cult of Dionysus was officially forbidden by the Senate and its adepts were severely punished (N. Mashkin). According to J. Boardman, only thanks to the fact that Mark Antony proclaimed himself a “New Dionysus”, the Dionysiac theme survived in Early Roman art. It was conjectured by O. Neverov, that Bacchic scenes, dominatig the Alexandrian cameos, reflected real rituals taking place there during the residence of Mark Antony in Alexandria.

A cornelian intaglio with the representation of doubled busts of Serapis and Isis (Fig. 17), brought to light at a burial dating from the second half of the 1st cent. B.C. (necropolis of Riqianebis Veli, East Georgia), is of special interest, since a long spiral curl – styled just like the beard of Egyptian pharaoh – is clearly discernible in the curly beard of Serapis. This detail may point to the Egyptian provenance of the gem.

ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ. III საუკუნისა – აკლდამა 905. – მცხეთა, XI, თბ., 1996, გვ. 7-79.

2. ლორთქიფანიძე მ. ანტიკური დროის გემები მცხეთაში აღმოჩენილი ბავშვის სამარხიდან. – სსმმ, XVI-B, თბ., 1950, გვ. 91-98.

3. ლორთქიფანიძე მ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, II. თბ., 1953.

4. მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1983.

5. ნემსაძე გ. ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. – სსმაე (1965-1967 წწ. ანგარიშები), 1969, გვ. 45-55.

6. რამიშვილი რ. ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. თბ., 1979.

7. ჯავახიშვილი ქ. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, V). თბ., 1972.

8. ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. ზღუდრის სამაროვნის გლიპტიკური ძეგლები. – სსმმ, XXXVI-B. თბ., 1982, გვ. 129-153.

9. Ковалев С.И. История Рима. Л., 1986.

10. Ломоури Н.Ю. Грузино-римские взаимоотношения. Тб., 1981.

11. Манукян А.Б. Гемма из Армении с изображением Афродиты Пафосской. – ВДИ, № 4, 1984, с. 91-97.

12. Машкин Н.А. История Древнего Рима. М., 1949.

13. Меликишвили Г.А. К истории Древней Грузии. Тб., 1959.

14. Мифологический словарь. Л., 1961.

15. Неверов О.Я. Митридат Евпатор и перстни-печати из Пантикапея. – СА, № 1, 1968, М., с. 235-239.

16. Неверов О.Я. Золотой перстень с портретом эллинистического царя. – ВДИ, № 1, М., 1969, с. 172-175.

17. Неверов О.Я. Римские портретные геммы времени гражданской войны I в. до н.э. в собрании Эрмитажа. – СГЭ, XXXII, 1971, с. 60-64.

18. Неверов О.Я. Митридат и Александр: к иконографии Митридата VI. – СА, № 2, 1971, с. 86-95.

19. Неверов О.Я. Группа эллинистических бронзовых перстней в собрании Эрмитажа. – ВДИ, № 1, 1979, с. 106-115.

20. Неверов О.Я. Портретные геммы и перстни из Северного Причерноморья. – ТГЭ, XVII, 1976, с. 166-182.

21. Неверов О.Я. Античные инталии в собрании Эрмитажа. Л., 1976.

22. Неверов О.Я. Портретные геммы республиканского Рима в собрании Эрмитажа. – История и культура античного мира, М., 1977, с. 144-150.

23. Неверов О.Я. Изображение на геммах-печатях, металлических перстнях и амулетах. М.М. Кобылина, Изображения Восточных Божеств в Северном Причерноморье в первые века н.э. М., 1978, с. 163-214.

24. Неверов О.Я. Геммы античного мира. М., 1983.

25. Неверов О.Я. Античные камеи в собрании Эрмитажа, Л., 1988.

26. Никулина Н.М. О древней глиптике и ее материале. – Искусство Востока и античности. М., 1977, с. 51-61.

27. Ранович А.Б. Эллинизм и его историческая роль. М.-Л., 1950.

28. Трейстер М.Ю. Босфор и Египет в III в. до н.э. – ВДИ, № 1, 1985, с.126-139.

29. Хачатрян Ж.Д. Новые памятники античного искусства из Арташата. – ВОН, № 1, 1996, с. 116-122.

30. Antike Gemmen in Deutschen Sammlungen, Band I, Teil 1., München, 1968.

31. Antike Gemmen in Deutschen Sammlungen, Band II, München, 1969.

32. Apakidze A., Nikolaishvili. An Aristocratic Tomb of the Roman Period from Mtskheta. – Georgia. The Antiquties Journal, London, 1994, vol. LXXIV, p. 16-54.

33. Babelon J. Le Portrait Dans L'Antiquité D'aprés les monnais, Paris, 1950.

34. Димитрова-Милчева А. Античные геммы и камеи от Националния Археологически Музеи в София, София, 1980.

35. Boardman J. Engraved gems. The Ionides Collection. London, 1968.

36. Boardman J. Greek gems and finger rings Early Bronze Age to Late Classical. London, 1970.

37. Boardman J., Vollenweider V.L. Catalogue of the Engraved Gems and Finger Rings, I. Oxford, 1978.

38. Bouché-Leclerq A. Hustoire de Lagides, I. Paris, 1903.

39. Eichler E., Kris E. Die Kameen in des Kunsthistorischen Museum. Wien, 1927.

40. Furtwängler A. Beschreibung der geschnittenen Stein im Antiquarium. Berlin, 1896.

41. Gagošidze J.M. The Temples at Dedoplis Mindori. – East and West, vol. 42, N 1, (March, 1992). Rome, p. 27-48.

42. Henkel Fr. Die Romischen Fingerringe der Pheinlande. Berlin, 1913.

43. Kyrieleis H. Bildnisse der Ptolemäer. Berlin, 1975.

44. Marschall F. Catalogue of the Finger Rings. Greek, Etruscan and Roman. London, 1926.

45. Morkholm O. Early Hellenistic Coinage from the Accession of Alexander to the Peace of Apamea (336-186 B.C.). 1991.

46. Richter G.M.A. Engraved Gems of the Greeks and the Etruscans, I. London, 1968.

47. Richter G.M.A. Engraved Gems of the Romans, II. London, 1971.

48. Visconti E.Q. Iconographie Ancienne. Planches de l'iconographie gréque. Paris, 1811.

49. Visconti E.Q. Iconographie ancienne. Iconographie Gréques. Supplement. Paris, 1811.

50. Walters H.B. Catalogue of the Engraved Gems and Cameos. Greek, Etruscan and Roman. London, 1926.

51. Zwierlein-Diehe E. Die Antiken Gemmen des Kunsthistorischen Museum in Wien, Band I. München, 1973.

სურათების აღწერილობა

1. ინტალიო. გრანატი. არსინოა II. დედოფლის გორა.
2. ვერცხლის ბეჭედი. დედოფლის გორა.
3. არსინოა II. ოქტოდრაქმა.
4. ბერენიკა II. ოქტოდრაქმა.
5. არსინოა III. ოქტოდრაქმა.
6. არსინოა III (?). ანაბეჭდი თიხის ბულაზე. დედოფლის გორა.
7. ინტალიო. გრანატი. არსინოა III. ბრიტანეთის მუზეუმი.
8. ინტალიო. ალმანდინი. პტოლემაიოს V(?). ზღუდერი.
9. ოქროს ბეჭედი ალმანდინის გემით. ზღუდერი.
10. ინტალიო. სარდიონი. პტოლემაიოს V. ერმიტაჟი.
11. პტოლემაიოს V. ოქტოდრაქმა.
12-13. კამეო. ამეთვისტო. ბავშვის თავი. მცხეთა.
14. ოქროს ბეჭედი. ამეთვისტოს კამეო. მცხეთა.

15. ინტალიო. მინა. დიონისე. რიყიანების ველი.
16. ვერცხლის ბეჭედი. მინის ინტალიო. რიყიანების ველი.
17. ინტალიო. სარდიონი. სერაპისი და ისიდა. რიყიანების ველი.

Description of the Figures

1. Intaglio. Granate. Arsinoe II. Dedoplis Gora
2. Silver ring. Dedoplis Gora
3. Arsinoe II. Octodrachm
4. Berenice II. Octodrachm
5. Arsinoe III Octodrachm
6. Arsinoe III (?). Impression on a clay bulla. Dedoplis Gora
7. Intaglio. Pomegranate. Arsinoe III. British Museum
8. Intaglio. Almandine. Ptolemy V (?). Zghuderi
9. Golden ring with engraved almandine. Zghuderi
10. Intaglio. Cornelian. Ptolemy V. The Hermitage
11. Ptolemy V. Octodrachm

12-13. Cameo. Amethyst. Head of a child. Mtskheta
14. Golden ring with an amethystine cameo. Mtskheta
15. Cast glass. Dionysus. Riqianebis Veli
16. Silver ring with cast glass. Riqianebis Veli.
17. Intaglio. Cornelian. Serapis and Isis. Riqianebis Veli.

ზურაბ ბრაგვაძე

გვიანანტიკური ხანის სამარხები ძევრიდან

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1997 წელს გათხრები ჩაატარა თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში. სამუშაოები მიმდინარეობდა მდ. ძევრულას მარჯვენა ნაპირზე, კორტების გორის აღმოსავლეთ ფერდობზე. აღნიშნული გორა წარმოადგენს დაახლოებით 3 ჰა მომცველ ტერიტორიას და, როგორც გათხრებმა აჩვენა, მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. გამოვლინდა ძვ.წ. VIII-V საუკუნის ნამოსახლარი ფენები და ახ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების სამარხები. გარდა ამისა, დაიზვერა ის ტერიტორიაც, სადაც ამ ოცდაათიოდე წლის წინათ, სახლის მშენებლობის დროს დაუნგრევიათ ელინისტური ხანის სამარხეული კომპლექსები. თუმცა, სამწუხაროდ, სამაროვნის კვალს ვეღარ მივაგენით. ჩვენს მიერ გათხრილი სამარხები გაბნეული იყო გორის თითქმის მთელ ტერიტორიაზე. კორტების გორა საკმაოდ ინტენსიურადაა დასახლებული და, როგორც წესი, მიწის სამუშაოებს ხშირად თან სდევს სამარხთა აღმოჩენისა და განადგურების შემთხვევები. მოპოვებული ინფორმაციით, კორტების გორაზე სხვადასხვა წლებში გაუნადგურებიათ სამოცზე მეტი სამარხი. ერთი შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ინვენტარი, ქვევრსამარხის არქეოლოგიური მასალა, გადმოგვცა ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომელმა როლანდ ისაკაძემ, რომელსაც იგი გადასცა ძევრის მკვიდრმა ჯ. ფხალაძემ, ვის ეზოშიც აღმოჩენილა ეს კომპლექსი. მასალის გადმოცემისთვის როლანდ ისაკაძეს უღრმეს მადლობას ვუხდი. მის მიერ გადმოცემულ მასალას მიეცა პირობით შიფრი – სამარხი 0. ექსპედიციის მიერ გაითხარა 8 სამარხი. მათგან 5 ორმოსამარხია, ხოლო 3 – ქვევრსამარხი.

სამარხი 0 – სამარხის მოწყობისა და დაკრძალვის წესის შესახებ ცნობები ვერ დავაზუსტეთ. ვიცით მხოლოდ, რომ წარმოადგენდა ქვევრსამარხს. სამარხში აღმოჩენილა:

საკიდები, ბრინჯაოსი; კონუსისებური ზარაკის ფორმის, გოფრირებული (3 ცალი) (ტაბ. I_1)

საკიდი, ბრინჯაოსი; ორმხრივ მორკალულ მარყუჟზე ჩამოკიდულია წიწვისებრი ორნამენტით შემკული ღეროები (ტაბ. I_2)

საკერებელი, ვერცხლის; კონუსის ფორმის, შემკულია წერტილოვანი ორნამენტით. დმ 4 სმ (ტაბ. I_{11})

ვერცხლის ბეჭდის ორი თვალბუდე, ოვალური ფორმის, გიშრის თვლით (ტაბ. I_{3-4}).

სამაჯური, ბრინჯაოსი; თავებგადახვეული, დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან. დმ. 6 სმ. (ტაბ. I_7).

სასაფეთქლეები, ბრინჯაოსი, ორი ცალი (ტაბ. I_{5-6}).

ფირფიტა, ბრინჯაოსი; დანიშნულება გაურკვეველია (ტაბ. I_9).

თვალი, სარდიონის (ტაბ. I_{10}).

მონეტა, ვერცხლის, სეპტიმუს სევერუსის. ავერსზე გამოსახულია იმპერატორის სახე პროფილში. რევერსზე – არგეის მთა მწვერვალითა და ვარსკვლავით. წარწერები დაზიანებულია (ტაბ. I_8).

სამარხი № 1 – ორმოსამარხი. მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 0,25 მ-ის სიღრმეზე. სიგრძე – 1,20 მ, სიგანე – 0,50 მ. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა:

მშვილდასაკინძი, რკინის; ორწილადი, ძლიერ დაჟანგული (ტაბ. I_{13})

დოქი, თიხის; მოწითალო ფერის, მრგვალპირიანი, ყელწიბოიანი, სწორტანიანი, ბრტყელძირიანი. ნაკლულია. აკლია ყური. დამზადებულია განლექილი თიხისაგან. სიმაღლე 21 სმ. პირის დმ. 4 სმ, ძირის დმ. 8 სმ, კეცის სისქე 5 მმ. (ტაბ. I_{12}).

მძივები, პასტის, კირქვისა და გიშრის (ტაბ. I_{14}).

სამარხი № 2 – ორმოსამარხი. გაითხარა მიწის ზედაპირიდან 0,30 მ-ის სიღრმეზე. სიგრძე 1,30 მ., სიგანე 0,70 მ. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა:

სასაფეთქლე რგოლი, ბრინჯაოსი (ტაბ. II_3).

დოქი, თიხის; მოწითალო ფერის, მრგვალპირიანი, ყელწიბოიანი, სწორტანიანი, ბრტყელძირიანი. ყური მიძერწილია მხარზე და როგორც ჩანს, პირზე. დამზადებულია განლექილი თიხისაგან. სიმაღლე 30 სმ, პირის დმ. 5 სმ, ძირის დმ. 12 სმ, კეცის სისქე 5 მმ (ტაბ. II_2).

მძივები, პასტის, გიშრისა და კირქვის (ტაბ. II_4).

სამარხი № 3 – ორმოსამარხი. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,25 მ-ის სიღრმეზე. სიგრძე 1,60 მ, სიგანე 0,80 მ. მიცვალებული დაკრ-

ძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა:

მოწითალო ფერის, მსხვილმარცვლოვანი თიხისგან დამზადებული დოქის ფრაგმენტები (ტაბ. II_1).

სამარხი № 4 – ქვევრსამარხი. მიწის ზედაპირიდან 0,35 მ-ის სიღრმეზე გამოიკვეთა ქვაყრილი. მისი ზომები იყო 1,50×0,90 მ. ქვაყრილში აღმოჩნდა დოქი. ქვაყრილის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა მიწაში ჰორიზონტალურად ჩადგმული ქვევრი. სიგრძე 1,80 მ. სიგანე 1,20 მ. ქვევრს პირზე მიფარებული ჰქონდა რიყის ქვა. ქვევრში დაკრძალული იყო მიცვალებული მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ.

ქვაყრილსა და სამარხში აღმოჩნდა:

დოქი, თიხის, რუხი ფერის, სწორტანიანი, ბრტყელძირიანი. აკლია პირ-ყელის ნაწილი და ყური. დამზადებულია მარცვლოვანი თიხისაგან. (ტაბ. III_1).

საყურეები, ვერცხლის; 2 ცალი (ტაბ. III_4).

საკიდები, ძვლის; ნისკარტის ფორმის, 2 ცალი (ტაბ. III_5).

საკიდი, ბრინჯაოსი; ჯაჭვის ფორმის (ტაბ. III_6).

სამაჯური, ბრინჯაოსი; დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან (ტაბ. III_2).

საკერებელი, ვერცხლის; კონუსის ფორმის, შემკულია წერტილებით (ტაბ. III_3).

სასფეთქლე რგოლები, ბრინჯაოსი; 2 ცალი (ტაბ. III_{9-10}).

თვალბუდე, ვერცხლის; სარდიონის თვლით (ტაბ. III_8).

მშვილდსაკინძი, ვერცხლის; ორწილადი, ბრინჯაოს ენით, დაწახნაგებული ღერო შემკულია სამკუთხედების ორნამენტით (ტაბ. III_7).

დანა, რკინის; სწორპირიანი, ძლიერ დაშლილი (ტაბ. III_{11}).

მძივები, მინისებური პასტის, გიშრის, მთის ბროლის, კირქვის (ტაბ. III_{12}).

სამარხი № 5 – ქვევრსამარხი. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,15 მ-ის სიღრმეზე. ქვევრსამარხი შემორჩენილი იყო ფრაგმენტულად. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ პოზაში, თავით სამხრეთ-დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა რუხი ფერის, მსხვილმარცვლოვანი თიხით დამზადებული დოქის პირ-გვერდისა და ყურის ფრაგმენტი (ტაბ. IV_1) და რკინის გაურკვეველი დანიშნულების ნივთის ნაწილი (ტაბ. IV_2).

სამარხი № 6 – ორმოსამარხი. მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 0,20 მ-ის სიღრმეზე. სამარხი დანგრეული იყო. მიცვალებულის დაკრძალვის პოზა ვერ დადგინდა, ასევე ვერ გაირკვა სამარხის ზომებიც.

სამარხში აღმოჩნდა:

დოქი, თიხის; მოწითალო ფერის, მრგვალპირიანი, დაბალყელიანი, მრგვალკორპუსიანი, ბრტყელძირიანი. დოქის კორპუსი შემკულია მეჭეჭისებური კოპებით. ყურები მიძერწილი აქვს მხარზე და კორპუსზე. (ტაბ. IV_3).

სამარხი № 7 – ორმოსამარხი. ეს სამარხიც დანგრეული იყო. მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 0,20 მ-ის სიღრმეზე. სამარხის ზომები და მიცვალებულის დაკრძალვის პოზა ვერ გაირკვა. სამარხში აღმოჩნდა:

დოქი, თიხის; მოწითალო ფერის, სამტუჩაპირიანი, დაბალყელიანი, მრგვალკორპუსიანი და ბრტყელძირიანი. ყური მიძერწილი აქვს პირის გვირგვინზე და მხარზე. დოქის კორპუსი ნაწილობრივ დეფორმირებულია. დამზადებულია განლექილი თიხისაგან. სიმაღლე 17 სმ, პირის დმ 6 სმ, ძირის დმ 10 სმ (ტაბ. V_1).

სამარხი № 8 – ქვევრსამარხი. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,20 მ-ის სიღრმეზე. სამარხი ნაწილობრივ დანგრეული იყო. მიცვალებულის ძვლები ისე უსისტემოდ ეყარა, რომ დაკრძალვის პოზა ვერ დადგინდა. ქვევრსამარხში აღმოჩნდა:

მშვილდსაკინძი, ბრინჯაოსი (ტაბ. V_2).

მონეტა, ვერცხლის; ძლიერ დაზიანებული (სეპტიმუს სევერუსის?). ავერსზე ძლივს განირჩევა გვირგვინოსანი მამაკაცის პროფილი, ხოლო რევერსზე მოჩანს მთის მწვერვალი. (ტაბ. V_3).

ინტალიო, სარდიონის. ამოკაწრულია ურემზე მჯდარი მამაკაცი, რომელიც მიერეკება ხარს (ტაბ. V_4).

მძივები, სარდიონისა და პასტის, მოზაიკური და სადა (ტაბ. V_{5-6}).

როგორც ვნახეთ, ძევრის არქეოლოგიური მონაპოვარი არ გამოირჩევა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით. ძირითადად წარმოდგენილია კერამიკა, ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები, მონეტები, სამკაული და მძივები. კერამიკის ასორტიმენტი შეზღუდულია და გვხვდება მხოლოდ დოქები. მათი ნაწილი დამზადებულია თითქმის განულექავი ან ცუდად განლექილი უხეში თიხისაგან. თიხა მარცვლოვანია და ხასიათდება ქარსის მაღალი პროცენტული შემცველობით. დამაკმაყოფილებელი არ არის არც გამოწვის ტექნოლოგიური დონე. გამოწვის ხარისხი სუსტია, რის გამოც ჭურჭლები ადვილად შლადი და აღდგენის უუნაროა (ტაბ. II_1; ტაბ. III_1; ტაბ. IV_1). ჩამოთვლილი ნიშანთვისებები ზოგადად დამახასიათებელია გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს თუნის ნაწარმისათვის [7, გვ. 31-32]. ზუსტად ასეთივე ტიპის კერამიკაა გამოვლენილი აღმოსავლეთ

კოლხეთის ისეთ ცნობილ ძეგლებზე, როგორიცაა კლდეეთი [3, გვ. 63] და ჩხარი [2, გვ. 20-23]. ანალოგიური ვითარებაა საკუთრივ ძევრში საგვარჯილეს მიმდებარე ტერიტორიაზე 1952 წელს გათხრილი სამარხების მასალებშიც, სადაც თუნის ნაწარმი უპირატესად დოქებია და თიხაც ისეთივე მარცვლოვანი და ქარსმინარევიანია, როგორც კორტების გორის ცალები. თუმცა, განსხვავება მაინც შეინიშნება და იგი ვლინდება იმაში, რომ საგვარჯილეს ორმოსამარხების ორი დოქი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და შედარებით პრიალაზედაპირიანია. როგორც რ. ფუთურიძე აღნიშნავს, ეს გარემოება, შესაძლოა, საგვარჯილეს ორმოსამარხების შედარებითი სიახლის ნიშანი იყოს [5, გვ. 70]. განლექილი თიხისგან დამზადებული და დახვეწილი ფორმის ჭურჭლები კორტების გორის №№ 1, 2, 6 და 7 სამარხში დასტურდება (ტაბ. I_{12}; ტაბ. II_2; ტაბ. IV_3; ტაბ. V_1). მათგან საგანგებო ყურადღებას იქცევს № 6 სამარხში აღმოჩენილი ორყურა დოქი (ტაბ. IV_3). ორყურა დოქები დასავლეთ საქართველოში უცხო მოვლენა არ არის. ასეთი სახის ნაწარმი მიკვლეულია ჩხოროწყუსა [13, გვ. 67-95] და ფერეთაში [6, ტაბ. I_5], მაგრამ ძევრის ნიმუში საგრძნობლად განსხვავდება მათგან ძირითადად კორპუსის შემკობის მხრივ და წარმოადგენს სამთავროზე აღმოჩენილი ცალების ზუსტ ანალოგს [10, სურ. 97, 98, 99, 100]. ამრიგად, თუ დოქების პარალელებს გავითვალისწინებთ, ძევრის კორტების გორის ქვევრსამარხებიცა და ორმოსამარხებიც თანადროული კომპლექსები ჩანს და მათი თარიღი II-III საუკუნით განისაზღვრება. შემოთავაზებულ თარიღს გარკვეულწილად ამაგრებს სეპტიმიუს სევერუსის მონეტების აღმოჩენის შემთხვევებიც (სამარხი 0, 8). ძევრის კომპლექსების ამგვარ დათარიღებას არ ეწინააღმდეგება სამკაულიც, რომელიც, მართალია, მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი ცალკეული სახეობები მაინც ხელშესახები მომენტია ძეგლის ქრონოლოგიის დადგენისათვის. ასეთია ბრინჯაოს თავგადახვეული სამაჯური, რომლის ანალოგები ძალიან ბევრია აღმოჩენილი, როგორც ჩვენთან, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ისინი დაფიქსირებულია ურეკში [14, გვ. 52], ჩხოროწყუში [5, გვ. 58], ბორში [11, ტაბ. 18], კლდეეთში [3, ტაბ. XIX], აღაიანში [4, გვ.64], ზღუდერში [12, გვ.110], ჩხარში [2, გვ. 36-37], რგანში [1, სურ. 33, 85] და სხვ. როგორც ძეგლების არასრული ჩამონათვალიდანაც კარგად ჩანს, მსგავსი ტიპის სამაჯურები მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს. აღნიშნული ნივთების დიდ პოპულარობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ თავგადახვეული სამაჯურები მზადდებოდა ნებისმიერი ლითონისაგან (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა). გეოგრაფიულ არეალთან ერთად ფართოა ამ ნივთთა გავრცელების ქრონოლოგიაც. ისინი გვხვდება მთელი გვიანანტიკური პერიოდის განმავლობაში და არსებობას განაგრძობენ ადრეულ შუა საუკუნეებშიც (VI-VIII სს.).

თავგადახვეული სამაჯურები ასევე დიდი რაოდენობით ვლინდება საქართველოს ფარგლებს გარეთაც. კერძოდ, ისინი წარმოადგენს ჩერნიახოვის კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს დამახასიათებელ ნიმუშებს. ჩერნიახოვის კულტურის ქრონოლოგიურ საზღვრად მიჩნეულია II-IV საუკუნეები [9, გვ. 85]. მკვლევართა ნაწილი სარმატული ელემენტისა თუ სარმატული წესჩვეულებების გავლენასაც მიაწერდა საქართველოში თავგადახვეული სამაჯურების არსებობას, მაგრამ აქვე იმასაც მიუთითებდნენ, რომ საჭირო იყო ამ საკითხის უფრო ღრმად გააზრება და ყურადღების იმაზე გამახვილება, თუ რა მომდინარეობდა სარმატულ კულტურაში საერთო კავკასიური სამყაროდან [3, გვ. 189-190]. ცნობილია, რომ ჩერნიახოვის კულტურის შექმნაში დაკურ-თრაკიულ და გოთურ ელემენტთან ერთად აქტიურ როლს ასრულებდნენ სარმატებიც, მაგრამ არავითარი საფუძველი არ მოიპოვება საიმისოდ, რათა თუნდაც ვარაუდის დონეზე დავუშვათ სარმატების მონაწილეობა გვიანანტიკური ხანის ქართული კულტურის ფორმირების საქმეში, განსხვავებით აღმოსავლეთ ევროპის თანადროული ვითარებისაგან, სადაც თავგადახვეული სამაჯურების არსებობა უშუალოდ უკავშირდება სარმატების გავლენას [8, გვ. 282]. ჩვენს შემთხვევაში კი სარმატულ ტომებში ამ ნივთთა კავკასიიდან გავრცელებაზე უფრო შეიძლება მსჯელობა, რადგან როგორც საქართველოში აღმოჩენილი ნიმუშები მოწმობენ, მსგავსი სამაჯურები გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ჩერნიახოვის კულტურის ჩამოყალიბებამდე ჩნდება ქართლის ტერიტორიაზე და I საუკუნის მსგავსი ნივთები ცნობილია საქართველოს არქეოლოგიური სინამდვილისათვის [4, გვ. 64].

ძევრის არქეოლოგიურ მონაპოვარში საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ბრინჯაოს საკიდი (სამარხი 0. ტაბ. I_2) და ინტალიო (სამარხი № 8. ტაბ. V_4). ორივე ეს ნივთი უნიკალურია იმდენად, რამდენადაც მათ თითქმის არ ეძებნებათ ზუსტი ანალოგები. ასეთი ტიპის ბრინჯაოს საკიდი ამ ეტაპზე ჩემთვის ცნობილი ძეგლებიდან მხოლოდ ჩხარის № 6 სამარხშია მიკვლეული [2, გვ. 10-11, ტაბ. XVI_3]. მისი სხვა პარალელის მონახვა შეუძლებელი საქმე აღმოჩნდა. ასევე ვერსად მოინახა ინტალიოზე წარმოდგენილი სიუჟეტის (ტაბ. V_4), ზუსტი ანალოგი. ამასთან დაკავშირებით მცხეთის მუ-

ზეუმის დირექტორმა თ. ბიბილურმა მომაწოდა ცნობა, რომ მუზეუმში მიუტანიათ II-III საუკუნეების არქეოლოგიური კოლექცია საინგილოდან და სხვა ექსპონატთა შორის ანალოგიური შინაარსის მქონე ინტალიოც ყოფილა.

ამრიგად, როგორც განხილულმა მასალებმა ცხადჰყო, ძევრის კორტების გორის სამარხების ქრონოლოგია II-III საუკუნით უნდა განისაზღვროს. კორტების გორა იმ იშვიათ არქეოლოგიურ ძეგლთა რიგს მიეკუთვნება, სადაც ერთად, გვერდიგვერდ არის ფიქსირებული ქვევრსამარხები და ორმოსამარხები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ საქართველოში ასეთი ტიპის სამაროვნები დიდი რაოდენობით არ არის გამოვლენილი, შუა იმერეთში ამ სახის ნეკროპოლის აღმოჩენა თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია და საერთოდ, იმერეთის რეგიონიდან მომდინარე გვიანანტიკური ხანის სამაროვნების სიმწირის ფონზე, ძევრის უკვე აღმოჩენილ და მომავალში მოსალოდნელ აღმოჩენებს შეუძლიათ ბევრი სიცხადე შეიტანოს საქართველოს ამ პერიოდის ისტორიისა და კულტურის კვლევის საქმეში.

Z. Bragvadze

TOMBS OF THE LATE CLASSICAL PERIOD FROM DZEVRI

Eight tombs were excavated in the village of Dzevri, situated in the middle of Imereti region.

Two types of tombs were discovered: pit-burials and jug-burials. Tombs 1,2,3,6 and 7 are assigned to the type of pit-burials, and tombs 0,4,5 and 8 are jug-burials.

The archaeological material of the Dzevri tombs is dated 2nd-3rd cc. A.D.

ლიტერატურა

1. **ბრაგვაძე ზ.** რგანის სამაროვანი. – არქეოლოგიური ჟურნალი, I, 2000, გვ. 51-114.

2. **ბრაგვაძე ზ.** ჩხარის სამაროვანი. თბ., 1997.

3. **ლომთათიძე გ.** კლდეეთის სამაროვანი. თბ., 1955.

4. **მირიანაშვილი ნ.** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1983.

5. **ფუთურიძე რ.** გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. – მსკა, II, 1959, გვ. 48-59.

6. **ხარაბაძე ს.** გვიანანტიკური ხანის სამარხი სოფელ ფერეთადან. – ძიებანი, №9, 2002, გვ. 81-87.

7. **ჯაფარიძე ვ.** კლდეეთის სამაროვანი და დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ძეგლების შესწავლის საკითხი. – ძმ, № 68, 1984, გვ. 21-32.

8. **Археология Венгрии**. М., 1986

9. **Барцева Т. Б., Вознесенская Г. А., Черных Е. Н.** Металл Черняховской культуры. М., 1972

10. **Иващенко М. М.** Самтаврские погребения первых трех веков н.э. – მცხეთა III, 1980, გვ. 3-30.

11. **Куфтин Б. А.** Материалы по археологии Колхиды, т.2. Тб., 1950.

12. **Немсадзе Г. М.** Погребения иберийской знати из Згудери. – КСИА, 151, 1977, с. 107-112.

13. **Хоштария Н. В.** Чкороцку – могильник с трупосожжением (захоронения в урнах). – მსკი, II, 1941, გვ. 67-95.

14. **Хоштария Н. В.** Археологичесское исследование Уреки. – მსკა, I, 1955, გვ. 42-59.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1-11. სამარხი № 0; 12-14. სამარხი № 1.
ტაბ. II – 1. სამარხი № 3; 2-4. სამარხი № 2.
ტაბ. III – სამარხი № 4.
ტაბ. IV – 1-2. სამარხი № 5; 3. სამარხი № 6.
ტაბ.V – 1. სამარხი № 7; 2-6. სამარხი № 8.

Discription Of The Plates

Pl.I – 1-11. burial 0; 12-14. burial 1.
Pl.II – 1. burial 3; 2-4. burial 2.
Pl. III – burial 4.
Pl.IV – 1-2. burial 5; 3. burial 6.
Pl.V – 1. burial 7; 2-6. burial 8.

ტაბ. I



ტაბ. II







0 2


1
0
6
2
8
3
7
4
5
6
11
0
3
9
10
12

ტაბ. IV





ტაბ. V





ვერა ჩიხლაძე

საინტერესო სამარხეული კომპლექსი ჟინვალის სამაროვნიდან

ჟინვალის სამაროვანზე შესწავლილი მრავალრიცხოვანი გვიანანტიკური ხანის სამარხებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორმოსამარხი № 364. იგი მდებარეობდა სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მიწის ზედაპირიდან 0,80 მ სიღრმეზე. დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, თავით სამხრეთით. სამარხი დაუზიანებიათ ქვის სამარხების გამართვისას V საუკუნეში. სამარხის სამხრეთი მხარე – თავის ქალა და ხელის მტევნები – ჩაჭრილი ჰქონდა 368-ე ქვის სამარხს, ხოლო ჩრდილოეთი – ფეხების-ტერფების მხარე კი, 369-ე ქვის სამარხს (ქვის სამარხები დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით). ქვის სამარხებს შორის შემორჩენილ ფართობში ერთი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა კიდურებმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე. ჩონჩხს აკლდა თავის ქალა, ხელის მტევნები და ტერფის ძვლები. იგი 40-45 წლის მამაკაცს ეკუთვნოდა.

სამარხში აღმოჩნდა:

ხატისუღელი (09-XXV-81-14),[28] საკისრე რგოლი, კირკალი ვერცხლისა, ბოლოებგახსნილი. დამზადებულია ოვალურად მორკალური სადა ღეროსაგან, რომელიც ბოლოებისაკენ შემსხვილებულია ბურთულისებურად. მრგვალგანივკვეთიან ღეროს ჟანგის სქელი ფენა ფარავს. გატეხილია სამად. აღმოჩნდა ყელის არეში.

ხატისუღელი რელიგიური დანიშნულების ნივთს წარმოადგენს. იგი საქართველოში უძველესი დროიდან იყო გავრცელებული და მან წინაქრისტიანულ ხანამდე მოაღწია. თვით ჟინვალის სამაროვანზე ოთხი ხატისუღელია აღმოჩენილი I-II სს. დათარიღებულ სამარხებში. აღნიშნული ხატისუღელი იმეორებს ახალგორის ოქროს ხატისუღლის ფორმას. თანადროულ-გვიანანტიკურ ხანის სამაროვანებზე ამ ტიპის ხატისუღლები დადასტურებული არ არის. რაც შეეხება განსხვავებული ტიპის ხატისუღლებს, დადასტურებულია კლდეეთის მეოთხე სამარხში [6, გვ. 147-148, ტაბ. XIX_{15}], ზღუდერში [12, გვ. 45-56], ნეძიხში (18, გვ. 7-8).

სამაჯური (09-XXV-81-X-15), ვერცხლისა, რკალჩაზნექილი. ბოლოები შემსხვილებული და გახსნილი აქვს. დმ -7,5 სმ.

სამაჯური (09-XXV-81-16), ბრინჯაოსი, ოდნავ რკალჩაზნექილი. ბოლოებგახსნილი, თავებშემსხვილებული. გატეხილია ორად. დმ - 8 სმ; ორივე სამაჯური აღმოჩნდა მარჯვენა ხელის მაჯაზე.

სამაჯურის ნატეხები (09-XXV-81-17,18,19), ბრინჯაოსი. სამი ცალისა. ბოლოებშემსხვილებული. აღმოჩნდა ხელის ძვლებთან ორ-ორად გატეხილი.

ანალოგიური სამაჯურები აღმოჩენილია მცხეთაში – ქვევრსამარხებში [5, გვ. 51-52], ციხიაგორაზე [22, გვ. 42-58], დასავლეთ საქართველოში, საირხეში [11, ტაბ. XII_{51}].

ჟინვალის სამაროვანზე მეომართა სამარხებში სამაჯურები დადასტურებულია ორივე ხელის მაჯაზე, ხოლო ერთ შემთხვევაში, დაწინაურებული მეომრის სამარხში № 277-ში, დადასტურდა ხუთი სამაჯური, სამი ვერცხლისა, ორი კი – ბრინჯაოსი. სამი ცალი მარჯვენა ხელის მაჯაზე ეკეთა, ხოლო ორი – მარცხენაზე [20, გვ. 58-69]. აქ შეიძლება გავიხსენოთ ალექსი მესხიშვილის მოსაზრება სამხედრო ტანსაცმელთან დაკავშირებით, სადაც ის წერდა: „საკვირველი მოაზრებული სამხედრო ტანსაცმელია ჩვენი ტანსაცმელი: ბრძოლის დროს შეკრული მაჯა-აუცილებლივ საჭიროა, რათა ძარღვი არ აეყაროს და უფრო ღონივრად გაიტყორცნოს ჯირითი. კარგი მოჯირითე მაჯას მაგრა შეიკრავს. მაჯაშეკრული მახვილს უფრო ღონივრად შემოჰკრავს... [2, გვ. 3].

საინტერესო გამოკვლევა აქვს სამაჯურებზე კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორს ი. პოსტგეიტს, თავის ნაშრომში: ბეჭდები, ტორსი და სამაჯურები. სადაც ის ამბობს: სამაჯურებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდის სტატუსის განსაზღვრისათვის. ეს კარგად ჩანს ჰეროდოტეს სიტყვებიდანაც, რომელიც საბერძნეთში სარდალ მარდონიუსის დროს ჯარისკაცების შერჩევაზე საუბრობს. მას კიდევ ერთი ფაქტი მოაქვს: ძვ.წ. VII-VI საუკუნეში იონიანი ეგვიპტის ფარაონს ფარმეტიკუს I ან II-ს ემსახურებოდა და ამისათვის იგი ოქროს სამაჯურით დააჯილდოვეს. ეს პრაქტიკა სამაჯურებით დაჯილდოვებისა არსებობდა სპარსეთის იმპერიამდეც. იგულისხმება იმ პირების დაჯილდოვება, ვინც მათ ხალხს ემსახურებოდა.

მართალია, ეს გამოკვლევა 5-6 საუკუნით ადრეულ ეპოქას ეხება, მაგრამ ის, რომ სამაჯურებით დაჯილდოვება განსაკუთრებულ საპატიო ნიშნად ითვლებოდა და სამხედრო მოსამსახურეებს აჯილდოვებდნენ, გასათვალისწინებელია ჟინვალის სინამდვილეშიც, სადაც მეომართა ინდივიდუალურ ორ შემთხვევაში ხუთ-ხუთი სამაჯური აღმოჩნდა.

ბეჭედი (09-XXV-81-21), რკინისა. შემორჩენილია თვალბუდე ბაცი ყავისფერი მინის გემაინტალიოთი. თვალბუდე რკალშია ჩაჭრილი. მი-

[28] 09-ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის შიფრია, XXV-უბნის ნომერი, 81-აღმოჩენის თარიღი, ხოლო-14 ინვენტარის ნომერია. ინვენტარის ნომერი და ტაბულაზე აღნიშნული ნივთის ნომერი იდენტურია.

ნის თვალი ნახევარსფეროსებრი მოყვანილობისაა, ზურგი ბრტყელი აქვს, პირი ამობურცული. ინტალიოს პირზე ბუნდოვანი გამოხატულებაა. შესაძლებელია სქემატურად გამოხატული თევზი იყოს. ინტალიო ჩამონასხამს წარმოადგენს. ინტალიოს სიგრძე – 8 მმ, განი – 7 მმ.

ანალოგიური მთლიანადსხმული ბეჭდები, რომელთა თვალბუდე ზედაპირულადაა ჩაჭრილი რკალში, გვხვდება I-II სს. დათარიღებულ კომპლექსებში, როგორც რკინისა, ასევე ბრინჯაოსი. მათ თვალბუდეში მინის გამჭვირვალე ჩამოსხმული გემა-ინტალიოები აქვთ ჩასმული. ასეთი ბეჭდები დადასტურებულია მცხეთაში [1, ტაბ. X_2], კლდეეთში [6, ტაბ. II_1], ურბნისში [21. ტაბ. V_7].

მონეტა (09-XXV-81-22), ვერცხლის; რომაული. გაურკვეველია ვის ეკუთვნოდა. წონა ≈ 0,97 გრ., ზ ≈ 17. აღმოჩნდა მარჯვენა ხელთან.[29]

ზარაკები (09-XXV-81-12,13,14), ბრინჯაოსი. 3 ც. დამტვრეულია. შემორჩენილია ნაწილობრივ ნახევარსფერული ფორმის ნატეხები. აღმოჩნდა მკერდის არეში.

ზარაკები რიტუალური დანიშნულების ნივთებია და ისინი უძველესი დროიდან გვხვდება სამაროვნებზე. ნახევარსფეროსებრი ზარაკები გვხვდება I-IV სს. დათრიღებულ სამარხებში. მსგავსი ზარაკები დადასტურებულია თანადროულ სამაროვნებზე სამთავროში [8, გვ. 156-166], კლდეეთში [6, ტაბ. IX_1], კარსნისხევში [13, ტაბ. CIV_3], ერწოში [16, გა. 90-91] და სხვ. ისინი ყოველთვის გვხვდება კენტი რაოდენობით 1, 3, 5, 7, 9, და 11.

რგოლები (09-XXV-81-20), ბრინჯაოსი. 2 ც. მცირე ზომისა. აღმოჩნდა სამარხის ფართობზე.

ნიჟარა (09-XXV-81-21), თეთრი ფერისა, სურისებრი ფორმის. სიმაღლე – 4,7 სმ; დმ – 3,4 სმ; იდო მკერდის არეში.

ნიჟარა შეუსწავლელია.

ავგაროზი (09-XXV-81-24,25,26,27), იგი წარმოადგენს ოთხ სხვადასხვა ცხოველთა გახვრეტილ კბილებს. აღმოჩნდა მუცლის არეში.

ზუსტად ანალოგიური ავგაროზი, ცხოველთა კბილებისაგან შემდგარი, აღმოჩნდა ამავე სამაროვანზე 357-ე ორმოსამარხში (ირმის მშვილდსაკინძიან) და 182-ე კატაკომბურ სამარხში. ანალოგიური ავგაროზი-კბილები დადასტურებულია კლდეეთში [6, გვ. 78]. ასეთი ავგაროზები თუ ამულეტები გვხვდება მხოლოდ მამაკაცთა სამარხებში.

მძივები (09-XXV-81-24-48-ის ჩათვლით). სამარხის მთელ ფართობზე მიმოფანტული იყო 720 ც. მძივი. მათ შორის გიშრის, თიხის, ბროლისა, მინის სხვადასხვა ფერისა და ზომის, მინისებრი პასტისა ინკრუსტირებული, ეგვიპტური პასტისა, ქარვისა, ალებასტრისა, თეთრი ფერის ქვისა, ოქროსი, ძვლისა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გარეული ტახის ეშვისაგან დამზადებული ხუთწახნაგა მძივები – 8 ც., რომელთაგან ერთი საბეჭდავს-ავგაროზს წარმოადგენს.[30]

მძივები იმ უძველეს სამკაულთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც ადამიანი უხსოვარი დროიდან ატარებდა. მისი ისტორიის საწყისები შორეულ ათასწლეულთა წიაღში იკარგება. ვერავინ იტყვის როდის შეიმკო პირველად თავი მძივებით პირველყოფილმა ადამიანმა, მაგრამ უეჭველია, პირველი მძივ-სამკაული ის იყო, რასაც ბუნება მზამზარეულად აძლევდა მას [4, გვ. 6].

მძივებმა განვითარების დიდი გზა განვლო, ვიდრე მიაღწევდა დამზადების სრულყოფილ ტექნიკას და „სასწაულთმომქმედი ამულეტიდან“ სამკაულად იქცეოდა.

მძივებს თავიდანვე ორმაგი დანიშნულება ჰქონდა: მხატვრულ-ესთეტიკური და აპოტროპეული. მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით მძივების ერთადერთი დანიშნულება ადამიანის გალამაზებაა. აპოტროპეული კი ნიშნავს მის ავგაროზებად, ამულეტებად და თილისმებად გამოყენებას.

ფერადი ქვების მაგიური ძალის რწმენა აღმოსავლეთის ქვეყნებში უძველესი დროიდან დამკვიდრდა. ფიქრობდნენ, რომ ფერადი ქვებისაგან დამზადებული სამკაული ადამიანს ავი თვალისაგან, ავადმყოფისა და ყოველგვარი უბედურებისაგან იცავდა. თუ ადამიანი სამკაულად ატარებდა ღვთაების ან მისი ატრიბუტის გამოსახულებას, იგი ეზიარებოდა ამ ღვთაებას.

ჟინვალის სამაროვანზე მძივები გვხვდება დედაკაცთა, მოზარდთა და მამაკაცთა სამარხებში. მძივები დედაკაცებს ძირითადად ყელსაბამად უტარებიათ, თუმცა ხშირად კაბების გულისპირიც ჰქონდათ გაწყობილი და მაჯებზე მაქმანებად გამოყენებული, მათი სუდარაც მძივებით ირთვებოდა. მოზარდთა სამარხებში მძივები გვხვდება ყელსაბამებად, სამაჯურებად, შუბლზე დიადემებად, მაქმანებად და სხვ. მამაკაცთა სამარხებში დიდი რაოდენობით მძივების აღმოჩენა ყოველთვის დაკავშირებულია თავსაბურავთან, ქუდთან და სუდარასთან. წელის არეში აღმოჩენილი მძივები და მძივ-საკიდები ავგაროზებს, ამულეტებს და თილისმებს წარმოადგენენ. დედაკაცებს ღვთაებების გამოსახულებიანი მძივ-საკიდები და მედალიონები უტარებიათ, მამაკაცებს კი ბრინჯაოსა და ძვლის ცხოველურსახიანი საკიდები. მცირეწლოვან ბავშვთა სამარხებში კი მძივებად ძირითადად I-VIII სს. მანძილზე გვხვდება მცირე ზომის ნიჟარებიკაურები.

ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი მძივების ნაწილი შემოტანილია, ხოლო დიდი ნაწილი ადგილობრივი წარმოშობისაა, რომელთა

[29] მონეტა შეისწავლა ნუმიზმატმა ი. ჯალაღანიამ.

[30] ძვლის საბეჭდავის განსაზღვრა და ატრიბუცია მოცემულია მარგარიტა ლორთქიფანიძის სტატიაში ჟურნალის ამავე ნომერში. ძვლის განსაზღვრა ეკუთვნის ოსტეოლოგ გურამ მელაძეს.

დამზადებაში მონაწილეობდნენ უმთავრესად ადგილობრივი, ხოლო ზოგჯერ უცხოეთიდან ჩამოსული ოსტატებიც. მძივების დამზადება რომ ადგილობრივ ხდებოდა ჟინვალში, ამას ადასტურებს ჟინვალის ნამოსახლარზე მოპოვებული ქვიშაქვები, რომელთა გვერდები სხვადასხვა ზომის ღარებითაა დაფარული. ამ ქვებზე ხდებოდა სხვადასხვა ზომის მინერალების მძივებად დამუშავება და გაპრიალება.

364-ე სამარხი მამაკაცის კუთვნილებაა. ასეთი დიდი რაოდენობით მძივების აღმოჩენა სამაროვანზე პირველი შემთხვევა არ არის. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მძივები ყორეკედლიან 277-ე და ქვაყრილიან 350-ე მამაკაც-მეომართა სამარხებში და სხვაგანაც.

364-ე სამარხში აღმოჩენილი მძივების ნაწილი – ეგვიპტური პასტის, ქარვის, მთის ბროლის, მინისებრი პასტის, მინისებრი პასტის ინკრუსტირებული მძივები იმპორტს უნდა წარმოადგენდეს. ახ.წ. პირველ საუკუნეებში ზემოაღნიშნული ნაწარმი რომაული ეგვიპტის სახელოსნოებისა ძალზე ფართო ტერიტორიაზეა გავრცელებული – ხმელთაშუაზღვისპირეთი, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი, ჩრდილოეთ კავკასია, ამიერკავკასია, შუა აზია, მახლობელი აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები [25, გვ. 25-35]. ეს გარემოება ნათლად მიუთითებს ქართლის სამეფოს მოსახლეობის (მათთან ერთად ჟინვალის მოსახლეობის) მონაწილეობაზე საერთაშორისო ვაჭრობაში და ეგვიპტის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების აქტიურ სავაჭრო ურთიერთობაზე იბერიასთან და საერთოდ ამიერკავკასიის ქვეყნებთან [7, გვ. 74-75].

364-ე სამარხში აღმოჩენილი მძივები მრავალ პარალელს პოულობს მცხეთის [1], კარსნისხევის [13], მოგვთაკარის [19], დიღმის [15], ბაიათხევის [14], სამთავროს [9], არაგვისპირის [17], ურბნისის [21], აღაიანის [3], კლდეეთის [6], საირხის [11], მძივიანამამულების [10], ქუშანაანთგორის [16], ციხიაგორის [22], ნეძიხის [18], ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის [23], ჩრდილოეთ კავკასიის [26], სომხეთის [24] სამაროვნებზე აღმოჩენილ მძივებთან და მძივსაკიდებთან.

თვით ჟინვალის სამაროვანზე მძივები ძალიან დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი – 16000 ც. ასეთი მრავალრიცხოვანი მასალა არც ერთ მკვლევარს არ შეუსწავლია. მართალია, რაოდენობრიობას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მასალის შესწავლისათვის, მაგრამ ჟინვალის სამაროვანზე მრავალფეროვანი მასალისაგან დამზადებული სხვადასხვა ფორმის მძივები გვხვდება, რაც მომავალში დამოუკიდებელი კვლევის საგნად უნდა იქცეს. ეს სამეცნიერო მიმოქცევაში შეიტანს სრულიად ახალ მასალას, წარმოაჩენს ჟინვალს, მის როლსა და მნიშვნელობას საქართველოში აღმოჩენილ გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარებს შორის.

აღმოჩენილი მასალის მიხედვით, ჟინვალის სამაროვნის 364-ე სამარხი I ს. უნდა დათარიღდეს.

ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-46 წწ. გათხრების მიხედვით. – მცხეთა I, თბ., 1955, გვ. 184-207.

2. ალექსი-მესხიშვილი ნ. ისტორიული პიესების წარმოდგენების გამო. – „ივერია“, 1904, № 80, გვ. 3.

3. ბოხოჩაძე ა. არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისაში. თბ., 1981.

4. გაგოშიძე ი. ქართველი ქალის თავსამკაული. თბ., 1981.

5. თოლორდავა ვ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში (ქვევრსამარხები). თბ., 1980.

6. ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი. თბ., 1957.

7. ლორთქიფანიძე ო. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია). თბ., 1968.

8. მანჯგალაძე გ. სამთავროს ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიისათვის. – სმამ, № 3, 1988, გვ. 156-166.

9. მანჯგალაძე გ. სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები, კატალოგი. – მცხეთა, VII, თბ., 1985, გვ. 43-108.

10. მუხიგულაშვილი ნ. წიფრანისძირის სამაროვანი, ანგარიში, 1982, ხელნაწერი ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე.

11. ნადირაძე ჯ. საირხე - საქართველოს უძველესი ქალაქი, I. თბ., 1990.

12. ნემსაძე გ. ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. – სსმაე, 1965-1967, თბ., 1969, გვ. 45-56.

13. ნიკოლაიშვილი ვ. კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება. თბ., 1993.

14. ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. ბაიათხევი. – მცხეთა, X, თბ., 1995, 97-134.

15. ნიკოლაიშვილი ვ. ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან. – სას, I, თბ., 1978.

16. რამიშვილი რ. ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. თბ., 1979.

17. რამიშვილი რ. არაგვისპირის სამაროვანი (1974-1975 წწ. მასალების მიხედვით). – ჟინვალის ექსპედიცია, II სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1981, გვ. 22-24.

18. რობაქიძე ც. ნეძიხის სამაროვანი, ანგარიში, 1986, ხელნაწერი. ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე.

19. სიხარულიძე ა., აბუთიძე ა. მოგვთაკარის სამაროვანი, კატალოგი. – მცხეთა VII, თბ., 1985, გვ. 109-131.

20 ჩიხლაძე ვ. ჟინვალის სამაროვნის ყორეკლდიანი სამარხები. – ფსაძ, VI, 1998, გვ. 58-69.

21. ჯავახიშვილი ქ. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ., 1972.

22. ჯინჯიხაშვილი გ. ძვ.წ. I და ახ.წ. I ქვევრსამარხები „საყარაულო სერის“ სამაროვნიდან. – კაძ, თბ., 1980, გვ. 42-58.

23. Алексеева Е. М. Античные бусы Причерноморья. М., 1978.

24. Аракелян Б. Н., Тирацян А., Хачатрян Ж. Д. Стекло древней Армении (I-IV вв). Ереван, 1969.

25. Бируни Абу-р-Рейхан Мухаммед ибн Ахмед фл-бируни. Собрание сведений для познания драгоценностей (минералогия). М., 1963.

26. Деопик В. В. Класификация бус Северного Кавказа IV- V вв. – СА, 3, 1959, с. 48-66.

V. Chikhladze

AN INTERESTING COMPLEX FROM THE ZHINVALI BURIAL GROUND
(Summary)

Of the numerous burial complexes of the Late Classical period, studied at the Zhinvali burial ground, special attention attached to the individual ground burial No. 364, containing the remains of a man, aged 40-45. According to the grave goods discovered in it, the complex is dated to the 1st century A.D. The finds include: a silver torque, 5 bronze bracelets, an iron signet-ring with a gem-intaglio, small bronze bells, jug-like shell, talisman (four teeth of various animals), a large number of beads – 8 of these are pentahedral), made of wild boar's fang (one being a seal).

Part of the grave goods form imported items: the gem is of Roman manufacture, most of the beads were made in Roman, Egyptian and Syrian workshops. The shell is from the Red Sea.

These artefacts point to the involvement of the Kingdom of Kartli (Iberia) in international trade (including Zhinvali). This was facilitated by the advantageous situation of Zhinvali.

ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I – ჟინვალის სამაროვანი, სამარხი № 364, ინვენტარი.

Description of the Plate

Pl. I – Zhinvali burial ground, burial goods of the grave No 364.

ტაბ. I


23
45
0 1 2 3
42
44
29
38
37
31
32
34
30
14
35
33
26
36
28
25
20
21
46
77
43
74
12
15
47
40

მარგარიტა ლორთქიფანიძე

ძვლის საბეჭდავი ჟინვალიდან

ჟინვალში, 1981 წელს, № 364 სამარხში მეტად საგულისხმო ნივთი აღმოჩნდა. იგი საგანგებო ყურადღებას მით იმსახურებს, რომ „შერწყმული“ (ტერმინი ჩვენია) ტექნიკით შესრულებული გლიპტიკური ძეგლია: რელიეფურად და სიღრმეში ნაკვეთი (ე.ი. ერთდროულად კამეაც არის და ინტალიოც).



სურ. 1

ხსენებული ტიპის ძვალზე გლიპტიკის ნიმუშები, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ძეგლებს შორის, იშვიათობას წარმოადგენს. მათი მცირერიცხოვანი ჯგუფი (უკეთ, ერთეულები) კავთისხევის – „საყარაულო სერის“ გვიანელინისტური ხანის სამაროვანში გამოვლინდა პირველად (ქვევრსამარხი № 3 ანუ სამარხი № 7) [5, გვ. 1-2, 10-27).[31]

ჟინვალის ჭრილაძვალი მოხსენიებული ტიპის ერთ-ერთი სახესხვაობათაგანია. ეს, სახელდობრ, მის ფორმას ეხება ძირითადად.[32] ინტალიო-კამეა ლულოვანი ძვლისაგან არის გაკეთებული, შეღებილია. პირი მომწვანო ფერისა აქვს, ზურგი – მოყავისფრო. გარეგნული ფორმით იგი ფრონტონის (gable) ტიპისაა, არათანაზომიერი ფერდებით (იხ. ზომები).

ინტალიოს ტექნიკით ნაკვეთი პირი (პირობითად: Av-ი) მართკუთხედის მოყვანილობისაა, ბრტყელი. ფრონტონის მოყვანილობის ზურგი – კამეას ტექნიკით. ინტალიო-კამეას სიგრძეზე სამკუთხგანივკვეთიანი ნახვრეტი დაჰყვება (ერთ თავში დიდი ზომისაა, მეორეში – პატარა),[33] რაც იმას მოწმობს, რომ ნივთი შესაკიდად ყოფილა განკუთვნილი.

Rv, კამეა, ანუ ინტალიოს ზურგი, დაბალბრტყელ რელიეფშია შესრულებული. კამეა მეტად თავისებური კომპოზიციით გამოირჩევა: ცენტრში გამოხატულია მამაკაცის, დიდი ზომის, თავი. მისი ცხვირი და ნიკაპი უშუალოდ ფრონტონის წიბოზეა (თუ წვერზე) მოთავსებული, თვალები და სახის სხვა ნაკვთები – დაქანებულ ფერდებზე.

მამაკაცს არაპროპორციული პირი-სახე აქვს: მეტად დაბალი შუბლი, გრძელი ნიკაპი; ნესტოებთან სწორად წაკვეთილი დიდი, სქელი ცხვირი. მრგვალი, უშუალოდ ცხვირთან მიბჯენილი, მკაფიო ღარებით შემოფარგლული, ახლომჯდომი თვალები (რგოლებს მოგვაგონებს); გუგა გულამოღებული წერტილითაა აღიშნული. კუთხოვანი მოხაზულობის პატარა ზომის პირი ოდნავ გაღებული აქვს. თვალს დაბალი, თანაბარი სიგანის შვეული ზოლებისაგან შედგენილი, საკმაოდ განსხვავებული, თავსაბურავი ამკობს.

ცენტრალური გამოსახულების გვერდით, აქეთ-იქით, ე.ი. ფრონტონის ფერდებზე, ხელებაწეული ადამიანების ფიგურებია ამოჭრილი. მარცხენა არეზე მოთავსებული ფიგურა, უდავოდ, მამაკაცს წარმოადგენს (ამაზე მისი სახის აგებულება მეტყველებს); მარჯვენა არეში გამოხატული – ქალია თუ მამაკაცი რთული გასარკვევია, რადგან მისი ნაკვთები უფრო სუმარულადაა გადმოცემული.

მარცხნივ მოცემული მამაკაცი პროფილში მარჯვნივ დგას; იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელი ზევით აქვს აპყრობილი. თავზე თავისებური, მძიმე, თავსაბურავი უნდა ეხუროს; გრძელი, მრავალნაოჭიანი სამოსი აცვია; წელზე განიერი და სქელი ქამარი აქვს შემორტყმული. „კაბის“ კალთა უშუალოდ ზურგის („Rv“-ის) კიდეს ეხება. მკლავები, უფრო სწორად, სახელო სიგანეზე, ხანგამოშვებით, ღრმა ჭდეებით არის დასერილი – დაღარული.

ზეაპყრობილი ხელიც, რომელიც ნაწილობრივ მის თავსაბურავთანაა შერწყმული და თით-

[31] „საყარაულო სერის“ სამარხში მხოლოდ სამი, სავსებით განსხვავებული ტიპის, საბეჭდავია გამოვლენილი.

[32] ამავე სამარხიდან არის მინის ინტალიო თევზის (?) გამოხატულებით.

[33] ზომები: სიმაღლე 11-8 მმ, პირის სიგრძე – 22 მმ, სიგანე 21 მმ; I ნახევარ. სიგრძე – 10 მმ, სიგანე – 4 მმ; II ნახევრ. სიგრძე – 8 მმ, სიგანე – 4 მმ; ზურგის ფერდები: I - სიგრძე 24 მმ, სიგანე – 15 მმ, II - 23 მმ, სიგანე – 14 მმ; დაცულობა: პირი ისეა ამოტეხილი, რომ გამოხატულება დაზიანებულია – ნაკლულია. ძვალი კარგად არის შენახული. კამეას ხანგრძლივი ხმარების კვალი ემჩნევა.

ქოს მის გაგრძელებას წარმოადგენს, ფერდის კიდეს ეხება.

ზემდგომი მამაკაცის თავი (რომელიც 3½-ჯერ უფრო მცირეა, ვიდრე ძირითადი გამოხატულების თავი) უშუალოდ ემიჯნება შუაში მოთავსებული ადამიანის საფეთქელსა და მის თავსაბურავს.

კამეის მეორე ფერდზე, მარჯვენა ნაწილში, ამოჭრილი ფიგურა უფრო ტანმორჩილი და ნაკლებად მეტყველია. მისი ჩაცმულობა და პოზა ისეთივეა, როგორც წინგანხილული ფიგურისა. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ეს უკანასკნელი პროფილში მარცხნივ არის მოცემული და ზევით, მარცხენა ხელი აქვს ზეაპყრობილი.

ორივე ადამიანის ტანსაცმლის კალთები ისე ერთდება ქვედა ნაწილში და იმგვარად ეკვრის მამაკაცის სახეს (ცენტრალური გამოსახულება იგულისხმება), რომ პირველი შეხედვით გრძელ, გაშლილ წვერად შეიძლება მივიჩნიოთ (შესაძლებელია მჭრელმა ამ ხერხით წვერიც მიუნიშნა?).

გამოხატულება მთლიანად ავსებს ზურგს (ანუ „ფრონტონის“ პირს), კიდიდან-კიდემდე. როგორც აღვნიშნეთ, იგი დაბალი, ბრტყელი რელიეფითა და ხაზოვანი კვეთითაა შესრულებული. ორივე ზეზემდგომი ფიგურის სახე სუმარულადაა გადმოცემული.

უჩვეულო კამეა ერთიანად მხოლოდ მაშინ იკითხება, როცა მას ნახვრეტიან ფერდზე (თუ გვერდზე) დავაყენებთ. სხვაგვარად მამაკაცის სახის (ე.ი. ძირითადი გამოსახულების) მხოლოდ რომელიმე ერთი ნაწილის დანახვის შესაძლებლობაა, რადგან სახის ნაწილები ორ, სხვადასხვა ფერდზეა ამოჭრილი (მაგ.: მარჯვენა ლოყა მარჯვენა ნაწილში მოთავსებული ადამიანის მხარეზე; მარცხენა – მარცხნივ მდგომ მამაკაცს ებჯინება).

ორივე ფიგურა კომპოზიციაში დამატებით ელემენტებად მიმაჩნია.

„ Rv“ - პირზე უბელო ცხენია გამოხატული, პროფილში მარცხნივ, ჭენებით მიდის. მიუხედავად იმისა, რომ ნახატი სქემატურია და სუმარული შესრულებით გამოირჩევა, სწრაფი მოძრაობის გადმოცემას მჭრელი – ოსტატი – კარგად ახერხებს. ზედმიწევნით ვიწრო, წაგრძელებული დრუნჩი, მეტად პატარა თავი და წინწახრილი, მორკალული კისერი ერთნაირი დაუნაწევრებელი რელიეფითაა (ერთ სიღრმეში ნაკვეთი) გადმოცემული – გაერთიანებულია (ფორმები დამუშავებული არ არის). არც თვალი, ყბა და ნესტოებია მითითებული ან მინიშნებული მაინც. ყურები (?) იმგვარადაა აღნიშნული, რომ რქას უფრო ჰგავს.

ცხენის კისერი მაღალი, ყალყზე დამდგარი ფაფარით არის შემოსილი, რომელიც სქემატური, თანაბარი სიგრძის ხაზების წყებისაგან არის შედგენილი. მუხლებში მოხრილი მაღალი ფეხები კუთხოვანი მოხაზულობისაა (კუთხოვანი ფორმების მქონე კიდურების შთაბეჭდილებას ახდენს. რაც მოძრაობის გამოსახვის თავისებური მანერით უნდა იყოს გამოწვეული); მეტნაკლებად მკაფიოდ გამოხატული ჩლიქები სოლისებური მოყვანილობისაა. ძუა ცხენს მეტად მოკლე აქვს. მჭრელმა ვეღარ მოზომა მისთვის საჭირო „არე“, თუ სპარსულ ყაიდაზე – ნასკვად შეკრული ძუის გადმოცემა სურდა?

იყო თუ არა დამუშავებული ტორსის შინაგანი ნახატი, ამჟამად ამაზე მსჯელობა შეუძლებელია, რადგან მისგან ძალიან მცირე ნაწილია შემორჩენილი. ხოლო ცხენის გარეგნული მონაცემების მიხედვით იგი წელვიწრო უნდა ყოფილიყო.[34]

ინტალიოს პირი კიდიდან-კიდემდეა გამოხატულებით შევსებული, ანაბეჭდზე მკაფიო რელიეფს იძლევა.

როგორც ჩანს, მჭრელისათვის ძნელი დასაძლევი ყოფილა ფორმისათვის სიმრგვალის მიცემა (ვერ ახერხებს ფორმათა მომრგვალებას).

ტექნიკა: ბრტყელი კვეთით შესრულებული კამეა, სიფაქიზეს მოკლებული, საკმაოდ პრიმიტიული ნახელავია, ტლანქი და „დამძიმებული“. გამოსახულებები ზედმიწევნით ხაზოვნად, მოდელირების გარეშეა გადმოცემული ხაზოვან-სიბრტყითი სტილით (შესამჩნევად გამოირჩევა მხოლოდ ცხვირის რელიეფი; ისიც, ალბათ, იმითი აიხსნება, რომ იგი უშუალოდ ფრონტონზეა მოხვედრილი). ქსოვილის ნაოჭები მოუხეშავი და სქემატურია.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, სავსებით ნათელია, რომ მჭრელს კამეის ტექნიკა, რბილ მასალაზე, დაძლეული და საკმაოდ კარგად შეთვისებული ჰქონია: ნახელავს მისი გაბედული და კვეთას შეჩვეული ხელი დასტყობია.

კამეა ხელით არის ამოჭრილი. საჭრისებიდან გამოყენებული ჩანს: ბრინჯაოს (თუ სპილენძის?) ნემსი, ე.წ. დანისებრი, მომრგვალებულწვერიანი და, შესაძლებელია, bouterolle-სებრი (თვალის კაკლის, უფრო სწორედ გუგის გამოსახატავად).

„Rv.“ – კვეთის მიხედვით ირკვევა, რომ მჭრელი უკეთ ფლობდა ინტალიოს ტექნიკას. გამოხატულობა თანაბარი სიღრმით ყოფილა ამოჭრილი. სუმარული კვეთით შესრულებული ნახელავია; ამასთანავე სქემატურობით ხასიათდება.

ფორმები კუთხოვანია; პროპორციები საკმაოდ კარგად დაცული. ცხენის ტორსს შედარებით ნარნარი მოხაზულობა აქვს. ფაფარი მოკლე-მოკლე ხაზებითაა გადმოცემული. გულმოდგინედ შესრულებული ინტალიოა. როგორც ჩანს, მჭრელს შემდეგი იარაღი აქვს ნახმარი: ბრინჯაოს (თუ სპილენძის) ნემსი, საჭრისები: კუთხოვანი წვერითა და მომრგვალებულწვერიანი.

[34] შენიშვნის სახით: თუ საბოლოოდ დადგინდება, რომ ცხენის შუბლზე „წამოზრდილი“ ყური რქას წარმოადგენს, მაშინ ინტალიოზე მითიური ცხოველი – რქოსანი ცხენია გამოხატული.

ინტალიოც ხელით არის ამოჭრილი. გამოხატულებისათვის, მჭრელს, პირის არე მთლიანად გამოუყენებია.

პირს ანუ ინტალიოს ელვარე პოლირება აქვს. ასევეა გაპრიალებული კამეაც.

ნახვრეტის გასაკეთებლად ლულოვანი საჭრისია გამოყენებული.

ე.წ. ფრონტონის ფორმის საბეჭდავები ადრებრინჯაოს ხანაში უკვე ჩამოყალიბებულ ტიპადაა მიჩნეული [14] (ანატოლიისა და ჩრდ. სირიის გლიპტიკური ძეგლების მიხედვით, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი). ჰანს ვონ დერ ოსტენი, ჩრდ. მესოპოტამიასა და ცენტრალურ ანატოლიაში სპილენძის ხანაში გავრცელებულ ტიპურ საბეჭდავად მიიჩნევს და ერთ-ერთ უძველეს ფორმად თვლის [10, გვ. 7] (სპილენძის ხანით დათარიღებულ ფენებში ძვ. წ. 3000-2400 წწ.). დასახელებული ტიპი ხეთურ საბეჭდავებს შორისაც ერთ-ერთი გავრცელებულთაგანია [9, გვ. 18, სურ. 63-64, 81, 86, 68, 90-93, 113 და ა.შ.; 12, ტაბ. XXI_{26}].

ხსენებული საბეჭდავები კავთისხევისა და ჟინვალის ავგაროზ-საბეჭდავების პროტოტიპებად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ამავე დროს ყურადღებას იმსახურებს ჩვენში მოპოვებული ე.წ. ფრონტონის ტიპის (gable-ის) განსხვავებული სახეობა.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე შევნიშნოთ, რომ ელინისტური ეპოქის დასაწყისში, ანტიკურ გლიპტიკაში ახალი ფორმებისა და განვითარების გზების ძიების პროცესში, ბერძენმა მჭრელებმა გაიხსენეს მივიწყებული ფსევდოსკარაბეები და მათი ახალი სახესხვაობა შექმნეს.

ადრეული ფსევდოკარაბეები (რომლებიც ეგვიპტეში უძველესი დროიდან იყო ცნობილი და დიდხანს იარსება) საბეჭდავის ის ტიპია, რომლის ზურგის მოტივად ადამიანის სახე, ადამიანის ფიგურა ან ცხოველია გამოყენებული, რელიეფური კვეთით შესრულებული.

ახალი ტიპის (ანუ ელინისტური ხანის) ფსევდოსკარაბეის განმასხვავებელი ნიშანი მისი ზურგის მოტივის შერჩევაში მდგომარეობს, სახელდობრ: მწოლიარე ლომია.

როგორც აღვნიშნეთ, „შერწყმული“ კამეისა და ინტალიოს ტექნიკით შესრულებული ჭრილა ძვლის ნივთები მხოლოდ კავთისხევის „საყარაულო სერის“ სამაროვნიდანაა ცნობილი. სახელდობრ:

I – ფსევდოსკარაბეის ტიპის ინტალიო-კამეას ზურგი მამაკაცის თავს გამოხატავს. ხოლო ინტალიოს პირზე რქოსანი გრიფონია ამოჭრილი. ავგაროზი-საბეჭდავი დიდი ზომისაა.

II – ინტალიო-კამეას ფრაგმენტი, ფრონტონის ტიპისა (თავდაპირველად ფსევდოსკარაბეად მიიჩნიეს). ხოლო მას შემდეგ, რაც ჟინვალის ჭრილაძვლის ნიმუშს გავეცანი, ფორმის ზუსტი დადგენა შესაძლებელი გახდა. ზურგზე (ისევე როგორც ჟინვალისაზე) მამაკაცის სახეა ამოჭრილი, კამეას ტექნიკით. პირზე (ანუ ინტალიოზე) შემორჩენილი ფრაგმენტის მიხედვით, რომელიღაც მტაცებელი ან მითიური ცხოველია გამოხატული, სწრაფი მოძრაობისას.

III - საბეჭდავი ე.წ. ფრონტონის ფორმის (gable). პირი მართკუთხედის მოყვანილობისაა. ფერდები (ანუ ზურგი) დაქანებული აქვს. ინტალიო პირზე რიტუალური სცენაა ამოჭრილი: დაბალ სკამზე მჯდომარე მამაკაცის წინ გრძელი კაბით შემოსილი ქალი დგას. მამაკაცს ხელში რიტონი უჭირავს. (კვეთის ოსტატობის მხრივ უკანასკნელი საბეჭდავის მჭრელი უფრო დაბალი დონის მხატვარი ჩანს).

სამივე საბეჭდავს სიგრძეზე ნახვრეტები აქვს გაკეთებული; ე.ი. ისინი შესაკიდი ნივთებია.

სამარხში აღმოჩენილი ინტალიო-კამეები და ფსევდოსკარაბეი ერთსა და იმავე სახელოსნოში მოღვაწე, სხვადასხვა მჭრელების ნახელავია. კერძოდ, სამ „ხელს“ გამოვყოფ (მათგან ფსევდოსკარაბეის მჭრელი კამეის ტექნიკას უკეთ ფლობს).[35]

ჩვენი ინტალიო-კამეები[36] ორი, დიამეტრალურად საწინააღმდეგო ფორმის საბეჭდავის, ფსევდოსკარაბეისა და gable-ის, ტიპისაგან ნასესხები ელემენტების, შერწყმის შედეგად შემუშავებული ახალი ფორმაა, ამასთანავე ორივე ტიპისაგან განსხვავებული: ჟინვალის კამეა, ისევე როგორც „საყარაულო სერისა“, „ფრონტონის“ (ანუ ზურგის) ფერდებზეა ამოჭრილი (პირობითად ხსენებული ტიპის სახესხვაობას „შერწყმულ“ მიმბაძველობას ვუწოდებ).

რომელი სახელოსნო ცენტრის ოსტატებს უნდა მივაკუთვნოთ ამ ახალი ტიპის შექმნა, ჯერჯერობით გარკვეული არ გვაქვს. რადგან მხოლოდ ჩვენი მასალები საკმარისად არ მიმაჩნია.

ყველა ზემოხსენებული ჭრილაძვლის ნივთი, როგორც ჟინვალიდან, ასევე კავთისხევიდან, გვიანანტიკური ხანის სამარხებიდან წარმოსდგება.[37] მაგრამ ჯერ ისევ გასარკვევია: არის თუ არა ყველა საბეჭდავი სამარხეული ინვენტარის ხნოვანებისა?

ჩემი ვარაუდით, შესაძლებელია ისინი უფრო ადრეული ხანის ნახელავი აღმოჩნდეს მათი ფორმისა და კვეთის უფრო „არქაული“ (ტერმინს პირობითად ვიყენებ) სტილის გამო (მოსაზრება მხოლოდ და მხოლოდ წინასწარია).

ჟინვალისა და კავთისხევის საბეჭდავ-ავგაროზები ერთ სახელოსნოში ნაკვეთი ჭრილაძვლებია; ამაზე კვეთის მანერა და სტილი მეტყველებს. სახელდობრ ჟინვალის საბეჭდავი-ავგაროზი და „შერწყმული“ ფორმის საბეჭდავი-

[35] უფრო დაწვრილებით ნივთების შესახებ იხ. ჩვენი, გლიპტიკური ძეგლები კავთისხევის ანტიკური ხანის სამაროვნებიდან, გვ. 10-27.

[36] მხოლოდ ფრონტონის ტიპისებრი ინტალიო-კამეები იგულისხმება.

[37] გ. ჯინჯიხაშვილი „საყარაულო სერის“ სამარხებს ძვ.წ. I და ახ.წ. I სს ათარიღებს იხ. მისი [6, გვ. 48, 58]. ჟინვალის ორმოსამარხი ახ.წ. I საუკუნით აქვს დათარიღებული

ავგაროზი „საყარაულო სერიდან“, ინტალიოთა და კამეათა შესრულების თავისებური მანერის თანახმად (საერთო ნიშნების გათვალისწინებით: სტილის იგივეობა, ფორმათა იდენტურობა) სავსებით დასაშვებად მიმაჩნია, რომ ერთ ოსტატს მივაკუთვნო.

ზემოხსენებული ძეგლები იმ ოსტატების მიერაა უკლებლივ შესრულებული, რომელთა შემოქმედებაში აშკარად ჩანს სპარსული, აქემენიდური ხანის გლიპტიკის გავლენა (ცხოველების თუ მითიური ცხოველების სახე; ადამიანთა ჩაცმულობა).

კავთისხევის ჭრილაძვლების წარმომავლობასთან დაკავშირებით გამოთქმული გვაქვს ვარაუდი, რომ შესაძლებელია ისინი იბერიაში არსებული სახელოსნოდანაა გამოსული [5]. ეს მოსაზრება ჯერ კვლავ ვარაუდად რჩება, რადგან მტკიცებისათვის სათანადო, დამატებითი, მასალების მოძიებაა საჭირო.[38]

როგორც ცნობილია, ცხენის გამოსახულებებს გლიპტიკაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი (ცხენის გამოსახულებებთან დაკავშირებით იხ. [4, გვ. 97-100]). ჭრილაქვებსა, ლითონის საბეჭდავებსა თუ საბეჭდავ-ბეჭდებზე ცხენი წარმოდგენილია სხვადასხვა კომპოზიციებისა და ცალკე გამოსახულების სახით (რბენისას წარმოდგენილი ცხენის მოტივი, მშვიდად მიმავალი ცხენი [13, ტაბ. 413, 414, 419-420; 8, სურ. 303; 15, ტაბ. $X_{550,588}$ და ა.შ.], დოღის ცხენი, აწყვეტილი ცხენი და ა.შ.).

ელინისტურ ხანაში, ისევე როგორც ადრეანტიკური ხანის გემებზე, ცხენის მოტივი კვლავ გვხვდება (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კლასიკურ ხანაში „მსრბოლი“ ცხენი უფრო ფართოდაა შესული მჭრელთა თემატიკაში). ხსენებულ თემას საკარო სტილის აქემენიდურ ჭრილაქვებზეც ვხვდებით [7, გვ. 319].

პირდაპირი პარალელი „ჟინვალის ცხენს“, ჩვენ მიერ შესწავლილ მასალებს შორის, არ ეძებნება. სხეულის აღნაგობით იგი არც ს. დ. მარკმანის მიერ კლასიფიცირებულ ცხენების ტიპებს შორის პოულობს მსგავსებას [11]. ჯერ ვერც პროტოტიპი შევურჩიეთ. მაგრამ, რომ იგი იმ მჭრელის მიერაა შესრულებული, რომელიც აქემენიდური პერიოდის სპარსული გლიპტიკის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული (ისევე როგორც ყველა ჭრილაძვლის მჭრელი იბერიიდან – ჩვენ მიერ შესწავლილი მასალები იგულისხმება), ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს

ხოლო რაც შეეხება მითიურ „მარტორქა-ცხენს“, მისი გამოსახულება საქართველოში მოპოვებული სხვა გლიპტიკური ძეგლების მიხედვითაცაა ცნობილი. სახელდობრ: იგი წარმოდგენილია ადრეანტიკური ხანის (ძვ.წ. VI-IV სს.) ლითონის (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო) საბეჭდავ-ბეჭდებზე ქვიანადან (ცხინვალის ნაცარგორა) [1, გვ. 43, 85, ტაბ. IV_{41}], ყანჩაეთიდან [4, გვ. 38, 40-41, სურ. 5, 6], ალგეთის სამარხიდან (თრიალეთი) [4, გვ. 59-60, სურ. 10, ტაბ. II_9], ვანიდან (წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხი) [3, გვ. 148-149, ტაბ. 132_5; 2, გვ. 93-94, ტაბ. VI_{28}].

ხსენებული ბეჭდები ადგილობრივი მჭრელების ნახელავად გვაქვს მიჩნეული (იხ. დასახელებული ნაშრომები); კერძოდ, იბერიელი და კოლხი ოსტატების მიერ შესრულებული, რომლებმაც რქოსანი ცხენის მოტივი გარკვეული (სამი სხვადასხვა) კომპოზიციისათვის გამოიყენეს (ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებელია, რქოსანი ვირია წარმოდგენილი. ასე მაგალითად: დედატოსის ერთ-ერთ საბეჭდავზე). რქოსანი ცხენის ტიპი საბეჭდავებზე განსხვავებული ჯიშისა თუ ოჯახისა ჩანს (უკეთ: სხვადასხვა არის).

ჩვენ ხელთ არსებული, ხსენებული, „ნახატები“ სტილისტურადაც არ არიან მსგავსნი, ყოველი ცალკეული ინტალიო შესრულების თავისებური მანერით გამოირჩევა და, ძირითადად, ორი მიმდინარეობის სკოლების ოსტატებს განეკუთვნება, რაც განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს კოლხ და იბერიელ ოსტატთა ნახელავის დაპირისპირებისას. კოლხი ოსტატი ანტიკური გლიპტიკის გავლენის ქვეშაა მოქცეული; იბერიელები – აქემენიდურისა.

მიუხედავად იმისა, რომ ჟინვალის საბეჭდავების მჭრელიც სპარსული გლიპტიკის გავლენას განიცდის, მისი ნახელავი, შესრულების მანერითა და სტილით, არც ერთ ზემოთხსენებულ გამოხატულებას არ ენათესავება. რაც სავსებით კანონზომიერია – იგი ხომ სხვა ეპოქის მჭრელის გლიპტიკური ნაწარმოებია!

* * *

საქართველოში აღმოჩენილ გლიპტიკურ ძეგლთა შორის იშვიათი ნიმუშის – ჭრილაძვლის – ყოველმხრივი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ნივთი ერთსა და იმავე დროს საბეჭდავის „ფუნქციასაც“ ასრულებდა და ავგაროზიც ყოფილა, ე.ი. ავგაროზ-საბეჭდავს წარმოადგენდა.

[38] შენიშვნის სახით: ჟინვალის „ავგაროზ-საბეჭდავს“ თან ახლდა ე.წ. ფრონტონისებური, ძვლის, საკიდი. ისიც მწვანედაა შეღებილი, პატარა ზომისაა. აღმოჩნდა, რომ იგი სადაა – არ წარმოადგენს ჭრილა ნივთს და ამდენად ჩვენი კვლევის საგნად არ გამხდარა.

M. Lordkipanidze

BONE SIGNET RING FROM ZHINVALI
(Summary)

A cut-bone was found in burial # 364 in Zhinvali in 1981. It belongs to gable-type signet rings. The front is adorned with an intaglio, the back – with a cameo. A hole perforated through the intaglio-cameo means that the article had been used as pendant. A male head is represented in the centre of the cameo, while two figures in adoration are represented on his sides. An unbridled horse is depicted on the intaglio.

The burial in which the artifact was found is dated to the 1st century AD. In to the author's view, the signet ring should be attributed to an earlier period owing to its shape and "archaic" style. The item must have been manufactured in the same workshop in which the merged-type signet rings, discovered at the necropolis of Saqaraulo Seri in Kavtiskhevi, were made.

ლიტერატურა

1. ლორთქიფანიძე მ. საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I. თბ., 1969.

2. ლორთქიფანიძე მ. კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი-ბეჭდები. თბ., 1975.

3. ლორთქიფანიძე მ. არქაული და „არქაიზირებული" საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან. – ვანი, II, თბ., 1976, გვ. 103-115.

4. ლორთქიფანიძე მ. უძველესი საბეჭდავი-ბეჭდები იბერიიდან და კოლხეთიდან. თბ., 1981.

5. ლორთქიფანიძე მ. გლიპტიკური ძეგლები კავთისხევის ანტიკური ხანის სამაროვნიდან. თბ., 1983-84 (ხელნაწერი, ინახება აკც მ. ლორთქიფანიძის არქივში).

6. ჯინჯიხაშვილი გ. ძვ.წ. I და ახ.წ. I სს. ქვევრსამარხები საყარაულო სერის სამაროვნიდან. – კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 42-58.

7. Boardman J. Greek Gems and Finger Rings. Early Bronze Age to Late Classical. London, 1970.

8. Osten H. H., von der. Ancient Oriental Seals in the Collection of Mr. Ed. T. Newell. Chicago, 1934.

9. Furtwängler A. Beschreibung der Geshnittenen Steine in Antiquarium. Berlin, 1886.

10. Hogarth D. Hittite Seals. Oxford, 1920.

11. Markman S. D. The Horse in the Greek Art. Baltimore, 1943.

12. Natz F. Frükretischen Siegeln. Berlin-Leipzig, 1928.

13. Richter G. Engraved Gems of the Greeks and Etruscans. A Hisory of Greek Art in Miniature. London, 1968.

14. Vollenweider M. L. Catalogue raisonée des sceaux, cylindrs et intailles. Genève, 1968.

15. Walters H. Catalogue of the Engraved Gems and Cameos. Greek, Etruscan and Roman. London, 1926.

სურათის აღწერილობა

1. ძვლის საბეჭდავი ჟინვალიდან.

Description of the figure

1. Bone signet ring from Zhinvali.

თეიმურაზ ჩიქოვანი

ზოგიერთი სამშენებლო ტერმინის შინაარსობრივი გაგებისათვის

სულმნათმა ივანე ჯავახიშვილმა ბევრ სხვა საქმესთან ერთად, სამშენებლო ტერმინოლოგიის შესწავლასაც ჩაუყარა საფუძველი. ამ მიმართულებით კვლევა-ძიებაში მის ამოსავალს წერილობით წყაროებსა და ხალხურ მეტყველებაში შემონახული ლექსიკური მარგალიტები წარმოადგენდა. ბ-ნი ივანეს ცნობილი წიგნის - „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“ გამოსვლიდან ორმოცდაათ წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი უცხო ტერმინი შემოვიდა და ბევრის შინაარსიც ახლებურად იქნა გააზრებული. წინამდებარე საინფორმაციო წერილის მიზანია, შეძლებისდამიხედვით მიმოვიხილოთ შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებული ზოგიერთი სახელწოდება და გავარკვიოთ რამდენად სწორად ვიყენებთ მათ.

როგორც ცნობილია, ყველა წარმომავლობის ტერმინი, რომლებიც კი მშენებლობასთანაა დაკავშირებული, წარსული ეპოქების ყოფა-ცხოვრებიდან მომდინარე რეალიებია. ქართულთან ერთად არის უცხო წარმომავლობის, ანდა კალკირებული ტერმინები - რომლებიც, შეიძლება ითქვას, გაქართულებულია და, არც თუ იშვიათად არასწორადაა გამოყენებული. არის მაგალითებიც, როდესაც, რაიმეს ნიშან-თვისების გამოსახატავად, მთელი გაუგებრობაა შექმნილი. ეს იმ დროს, როდესაც ხალხის ყოფაში ჯერ კიდევ მოქმედებაშია, მათი შესატყვისი, უაღრესად ტევადი და სხარტი ტერმინები. ამგვარი ვითარებების გამო, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ კვლავ გაგვეჟღერებინა ზოგიერთი ტერმინი. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვემოთ განხილული ტერმინ-სახელწოდებათა უმრავლესობა საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის, რასაკვირველია ცნობილია და მათ წარმატებითაც იყენებენ. მაგრამ მოტანილი გვაქვს ისეთებიც, რომლებიც ყურადღებას კვლავ საჭიროებენ. გავყვეთ ანბანის მიხედვით.

აივანი ქართული ხალხური საცხოვრებლის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ელემენტია და იგი სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს, როგორც **დერეფანი**. ამგვარადვეა ნიკო და დავით ჩუბინიშვილების ლექსიკონებში. ხოლო ივ. ჯავახიშვილი საერთოდ გვერდს უვლის მის განმარტებას. რაც შეეხება ქეგლ-ს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი), აივანი შინაარსობლივად ისეა განმარტებული, როგორც ყველასთვისაა ცნობილი: „სახლს მიშენებული, ღია, მოაჯირიანი ნაწილი.“ რაშია საქმე, ვინ არის მართალი? საქმე შემდეგშია. ეს ტერმინი ქართულში ახალი სპარსულიდანაა შემოსულ-დამკვიდრებული. აივანი ანუ ეივანი სპარსეთსა და მისი კულტურის გავლენის სფეროში, სასახლის ან სახლის მოჩუქურთმებულსა და მაღალი სვეტებით დამშვენებულ საფასადო მხარეს ჰქვია, სადაც ჩადგმულია საპარადო კარები. ამასვე მიუთითებს ივ. ჯავახიშვილის მიერ ვახტანგ VI-ის „დასტურლამალიდან“ მოტანილი ერთი ტერმინი: „ალაყაფის აივანი,“ რაც პირდაპირი გაგებით „სვეტებიან ჭიშკარს“ ნიშნავს და სპარსულ ეივანს მიესადაგება. ჩვენებური აივნის შინაარსის გამოსახატავად შავშეთსა და იმერხევში ამჟამადაც ხმარებაშია ტერმინი **ტანტრაბა**. ამ ძველქართულ პროვინციებში ყველა სახლს აქვს ტანტრაბა და იგი პირველი სართულის კედლების თავზე, ორი-სამიოდე მეტრით გადასულ ხის კოჭებზეა დაყრდნობილი. ტანტრაბას ქვემოდან საყრდენი ბოძები არ გააჩნია და როგორც წესი, სახლს ყოველთვის მზის მხარეზე აქვს მიშენებული.

ალაყაფი არაბულ-თურქული წარმომავლობისაა და ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით მისი თავდაპირველი მნიშვნელობა სულთნის ბრძანებისა და წერილის შესავალ ნაწილს ნიშნავდა. შემდეგ მან ტრანსფორმაცია განიცადა და დიდი და მაღალი ჩარდახის აღმნიშვნელ ტერმინად ჩამოყალიბდა. ოსმალეთის იმპერიის სინამდვილეში ალაყაფს უწოდებდნენ იმ მაღალსა და გრძელ გასასვლელს, საიდანაც სასახლეში შეიძლებოდა შესვლა. აქედან წარმოიშვა ოსმალეთის იმპერიის ევროპული სახელწოდება - „მაღალი პორტა.“ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში,“ ისევე როგორც ნიკო ჩუბინიშვილის „ქართულ ლექსიკონში“ ეს ტერმინი შეტანილი არაა, რაც იმის მაჩვენებული ხომ არაა, რომ XIX საუკუნემდე ეს ტერმინი მაინცადამაინც ფართოდ გავრცელებული არ უნდა ყოფილიყო? რაც შეეხება დავით ჩუბინიშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონს,“ რომელიც ფაქტიურად XIX ს-ის მეორე ნახევარშია შედგენილი, ალაყაფი ქართულ მეტყველებაში უკვე დამკვიდრებულად გამოიყურება და შემდეგნაირად არის განმარტებული: „ალაყაფის კარი“ /თათრული/, главные ворота, დიდი შესასვლელი კარები. ქეგლ-ში მის შესახებ შემდეგია ნათქვამი: „ალაყაფი /არაბ. თურქ./ ალაყაფის კარი - იგივეა, რაც ჭიშკარი.“ კარის აღმნიშვნელი ეს არაქართული ტერმინი აღმოსავლეთ საქართველოში (ალბათ ჯერ თბილისში) გვიანშუასაუკუნეებში შემოსულად გამოიყურება და ჯერ **ბჭეს** ჩაენაცვლა, ხოლო შემდეგ კი, ჭიშკარს, რომელიც ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით ბჭეს ანარეკლია. ჭიშკარი დღემდე იმერეთმა შემოგვინახა და იგი ღობეში, ზღუდეში, ყორეში ჩადგმული დიდი კარებია. მაშ რა ასეთი აუცილებელი საჭიროებითაა გამოწვეული ალა

ყაფის ხმარება, მაშინ როდესაც გვაქვს მშვენიერი ქართული სახელწოდება.

აფრა უაღრესად საინტერესო და ტევადი ტერმინია და მას სულხან-საბა და, ისევე როგორც ორივე ჩუბინიშვილი, მხოლოდ ერთი მნიშვნელობით იცნობენ. მათი განმარტებით, იგი ნავის აფქიო, იალქანია. ივ. ჯავახიშვილმა მისი სხვა მნიშვნელობაც იცის და იგი ხის სახლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტად აქვს წარმოდგენილი. აფრის, როგორც სამშენებლო დეტალის, ელემენტის სინონიმად ბატონი ივანე ბოყვს ასახელებს. აფრის ორივე მნიშვნელობა ქეგლ-ში ამომწურავადაა განმარტებული. ჩვენ აქ მხოლოდ იმას დავუმატებდით, რომ ძელურ-ფიცრული სახლის ეს აუცილებელი ელემენტი, აფრა შენობის საძირკველში მაგრდება და მის ორმხრივ ამოღარულ გვერდებში-ღრამებში საკედლე ფიცრები ჯდება. ხოლო ღრამი, უფრო თვალნათლივ, რომ წარმოვიდგინოთ, იგი ძელის, სქელი ფიცრის ანდა ქვათლილის გვერდებსა და წიბოში ამოკვეთილი ღარია. ამავე სიტყვიდანაა ნაწარმოები, მისი ამოსაღებ-ამოსაკვეთი ხელსაწყო-იარაღის **ეჩოღრამის** სახელწოდება.

ბალავარი სპარსულიდანაა შემოსული და სულხან-საბას განმარტებით იგი „საძირკვლის ქვა დიდ-დიდნი“ არის. ამავე მნიშვნელობითაა განმარტებული ორივე ჩუბინიშვილთან და ქეგლ-ში. ივ. ჯავახიშვილთან მისი ფუნქცია უფრო დაკონკრეტებულია და რაც მთავარია, მოტანილია მისი ქართული შესატყვისი – **ქვაკუთხედი**. იგი ხაზგასმით წერს, რომ ნაგებობას იმდენი ქვაკუთხედი სჭირდება, რამდენიც კუთხე აქვს.

ბალიში. მისი ერთი და ალბათ მთავარი მნიშვნელობა ყველასათვის ცნობილია. სულხან-საბას „სიტყვის კონაში,“ ისევე სხვაგანაც იგი განმარტებულია, როგორც თავსადები. მაგრამ, მას მეორე მნიშვნელობაც აქვს. ქართულ ხალხურ ბინათმშენებლობაში, იგი ბოძსაყრდენი ბრტყელი ქვაა და არქიტექტურაში ბაზისი ეწოდება.

ბანი ძველქართული ტერმინია და სულხან-საბას განმარტებით „სახლის ერდო-ს“ ნიშნავს. ნიკო და დავით ჩუბინიშვილების მიხედვით იგი არის „ერდო, სართული სახლისა.“ ქეგლ-ში უფრო სრულყოფილადაა განმარტებული: „დატკეპნილი მიწის ბრტყელი სახურავი სახლის თუ სხვა ნაგებობისა.“ ამ განმარტებას იმით შევავსებდით, რომ მიწურსახურავიანი სახლებისათვის სამი ფორმის ბანია დამახასიათებელი: ერდოიან-გვირგვინიანი დარბაზის ბანი ამობურცულია. თაკარებიანისა – სიგრძივ ორმხრივ დაფერდებული, ხოლო სამეურნეო დანიშნულების სათავსებისა, როგორც ბოსელი, საბძელი და სახელამბრეა, – ბრტყელი. ბრტყელი ბანი აქვს აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელ კალოიან სახლს და მოხევეთა ციხესახლებს.

ვინაიდან ტერმინი **თაკარი** ვახსენეთ, სამშენებლო საქმეში იგი სიგრძივ, ერთი-მეორეზე მიყოლებით, მიჯრით დაწყობილ ჭერს ეწოდება. ამგვარ ჭერიანი ნაგებობები კი, თრიალეთისა და მესხეთისათვის დამახასიათებელ მიწურბანიან კომპლექსებში, ზამთარ საცხოვრებელს წარმოადგენდა და მას თაკარებიანი ოდა ეწოდებოდა.

ბოძი ერთი შეხედვით ყველასათვის ცნობილი და გასაგები ტერმინია. იგი სკვითურ-ალანური წარმომავლობისა უნდა იყოს და თავდაპირველი შინაარსით სასიამოვნოს, დატკბობასა და მადლიერ ჰყოს ნიშნავდა. თუ რატომ ჩაიდო ქართულში მასში სხვა შინაარსი, ძნელი სათქმელია. სულხან-საბა დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ „ბოძი მცირე სვეტია.“ სხვა ქართული ლექსიკონების მიხედვით, ბოძი ანუ სვეტი ხისაც შეიძლება იყოს და ქვისაც. ხალხურმა სამშენებლო საქმემ რამდენიმე დანიშნულებისა და სახელწოდებით სვეტი იცის: აფრა, ბარჯგი, გულთაბოძი, დედაბოძი, ბოძკინტი, საწარბე ბოძი, ყერო, ზაღლა და საყვავე ბოძი. ყველა მათგანი ხისაა და შენობაში ყველა მათგანი სპეციფიკური დანიშნულების მიხედვით არის განლაგებული.

დირე ანუ **დვირე** სულხან-საბას განმარტებით „საძირკვლის შემკვრელი ძელია.“ ამავე მნიშვნელობითაა განმარტებული ივ. ჯავახიშვილთან და ქეგლ-ში. ნიკო და დავით ჩუბინიშვილებთან სხვა დატვირთვა აქვს. დვირე ტივის ხე – გაუთლელი ხეა. ქართულ ხალხურ სამშენებლო საქმეში, დირე ხის სახლის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია და საძირკვლის შემკვრელ ძელს წარმოადგენს.

ერდო დუალური ფუნქციის მატარებელი ელემენტია და ბანიან სახლებში, ერთდროულად საკვამური და საშუქიცაა. მთიულეთსა და ხევში მას კიდევ ერთი ფუნქცია აქვს დამატებული. შენობის პირველი სართულიდან მეორეში ასასვლელ, ჭერში დატანებულ ღიობს ერდო ეწოდება. ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ერდო და ბანი ერთმანეთს ენაცვლებიან, რომლის დამადასტურებელ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას ცნობილი ლექსი: „ქალო გნახე ფეხშიშველი, გამოგოგდი ერდოშია...“.

ზეძირკველი ძირძველი ქართული ტერმინია და ამჟამად რატომღაც იშვიათად იხმარება. არქიტექტორები მას ხშირად არაქართულ ცოკოლს ამჯობინებენ. რატომ?

იატაკი საშუალო სპარსულიდანაა შემოსული და თავის სამშობლოში ხმელეთს-მიწას-საფუძველს ნიშნავდა. სულხან-საბასთან იგი „სახლის ფსკერს“ ნიშნავს. ასევეა ნიკო ჩუბინიშვილთან. დავით ჩუბინიშვილის განმარტებით იატაკი არის „სახლის მოფენილობა ხითა ან

ქვითა.“ ქეგლ-ში ვკითხულობთ, რომ „იატაკი შენობის ძირს დაგებული ფენაა.“ ეს არაქართული ტერმინი თურქულის გზითაა შემოსული და ორი მნიშვნელობით დამკვიდრდა: იატაკი და ოთახი. ეს უკანასკნელი ძირ-ძველ ქართულ ტერმინ შრამელს ჩაენაცვლა. შრამელი კი, როგორც ოთახის აღმნიშვნელი ტერმინი ლეჩხუმსა და რაჭაში ამჟამადაც გამოიყენება. რაც შეეხება იატაკის გათურქებულ ვარიანტს - იათახს, თურქები მას უკვე აღარ ხმარობენ და მის მაგივრად ტერმინ დიოშემე-ს იყენებენ.

რატომ გადაიღეს ჩვენმა წინაპრებმა მეჯოგე თურქებისაგან იატაკად ტრანსფორმირებული ტერმინი იათახ-ი, რომელიც მიწაზე დასაწოლ, უკეთეს შემთხვევაში თექა გადაფარებულ ადგილს ნიშნავს? ჩვენ ხომ გვაქვს მისი აღმნიშვნელი რამდენიმე სახელმწოდება: სოხანე – მიწატკეპნილი, ქაზადარი – თიხატკეპნილი, ფინი – ფიცარნაგი, ზღვე – მრგვალი ძელებით მოფენილი და ფილაქანი – ქვის ფილებით მოფენილი.

კარი ერთი შეხედვით მაინცადამაინც დიდ ყურადღებას არ უნდა იმსახურებდეს. მაგრამ, სინამდვილეში ეს ასე არ არის. ეს ძველქართული ტერმინი მეტად ტევადია და დღევანდელ მნიშვნელობასთან ერთად, იგი დასახლების ისეთი კომპონენტების მწარმოებელია, როგორიცაა სახ-ლკარი და ეზო-კარმიდამო. ძველქართულში კარი სამოსახლოს აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენდა. სწორედ ამ ტერმინის უშუალო გამოყენებით აღინიშნება ერთი გვარის მიერ შექმნილი მონოგენური დასახლების, სოფლის სახელწოდება: ზარდიანთკარი, კობიანთკარი, მილახვრიანთკარი, მჭედლიანთკარი, პავლიანთკარი და ა.შ. მართალია, ეს სოფლები უკვე პოლიგენური ხასიათის მატარებელია, მაგრამ მათი სახელწოდება იმის მიმანიშნებელია, რომ ისინი თავის დროზე ერთი გვარის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა.

კედელი სულხან-საბას მიხედვით ნაგებს, ნაშენს ნიშნავს. ნიკო ჩუბინიშვილს უფრო ფართოდ აქვს განმარტებული: იგი არის „ნაგები ზღუდე სახლთა და მისთანათა.“ დაახლოებით ასევეა დავით ჩუბინიშვილთან. ქეგლ-ში შემდეგნაირადაა განმარტებული: „შენობის, ნაგებობის შვეულად აღმართული ბრტყელი ნაწილი.“ მეტი სიზუსტისათვის, ჩვენ ასეთ განმარტებას მივცემდით: კედელი არის შენობის სივრცის შემოსაზღუდი ალიზის, ხის, აგურის ან ქვისაგან შექმნილი, შვეულად აღმართული ბრტყელი კონსტრუქცია. ქართულმა სამშენებლო საქმემ რამდენიმე სახეობის კედელი იცოდა. მაგალითად, **გალავანი** ქალაქის, ციხესიმაგრისა და ეკლესია-მონასტერთა ქვითკირის მძლავრი შემოსაზღუდია. **კირა** – თიხითა და ქვით ნაგები კედელია. **ქვითკირი** – ქვითა და კირხსნარით ნაგებია, ხოლო **ყორე** კი მშრალად ნაგები ქვის კედელია. **ძელ-ყორე** – ქვითა და მოკლე ძელების შერეული წყობითაა ნაგები. **ბრწნელი** – ორმხრივ ან ცალმხრივ შელესილი წნული კედელია. კედელი არის აგრეთვე **ცალპირა** და **ორპირა**. ორპირაა, როდესაც იგი ქვათლილებით ცალი მხრიდანაა მოპირკეთებული. ორპირაა, როდესაც ქვათლილებით ორივე მხრიდანაა შემოსილი. არის კიდევ ერთი სახეობის კედელი – **დარღალა**, რაც უსწორ-მასწოროდ ნაგებს ნიშნავს.

სულხან-საბა ორბელიანს „სიტყვის კონაში“ მოცემული აქვს ქვამასალის უაღრესად საინტერესო კლასიფიკაცია. ფქვილსავით ქვიშას **სილას** უწოდებს და იგი კირთან შერეული კედლის შესალესად გამოიყენება და ხალხურ მეტყველებაში **ლამკირი** ჰქვია. სილაზე ოდნავ მსხვილია **ქვიშა** და კირხსნარში დუღაბს ჰქმნის. **კენჭი** ცერცვის ოდენაა. **ღორღი** წვრილად ნატეხი ქვაა და კედლის წყობაში არსებული ღრიჭოების ამოსავსებად გამოიყენება. ხურდა მისი არაქართული შესატყვისია და ამ ტერმინს, ამჟამად რატომღაც ღორღის მაგივრად ხმარობენ. **სალა** რიყის ბრტყელი ქვაა და მისი გამოყენებით შენდება „თევზიფხური“ ანუ იგივე „წიწვოვანნი წყობის“ კედელი. **ფიქალი** ფიცარივით თხელი, კლდის ჯიშის ქვაა და იგი ძირითადად მშრალი წყობის კედლისათვის გამოიყენება. **კოხი** მქისე და ცეცხლგამძლე ქვაა და კაჟთან ერთად კევრის პირის „მოსაჭედად“ იხმარება.

საყურადღებო ტერმინია **ჭიჭინები** და იგი მთიან აჭარასა და შავშეთ-იმერხევში ამჟამადაც ხმარებაშია. ჭიჭინა კედელში დატოვებული საცირკულაციო ხვრელია და იგი ისეთ ნაგებობებშია, რომლებშიაც ჰაერის ცირკულაცია აუცილებელია. იგი აქვს მარანს, სარძევეს და საციოს. ჭიჭინებთან დაკავშირებით, კურიოზთანაც გვაქვს საქმე. ქვითკირის ძველ მარნებში არსებული ჭიჭინები, ზოგიერთ მკვლევარს სათოფურები ჰგონია.

ჩვენს მიერ განხილული ზოგიერთი ტერმინის მიხედვით, გამოკვეთილად სჩანს, თუ რაოდენ მტკიცეა ქართული ენა. უცხოური წარმომავლობის ზოგიერთი ტერმინი ისეა გაქართულებული, რომ მისი თავდაპირველი შინაარსი მთლიანადაა წაშლილი. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ენის სიწმინდე არ უნდა დავიცვათ. თუ ქართული ენის სიწმინდეს მტკიცედ არ დავიცავთ, ამჟამად მოზღვავებული უცხო ტერმინები ჩვენს ლექსიკას წარყვნის. უნდა მივბაძოთ ისეთ ხალხმრავალ ერებს, როგორიც ფრანგები და თურქები არიან. განსაკუთრებით ამ უკანასკნელთ, რომლებიც აგერ უკვე რამდენი ათეული წელია შეუპოვრად წმენდნენ თურქულ ენას უცხოური წარმომავლობის ტერმინებისაგან, რისთვისაც ხშირად ახალსაც კი ჰქმნიან, რაც ქართულ ლექსიკას ნაკლებად ესაჭიროება. ილია ჭავჭავაძის ცნობი-

ლი შეგონებიდან („რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“) გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი გვმოძღვრავდა, რომ უცხო და კალკირებული ტერმინების ნაცვლად, ჩვენი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ტერმინები უნდა ვიხმაროთ. და თუ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიერ შექმნილი ახალი ტერმინების შესაბამისები არ გაგვაჩნია, მაშინ, რასაკვირველია უცხოური უნდა ვიხმაროთ.

T. Chikovani

ON THE SEMANTICS OF SOME CONSTRUCTIONAL TERMS

(Summary)

The paper deals with the provenance and semantics of some terms denoting parts of buildings and structures.

ლიტერატურა

1. **ანდრონიკაშვილი მ.** ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. თბ., 1966.
2. **სულხან-საბა ორბელიანი.** სიტყვის კონა. თბ., 1949.
3. **ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი** (ქეგლ). თბ., 1986.
4. **ჩუბინიშვილი დ.** ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., 1984.
5. **ჩუბინიშვილი ნ.** ქართული ლექსიკონი. თბ., 1961.
6. **ჯავახიშვილი ივ.** მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1946.

მარიამ ხუციშვილი

ზოგიერთი საკითხი ე. შანტრის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ

კავკასია ევროპელ არქეოლოგებს ყოველთვის იზიდავდა სამეცნიერო კვლევა-ძიებისთვის, როგორც ქვეყანა, რომელშიც ცივილიზაციის პირველი ჩანასახების კვალი შეიმჩნეოდა და რომელიც დასავლეთისკენ გადაადგილებისთვის ერთ-ერთ პირველ საკონტაქტო ადგილად იყო მიჩნეული. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფრანგ არქეოლოგებს და კავკასიაში მოღვაწე კოლეგებს შორის მჭიდრო მეცნიერული კავშირები არსებობდა. ეს ურთიერთობები მთელი საუკუნის განმავლობაში ყალიბდებოდა და მათში აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქართველი ისტორიკოსები.

საფრანგეთში ეს იყო ეპოქა, როდესაც ორი დამატებითი დისციპლინიდან ყალიბდებოდა წინარე ისტორიული პერიოდი - პრეისტორია, როგორც მეცნიერება. ეს დისციპლინებია: ანთროპოლოგია სრულიად ახალ პალეონტოლოგიასთან ერთად და პრეისტორიული არქეოლოგია. პარიზში ანთროპოლოგიურ სკოლას ხელმძღვანელობს და საზოგადოების დამაარსებელია პოლ ბროკა, ხოლო პრეისტორიული არქეოლოგიის საფუძვლებს აყალიბებს და განსაზღვრავს არქეოლოგი გაბრიელ დე მორტილე. მან სენ-ჟერმენის მუზეუმის კოლექციებზე დაყრდნობით შესრულებულ ნაშრომში შეიმუშავა პალეოლითური კულტურის ქრონოლოგიური კლასიფიკაცია [7, გვ. 313].

აღსანიშნავია, რომ თითქმის საფრანგეთის თანადროულად ან რამდენიმე წლის შემდეგ, რუსეთში და საქართველოში ყალიბდება გეოგრაფიული, ანთროპოლოგიური და არქეოლოგიური საზოგადოებები, და ერთმანეთთან მუდმივი, საოცრად კეთილგანწყობილი თანამშრომლობა აქვთ. საზოგადოების დაარსებიდან თითქმის ყოველ წელს ტარდება ანთროპოლოგიური და პრეისტორიული არქეოლოგიის საერთაშორისო კონგრესები, რომელთა პარალელურად მუზეუმებში ეწყობოდა ახალი არქეოლოგიური მასალის ექსპოზიციები.

ამ დროს საქართველოში მრავალი რუსი და ევროპელი მეცნიერი აწარმოებს თავის პრაქტიკულ-საველე თუ მეცნიერულ სამუშაოებს. 1863 წელს თბილისში დაარსებულ კავკასიის მუზეუმს სათავეში გერმანელი ბუნებისმეტყველი გუსტავ რადე უდგება, მოგვიანებით ის გამოსცემს ნაშრომს „კავკასიის მუზეუმის ისტორია." 1873 წელს კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოების დაარსებას ხელმძღვანელობს და ამ საზოგადოების პირველი წიგნის გამოცემას რედაქტორობს ფრანგი ეთნოგრაფი ადოლფ ბერჟე, ბატონ დ. ბაქრაძესთან ერთად [2, გვ. 17-18].

საქართველოში იწყება, შეიძლება ითქვას, ფართოდ იშლება არქეოლოგიური გათხრები. ქართველ ისტორიკოსებთან ერთად გათხრებს აწარმოებს ავსტრიელი ნატურალისტი ფრიდრიხ ბაიერნი. 1867 წლიდან გათხრები იწყება მცხეთაში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ბებრის-ციხის მიდამოებში, მარიენფილდში, სართიჭალაში, დუშეთში, ყაზბეგში, ურბნისსა და ნიჩბისში, ახალციხის და აჭარის რაიონებში. დილიჟანის ხეობაში ითხრება გვიანბრინჯაოს, ადრერკინის, ანტიკური ხანის და ადრეშუასაუკუნეების სამარხები, ნაპოვნია მინის საწარმოს ნაშთები. ბაიერნმა გათხარა ადრეშუასაუკუნეების სამაროვანი შავი ზღვის სანაპიროზე და აფხაზეთში მიაკვლია დოლმენებს [2, გვ. 19-20]. 1874 წელს სტოკჰოლმში ტარდება ანთროპოლოგიური და პრეისტორიული არქეოლოგიის კონგრესი, სადაც ბატონ ჰოვორტის მიერ უკვე სადისკუსიოდაა გამოტანილი დოლმენების კავკასიური წარმოშობის თეორია, კამათში მონაწილეობს სვენ ნილსონიც (შვედი ნატურალისტი). ყოველ წელს ახალი დაზვერვები, გათხრები და ახალი აღმოჩენები მოსდევს. გათხრები იწყება ქუთაისის მიდამოებში და ერთ-ერთ საყურადღებო არქეოლოგიურ ძეგლზე - ვანში.

1877 წელს გ. ფილიმონოვი აგრძელებს სტეფანწმინდაში დაწყებულ გათხრებს. ძეგლს ის რკინის ხანის დასაწყის ეტაპად მიიჩნევს; 1878 წ. ბაიერნი მომიჯნავე ფართობზე გათხრებს ხელმძღვანელობს, ხოლო 1879 წ. ყაზბეგში ჩადის რუსი არქეოლოგი ა. უვაროვი და ფ. ბაიერნის მიერ გათხრილი მონაკვეთის სამხრეთით გაჭრილ საცდელ თხრილში სამ სამარხს და კულტურულ ფენებს აღმოაჩენს [2, გვ. 24-25].

კავკასიის პრეისტორიული არქეოლოგია ჩამოყალიბების პროცესშია. ყველა გათხრების ანგარიშები იგზავნება სანკტ-პეტერბურგის და პარიზის ანთროპოლოგიურ და არქეოლოგიურ საზოგადოებებში. მრავალ ქართველ და რუს მეცნიერს მუდმივი მიმოწერა ჰქონდა ფრანგ კოლეგებთან. იგზავნებოდა არქეოლოგიური მასალა და სიძველეთა სხვადასხვა ნიმუშები. ასე მაგალითად, 1873 წ. რუსი ნატურალისტის მ. სმირნოვის მიერ სამთავროს ნეკროპოლის გათხრებიდან გაგზავნილი იქნა 3 თავის ქალა; მასთან ერთად ფოტოალბომი და ჩანახატები, სა-

დაც აღრიცხული იყო დანარჩენი თავის ქალები და სხვადასხვა არქეოლოგიური ნივთები. საზოგადოების სხდომაზე პარიზში პ. ბროკა აკეთებს შეტყობინებას გამოგზავნილი მასალის შესახებ და აცხადებს, რომ ფოტოების მიხედვით ნეკროპოლი ბრინჯაოს ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. მოგვიანებით მ. სმირნოვი აგზავნის მოხსენებას სამთავროს სამაროვანზე და ნაშრომს თან ახლავს სეპალომეტრიული ცხრილი. 1876 წ. შავი ზღვის სანაპიროზე სკვითური სამარხების აღმოჩენამ (ჩერტომლიკი, ბოლშაია ბლიზნიცას და შვიდი ძმის ყორღანები) დიდი ცივილიზაციის ნაკვალევს მოჰფინა ნათელი. იმავდროულად მ. ფილიმონოვი, მოსკოვის არქეოლოგიური მუზეუმის მცველი, ყირიმის და აფხაზეთის მეგალითურ ძეგლებს სწავლობს; ყობანის და ყაზბეგის პრეისტორიულ სამარხებს პოლკ. ოლეშევსკისთან ერთად თხრის და დაზვერვებს აწარმოებს ურუქის ხეობის გვიანდელ ძეგლებზე. მ. ფელისტინი ყუბანის დოლმენების დაზვერვების ჩანახატებს აკეთებს, რის საფუძველზეც შემდგომ ე. შანტრი ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის დოლმენების გეოგრაფიული განლაგების რუკას შეიმუშავებს (სურ. 2) [7, გვ. 313-314].

ცივილიზაციის წარმოშობის ძიებაში კავკასია კვლევის ობიექტად იქცა რუსი და უცხოელი მეცნიერებისთვის. საქართველოში მუშაობდნენ ბოგდანოვი, ფილიმონოვი, უვაროვი, მილერი, ვირხოვი, სელდიჩი, ერკერი, პეტერსონი და სხვები. 1879 წ. რუსეთში ტარდება მოსკოვის ანთროპოლოგიური და არქეოლოგიური კონგრესი და ეწყობა არქეოლოგიური გამოფენა. მოწვეული იყვნენ ევროპელი მეცნიერები; საფრანგეთიდან – ბროკა, დე-მორტილე, ტოპინარი, ლევონი, შანტრი და სხვები. კონგრესზე პრეისტორიული არქეოლოგიური ძიების ეფექტურ დასაწყისს აღნიშნავდნენ და აღტაცებას ვერ მალავდნენ გამოფენის სანახაობითი მხარით. მოხსენებები გაკეთდა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებზე. ფილიმონოვმა წარმოადგინა აფხაზეთის დოლმენები და შავი ზღვის სანაპიროს განათხარი მასალა, ყობანის, ყაზბეგის და სამთავროს აღმოჩენები. ახალმა არქეოლოგიურმა მასალამ ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ კონგრესის რამდენიმე მონაწილემ სესიის დამთავრებისთანავე საქართველოსკენ აიღო გეზი [8, გვ. XXXI]. მათ რიცხვს ეკუთვნოდა ფრანგი არქეოლოგი ერნესტ შანტრი (სურ. 1). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელ მეცნიერებისგან განსხვავებით, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ, თხრიდნენ უნიკალურ ძეგლებს, შანტრი – პირველი პროფესიონალი, პრაქტიკოსი არქეოლოგი იყო. ის იყო აღმომჩენი და პირველი გამთხრელი საფრანგეთის საეტაპო არქეოლოგიური ძეგლების, როგორიცაა „არსის," „გრან-როზოს" და „კოლეტიერის" ნამოსახლარები. მონაწილეობა ჰქონდა მიღებული არქეოლოგიურ გათხრებში ეგვიპტეში, საბერძნეთში, თურქეთში და სკანდინავიაში. ის ერთ-ერთი პირველი იყენებს არქეოლოგიური მასალის შედარებით მეთოდს და ინტერდისციპლინარული მეცნიერების მონაცემებს (მაგ. დენდროლოგიის მეთოდს). საფრანგეთში შანტრი მეტალურგიის წარმოშობაზე და მისი პირველი ეტაპის საკითხებზე მუშაობდა. გამოქვეყნებული ჰქონდა შემდეგი შრომები: „ქვის და ბრინჯაოს ხანა ტროადასა და საბერძნეთში," „ეგვიპტის მოსახლეობა," „რონას აუზის არქეოლოგიური რუკა" და „ბრინჯაოს ხანა და მეტალურგიის წარმოშობა საფრანგეთში" [8, გვ. 85, XXXII].

(1834-1924)

სურ. 1

მოსკოვის კონგრესიდან შანტრი სამხრეთ რუსეთისკენ იღებს გეზს, თერგის ხეობაში ანთროპოლოგიურ დაკვირვებებს ატარებს, ვლადიკავკაზში ყოფნისას ყობანის გათხრებში მონაწილეობს. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ბაიერნთან ერთად გათხრებს აწარმოებს თბილისის გარეუბანში, სართიჭალაში და სამთავროს სამაროვანზე. მასთან ერთად განიხილავს და არ ეთანხმება ნეკროპოლის შესახებ გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებებს, საერთოდ გამორიცხავს კრემაციის ფაქტებს, როგორც ყობანის ისე სამთავროს სამაროვანზე. მარიენფილდში 8 სამარხი გათხარა, მათგან მხოლოდ ორს აღწერს; „პირველი 12 ჩონჩხს შეიცავდა და არ იყო სამარხეული მასალა. მეორე სამარხში ჩონჩხი იყო, ერთ-ერთ განაპირა ადგილას ათი წლის ბავშვის ჩონჩხი უწესრიგოდ შეკრებილი. სამარხეულ ინვენტარს შვიდი სხვადასხვა ზომის ბრინჯაოს პატარა რგოლი „ორი სამაჯური, ქინძისთავი და 8 სარდიონის მძივი შეადგენდა" [7, გვ. 316].

შანტრი დასავლეთ საქართველოში მოგზაურობს, ეწვევა სატაძრო კომპლექსებს, ათვალიერებს ბერძნული კოლონიზაციის ნაშთებს, აფხაზეთის დოლმენებს და ყირიმით ბრუნდება საფრანგეთში. შანტრმა პირველი მოგზაურობის დროს იმდენად კარგად შეისწავლა საქართველოს ისტორიული ძეგლები, რომ მოგვიანებით, როდესაც მიწოდებული ნაშრომის გამო მადლობის წერილს უგზავნის დ. ბაქრაძეს, წერს:[39] „მე დავათვალიერე გელათი და სხვა ტაძრები საქართველოში, ისინი ყველა კლასიკური სტილისაა და თქვენგან განსხვავებულს ვერაფერს ვიტყვი. ამჟამად დაკავებული ვარ ბიზანტიური განძის შესწავლით და მასთან მიმართებაში ძალიან მჭირდება თქვენი ნაშრომი სვანეთზე...“ (სურ. 3). მალე პარიზში იბეჭდება მისი სტატიები და შრომები: „ქვის და ბრინჯაოს ხანა აზიის დასავლეთში,“ „პალეონტოლოგიური ძიებანი სამხერთ რუსეთში და განსაკუთრებით ყირიმსა



სურ. 2

და კავკასიაში“ და „ყობანის ნეკროპოლი“ [8, გვ. XXXII]. დაბრუნდა თუ არა მოგზაურობიდან ე. შანტრი პირველივე დღიდან იწყებს ზრუნვას შემდეგი მივლინების მოსაპოვებლად. ოფიციალური შემოქმედებითი მოგზაურობები თავისებური გამოვლინება იყო იმ სამეცნიერო გაცვლითი ატმოსფეროსი, რომელიც საფრანგეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის არსებობდა XIX საუკუნის ბოლოს. კავკასია, და უშუალოდ საქართველო კი ყოველთვის განსაკუთრებულად იპყრობდა ფრანგი მეცნიერების, მათ შორის ორი დიდი არქეოლოგის ე. შანტრის და ჟაკ დე მორგანის ყურადღებას. პარიზის ნაციონალურ არქივში, სენ-ჟერმენის ნაციონალურ სიძველეთა მუზეუმის ბიბლიოთეკაში და მუზეუმების ცენტრალურ არქივში შემონახული დოკუმენტები „შანტრის საქმის“ სახით, დასტურია იმისა, თუ რა სირთულეს წარმოადგენდა სახელმწიფო სტრუქტურაში ექსპედიციის ნებართვის მიღება. წერილობით ახსნა-განმარტებაში, ე. შანტრი კომისიას ფინანსური მხარდაჭერის სანაცვლოდ მუზეუმების კოლექციებისთვის, კავკასიიდან ახალი განათხარი მასალით შევსებას სთავაზობს. მეცნიერები, რომლებიც შუამდგომლობდნენ ე. შანტრის გამგზავრებას, პირდაპირ ახსენებდნენ მინისტრს ე. შანტრის წყალობით ჩამოტანილი უაღრესად საინტერესო არქეოლოგიური კოლექციების არსებობის შესახებ. ისინი სენ-ჟერმენის მუზეუმში იყო აღრიცხული. ე. შანტრმა მართლაც მოიპოვა ახალი პროგრამა და ფინანსები შემდგომი მოგზაურობისთვის. მის განაცხადს სპეციალური შენიშვნა ახლდა, რომ შემდეგი მოგზაურობის დროს – „არქეოლოგია მეორეხარისხოვან მიმართულებად არ დარჩენილიყო... “ [6, გვ. 174].



სურ. 3

მოსკოვის კონგრესზე ქართველი მოღვაწეების მიერ შემოთავაზებული აზრი, V არქეოლოგიური ყრილობის თბილისში ჩატარების შესახებ, ერთხმად იქნა მოწონებული და იქვე შეიკრიბა საორგანიზაციო კომიტეტი გრაფ უვაროვის ხელმძღვანელობით. 1881 წლის ყრილობაზე ორმოცამდე უცხოელი იყო მოწვეული, მათ შორის ე. შანტრი, რ. ვირხოვი, დე მორტილე, შეფერი და სხვები. ყრილობასთან დაკავშირებით გათხრები დაიწყო კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში; მათი რეზულტატები ყრილობის ანგარიშებშია თავმოყრილი, ახალი განათხარი არქეოლოგიური მასალა კი თბილისის მუზეუმში იყო გამოფენილი. ახალი მისიით დამუხტულმა ე. შანტრმა გადაწყვიტა საქართველოში გათხრების განახლებამდე გაეფართოებინა დაზვერვითი სამუშაოები სომხეთში იმ იმედით, რომ აღმოაჩენდა პირველყოფილი მოსახლეობის გადაადგილების რაიმე ნაკვალევს და ბრინჯაოს შემოტანის გზებს. ოთხი თვის განმავლობაში მოგზაურობდა ჩრდილო სირიასა და ზემო მესოპოტამიაში, შეისვენა ალეპოში. გადაკვეთა თურქეთი, შენიშვნები ჩაიწერა და დაისვენა ურფესა და ბირედჯიკში, გაიარა დიარბაკირე და ესტუმრა ვანის ტბის მიდამოებს. იმოგზაურა აღმოსავლეთის ყველაზე ძველისძველ გზათა შორის ერთ-ერთით და ქურთისტანის მაღალი ზეგანის შემდგომ მიაღწია არარატის მიდამოებს. ამ საინტერესო მოგზაურობისას შეაგროვა საყურადღებო კოლექცია, რომელიც იმ ქვეყნის ფლორას და ფაუნას ეხებოდა, მან ორი ათასამდე სეპალომეტრიული აზომვა გააკეთა

[39] წერილი მიკვლეულია ხელნაწერთა ინსტიტუტში ხ. ჯორბენაძის მიერ.

არაბ, ქურთ, ანსარიელ და სომეხ მოსახლეობაზე; გადაიღო ხუთასზე მეტი ძეგლის და პეიზაჟის ფოტო.

კავკასიაში ე. შანტრი ივნისში ჩადის და ზაფხულის ბოლომდე რჩება. „თბილისში ევროპულმა ცივილიზაციამ კვლავ გონს მომიყვანა, შევხვდი პირველი მოგზაურობის დროს შეძენილ მეგობართა უმრავლესობას, რომელთაც სიამოვნებით შემომთავაზეს ყველანაირი დახმარება, რასაც მოკლებული ვიყავი რამდენიმე თვის განმავლობაში“ – წერს ე. შანტრი თავის ნაშრომში [8, 1. გვ. XXXIII]. ის აგრძელებს 1879 წელს დაწყებულ არქეოლოგიურ გათხრებს. აღადგინა თავისი პირველი ანთროპოლოგიური დაკვირვება თანამედროვე მოსახლეობაზე – ოსებზე, ქართლელებზე, იმერლებზე და ლაზებზე. არქეოლოგიური გათხრების მიმდინარეობისას თითქმის ყოველ თვე იგზავნება მოპოვებული მასალა საფრანგეთის სხვადასხვაა მუზეუმებში, ამის დასტურია სენ-ჟერმენის მუზეუმის საინვენტარო აღრიცხვის ჟურნალი [6, გვ. 176-179].

ე. შანტრმა ბევრი იმუშავა გვიანბრინჯაოს სიძველეებზე, ე.წ. „ყობანის კულტურაზე,“ ოსეთიდან გატანილი იქნა დიდი რაოდენობის ყობანის არქეოლოგიური მასალა. მაგალითისთვის, 1879 წ. გახსნილი იყო 500 სამარხი, აღმოჩენილი ოცი ათასი მონაპოვარი. კავკასიაში ე. შანტრის მიერ გათხრილი არქეოლოგიური მასალა სხვადასხვა გზებით ხვდება სენ-ჟერმენის ნაციონალურ სიძველეთა მუზეუმში. უმეტესი ნაწილი მონაპოვარი მასალისა უსასყიდლოდ გადაეცემა მუზეუმებს. საფრანგეთში იმ დროისთვის, არქეოლოგიური მონაპოვრის მუზეუმებში დანაწილება კანონით არ იყო დარეგულირებული, ამიტომ დღემდე ერთ ნომრადაა გატარებული მთელი ჯგუფი მასალისა, რომლებიც ალბათ მრავალ ასეულ ნივთს ითვლის. 1881 წ. პირველივე წერილში ე. შანტრი ატყობინებს, რომ საფრანგეთში გააგზავნა 10 ყუთი ეთნოგრაფიული და ზოოლოგიური კოლექცია, არქეოლოგიური ფოტოები; იმედოვნებს, რომ მალე გააგზავნის ახალ ამანათს, რომელშიც ყობანის და კახეთის ისტორიამდელი ძეგლების განათხარი მასალაა მოთავსებული. კოლექციის ზოგიერთი ნაწილი შეტანილი არ არის 1894-96 წლამდე გაკეთებული ნუსხაში, საყურადღებო ნაწილი სარესტავრაციო ლაბორატორიებში და საცავებშია „დავიწყებული“, – ლაპარაკია ძირითადად „რედკინ-ბანაკის“ და კახეთის არქეოლოგიურ მასალაზე. 1881 წ. ზემო ყობანში 10 ძალიან საინტერესო, მდიდრული სამარხი გაითხარა; შემდეგ მუშაობას ისევ მცხეთის ნეკროპოლზე აგრძელებს და ორივე ძეგლიდან მოპოვებული მასალა მთლიანად გაიგზავნა საფრანგეთში – თბილისიდან [6, გვ. 177-178]. სამწუხაროდ, არქეოლოგიური მონაპოვარის დიდი ნაწილი გაფანტულია სხვადასხვა კოლექციებში: მოსკოვის ისტორიის და თბილისის სახელმწიფო მუზეუმში, ვენის საიმპერატორო და ჟენევის ეთნოგრაფიულ, რომის და შამბერის საეკლესიო, სენ-ჟერმენის ნაციონალურ სიძველეთა და ლიონის საბუნებისმეტყველო მუზეუმებში; კერძო კოლექციებში – ვლადიკავკაზში გენ. ოლშევსკის, მოსკოვში – გრაფ უვაროვის, გენ. კომაროვის და ბერლინში – ვირხოვის კოლექციებში.

ე. შანტრი კარგად ეცნობა თბილისის მუზეუმის და კერძო კოლექციების არქეოლოგიურ მასალას, ფ. ბაიერნთან და ოლშევსკისთან ერთად მუშაობს ყობანის სამაროვანზე, იქიდან დაბრუნებული განაგრძობს მცხეთის და მერიენფილდის ნეკროპოლის გათხრებს. ე. შანტრი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ზემო ყობანის ნეკროპოლი კავშირშია არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი დასავლეთის პრეისტორიული არქეოლოგიის სრულიად ახალ და ძალიან მნიშვნელოვან ძეგლებთან.

1883 წელს ე. შანტრი საფუძვლიანად ეცნობა ვენის და მოსკოვის მუზეუმების კავკასიურ კოლექციას. 1885-86 წლებში პარიზში და ლიონში იბეჭდება მისი ხუთტომეული „ანთროპოლოგიური კვლევა კავკასიაში,“ რომელიც ამ რეგიონის არქეოლოგიური მასალის პირველ სინთეზს წარმოადგენს. ურთიერთთანამშრომლობამ თავის კოლეგებთან და კოლექციონერებთან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა და ე. შანტრმა შექმნა ახალი ინფორმაციის შემცველი მთელი კორპუსი. საფრანგეთში ინახება პირადად ე. შანტრის მიერ ჩამოტანილი სამარხეული მასალა და რამდენიმე ტომის სახით მისი გათხრების ილუსტრირებული ანგარიშები. ამ ნაშრომის უმეტესი ნაწილი დღეისათვის მნიშვნელოვანია და ამდენად შესწავლის ღირსია.

1880 წელს მოსკოვის ანთროპოლოგიური საზოგადოება მადლიერების გამოსახატავად ერთგულ მკვლევარს ღირსების და წმინდა ანას ორდენით აჯილდოებს, 1888 წელს წმინდა სტანისლავის ორდენის კავალერად იქნა წოდებული. მოგვიანებით ე. შანტრი უბრუნდება ყობანის გათხრებს, 1890 წ. ოფიციალური მისიით ჩადის სომხეთში. ორი წლის შემდეგ ისევ გადაკვეთს თურქეთს და ეწვევა რუსეთს. საფრანგეთში დაბრუნებისას აქვეყნებს მრავალ ანთროპოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ გამოკვლევას. სხვა მეცნიერების შედეგებზე დაყრდნობით, ფ. დიუბუა დე მონპერეს, ფელისტინის და ფ. ბაიერნის მონაცემებით ადგენს კავკასიის არქეოლოგიურ რუკას, რომლის შექმნის მცდელობაც ერთ-ერთი პირველი უნდა იყოს (სურ. 4).

მეცნიერულ წრეებში სრულიად ბუნებრივი გაოცება გამოიწვია XX საუკუნის ბოლოს სენ-ჟერმენის მუზეუმში შემოსულმა ახალმა, საკმაოდ ერთფეროვანმა კოლექციამ, რომელიც კავკასიური წარმოშობისაა და იმ დროის სამეცნიერო სამყაროსთვის ნაკლებად ცნობილი ნივთებისგან შედგებოდა [6, გვ. 173].

საუკუნეზე მეტი გავიდა ე. შანტრის მოგზაურობიდან; კავკასიაზე მისი ნაშრომის გამოქვეყნებიდან თითქმის ამდენივე. რა დარჩა მისი აღმოჩენებიდან, მისი თეორიებიდან აქტუალური? ე. შანტრი კავკასიაში ცივილიზაციის წარმოშობას ეძებს, მისია მხოლოდ არქეოლოგიური არ არის, ის ცდილობს შეაჯამოს თავისი ეპოქის მეცნიერული ცოდნა. აინტერესებს გეოგრაფია, გეოლოგია, ფლორა, ფაუნა, რეგიონის უძველესი მობინადრე და თანამედროვე ხალხის ზნე-ჩვეულებები. თუმცა, შანტრი არაერთგზის უსვამს ხაზს თავის მისწრაფებას, შეიქმნას ობიექტური სამეცნიერო კვლევა. ის თავისი ეპოქის მეთოდოლოგიურ ტრადიციებს მთლიანად უხდის ხარკს. კერძოდ, იზიარებს-რა თავისი კოლეგის ჟ. მორგანის მეთოდებს, არც „ნახონ," არც „ინტერპრეტაცია გაუკეთონ ადამიანის ცხოვრების არანაირ ნაკვალევს გარდა ნეკროპოლებისა." ისიც თვლის, რომ მიზანშეწონილია დასავლეთ აზიის ისტორიამდელი კულტურის მხოლოდ სამარხეული ძეგლების შესწავლა. ნახევარი საუკუნის შემდეგ, საქართველოში ე. შანტრის გათხრებიდან - ბ. კუფტინი აღნიშნავდა, რომ იგრძნობა ისეთი კლასიკური ობიექტების დოკუმენტაციის უკმარისობა, როგორიცაა ყობანის, სამთავროს, რედკინ-ბანაკის, კიზილ-ვანკას და სხვა სამარხები. ამის გამო განხილვის გარეშეა დარჩენილი ამ ძეგლებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული ბუნდოვანი და არადამაჯერებელი ქრონოლოგიური პერიოდიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ე. შანტრის და რ. ვირხოვის მიერ საკმაოდ გონივრულად იყო წამოწეული, მათ მიერ გაანალიზებული მასალისთვის ქრონოლოგიური დასაყრდენები [5, 1, გვ. 3-4, 26-72].

კულტურულ იერსახეზე დაყრდნობით, ე. შანტრი ერთ-ერთი პირველი შედარებითი მეთოდის გამოყენებით განსაზღვრავს არქეოლოგიურ მასალას. ამან მისცა საშუალება, ერთი მხრივ, აღმოეჩინა ახლო აღმოსავლეთის გავლენა (კერძოდ ასირიული სამყაროსი) და, მეორეს მხრივ, დაეფიქსირებინა განსაზღვრული ტიპის ერთფეროვანი მასალის არსებობა, რომელთა სიმრავლეც იძლეოდა საშუალებას გამოეყოთ კავკასიის ადრერკინის ხანის ყობანის კულტურის დამახასიათებელი თვისებები.

ე. შანტრს შემოაქვს ტერმინი „ყობანური," რათა განისაზღვროს ყობანური კულტურა. გათხრების დროს დაშვებული ხარვეზების გამო ის ხშირად მცდარ ვერსიებს გვთავაზობს. მიუხედავად ამისა, მისი ზოგიერთი თეორია კვლავ მისაღებია. მაგალითად, ზოგიერთი ტიპის საგნებისთვის კომერციული იმპორტი და დამუშავების ტექნიკის საკითხი [7, გვ. 319-321].

Méridien de Paris 38
MER D'AZOV
MER CASPIENNE
MER NOIRE
STAVROPOL
EKATERINODAR
Maikop
Pyatigorsk
Ekaterinograd
Alexandrovskaya
Steppe des Kara Nogaïs
Derbent
Bakou
Kiskar
Khasavyourt
Petrovsk
TEMIR KHAN CHOURA
ADIKAVKAZ
Gotsatl
Botlikh
Khounzakh
Kavanti
Gounib
Makhatli
Kazbek
Sochi
C. Adler
Pitzounda
Soukhoum-Kaleh
Redout-Kaleh
POTI
Nikolaya
Daourgheti
BATOUM
Akhalkalaki
Akhaltsikhe
Mtsvin
TREBIZONDE
Ardahan
KARS
Olti
Erzeroum
Erzingan
Bayazid
Ordoubad
Nakhitchevan
Karabag
Chouscha
Ghimsi
Diri-dagh
Kouba
Nouchka
Akhtchi
Kasoum-Kend
Zakatali
Signakh
Telav
Tiflis
Gori
Kaspi
Tchiatoura
Kutaïs
Sukhum
Tskhinvali
Ordjonikidze
Vladikavkaz
Kizlar
Petrovsk
Derbent
Baku
Lenkoran
Salyani
Kouba
Cherniakhi
Elisavetpol
Yevlakh
Ganja
Tiflis
Alexandropol
Nouvo Bayazid
Alagez
Ararat
Alt-yakhorlar
Sevan
Gokcha
Ararat
Koura
Steppe de Karabagh
Steppe de Mogan
Steppe de Karayaz
Steppe de Karaïn
Steppe de Kazakh
Steppe de Kouba
Steppe de Kouchi
Steppe de Kouchi
Steppe de Kouchi

ეტაპი, რომელიც ე. შანტრმა არ მიიჩნია საფეხურად მეტალურგიის განვითარებაში. ბრინჯაოს ხანა უკეთესადაა ცნობილი, რაც საშუალებას გვაძლევს, ე. შანტრის საწინააღმდეგოდ, დავამტკიცოთ ბრინჯაოს ხანის არსებობის ფაქტი კავკასიაში, რომელმაც საკმაოდ ფუნდამენტური ეტაპი შექმნა ამ რეგიონის ცივილიზაციის განვითარებაში. საკმარისია გავიხსენოთ მ. ივაშჩენკოს და ბ. კუფტინის გათხრები კოლხეთში (1934-37 წწ.). მ. ივაშჩენკო ე. შანტრის მიერ დაწყებულ გათხრებს აგრძელებს სამთავროს სამაროვანზე, რასაც შემდგომ რ. აბრამიშვილი ხელმძღვანელობს. მოგვიანებით სამთავროს და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა პუნქტებში აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების ქრონოლოგიურ ტაბულას ამუშავებს, გამოყოფს რა ქრონოლოგიურად ურთიერთმონაცვლე ხუთ ფენას, ამასთანავე ხაზს უსვამს სამთავრული კულტურის ერთიანობას [1, გვ. 115-140]. 1938-40 წწ. ბ. კუფტინი მუშაობას იწყებს სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში და თრიალეთში ყორღანებს აღმოაჩენს, მ. ივაშჩენკოსთან ერთად მას „თრიალეთის კულტურას“ უწოდებს. ყორღანული კულტურის ადრეული ეტაპის ძეგლებს წარმოაჩენს და იკვლევს – ოთ. ჯაფარიძე, ადასტურებს-რა მოსაზრებას თრიალეთური კულტურის ზოგიერთი ელემენტის გენეტიკურ კავშირსა და წარმომავლობას, წინამორბედ ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურასთან და აგრეთვვე ამ ორი კულტურის განვითარების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას [3, გვ. 102-123]. საქართველოში ყველა მეცნიერი, ვინც რკინის ხანაზე მუშაობდა, იყენებდა ე. შანტრის მიერ შემოთავაზებული მასალის ქრონოლოგიურ საყრდენებს. თანამედროვე არქეოლოგიაში ხშირად იმოწმებენ საუკუნის წინანდელ ნაშრომებს, როგორც ახალი მოსაზრებისთვის ამოსავალი წერტილის საფუძველს. არის ზოგიერთი სფერო, რომლისთვისაც თანამედროვე აღმოჩენებს მხოლოდ უმნიშვნელო ახალი ელემენტები მოაქვთ ე. შანტრის დასკვნების შესაბამისობაში; ეს უმთავრესად ქვის ხანას შეეხება. ე. შანტრის მეცნიერულმა მონაპოვარმა განვითარება ჰპოვა საუკუნის შემდეგ ამ თემაზე შესრულებულ ნაშრომებში [7, გვ. 313-322]. სენ-ჟერმენის ნაციონალურ სიძველეთა მუზეუმის საცავები, ე. შანტრის მიერ მოპოვებული შეუსწავლელი მასალის გარდა, მრავალგზის შეივსო გაურკვეველ ვითარებაში მოპოვებული კავკასიური წარმოშობის ბრინჯაოს ხანის კოლექციებით. თანამედროვე სამეცნიერო მიმოქცევაში მსგავსი მასალის შესვლის გამო გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ საუკუნის შემდეგაც, ისინი თანამედროვე მკვლევარებისთვის საყურადღებოა. ისინი წარმოადგენენ დიდი მოცულობის შედარებით მასალას და თვითონ შეიცავენ ერთი და იგივე ტიპის საგნების ფორმის სხვადასხვა ვარიაციებს. სასურველია, რომ ამ კოლექციის ნივთები დღესაც აღმოჩნდნენ სამეცნიერო კვლევის სფეროში, როგორც წყარო ახალი ტიპოლოგიური და ინტერპრეტაციული დამუშავებისთვის [6, გვ. 179].

საუკუნის შემდეგ საფრანგეთში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით – „ხელოვნების პრეისტორია – სკვითებამდე,“ სადაც წარმოდგენილი იყო ე. შანტრის და ჟ. მორგანის კოლექციებში დაცული მთელი წყება მონეტებისა კავკასიიდან. ფრანგი ხალხისთვის უძველეს ცივილიზაციათა მემკვიდრეობის გაცნობასთან ერთად ექსპოზიცია ემსახურებოდა იმ მჭიდრო მეცნიერული კავშირების და ურთიერთთანამშრომლობის ხელახლა გაანალიზებას, რომელიც ფრანგ არქეოლოგებს და კავკასიის სიძველეთა შემსწავლელ სპეციალისტებს შორის არსებობდა XIX საუკუნის დასასრულს [7, გვ. 313]. ლუვრის და საფრანგეთის მუზეუმების ჟურნალში ხშირად იბეჭდება ფრანგ მეცნიერთა სტატიები, კავკასიაში არქეოლოგიური მოგზაურობების და მუზეუმებში კავკასიური წარმოშობის არქეოლოგიური ფონდების შესახებ. ამით ისინი კიდევ ერთხელ ადასტურებენ, გასული საუკუნის არქეოლოგთა ნაშრომების ღირსებასა და აქტუალურობას და პატივს მიაგებენ მათი ავტორების ხსოვნას.

ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, XIX-A და XXI-B, გვ. 115-140.

2. გამყრელიძე გ. საქართველოს არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია. – საქართველოს არქეოლოგია, I, თბ., 1991, გვ. 12-45.

3. ლორთქიფანიძე ოთ. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ., 2002.

4. ჯაფარიძე ოთ. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურებზე. თბ., 1961.

5. Куфтин Б. Археологические раскопки в Триалети, т. I. Тб., 1941.

6. Лорр К. О происхождении археологической коллекции Э. Шантра. – РА, № 2, 2000, с. 173-179.

7. Andre-Leicknam B., Mohen J.-P. Voyages archéologiques au Caucase à la fin du XIXe-siècle – La revue du Louvre et des musées de France. № 5/6, 1978, Paris, p. 313-322.

8. Chantre E. Recherches anthropologiques dans le Caucase. V. I., Paris-Lyon, 1886.

მილოცვა
CONGRATULATION

რუსუდან ფუთურიძე

რუსუდან ფუთურიძე დაიბადა 1923 წლის 26 ოქტომბერს ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის ვლადიმერ ფუთურიძის და უსათნოესი ქალბატონის, ეთერ ელიოზიშვილის, ოჯახში. 1931-1941 წლებში ის თბილისის 25-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა; 1941 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. ქალბატონი რუსუდანი სკოლაშიც ფრიადებზე სწავლობდა და უნივერსიტეტშიც; მეორე კურსიდან მას სტალინური სტიპენდია დაენიშნა.

არქეოლოგიით რუსუდან ფუთურიძე ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაინტერესდა და 1944 წელს კიდეც მიიღო მონაწილეობა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაგინეთის რაზმის მუშაობაში. ეს სწრაფვა არქეოლოგიისადმი იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ 1952 წელს მან ჩააბარა ასპირანტურაში საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიის სპეციალობით; 1955 წელს დაამთავრა ასპირანტურა, სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში ჩინებული მომზადება გამოამჟღავნა და 1960 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე – „დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები“.

„რუსუდან ფუთურიძე სანიმუშო თანამშრომელია“, „თავისი სიბეჯითით, თავმდაბლობით, დავალებათა შემსრულებლობით და მოვალეობისადმი უაღრესად კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკის მისაბაძი მაგალითია“ – ვკითხულობთ ქალბატონი რუსუდანის იმდროინდელ დახასიათებებში.

1957 წელს რუსუდან ფუთურიძე ჩაირიცხა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად; 1966 წლიდან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია. ის აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ექსპედიციებში (ქობულეთი, სოხუმი, ბიჭვინტა). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს რუსუდან ფუთურიძის დამსახურება ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიურ შესწავლაში. ის მხარში ედგა ბატონ ოთარ ლორთქიფანიძეს წლების მანძილზე როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე (1966 წლიდან) და დიდ როლს ასრულებდა საველე სამუშაოების ორგანიზებაში. მისი თანაავტორობით სისტემატურად ქვეყნდებოდა ვანში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ყოველწლიური მეცნიერულ-დოკუმენტური ანგარიშები (ვანი, ტ. I-IX; ПАИ; АО), რამაც ხელი შეუწყო ვანის ნაქალაქარისა და იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში შესვლასა და პოპულარიზაციას. დიდად მნიშვნელოვანია რუსუდან ფუთურიძის მონაწილეობა ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში. 1961-1967 წლებში მისი ხელმძღვანელობით გათხრილია ბიჭვინტის ნაქალაქარის ერთ-ერთი უბანი.

ქალბატონი რუსუდანი 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მისი პირველი სტატიები დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის ძეგლებს ეძღვნება. ამ ძეგლების შესწავლის საფუძველზე რეკონსტრუირებულია იმდროინდელი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, სოციალური ურთიერთობების, კულტურის განვითარების, სავაჭრო კავშირების სხვადასხვა ასპექტები. ამ მეტად საყურადღებო გამოკვლევების შესაქმნელად შესწავლილია დიდძალი მასალა, რომლის კლასიფიკაცია დაფუძნებულია ტიპოლოგიურ პრინციპებზე. კერამიკული ნაწარმის შესწავლისას სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი თიხის რაგვარობასა და მისი შედგენილობის საკითხს. გათვალიწინებულია სტრატიგრაფიული მონაცემები, მოშველიებულია დიდძალი პარალელური მასალა, როგორც პუბლიკაციებიდან, ასევე სამუზეუმო ფონდებიდან.

რუსუდან ფუთურიძის სახელს უკავშირდება ანტიკური ხანის მატერიალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის – კერამიკული ტარის შესწავლა; კერძოდ, დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი, როგორც შემოტანილი, ისე ადგილობრივი ამფორების სპეციალური და ყოველმხრივი კვლევა; მათი დათარიღების, ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური თავისებურებების, აგრეთვე საწარმოო ცენტრების განსაზღვრა, რასაც დიდი როლი ენიჭება ანტიკურ სამყაროსთან კოლხეთის ურთიერთობების ისტორიისათვის.

ქალბატონი რუსუდანი სისტემატურად მონაწილეობს საინსტიტუტო, რესპუბლიკურ თუ საკავშირო სესიებსა და კონფერენციებში, აგრეთვე შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილ ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმებში.

რუსუდან ფუთურიძის მდიდარი შინაგანი სამყარო, პრინციპულობა, პირდაპირობა და შემართება, მოვლენებისა თუ ადამიანების ობიექტური შეფასება, ჭეშმარიტებისა და სიმშვენიერის დაფასება, სხვისი ტკივილისა და სიხარულის გათავისება, მისი უსაზღვრო სიკეთე, საქმისა და მეგობრების ერთგულება ჩვენთვის მუდამ მისაბაძი მაგალითია.

ვისურვებდით ამ ღირსეული პიროვნების გვერდით დიდხანს ერთად დგომას საქართველოს არქეოლოგიის სამსახურში.

კოლეგები და მეგობრები

საველე სამუშაოები 2002 წელს

სამხრეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. მ. გაბუნია) მცირე მასშტაბის სამუშაო ჩაატარა ჯავახეთის ამირანის გორაზე, სადაც ზიუსენბორული ცხენისა და ბიზონის ნამარხ ნაშთებთან ერთად აღმოჩნდა ქვის ერთი საჩეხისებური იარაღი და ნახშირის ნამცეცები.

წალკა-თრიალეთის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.კ. გ. ნარიმანიშვილი) იმუშავა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სამ მონაკვეთზე. 114-115 კმ-ზე ელი-ბაბას ნამოსახლართან ახლოს, სადაც გათხარა გამოვლენილი დიდი სამაროვნის 8 სამარხი (ძვ. წ. XII-VIII სს.); 123-124 კმ-ზე აი-ილიას მთაზე, ციკლოპური ნამოსახლარის ტერიტორიაზე, სადაც დაფიქსირდა ქვის ხანის დროინდელი ნამოსახლარის (?) ნაშთები ობსიდიანისაგან დამზადებული მრავალფეროვანი იარაღებით; შეამოწმა 128-129 კმ, სადაც თხრილებს ძეგლი არ გამოუვლენია.

ბორჯომის რაიონის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.კ. ირ. ღამბაშიძე) გათხრები აწარმოვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დერეფანში. მთა თავკვეთილის უბანზე შესწავლილ იქნა ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის ოთხი ყორღანული სამარხი; მშრალ მთაზე სასინჯი თხრილებით დადგინდა, რომ ამ პუნქტში ძეგლები არ არის; მოლითის უბანზე გამოვლენილ სამაროვნებზე გაითხარა ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის ყორღანი და ნაგებობების ნაშთები; საკირე-ტაძრისის უბანზე კი დაზვერვებით გამოავლინა სხვადასხვა პერიოდის ნასოფლარი და კულტურული ფენები.

ახალციხის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. ა. ორჯონიკიძე) სადაზვერვო თხრილებით მოსინჯა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დერეფანი ახალციხის რაიონში და ქ. ვალესთან ორჭოსანის ნამოსახლარი აღმოაჩინა, რომელიც ადრებრინჯაოს ხანისა და შუა საუკუნეების კულტურული ფენით არის წარმოდგენილი.

ეგრისის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. ვ. ჯაფარიძე) სამუშაო ჩაატარა შორაპანში, ბიზანტიური ხანის ციხეზე, სადაც გამოვლენილია დიდი რაოდენობით მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, ელინისტური ხანის ნაგებობა, რომელიც შესაძლოა ტაძარს წარმოადგენს და ქვევრსამარხები. ექსპედიციამ ასევე იმუშავა ბაქო-სუფსის მილსადენის ტრასაზე. ტყლაპივაკეში შეისწავლა ანტიკური ხანის ნამოსახლარი, ხოლო მეორე სვირის ტერიტორიაზე – ადგილი „ციხურა“, სადაც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა გვიანი ბრინჯაოს, ადრეანტიკური და რომაულ-ბიზანტიური ხანის არქეოლოგიური მასალა.

კოლხეთის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.კ. რ. პაპუაშვილი) გათხრები ჩაატარა სოფ. ერგეტაში, II სამაროვანზე, სადაც შეისწავლა № 6 და გასათხრელად მოამზადა № 7 და № 8 კოლექტიური სამარხი ორმოები. № 6 სამარხში აღმოჩნდა 123 მძივსამკაული და სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული 55 ნივთი, რომლებიც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედს მიეკუთვნება. ექსპედიციამ დაზვერა ზუგდიდის, წალენჯიხის, მარტვილის რაიონები და ჩხოროწყუს რაიონის სოფ. მუხური. მუხურის ლეცირდეს უბანში დაფიქსირებულ იქნა ქვევრსამარხები და რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთი, რომლებსაც გამთხრელი წინასწარულად ადრე შუა საუკუნეებით ათარიღებს. მარტვილის რაიონის კურორტ ლებარდეში მიკვლეულ იქნა, კირხსნარზე ნაგები შენობის – ეკლესიის ნანგრევები.

ვანის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. დ. კაჭარავა) გათხრები გააგრძელა ვანის ნაქალაქარის სამივე ტერასაზე. ზედა ტერასაზე დასრულდა ორი სამლოცველოს გათხრა. ერთ-ერთ მათგანთან ამოკვეთილ ორმოში აღმოჩნდა ძვ. წ. III საუკუნის ბრინჯაოს მცირე ქანდაკება. ცენტრალურ ტერასაზე დაზუსტდა დიდი არხის სტრატიგრაფია: 1. ნგრევის ხანა – ძვ. წ. II-I სს; 2. ძვ. წ. II საუკუნის ფენა; 3. სტერილური თიხნარი; 4. დანახშირებული, ძვ. წ. IV-III ს-ის დასაწყისის ფენა; 5. სილოვანი ფენა – ძვ. წ. VI-V სს-ების მასალით. ამავე ცენტრალურ ტერასაზე, თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის არეში გაიწმინდა ალიზის აგურების, კრამიტებისა და ქვათლილების შემცველი ყრილი. ამავე ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაიწმინდა ქვიშაქვის ბლოკებით ნაგები შენობის ორი სათავსო, რომელთა იატაკი რიყის ქვით უნდა ყოფილიყო მოგებული; ქვედა ტერასაზე დასრულდა „კულტურული მემკვიდრეობის ფონდის“ გრანტით მიმდინარე საკონსერვაციო სამუშაოები მრავალსათავსოიან საკულტო არქიტექტურულ კომპლექსზე.

გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. ვ. სადრაძე) ბაქო-სუფსის მილსადენთან დაკავშირებული სამუშაოები ჩაატარა ნიგოითის ნამოსახლარსა და მიმდებარე ტერიტორიაზე. დაზვერვით და სტაციონარული გათხრით დადგინდა ძეგლის ფართობი – 3-4 ჰა, გაიწმინდა წრიული გეგმის სათავსოს ნაშთი და დადგინდა, რომ დასახლება ძვ.წ. IX-VII სს. შეიძლება დათარიღდეს. ექსპედიციამ პარალელურად გაწმინდა და აგეგმა ადგილ ქვიანში, ჯაპანასა და შუხუთში გამოვლენილი ეკლესიების ნაშთები.

გორის რაიონის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.კ. გ. მინდიაშვილი) შეისწავლა ბაქო-სუფსის

მილსადენის 143-ე კმ-ზე, სოფ. თედოწმინდისა და ახალდაბას შორის, ადგილ „კვერცხვულაზე“ მშენებლობით გამოვლენილი ძვ. წ. XII ს-ის ერთფენიანი ნამოსახლარის მცირე ნაწილი და მისი თანადროული სამაროვნის სამი გორასამარხი. იქვე გაითხარა ძვ. წ. XXIV-XXII სს-ის დაზიანებული ყორღანული სამარხი. ყორღანის ორმოში გაიწმინდა ხის ოთხთვალა ეტლის ბორბლების ანაბეჭდები, მიცვალებულის ჩონჩხის ნაშთები, თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს დანა, სატევარი, ისრისპირი, ძვლის ისრისპირი და ირმის რქის ავგაროზი.

კასპის რაიონის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.კ. ზ. მახარაძე) გადარჩენითი გათხრები ჩაატარა ეროზიით დაზიანებულ დაჭრილების სამაროვანზე (სოფ. კავთისხევი). გათხრილი სამარხები ადრეელინისტური ხანით თარიღდება.

მაშავერას ხეობის ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. კახიანი) სამუშაოები გააგრძელა სოფ. განთიადთან, ადგილ ნაგზაურში ოპტიკურბოჭკოვანი კაბელის თხრილით გამოვლენილ საეკლესიო კომპლექსზე. აღმოჩენილ იქნა ოთხი ეკლესია, ასომთავრული წარწერები, ეკლესიის კედლის შემკობასთან დაკავშირებული მრავალი დეტალი, მცირე პლასტიკის ნიმუშები, სტელები და სხვ. მოპოვებული მასალა კომპლექსის ფუნქციონირებას VIII-IX საუკუნეებით განსაზღვრავს.

დმანისის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. ჯ. კოპალიანი) სამუშაოები ჩაატარა ნაქალაქარის იმ მონაკვეთებზე სადაც მოსალოდნელი იყო პალეოლითურ ძეგლზე სამუშაოების გაგრძელება; b4 თხრილის 3×2 მ მონაკვეთზე ჩატარებულმა გათხრამ აჩვენა, რომ საცხოვრებელი დონე 1,0 მ-ზე იწყება და წარმოდგენილია თონეების ფრაგმენტებით და თიხატკეპნილი იატაკით. ქვედა საცხოვრებელი დონეც 1 მეტრის სიღრმეზე გამოვლინდა. დადგინდა, რომ ამ დონის იატაკი უშუალოდ ადევს ორმოებიან ფენას, რომელიც, როგორც წესი, პალეოლითურ მასალას შეიცავს. ორივე საცხოვრებელ დონეს შორის მცირე ასაკობრივი სხვაობაა და IX-X საუკუნეებს განეკუთვნება.

დმანისის ადრეპალეოლითურმა რაზმმა (ხელმძღვ. ი.მ.დ. მ. ნიორაძე) გათხრები ჩაატარა ადრეპალეოლითური სადგომის II გასათხრელ მოედანზე, სადაც 20 $მ^2$ ფართობზე ითხრებოდა „ქერქის“ (ფენა III) ქვეშ, ბაზალტის ლავებამდე არსებული IV-V და VI ფენები. ასევე, სტრატიგრაფიის დასადგენად იმუშავა M_5 და M_6 თხრილებში. გათხრების შედეგად II მოედნის IV-V და VI ფენებში აღმოჩნდა Homo erectus-ის კარგად დაცული თავის ქალა, ორი იზოლირებული კბილი, კვირისთავი, ნებისა და ტერფის ძვლები და მესამე ფალანგა; პალეონტოლოგიური ნაშთებიდან 156 ნიმუში აღმოჩნდა VI ფენაში, 497 – IV-V ფენებში. ესენია – ზედა ვილაფრანკული ასაკის: ეტრუსკის მგელი, ხმალკბილა ვეფხვი, სამხრეთის სპილო, პერუს ირემი, დმანისის ძროხა, ეტრუსკის დათვი, ზორგელია, ეტრუსკის მარტორქა, ჟირაფი, სტენონის ცხენი, მაჩვი, ფოცხვერი, ჯეირანი; უძველესი ადამიანის ქვის იარაღები (206 ერთეული) მეორადი დამუშავებისა და გამოყენების ნიშნებით, ე.წ. ჩოპერები და ჩოპინგები (ქვარგვალებზე) და იარაღის დასამზადებლად გამოყენებული ნეგატივებიანი ნუკლეუსები. მთელი ქვის მასალა ადრე მოპოვებულის მსგავსია და წინა აშელურ ხანას განეკუთვნება.

კახეთის ექსპედიციის თელავის რაზმმა (ხელმძღვ. ი.მ.კ. გ. რჩეულიშვილი) გათხრები ჩაატარა ნატკორას ნაეკლესიარზე, სოფ. გულგულასთან. სამუშაოების შედეგად ნაეკლესიარი გაიწმინდა ნანგრევებისა და მცენარეული საფარისაგან; დაფიქსირდა სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო დონეები. გაიწმინდა ასევე 9 სამარხი. მოპოვებულია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ეკლესიის აგების დრო V-VI საუკუნეებია, რომ გადაკეთება-შეკეთება X-XII საუკუნეებში განუცდია, ხოლო მთლიანად დანგრევა XIII საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარა, რასაც XIV ს-ის შუა ხანებში, გიორგი ბრწყინვალეს დროს, მცირე ტაძრის აღდგენა მოსდევს; ეკლესიის მორიგი დანგრევა XIV ს-ის ბოლოზე მოდის; ეკლესიის მცირე მასშტაბში აღდგენა კი XVII საუკუნეებში უნდა მოეხდინათ.

Field Work in 2002

Archaeological Expedition of the Southern Georgian Upland (Director M. Gabunia) carried out small excavations on Amiranis Gora of Javakheti. A chopper-shaped tool and particles of carbon were unearthed along with the fossils of sussenfoor and bison.

Tsalka-Trialeti Archaeological Expedition (Director G. Narimanishvili) carried out diggings on three sections of the Baku-Tbilisi-Ceyhan pipeline. The following sites were excavated: 8 burials (12th-8th cent. B.C.) of a necropolis discovered close to the Eli-Baba site (at the 114-115th km); territory of a cyclopean site on the Ai-Ilia mountain, at the 123rd -124th km revealed remains of various obsidian tools; trenches of exploratory diggings at the 128-129th km failed to reveal archaeological remains.

Borjomi Regional Archaeological Expedition (Director I. Ghambashidze) conducted diggings along the Baku-Tbilisi-Ceyhan pipeline. Four barrow burials dating from the first half of the 2nd millennium B.C. were excavated on the Tavkvetili mountain site; exploratory trenches made on the Mshrali mountain pointed to the absence of archaeological remains; remains of structures and kurgan dated to the first half of the

2nd millennium B.C. were unearthed on the necropoleis of Moliti site. archaeological survey on the Sakire-Tadzrisi plot revealed sites and cultural layers of various chronological periods.

Akhaltsikhe Archaeological Expedition (director A. Orjonikidze) dug exploratory ditches along the Baku-Tbilisi-Ceyhan pipeline in Akhaltsikhe district, discovering the Orchosani site near the town of Vale. The site is represented by Early Bronze Age and mediaeval cultural layers.

Egrisi Archaeological Expedition (Director V. Japaridze) carried out work in Shorapani – a fortress dating from the Byzantine period. Various archaeological materials, remains of a structure of the Hellenistic period – probably a temple and jar-burials were brought to light. The expedition carried out excavations along the Baku-Supsa pipeline route. A site dating from the Classical period was discovered and studied at Tqlapivake. Quantities of archaeological artifacts of the Late Bronze Age, Early Classical and Roman periods were found on the Tsikhura site (territory of Meore Sviri).

Kolkheti Archaeological Expedition (Director R. Papuashvili) conducted excavations of necropolis II in the village of Ergeta. Burial pit # 6 was excavated and burials #7 and #8 were cleaned for further exploration. 123 beads and 55 objects made of different materials, dating from the first quarter of the 1st millennium B.C., were found. Archaeological exploration of the districts of Zugdidi, Tsalenjikha, Martvili and the village of Mukhuri (Chkhorotsqu district) were carried out. Jar-burials and an iron foundry tentatively attributed to the Early Middle Ages, were discovered in the Letsirde quarter of Mukhuri. Remains of a lime-mortar structure – probably a church – were brought to light in the resort of Lebarde (Martvili district).

Vani Archaeological Expedition (Director D. Kacharava) resumed work on all the three terraces of the Vani site. The excavation of two shrines on the upper terrace was completed. A small bronze figurine belonging to the 3rd cent. B.C. was found in a pit cut near one of the shrines. The stratigraphy of the greater channel was specified: 1. Period of destruction – 2nd cent. B.C.; 2. Layer of the 2nd cent. B.C.; 3. Sterile clay layer; 4. Carbonated layer dating from the beginning of the 4th-3rd cent. B.C. 5. layer of sand revealing archaeological data of the 6th-5th cent. B.C. A heap containing fragments of adobe bricks, tiles and cut stones was found in the area of the twelve-stepped altar located on the central terrace. Two facilities of a structure built of sandstone blocks were unearthed to the south-east of the terrace. Their floor must have been paved with cobble-stones. Work for the preservation of the multifacility cult architectural complex, discovered on the lower terrace, carried out within the frame of a grant of the "Cultural Heritage Foundation" was finalized.

Guria Archaeological Expedition (V. Sad-radze) carried out diggings connected with the Baku-Supsa pipeline construction on Nigoiti site and adjacent territory. Exploratory excavations enabled the expedition to define the area of the site – 3-4 ha; remains of a structure - circular in shape – were unearthed and the site was dated to the 9th-7th cent. B.C.Remains of churches located in the places of Kviani, Japana and Shukhuti were cleared and recorded.

Gori District Expedition (Director G. Mindiashvili) studied a small part of the monolayer site dating from the 12th cent. B.C. and three burial mounds of its contemporary necropolis, discovered due to the constructional work in the locality of «Kvertskhvula», between the villages of Akhaldaba and Tedotsminda, at the 143rd km of the Baku-Supsa pipeline. A damaged kurgan belonging to the 24th-22nd cent. B.C. was also excavated. Impressions of the wheels of a four-wheeled chariot, along with skeletal remains, clay ware, bronze knife, dagger, spearhead, bone arrowhead and antler talisman were found in the kurgan pit.

Kaspi Regional Expedition (Director Z. Makharadze) carried out salvage work at the necropolis of Dachrilebi (village of Kavtiskhevi), damaged by soil erosion. Excavated burials are dated to the early Hellenistic period.

Mashavera Archaeological Expedition (Director K. Kakhiani) continued excavations of the monastic complex near the village of Gantiadi revealed when digging a trench for laying an optic-fiber cable. Four churches, inscriptions made in *asomtavruli* (majuscule) script, quantities of decoration elements, minor art specimens, stealae, etc. were obtained. The archaeological evidence enables to specify the chronology of the functioning of this complex to the 8th-9th cent. B.C.

Dmanisi Archaeological Expedition (Director J. Kopaliani) carried out diggings on the sections of the site where Palaeolithic remains were expected to come to light. Excavations of the section 3/2 m of the b4 site attested that the dwelling level is 1 m deep. The lower dwelling level was revealed also at the depth of 1 m. It was discovered that the floor of the later level is immediately superimposed on the layer revealing pits, which in general, reveals Palaeolithic material. The chronological difference between

these two dwelling levels is not great and they can be dated to the 9th-10th cent.

The Palaeolithic Team of the Dmanisi Archaeological Expedition (Director M. Nioradze) excavated the area of some 20 sq. m. of layers IV-V and VI lying between the «crust» layer (III layer) and basaltic lava of square II belonging to the Early Palaeolithic station. Diggings were continued in order to specify the stratigraphy in trenches M5 and M6. A well-preserved cranium of Homo erectus, two isolated teeth, a whorl came to light. The following 156 palaeontological specimens were discovered in the layer VI, 497 – in layers IV-V: Canis etruscus, saber-toothed cat, giraffe, Etruscan unicorn, deer, cow, lynx, rhinoceros, badger; 206 tools with the traces of secondary treatment, the so-called choppers and choppings, negative nuclei used for manufacturing of tools. The bulk of stone material is similar to the previously obtained and is dated to the pre-Ascheulean period.

The Telavi Team of the Kakheti Archaeological Expedition (G. Rcheulishvili) carried out diggings of the remains of Natkora church, near the village of Gulgula. The site was cleared from plants and ruins. constructional levels of different periods were recorded. 9 burials were cleaned. The obtained archaeological material shows that the church had been built in the 5th-6th cent. and reconstructed in the 10th-12th cent.. It was totally destroyed in the second half of the 13th cent. and only a minor church was later (14th cent.) restored by Giorgi the Brilliant. Next it was destroyed by the end of the 14th cent. and small restoration was carried out in the 17th cent.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა თ ა ს ი ა
A B B R E V I A T I O N S

ენიმკის მოამბე – ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. თბილისი.

იიშ – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. თბილისი.

კაეშ – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.

კაძ – კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბილისი.

მაცნე – ისტორიის... სერია – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი.

მსკა – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

მსკი – მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი. თბილისი.

სას – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.

სდსძ – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი.

სიგკ – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

სკმაის – საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები.

სმამ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი.

სსმაე – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. თბილისი.

სსმმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

ფსაძ – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

ძმ – ძეგლის მეგობარი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. თბილისი.

ВГМГ – Вестник Государственного музея Грузии им. С. Джанашиа. Тбилиси.

ВДИ – Вестник древней истории. Институт всеобщей истории. Москва.

ВОН – Вестник Общественных наук АН Армянской ССР.

ИГАИМК – Известия Государственной академии истории материальной культуры. Москва–Ленинград.

КСИА – Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института археологии. Москва.

МИА – Материалы и исследования по археологии СССР. Москва.

ПАИ – Полевые археологические исследования. Центр археологических исследований. Тбилиси.

РА – Российская археология. Институт археологии. Москва.

СА – Советская археология. Институт археологии. Москва.

САИ – Свод археологических источников. Археология СССР. Москва.

САНГ – Сообщения АН Грузии.

СГЭ – Сообщения Государственного Эрмитажа. Санкт-Петербург (Ленинград).

ТАИЯЛИ – Труды Абхазского института языка, литературы и истории. Сухуми.

ТГЭ – Труды Государственного Эрмитажа. Санкт-Петербург (Ленинград).

AA – Archäologischer Anzeiger.

BSA – Annals of British School at Athens.

PBF – Prähistorische Bronzenfunde. München.

PEQ – Palestinian Exploration Quarterly. London.